დავით ჩიქოვანი

აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV-V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები)

გამომცემლობა
კალმოსანი
თბილისი
2019

რედაქტორი:

ბეჟან ჯავახია, ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტი:

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კორექტორი:

სალომე გაბისონია

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა
გამომცემლობა „კალმოსანში"
კონტაქტი:
ელ. ფოსტა: *kalmosani@yahoo.com*
ტელ: 571 19 19 39; 2 665 965

ISBN 978-9941-9657-0-8

სარჩევი

რედაქტორისაგან 5

შესავალი 8

აღმოსავლეთის ეპისკოპოსების

პირველი კრება (315 წ.) 14

399 წლის სელევკიის კრება 31

აღმოსავლეთის ეკლესიის რეორგანიზაცია

- 410 წლის სელევკიის კრება 39

419/420 წლის სელევკიის კრება 80

424 წლის მარკაბტას კრება 101

484 წლის ბეთ ლაპატის კრება 129

485 წლის ბეთ ედრაის კრება..... 142

486 წლის სელევკიის კრება 148

497 წლის სელევკიის კრება 173

დანართი (აღმოსავლეთიის ეკლესიის მიერ

შეწყნარებული კანონები) 189

დამოწმებული ლიტერატურის სია 191

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 200

რედაქტორისაგან

ქრისტიანული სახელმწიფოები ძირითადად დასავლეთში არიან განლაგებულნი, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ქრისტიანობა აღმოსავლეთში დაიბადა და შემდეგ გავრცელდა დასავლეთში. ქრისტიანული თემი ირანის ტერიტორიაზე ადრეულ პერიოდში ჩნდება და განიცდის ისეთივე დევნას, როგორც ეს ხდებოდა მთელს რომის ტერიტორიაზე.

ირანის ეკლესია დიდი ხანია წარმოადგენს ევროპისა და ამერიკის ეკლესიის მკვლევართა შესწავლის ობიექტს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის ეს თემა მეტად აქტუალური უნდა ყოფილიყო, რადგანაც, როგორც გვიან ანტიკურ ხანაში, ასევე შუა საუკუნეების გარკვეულ პერიოდში ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა ირანის სახელმწიფოს მხრიდან, სადაც მდებარეობდა აღმოსავლეთის ეკლესიის ცენტრი და რასაკვირველია, ასეთ პირობებში შეუძლებლად გვეჩვენება, რომ მეტროპოლიის ცენტრში არსებულ ეკლესიას არ ჰქონოდა გარკვეული მიმართება ქართლის მსგავს ინსტიტუტთან. ამდენად აღმოსავლეთის ეკლესიის შესწავლა ჩვენი წარსულის მკვლევართა თვალსაწიერის გასაფართოებლად მეტად მნიშვნელოვანია.

ეს წიგნი პირველია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს აღმოსავლეთის ეკლესია, სხვა შემთხვევაში მის შესახებ მხოლოდ მიმობნეულ ცნობებს ვხვდებით სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებში. ავტორის მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის შესასწავლად მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროების გამოცემა ქართულ ენაზე. ეს წყაროები - აღმოსავლეთის ეკლესიის V საუკუნის კრებების აქტები წარმოადგენენ პირველწყაროს ამ საკითხის შესასწავლად.

ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის არის დიდი საჩუქარი. რადგანაც ავტორს პირველად შემოაქვს სრულიად ახალი წყაროები სამეცნიერო ბრუნვაში. ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან მოგვცა არა მხოლოდ თარგმანი აღმოსავლეთის ეკლესიის კრების აქტებისა, არამედ ასევე შემოაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში სხვა ახალი საისტორიო წყაროები იმავე ეპოქიდან აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის შესახებ.

როგორც ავტორის მიერ დასახული მიზნიდან ჩანს, ეს ნაშრომი დიდად შრომატევადი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა. უპირველესად ეს არის წყაროს ტექსტის მოძიება და მისი შედარება სხვადასხვა დროის თარგანებთან, ასევე საკმაოდ მძიმე სამუშაოს წარმოადგენდა საკუთარი სახელებისა და ტერმინების დადგენა. რადგანაც ეს ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას ამ ტექსტების შესწავლისა და გამოცემისა, საკითხის სირთულის გამო, ავტორი მოკრძალებით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს მეტად მნიშვნელოვან პრობლემებზე და ეფიქრობთ, რომ ეს საკითხები შემდეგშიც აუცილებლად გახდება უფრო ფართო კვლევის ობიექტი.

გარდა წყაროს ასეთი სახით გამოცემისა, რომელიც შემდეგში მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახდება ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის, განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მოსაზრებები და მითითებები ირანისა და ქართლის ეკლესიათა ურთიერთმიმართებისა და დამოკიდებულების შესახებ.

წინმდებარე ნაშრომი, ჩემი აზრით, არის ავტორის თავდაუზოგავი შრომის შედეგი. ეს არის პირველი მცდელობა ჩვენს სინამდვილეში აღმოსავლეთის ეკლესიის მონოგრაფიული შეწავლისა, ავტორი დასახელებული წყაროს უცხოელი გამოცემლების მსგასად, სქოლიოში იძლევა როგორც

ტექსტის მეტად საინტერესო განმარტებებს, ასევე ცდილობს გამოთქვას თავისი მოსაზრებებიც ამ ეპოქის გარკვეულ საკითხებზე. ეს წიგნი ნამდვილად გახდება ბიძგის მიმცემი, რათა მომავალში უფრო მეტი მკვლევარი დაინტერესდეს აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიით და უდავოდ დიდ სამსახურს გაუწევს შუა საუკუნეების მკვლევარებს და ასევე ზოგადად ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს.

ბეჟან ჯავახია

„აღმოსაველეთის ეკლესიას“ უმეტესწილად უწოდებენ აღმოსაველეთ რომის იმპერიაში არსებულ (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის) ეკლესიებს, განსხვავებით დასაველეთის - რომის კათოლიკური ეკლესიისგან. მაგრამ ამგვარი მიდგომა ქრისტიანობას მხოლოდ რომის იმპერიის ფარგლებში განიხილავს, რაც დაუშვებელია.[1]

ქრისტიანობამ რომის იმპერიის ფარგლებს გარეთ, ახლო აღმოსაველეთში, პირველი საუკუნეებიდანვე მოიკიდა ფეხი, საბოლოოდ აქ არსებულმა ქრისტიანულმა თემებმა ერთიანი ორგანიზაციული სახე სასანიანთა იმპერიის არსებობის დროს მიიღო, როდესაც ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია, რომელიც მოიცავდა სასანიანთა მთელს იმპერიას. ამ ეკლესიას მოიხსენიებენ სხვადასხვა სახელით: სირიულ-სპარსული ეკლესია, აღმოსავლეთის ასურული ეკლესია, ნესტორიანუ-

1 რომს, რა თქმა უნდა „საკუთარი აღმოსავლეთი“ ჰქონდა იმპერიის აღმოსაველეთ ნაწილის სახით, საბოლოოდ, ამ „ორი აღმოსაველეთის“ არეით (რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო) ანტიოქიის პატრიარქის ტიტულმა, რომელიც შეიცავდა უფლებას „სრულიად აღმოსავლეთზე“ და გულისხმობდა რომის აღმოსავლეთის დიოცეზს, რომლის დედაქალაქიც ანტიოქია იყო, ფართო მნიშვნელობა მიიღო, როდესაც ანტიოქიამ დაიწყო თავისი პრეტენზიების გამოთქმა რომის იმპერიის აღმოსავლეთით არსებულ ეკლესიებზე (სპარსეთის, ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის, აღსანიშნავია, რომ ანტიოქიის ეკლესიის პრეტენზიები ამ ეკლესიებზე ჩნდება ერთსა და იმავე წყაროში, კერძოდ მიქაელ სირიელს დაცული აქვს ანტიოქიის პატრიარქ იოანეს (631-648) წერილი ირანის იაკობიტთა დიდ მიტროპოლიტ მარუთა ტაგრიტელისადმი (629-649), რომელშიც ამბობს, რომ „ადრე სპარსეთის კათოლიკოსის საყდარი და სომხეთის, ქართლის და ალბანეთის კათოლიკოსის [საყდარი] ანტიოქიის საყდარს ემორჩილებოდა ბაბაი კათოლიკოსის მკვლელობამდე“ (Chronique de Michel le syrien Patriarche jakobite d'Antioche. Editee pour la premiere et traduite en francais Par Jean-Baptiste Chabot, T. II, Paris: Ernest Leroux, Editeur. 1901, 434), მაგრამ, როგორც გამოირკვა, ანტიოქიის პრეტენზიებს „აღმოსაველეთის ეკლესიისადმი“ არაფერი აქვს საერთო ისტორიულ ჭეშმარიტებასთან და იგი გვიანდელი გამონაგონია (Wilhelm Baum, Dietmar W. Winkler, The Church of the East: A Concise History, London and New York: Taylor & Francis e-Library, 2003: 21).

ლი ეკლესია, სპარსული ეკლესია.[2]

სასანიანთა იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანებისთვის მათი საცხოვრისი „აღმოსავლეთი" იყო რომის იმპერიასთან შეფარდებით, რომელსაც „დასავლეთს" უწოდებდნენ, ამიტომაც მისი ოფიციალ'ური სახელწოდება გახდა „აღმოსავლეთის ეკლესია". ასე მაგალითად, 410 წლის კრების აქტებში წერია: „ვინც კეთილი ხსოვნის ღირსია მამის, ძისა და წმიდა სულის წინაშე აღმოსავლეთის მთელ ჩვენს ეკლესიასა და ერთობაში".[3]

„სიმონის მარტვილობაში" სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი სიმონი იწოდება ამგვარად: „მთავარეპისკოპოსი და კათოლიკოსი აღმოსავლეთის ეკლესიისა".[4]

„სიირთის ქრონიკა"[5] ამგვარად აღწერს ერთ-ერთ კრებას: „ისააკმა ისარგებლა მარუთას იქ ყოფნით და მოიწვია კრება საჭირო წესების დასაკანონებლად აღმოსავლეთის ეკლესიის მმართველობაში".[6]

---

2 ამ ეკლესიის სახელწოდებათა განხილვა იხ, W. A. Wigram, An Introduction to the History of the Assyrian Church or The Church of the Sassanid Persian Empire 100-640 A.D. London: Society for Promoting Christian Knowledge. New York, E.S. Gorham. 1910, 150. VII-IX; Wilhelm Baum, Dietmar W. Winkler, The Church of the East: A Concise History, London and New York: Taylor & Francis e-Library, 2003: 3-5.

3 Jean-Baptiste Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, Paris: Imprimerie Nationale, 1902, 256.

4 Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang: Ostsyrisches Mönchsleben Aus dem Syrischen übers. von Oskar Braun. Kempten-München: Verlag der Jos.Kösel'schen Buchhandlung. 1915; Kyle Richard Smith, The Persian Persecutions: Martyrdom, Politics, and Religious Identity in Late Ancient Syriac Christianity, Duke University , unpublished PhD thesis, 2011 , 385.

5 სიირთი - ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, ამავე სახელწოდების პროვინციაში. „სიირთის ქრონიკა" - მე-9 ან მე-11 საუკუნის ანონიმური არაბული ქრონიკა, რომელიც აღწერს 251-422 და 484-650 წლების აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიას.

6 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II),. 1910, 318. შესაძლოა ამ ცნობის გასაბათილებლად მოყვანილ იქნას ამავე წყაროს ცნობა, სადაც ეს ეკლესია სახელდებულია „სპარსეთის ეკლესიად": „კათოლიკოსმა გადასცა მას მეფის წერილი და დაარწმუნა იგი სპარსეთის ეკლესიის ორთოდოქსობაში". (Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 332), სამაგიეროდ, სხვა წყაროები ამყარებენ ჩვენს ვარაუდს ეკლესიის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

ებედიესუ ნიზიბინელი[7] თავის კანონიკურ კრებულში ამგვარად სახელდებს განსახილველ ეკლესიას: „კანონთა სია, რომელთაც აღმოსავლეთის ეკლესია იღებს, აღიარებს და იცავს... მოციქულებრივი და მამობრივი კანონები, რომელზეც დამყარებულია აღმოსავლეთის წმიდა და მართლმადიდებელი ეკლესია“.[8] ზემოთმოყვანილი მაგალითებითაც აშკარაა, რომ რომის იმპერიის აღმოსავლეთით ჩამოყალიბებული ეკლესიის ოფიციალური სახელწოდება იყო „აღმოსავლეთის ეკლესია“, შესაბამისად, ჩვენც სწორედ ამ ტერმინით მოვიხსენიებთ მას.

დასავლეთში (ევროპასა და ამერიკაში, ასევე აღმოსავლეთში, ირანსა და ინდოეთში) აღმოსავლეთის ეკლესიის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც ერთი მხრივ აღმოსავლეთის ეკლესიის შესახებ არსებული წყაროების[9] გამოქვეყნება-თარგმნაში გამოიხატება, ხოლო მეორე მხრივ ამ წყაროთა აქტიურ კვლევაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა აქტების თარგმნა, რომელიც ცნობილია „აღმოსავლეთის სინოდიკონის“ სახელით. 1900 წელს ოსკარ ბრაუნმა გამოსცა აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა აქტების გერმანული თარგმანი, ხოლო 1902 წელს ჟ. ბ. შაბომ გამოაქვეყნა ტექსტების ფრანგული თარგმანი, რომელსაც დაურთო სირიული ტექსტიც.

აღმოსავლეთის ეკლესიის კვლევა დღემდე არ კარგავს აქტუალობას, რისი თვალსაჩინო დადასტურებაცაა ის აურა-

---

7 ებედიესუ ნიზიბინელი, იგივე აბდ-იშო ბარ ბერიკა, (გარდ. 1318 წელს.) სირიელი მწერალი, თავდაპირველად სინჯარის ეპისკოპოსი, ხოლო 1295 წლიდან ნიზიბინისა და სომხეთის მიტროპოლიტი.

8 Chabot, Synodicon Orientale.., 611.

9 აღმოსავლეთის ეკლესიის, განსაკუთრების მისი ადრეული ისტორიის შესახებ არსებული წყაროების უმრავლესობა სირიული და არაბულია.

ცხელი ლიტერატურა, რაც მის კელევას მიეძღვნა უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო ათწლეულებში შეიცვალა შეხედულებები აღმოსავლეთის ეკლესიის თავდაპირველი უფლებრივი მდგომარეობის (მისი ავტოკეფალიისა) და ქრისტოლოგიის შესახებ.

ამ ყოველივეს ფონზე, უაღრესად მოკრძალებულად გამოიყურება აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა საქართველოში, სადაც იგი ჯერ არ გამხდარა კვლევის ობიექტი და მის მოხსენებასა თუ მასზე ზოგადად ცნობებს მხოლოდ რამდენიმე წიგნსა თუ სტატიაში ვხვდებით, რომლებიც ემყარება დასავლურ ისტორიოგრაფიას და შეხება არ აქვთ პირველწყაროებთან. ამასთან, მათში არაა ასახული ის სიახლეები, რაც უახლოეს ხანებში აღმოსავლეთის ეკლესიის კვლევებში არსებობს.

ვფიქრობთ, ერთი მხრივ ზოგადად ეკლესიის ისტორიის, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს პოლიტიკური და ეკლესიის ისტორიის კვლევისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის შესწავლა, რადგანაც ერთიან ორგანიზაციად ჩამოყალიბების დროიდან (410 წ.) აღმოსავლეთის ეკლესია ესაზღვრებოდა ამიერკავკასიის ქვეყნების ეკლესიებს, ხოლო ათიოდე წელში, 420 წლისთვის, ამიერკავკასიის ეკლესიები უშუალოდ მის შემადგენლობაში მოექცნენ. გარდა ამისა, ქართლისა და აღმოსავლეთის ეკლესიას საერთო ბედი აკავშირებთ - ორივე მათგანზე პრეტენზიას აცხადებდა ანტიოქიის ეკლესია. ასევე აღსანიშნავია ის, რომ ეს პრეტენზია ორივე ეკლესიის მიმართ ჩნდება ერთსა და იმავე წყაროში. თუმცა, როგორც უკვე დადგინდა, აღმოსავლეთის ეკლესია არასდროს ექვემდებარებოდა ანტიოქიას. ამის გათვალისწინებით დიდ მნიშვნელობას იძენს 420 წლის კრებაზე ქართლის წარმომადგენლის ყოფნა და აღმოსავლეთის კათოლიკოსის მიერ ქართლის ეკლესიის დაქვემდებარე-

ბა. რითაც ეჭქვეშ დგება ანტიოქიის ეკლესიის პრეტენზიები ქართლის ეკლესიის მიმართ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ „კათოლიკოსი“ ტიტულად დამკვიდრდა სწორედ აღმოსავლეთის ეკლესიაში, ხოლო დასავლეთის ეკლესიებში მას ადრეულ ეტაპზე ტიტულის დატვირთვა არ ჰქონია. ვფიქრობთ, ქართლის ეკლესიაში კათოლიკოსის ტიტულის დაწესება უკავშირდება სწორედ აღმოსავლეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნასა და შემდეგ ავტოკეფალიის მოპოვებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ერთი მხრივ გადმოგვეცა აღმოსავლეთის ეკლესიის შესახებ არსებული წყაროები და მათ შესახებ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებანი, ხოლო მეორე მხრივ, ეს ცნობები გამოგვეყენებინა ქართლის ეკლესიის ისტორიის შესასწავლად. სწორედ ამიტომაც, ვეცადეთ, ამ წიგნში ერთად მოგვეყარა თავი ყველა ამ კომპონენტისთვის. ჩვენ „აღმოსავლეთის სინოდიკონიდან“ ავიღეთ მხოლოდ ის ტექსტები, რომლებიც ეხება აღმოსავლეთის ეკლესიის მე-5 საუკუნის კრებებს, რომელსაც დავურთეთ ამ კრებების შესახებ არსებული სხვა წყაროები. გარდა ამისა, წინამდებარე ნაშრომში შევიტანეთ მასალები მე-4 საუკუნის ორი კრების შესახებ, რომელთა აქტები „აღმოსავლეთის სინოდიკონში“ არ მოიპოვება. ძირითადი ტექსტი გავმართეთ ჟ. ბ. შაბოს გამოცემის მიხედვით. ტექსტებში დასახელებული ონომასტიკონი შევადარეთ სირიულ ტექსტთან, ასევე ვიყენებდით ო. ბრაუნისეულ გამოცემას, რომლის განსხვავებული წაკითხვაც შენიშვნების სახით დავურთეთ ნაშრომს.

კრების ტექსტებს დავურთეთ მკვლევართა შორის არსებული მოსაზრებები, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს გაეცნოს ამა თუ იმ ტექსტის განმარტებას. ტოპონიმთა განმარტების ნაშრომის ბოლოში მოთავსებას (როგორც

ამას ჟ. ბ. შაბო აკეთებს) ვარჩიეთ მათი სქოლიოში ჩამოტანა, რათა მკითხველს გაუადვილდეს ტექსტის პარალელურად იმ გეოგრაფიულ გარემოში გარკვევა, რაზეც საუბარია ტექსტებში.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისა და შენიშვნებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ ბეჟან ჯავახიას და ბატონ ექვთიმე კოჭლამაზაშვილს. წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ ლადო მირიანაშვილს, რომელიც დაუზარებლად გვაწვდიდა ჩვენთვის ხელმიუწვდომელ წყაროებსა თუ სხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურას. ტექსტების თარგნისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ქ-ნ ნინო ბუჩუკურს. განსაკუთრებით აღვნიშნავთ მამა ნიკოლოზ როინიშვილის ღვაწლს წინამდებარე წიგნის გამოცემის საქმეში, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ქსუშა ჩიქოვანს, გიორგი ჩიქოვანს, სალომე გაბისონიას, გიორგი მეჯურჭლიშვილს, კონსტანტინე ბარამიას და ყველას, ვინც წელილი შეიტანა წინამდებარე წიგნზე მუშაობისა და გამოცემის საქმეში.

აღმოსავლეთის ეპისკოპოსების პირველი კრება (315 წ.)

აღმოსავლეთში ქრისტიანობის ქადაგებადაკავშირებულია 12 მოციქულთაგან თომას, ასევე ნათანაელისა და თადეოზის და 70-თაგან აგაის, მარის და ადაის სახელებთან.[10] წყაროთა მიხედვით აღმოსავლეთის ეკლესია პირველი საუკუნიდანვე უკვე ერთიანი ორგანიზაცია იყო, სელევკია[11]-ქტეზიფონის[12] საეპისკოპოსოთი სათავეში.

სელევკიის ეპისკოპოსთა უძველესი სია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ეკუთვნის ელია დამასკელს[13] (დაახლ. 890 წ.), რომელიც მათ ამგვარად ჩამოთვლის: ადაი, მარი, აბრესი, აბრაამი, იაკობი, აჰადაბუი, თუმარსა, შაჰლუფა, პაპა.[14]

---

10 Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars.II. Maris textus arabicus et versio Latina (Rome: excudebat C. de Luigi, 1899,2; Wilhelm Baum, Dietmar W. Winkler, The Church of the East: A Concise History, 2003. 12.

11 ბერძ. Σελεύκεια - სელევკია, თანამედროვე ერაყში, მდინარე ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე, დააარსა სელევკოს I ნიკატორმა, დაახლ. ძვ. წ. 305 წელს. 230 წელს განაახლა არდაშირ I-მა (224/226-242) და ეწოდა არდაშირი უწოდა.

12 დაარსებულ იქნა ძვ. წ. 120 წლის შემდეგ, სელევკიის გასწვრივ, ტიგროსის მარცხენა ნაპირზე, პართიის მეფის ოროდ II-ის (57-37) მმართველობის დროს იგი გახდა პართიის სამეფოს ერთ-ერთი დედაქალაქი და მეფის საზამთრო რეზიდენცია, თანდათანობით კი გაერთიანდა სელევკიასთან და არაბული წყაროები ამ ორ ქალაქს al-Madā'in-ს უწოდებდნენ, რაც „ქალაქებს" ნიშნავს. 226 წელს იგი არდაშირ პაპაკანმა დაიკავა და სასანიანთა დედაქალაქი გახდა.

13 Jérôme Labourt, Le Christianisme dans l'empire perse sous la dynastie Sassanide (224–632), Paris: Librairie Victor Lecoffre, 1904, 11.

14 Josephus Simonius Assemani. Bibliotheca Orientalis Clementino-Vaticana.T.2. Rome: Sacrae Congregationis de Propaganda Fide,1721, 392, შენ; ი. ლაბური რატომღაც ელია დამასკელის სიაში არ იხსენიებს შაჰლუფას. J. Labourt, Le Christianisme dans l'empire perse sous la dynastie Sassanide (224–632), 11.

ელია ნიზიბინელი[15] მათ ასე წარმოადგენს: აბრესი[16], აბრაამი, იაკობი, აჰადაბუი, თუმარსა, პაპა.[17]

მარი იბნ სულეიმანთან[18] ეს სია ასე გამოიყურება: ადაი (12 მოციქულთაგანი), მარი (70-თაგანი), აბრესი, აბრაამი, იაკობი, აჰადაბუი, შაჰლუფა, პაპა.[19] სილოამონ ბასრელი[20] ეთანხმება ამ სიას.[21]

გრიგოლ ბარ ებრაია[22] მათ ამგვარად წარმოადგენს: თომა (12-თაგანი), ადაი (70-თაგანი), აგაი, მარი, აბროსიუსი (აბრესი), აბრაამი, იაკობი, აჰადაბუი, შაჰლუფა, პაპა.[23]

---

15 975-1046. ნესტორიანი სასულიერო პირი და მრავალი თხზულების ავტორი, ჯერ ბეთ ნუჰადრას ეპისკოპოსი (1002-1008), შემდეგ კი ნიზიბინის მიტროპოლიტი (1008-1046). მას აღმოსავლეთის ეკლესიაზე ცნობები შეტანილი აქვს თავის თხზულებაში „ქრონოგრაფია".

16 ხელნაწერი ნაკლულია, მასში აბრესის წინ სხვა ეპისკოპოსებიც უნდა ყოფილიყო დასახელებული (La Chronographie d'Élie Bar-Šinaya, Métropolitain de Nisibe, Par L., J., Delaporte, Paris: Libraire Honore Champion, Editeur,1910, 36).

17 La Chronographie d'Élie Bar-Šinaya.., 36-37.

18 მე-12 საუკუნის ნესტორიანი ავტორი, რომელმაც არაბულ ენაზე დაწერა ისტორიული და თეოლოგიური შრომა „Kitāb al-Majdal". იგი იყოფა 7 ნაწილად, მე-5 ნაწილში შესულია თხრობა აღმოსავლეთის ეკლესიის შესახებ.

19 Maris, Amri, et Salibae.., pars. II. 1-7.

20 მე-13 საუკუნის სირიელი ავტორი.

21 Assemani. Bibliotheca Orientalis Clementino-Vaticana.T.2,1721, 388, შენ.

22 არაბული სახელი აბუ ლ-ფარაჯ იბნ ალ-იბრი - სირიელი ეპისკოპოსი, პოეტი, გრამატიკოსი, ბიბლიის კომენტატორი, ისტორიკოსი და თეოლოგი (1226-1286 წწ), აღმოსავლეთის იაკობიტი მაფრიანი. სხვა მრავალ შრომასთან ერთად მას ეკუთვნის ისტორიული თხზულება „Makhtbhanuth Zabhne" - ქრონიკა. რომელიც იწყება სამყაროს შექმნიდან და მიყვანილია მის დრომდე. იგი იყოფა ორ ნაწილად, რომლის მეორე ნაწილის „საეკლესიო ქრონიკის" მეორე სექცია ეძღვნება აღმოსავლეთის ეკლესიას და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მის შესასწავლად.

23 Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum: quod e codice Musei britannici britannici descriptum conjuncta opera ediderunt, Latinitate donarunt annotationibusque Theologicis, Historicis, Geograficis et Archaeologicis illustrarunt Jean Baptiste Abbeloos, Thomas Joseph Lamy.T.3. Lovanii : C. Peeters, 1877, 4-26.

ამრი იბნ მატასთან[24] ეპისკოპოსთა სია ასე გამოიყურება: მარი, აბრესი, აბრაამი, იაკობი, აჰადაბუი, შაჰლუფა, პაპა.[25]

სელევკიის ამ პირველი ეპისკოპოსებიდან ზოგიერთი ქრისტეს ნათესავია (აბრესი, აბრაამი, იაკობი[26]), სხვები მოციქულები ან მათი მოწაფეები (ადაი, მარი, აგაი), მხოლოდ აჰადაბუი და შაჰლუფა არ არიან დაკავშირებულნი ქრისტესთან.

მარი იბნ სულეიმანის, გრიგოლ ბარ ებრაიასა და ამრი იბნ მატას ცნობებით აღმოსავლეთის ეკლესიის ადრეული მეთაურები ეკურთხებოდნენ ანტიოქიასა და იერუსალიმში,[27] ხოლო შაჰლუფას იერუსალიმში კურთხევის შემდეგ დასავლეთის ეპისკოპოსებმა აღმოსავლეთის ეპისკოპოსებს ნება დართეს ანტიოქიაში წასვლის გარეშე ეკურთხებინათ კათოლიკოსი.[28] აჰადაბუის გარდაცვალების შემდეგ კი სელევკიაში ჩატარდა კრება, რომელზეც აღმოსავლეთის ეპისკოპოსებმა კათოლიკოსად დაადგინეს აჰადაბუი. ბარ ებრაიას ცნობით, „აჰადაბუის გარდაცვალების შემდეგ აღმოსავლელი ეპისკოპოსები შეიკრიბნენ და აკურთხეს იგი, ის იყო პირველი კათოლიკოსი, რომელიც აკურთხეს აღმოსავლელმა ეპისკოპოსებმა".[29] ეს არის აღმოსავლეთის ეკლესიაში გამართული კრების პირველი მოხსენიება და ჩვენც მისით უნდა დაგეე-

24 ამრი იბნ მატა - მე-14 საუკუნის ავტორი, რომლის თხზულებასაც ეწოდება „Kitab al-Majdal", ეს სახელწოდება მან მიიღო მარი იბნ სულეიმანის თხზულების სათაურიდან, რომელიც, როგორც ჩანს, მან გადაამუშავა.

25 Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars.I: Amri et Slibae textus versio Latina .Rome: excudebat C. de Luigi, 1897, 1-8.

26 მათ წყაროები მართალი იოსების ოჯახის წევრებად ასახელებენ. Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum: 22-24; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria I, 1-3; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria II, 4-5.

27 Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum: 20-26; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria I, 2-4 ; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria II, 4-5.

28 Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum, 26; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria II, 4-5.

29 Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum. 26-28.

წყო კრებათა ისტორია, მაგრამ მეცნიერთა ნაწილი არათუ ამ კრებას, არამედ თვით ამ ეპისკოპოსთა რეალურობას ეჭვქვეშ აყენებს და მათი კვლევები ცხადჰყოფს, რომ სელევკიის პირველი ეპისკოპოსი იყო პაპა, რომელიც მე-3 საუკუნის ბოლოსა და მე-4 საუკუნის პირველ მეოთხედში ცხოვრობდა.

ფრანგი დომინიკელი ბერისა და ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევრის, ჟან მორის ფეის (Jean Maurice Fiey, 1914-1995) აზრით, ისინი არიან იმ მიზნით გამოგონილი პიროვნებები, რათა შეეცვალათ ის სიცარიელე, რაც არსებობდა სელევკიის პირველ ისტორიულად დადასტურებულ ეპისკოპოს პაპამდე.[30]

ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ „მარის ცხოვრების" მიხედვით, პაპა პირადად მარის უკურთხებია, როგორც მისი მემკვიდრე სელევკიის საეპისკოპოსო კათედრაზე.[31]

ავსტრიელი თეოლოგის დ. უ. უინკლერის (Dietmar W. Winkler) მოსაზრებით, მოციქული ადაი არის ლეგენდარული პიროვნება და სინამდვილეში იგი ცნობილი მანიქეველი მისიონერია, რომელიც გვიან ხანებში ქრისტეს მოწაფედ იქნა მიჩნეული.[32]

პაპას წინამორბედების, შაჰლუფასა და აჰადაბუის ვინაობის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ინდოელ თეოლოგსა და ისტორიკოსს ვ. სამუელს (Vilakuvelil Samuel, 1912-1998), მისი შეხედულებით, ისინი იყვნენ არა

30 Jean Maurice Fiey, jalons pour un histoire de l'Eglise en Iraq. Corpus scriptorium Christianorum Orientalium. V. 310. (Louvain: Secretariat du Corpus SCO. 1970) , 64-65.

31 The Acts of Mar Mari the Apostle, Translated with an Introduction and Notes by Amir Harrak, 2005, 77; Wilhelm Baum, Dietmar W. Winkler, The Church of the East: A Concise History, London and New York: Taylor & Francis e-Library, 2003. 12

32 W. Baum, D. W. Winkler, The Church of the East... 13. აღმოსავლეთის ეკლესიის მოციქულთა მიერ დაარსების შესახებ ვრცლად იხილეთ იქვე. 11-14.

სელევკიის, არამედ არბელას[33] ეპისკოპოსები.[34] საქმე ისაა, რომ „არბელას ქრონიკის"[35] ცნობით, 258-273 წლებში არბელას ეპისკოპოსი ყოფილა შაჰლუფა, ხოლო მის შემდეგ, 273-291 წლებში - აჰადაბუი.[36] ვფიქრობთ, მათ გაიგივებას სხვა რამეც უჭერს მხარს, კერძოდ: მარი იბნ სულეიმანის, ბარ ებრაიასა და ამრი იბნ მატას ცნობით, შაჰლუფა წარმოშობით კაშკარიდან[37] ყოფილა,[38] ხოლო „არბელას ქრონიკის" მიხედვით არბელას ეპისკოპოსი შაჰლუფა ბეთ არამაიდან ყოფილა,[39] კაშკარი კი სწორედ ბეთ არამაის პროვინციაში მდებარეობდა.[40] ვფიქრობთ, შესაძლოა, სწორედ მათი რეალურობის გამო არაა დაკავშირებული ეს ორი ეპისკოპოსი ქრისტესთან.

ამრიგად, სელევკიის პირველი ეპისკოპოსი, რომლის რეალურობა დანამდვილებით მტკიცდება, არის პაპა. „არბელას ქრონიკის" ცნობით, არბელას ეპისკოპოს აჰადაბუის ეპისკოპოსობისას „ქტეზიფონის მცხოვრებლებმა სასწრაფოდ სთხოვეს მას (აჰადაბუის - დ.ჩ.) რომ ეკურთხებინა ეპისკოპოსი, რომელიც მუდმივად დარჩებოდა მათ შორის. აქ იყო ბევრი

---

33 ადიაბენეს მთავარი ქალაქი. თანამედროვე ირბილი ჩრდილოეთ ერაყში, ქურდისტანის რეგიონში.

34 Dr. Samuel, Vilakuvelil Cherian, The Growing Church (An Introduction to Indian Church History). Kottayam: Divyabodhanam Publications, Orthodox Seminary, P. B. 98. 2007, 44-45.

35 მე-6 საუკუნის სირიული წყარო, რომელიც აღწერს ქრისტიანობის ისტორიას აღმოსავლეთში I-VI საუკუნეებში.

36 MŠIHA-ZKHA (Texte et traduction) par A. Mingana, Sources Syriaques, t. 1 (1907). 109-120.

37 ქალაქი სამხრეთ მესოპოტამიაში, ტიგროსზე. თანამედროვე ვასიტი ერაყში.

38 Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria II, 6; Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, T. III. 1877: 26; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria I, 7.

39 MŠIHA-ZKHA.., 109.

40 Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang: Ostsyrisches Mönchsleben Aus dem Syrischen übers. von Oskar Braun. Kempten-München: Verlag der Jos.Kösel'schen Buchhandlung. 1915, 279.

ქრისტიანი, რომელთაც უთხრეს მას: „[და] უფალი ეპისკოპოსები შორს არიან ჩვენგან და არ შეუძლიათ ყოველთვის მოვიდნენ ჩვენთან და უზრუნველყონ ჩვენი საჭიროებები და გვიხელმძღვანელონ სიმართლის გზებზე; სულიერად და ფიზიკურად. მან სიხარულით მიიღო მათი თხოვნა და შეატყობინა ჰაი-ბე'ელს, სუ'ხის[41] ეპისკოპოსს. [ამ] ორმა შეთანხმებულად აირჩია არამეელი პაპა,[42] ღრმად განსწავლული და ბრძენი ადამიანი".[43]

მისი ეპისკოპოსად კურთხევიდან ოციოდე წელში გამოიკვეთა პაპას მისწრაფება, გაეერთიანებინა სასანიანთა იმპერიაში არსებული საეპისკოპოსოები დედაქალაქის ეპისკოპოსის ე.ი. თავის ხელში: „აღმოსავლეთში პაპამ, ქალაქების[44] ეპისკოპოსმა, (რომელიც ჩვენ ვახსენეთ) რადგანაც

---

41 უძველესი ქალაქი თანამედროვე ირანში, ხუზისტანში. აქემენიდური სპარსეთის, არშაკიდთა პართიისა და სასანიანთა ირანის ერთ-ერთი დედაქალაქი.

42 მოციქულთა I კანონის მიხედვით, ეპისკოპოსი უნდა ეკურთხებინა 2 ან 3 ეპისკოპოსს, ეს დადგენილება შეიცვალა 325 წლის ნიკეის I მსოფლიო კრების IV კანონით, რომელმაც დაადგინა, რომ ეპისკოპოსი სულ მცირე 3 ეპისკოპოსმა უნდა აკურთხოს, რაკიღა პაპას ეპისკოპოსად ხელთდასხმა ნიკეის კრებამდე მოხდა, იგი სრულიად კანონიერი იყო. პაპას ეპისკოპოსად კურთხევის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს ბარ ებრაია, მისი ცნობით პაპა ეპისკოპოსად უკურთხებია მაიშანის მიტროპოლიტ დავითს (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, T. III. 1877, 28).

43 MŠIHA-ZKHA, 119. ამ ტექსტის მიხედვით, პაპა ეპისკოპოსად უკურთხებიათ აბდაბუჰის (273-291) ეპისკოპოსობის ბოლო წლებში, დაახლ. 285-291 წლებს შორის. „არბელას ქრონიკის" ფრანგულ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ა. მინგანა აღნიშნავს, რომ ამ ცნობას შეუძლია შეასწოროს მარის შეცდომა, რომლის მიხედვითაც პაპას ეპისკოპოსის კათედრა 79 წლის განმავალობაში (247-326) ეპყრა და უთითებს მარი იბნ სულეიმანის ლათინური თარგმანის მე-8 გვერდს (MŠIHA-ZKHA, 119. შენ. 2), სინამდვილეში ეს ცნობა მოეპოვება არა მარი იბნ სულეიმანს (Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria II, 8) არამედ ამრი იბნ მატას, (Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria I, 8-9), ბარ ებრაიას ცნობით კი პაპა ეპისკოპოსად იკურთხა 266 წელს (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 28).

44 არაბ. al-Madā'in - ქალაქები, სელევკიისა და ქტეზიფონის არაბული სახელწოდება.

ის ცხოვრობდა დიდი მეფის ქალაქში და სხვა ეპისკოპოსებს სჭირდებოდათ იგი გარეშე საქმეებისთვის, მოითხოვა, რომ მას მიეღო უფლებამოსილება ყველა ეპისკოპოსზე, თითქოს ერთი მთავარი ეპისკოპოსი იყო საჭირო, რომელიც მათ უნდა ჰყოლოდათ. და მედიტანას მღვდლებმა ხალხთან ერთად წინააღმდეგობა გაუწიეს მას. და მათ სურდათ მისი (პაპას - დ.ჩ.) თანამდებობიდან გადაყენება. და ასევე სიმონი, მისი (პაპას - დ.ჩ.) არქიდიაკონი, განრისხებული იყო ამ იდეების გამო და შეატყობინა სუზის [ეპისკოპოს] მილესს და ბეთ სელოკის კარკას[45] [ეპისკოპოს] აქიბ-ალაჰას. პაპას ძალიან შეეშინდა, რადგან სიმონის მშობლები ძალიან დაახლოებულნი იყვნენ დიდ მეფესთან და პატივცემულნი ყველასგან".[46]

პაპას ამ მისწრაფებას სანქციას აძლევდა მოციქულთა 34-ე კანონი: „თითოეულისა ნათესავისა ეპისკოპოსთაჲ უჴმს კაცთა მის ნათესავისათა, რაჲთა პირველად და თავად მათდა შეერაცხოს ეპისკოპოსი თჳსი და არარას იქმოდინ ნამეტავსა თუნიერ განზრახვისა მისისა, არამედ მათ ხოლო იქმოდის კაცად-კაცადი, რაოდენნი სარგებელ ეყოფოდინ ეკლესიასა მისსა და მისქუეშეთა სოფელთა...".[47]

მაგრამ მიუხედავად ამ მითითებისა, როგორც ჩანს, ეპისკოპოსები არ აპირებდნენ დამორჩილებოდნენ ქტეზიფონის, მართალია დედაქალაქის, მაგრამ მაინც ახალ საეპისკოპოსოს. პაპას მოწინააღმდეგე ეპისკოპოსებს შორის წყაროები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ სუზის ეპისკოპოს მილესზე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამ დაპირისპირებაში. შესაძლოა მისი აქტიურობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ როგორც ზემოთ ვნახეთ, პაპას არბელას ეპისკოპოსთან ერთად სუზის მღვდელმთავარმა დაასხა ხელნი. გარდა ამი-

45 karka de Beit Selōk – „კარკა" ნიშნავს ციტადელს, „კარკა დე ბეთ სელოკი" ანუ ბეთ სელოკის კარკა, ბეთ სელოკის ციტადელი, თანამედროვე კირკუკი, ბეთ გარმაის მიტროპოლია.

46 MŠIHA-ZKHA.., 121-122.

47 დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ს. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, მეცნიერება, 1975, 219.

სა, მოციქულთა კანონებში არ იყო მითითება, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის, ვისაც უნდა დამორჩილებოდნენ სხვა ეპისკოპოსები, მხოლოდ ანტიოქიის 341 წლის ადგილობრივი კრების მე-9 კანონმა განსაზღვრა, რომ „თითოეულისა სამთაეროსა ეპისკოპოსთა თავად ქონებაჲ უჴმს ეპისკოპოსისაჲ, რომელი ზედამდგომელი იყოს დედაქალაქისა მათისაჲ, ხოლო მას - მითუალვაჲ ზრუნვასა ყოველისაცე მის სამთაეროჲსასა, ვინაჲთგან დედაქალაქად მიისწრაფიან ყოველნი მქონებელნი რომელთაცე საქმეთანი, რომლისათჳს გუთნდა, რაჲთა პატივითაცა უაღრეს იყოს იგი...“,[48] აქედან გამომდინარე, დასაშვებია აზრი, რომ შესაძლოა სუზის ეპისკოპოსს თავად სურდა ამ უპირატესობის მოპოვება, ამიტომაც დაუპირისპირდა იგი ასე მწვავედ დედაქალაქის ეპისკოპოსის მისწრაფებას.[49]

მიმდინარე მოვლენებში ასევე მნიშვნელოვანი წელილი უნდა შეეტანათ პაპას არქიდიაკონის, სიმონის მშობლებს, რომელთა დაწინაურებულ მდგომარეობას მეფის კარზე „არბელას ქრონიკის“ გარდა ხაზს უსვამს „სიირთის ქრონიკაც“,[50] აღსანიშნავია ისიც, რომ „სიირთის ქრონიკის“, მარი იბნ სულეიმანის და ამრი იბნ მატას ცნობებით, სიმონი წარმოშობით სუხადან ყოფილა,[51] შესაძლოა ამანაც გამოიწვია მილესისა და სიმონის ასეთი მჭიდრო კავშირი პაპასთან დაპირისპირებისას.

---

48 დიდი სჯულისკანონი.., 249.

49 „მილესი და პაპა: ბრძოლა პირველობისთვის“ ასე ეწოდება სტატიას, რომელშიც ვოლფგანგ შვაიგერი განიხილავს ამ დაპირისპირებას. Wolfgang Schwaiger, den "Miles und Papa: Der Kampf um den Primat. Ein Beitrag zur Diskussion um die Chronik von Arbela," in René Lavenant (ed.), V Symposium Syriacum 1988, Orientalia Christiana Analecta 236, Rome, 1990, 393–402.

50 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. publiée par Addaï Scher . Graffin, R – Nau, F. Patrologia Orientalis. T. 4. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs. Paris. 1908. 296.

51 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. 296; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria II, 14; Maris, Amri, et Salibae, pars. I, 9.

პაპას განსასჯელად შეიკრიბნენ ეპისკოპოსები, „არბელას ქრონიკის“ ცნობით, კრება ჩატარდა არბელას ეპისკოპოს შირაი'ას დროს, რომელიც არბელას ეპისკოპოსი იყო 291-316/7 წლებში,[52] ამავე წყაროს ცნობით პაპამ წერილი მისწერა ედესის ეპისკოპოს სა'დას,[53] რომელიც ეპისკოპოსად 313 წელს აკურთხეს, შესაბამისად ეს ამბები 313-316/7 წლების შუალედში უნდა მომხდარიყო.[54]

კრებაში მონაწილე ეპისკოპოსთა სახელები დაცულია „სიირთის ქრონიკაში“: „შაჰლუფას და პაპას, აღმოსავლეთის ორი მიტროპოლიტის და ეტიენე რომის პატრიარქის[55] დროს, იყვნენ ცნობილი მეცნიერები: დავითი, ბასრას[56] ეპისკოპოსი,..

52 MŠIHA-ZKHA.., 120-123.

53 MŠIHA-ZKHA.., 122.

54 Wigram , William Ainger, An introduction to the history of the Assyrian Church, or, The Church of the Sassanid Persian Empire, 100–640 A.D. London, Society for promoting Christian knowledge; New York, E.S. Gorham, 1910, 50, შენ. 3. Ch. Buck-ი რატომღაც 345 წელს ასახელებს კრების თარიღად (Chistopher Buck, Paradise and Paradigm: Key Symbols in Persian Christianity and the Baha'i Faith, Albany: State University of New York Press, 1999, 67; Chistopher Buck, The Universality of the Church of The East: How Persian was Persian Christianity?, The Journal of the Assyrian Society, 61) ამ კრების გამართვის განსხვაებულ თარიღს გუთავაზობს ბარ ებრაია, მისი ცნობით ეპისკოპოსები შეკრებილან ნიკეის კრებიდან (325წ.) 9 წლის შემდეგ (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 30), ე.ი. 334 წელს, რაც რა თქმა შეცდომაა, თუმცა შესაძლოა ავტორმა იცოდა რომ აღნიშნულ კრებას ნიკეის კრებიდან 9 წელი აშორებდა, თუმცა ის კი არ უწყოდა, ნიკეის კრების შემდეგ გაიმართა იგი, თუ მის წინ, ასეთ შემთხვევაში ბარ ებრაიას თარიღიც 313-316 წლის შუალედს (325-9=) 316 წელს მოგვცემს. ბარ ებრაიას ცნობით, ეპისკოპოსები მას ამორალურ ქცევასა და უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 30).

55 შესაძლოა, იგულისხმებოდეს ეტიხიანი, რომის პაპი 275-283 წლებში.

56 არაბ. al-Baṣrah – მაიშანის ფერატის (ფერატ დე მაიშანი) გეიანდელი სახელი, მაიშანის მთავარი ქალაქი. აღმოსავლეთის კრებათა აქტებში იგი ამგვარად იხსენიება 790 წლის კრებაზე და მის შემდეგ)Chabot, Synodicon Orientale.., 606(.

გადჰიმჰაბი, გუნდიშაბურის[57] ეპისკოპოსი;[58] ებედიესუ, კაშკერის[59] ეპისკოპოსი; იოანე, მაიშანის[60] ეპისკოპოსი; ანდრია, დეირ მაჰრაქის[61] ეპისკოპოსი; აბრაამი, შუშტერის[62] ეპისკოპოსი; მილეს არ-რაზი, სუზის ეპისკოპოსი, ესენი არიან, რომლებიც შეიკრიბნენ პაპას გასაკიცხად".[63] „სიირთის ქრონიკა" კრების მონაწილეთა შორის არ ასახელებს ბეთ სელოკის კარკას ეპისკოპოს აქიბ-ალაჰას, რომლისთვისაც „არბელას ქრონიკის" ცნობით სიმეონს წერილი მიუწერია, ამიტომაც გაურკვეველია, იგი კრებას ესწრებოდა თუ არა. „სიირთის ქრონიკა" ასახელებს კრების მონაწილე 7 ეპისკოპოსს, ძველი წესის მიხედვით, რომელიც ქალკედონის 419 წლის ადგილობრივ კრებაზე გაიხსენეს, ეპისკოპოსი უნდა გაესამართლებინა 12 ეპისკოპოსს,[64] რაკიღა წყაროში მხოლოდ 7 ეპისკოპოსია დასახელებული, არ ვიცით პაპას განსჯაში მხოლოდ მათ მიიღეს მონაწილეობა, თუ კიდევ იყვნენ სხვა მონაწილენი.

„მილესის მარტვილობის" ცნობით, კრებას არ დასწრე-

---

57 ხუზისტანის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი. საშ. სპარსული „გუნდიშაბური" არის დამახინჯებული ფორმა, შესაძლოა, იგი მომდინარეობდეს „ wandēw Šāpūr" -იდან, რაც ნიშნავს „შაბურის მიერ მიღწეულს" ან „Gund-dēz-i Shāpūr"-დან რაც ნიშნავს „შაბურის საომარ ციხესიმაგრეს" ან „Weh-Andiyok-Shāpūr" რაც ნიშნავს „უკეთესი ვიდრე შაბურის ანტიოქია". სირიულად ქალაქს ეწოდებოდა ბეთ ლაპატი. სწორედ ამ სახელწოდებით იხსენიება იგი აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა აქტებში (იხ. ქვემოთ).

58 ეწამა სიმონ ბარ საბასთან ერთად 341 წელს. Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. 236, შენ. 3.

59 კაშკარი.

60 სასანიანთა იმპერიის პროვინცია, სპარსეთის ყურესთან.

61 ადგილმდებარეობა უცნობია.

62 ქალაქი ხუზისტანში, მისი სახელწოდება დაკავშირებულია ქალაქ სუზასთან და ნიშნავს „უფრო დიდი (ან უკეთესი), ვიდრე სუზა".

63 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. 236.

64 „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსი თჳნიერ კრებისათჳს განჩინებულისა ჟამისა განკითხვისა თანამდებად იპოოს, ეგეცითარი იგი განიკითხვინ ათორმეტთა ეპისკოპოსთა. ფელიქს ეპისკოპოსმან თქუა: მომეჯსენების ძუელთა კრებათა მიერ განსაზღვრებული, რაჲთა უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსი, რომელი-ესე ნუმცა ქმნილ არს, განკითხვისა თანამდებად იპოოს და უღონო იყოს შეკრებაჲ უმრაჲლესთაჲ, რაჲთა არა დაშთეს იგი განკითხვისა თანამდებობასა მას შინა, ათორმეტთა ეპისკოპოსთა ისმინონ საქმე მისი და მათ განიხილონ მისთჳს" (დიდი სჯულისკანონი.., 295).

ბია სუზის ეპისკოპოსი მილესი: „მცირე ხანში არამეელთაგან გამოძევებულმა [მილესმა] სელევკიისა და ქტეზიფონის ეკლესიის საზარი სქიზმა შეიტყო. ხოლო ამ სამწუხარო უთანხმოების მიზეზი იყო პაპა, აგეის ძე, ამავე ეკლესიის ეპისკოპოსი, კაცი უზომოდ ქედმაღალი და გამორჩეულად მედიდური, მან ანტისტესები (სინოდური ეკლესიის მმართველნი), რომლებიც სხვადასხვა ადგილიდან მისი საქმის განსახილველად სინოდზე შეიკრიბნენ, ამაყად და უხეშად თავიდან მოიშორა. თავისი ეკლესიის მღვდლები და დიაკვნები საშინლად შეავიწროვა, მილესმა ღვთისგან მოძულებული და თავის თანამოქალაქეთაგან განკვეთილი კაცი საზოგადოებრივ ადგილზე შეაჩერა და გაკიცხვით მიმართა: „შენს ძმათა მიმართ დანაშაული ჩაიდინე, შეწინააღმდეგებას ბედავ, [კრების] მონაწილეებს ზემოდან უყურებ და ამას მიზეზის გარეშე იქმ, დაუძლეველი სიძულვილით აღძრული. ფიქრობ თუ არა ღმერთზე, როცა შენს ნათქვამს აპყრობ აზრს? განა არ წერია ასეთი რამ: „ვინც იყო პირველი თქვენს შორის, იყოს მონა თქვენი“. პაპამ უპასუხა: „შენ ამას ფიქრობ ჩემზე, ყოველად უმსგავსოვ, და გგონია ეს მე არ ვიცი?.“ მაშინ მილესმა აბგიდან ამოიღო ევანგელეს წმინდა წიგნი, ბალიშზე დაასვენა, პაპას სახეში შეხედა და თქვა: „თუკი შენ ჩემი არ გრცხვენია, აჰა, გაიგე [რაიმე] უფლის სახარებიდან, თვალწინ რომ გაქვს. ნუთუ მზად ხარ განაჩენის [შეტყობისას] სირცხვილი არ დაგეუფლოს? რადგან შენი გონების შინაგანი თვალი ბრმაა მისი (ღვთის – დ.ჩ.) ბრძანებისადმი“. მაშინ პაპამ, ეშმაკეული მძვინვარებით აღძრულმა, უწმინდური ხელი წმინდა კოდექსს დაარტყა და თქვა: „ილაპარაკე, სახარება, ილაპარაკე“. ამ სიტყვებით შეძრულმა ნეტარმა მილესმა ისწრაფა, ხელები შემოაჭდო სახარებას, ემთხვია და თვალები ზემოთ აღაპყრო. მას შემდეგ, რაც თავშეყრილი ხალხის ხმა გაიგონა, შეცვლილი ხმით მიმართა პაპას: „ქედმაღალო, რაკი ბედავ ჩვენი უფ-

ლის მაცხოვნებელ სიტყვას წინ აღუდგე, შეხედე! დგას მისი ანგელოზი! მრავალი საზარი ძრწოლის წინაშე გახმება შენი სხეულის ნახევარი.[65] მაგრამ მანამდე არ დალევ სულს, სანამ არ გაიგებ ნიშანს, სოცოცხლეში მოცემულს." სწორედ ამ წუთს, პაპას ზეციდან შეხებულს, სხეულის ნახევარი გაუშეშდა, [და] მეორე მხარეს დაეცა. 12 წლის განმავლობაში ლოგინად ჩავადნილს სიკვდილამდე საშინელი ტკივილები ტანჯავდა. ამ ამბავმა მთელს ხალხს თავზარი დასცა".[66]

424 წლის აქტების მიხედვით, განდგომილი ეპისკოპოსები „მივიდნენ უფალ მილესთან და მის მსგავს კეთილშობილ ეპისკოპოსებთან, რომელთაც მათ თავგზა აურიეს და რომლებიც, მათი მიამიტობის გამო გზას აცდინეს. ზოგიერთი ამ მეამბოხეთაგანი იყო ბრალმდებელი, სხვები - მოწმეები. და უფალმა მილესმა და მისმა მსგავსმა კეთილშობილმა ეპისკოპოსებმა ამ მეამბოხეთა ჩვენებანი მიიღეს როგორც მოსამართლეებმა. მაშინ, როდესაც მათ უფლება არ ჰქონდათ მოეწყოთ ეს სასამართლო, მათ განაჩინეს უფალ პაპას დამხობა და გადაყენება. უფალმა პაპამ დაინახა, რომ სამართალი ამ კრებაში აღარ იყო, რომ ჭეშმარიტება ბოროტებამ გადაფარა, რომ სიმართლე განხეთქილებაში მყოფთა სურვილებს ეწირებოდა და ამ დროს სახარება დაესვენებინათ შუაგულში, მაგრამ უსამართლოდ მსჯელობდნენ, უსამართლოდ ეჭ-

---

65 აღსანიშნავია, რომ ეს ამბავი მოკლედ გადმოცემულია გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ „დიდ სვინაქსარში" მილესის მარტვილობის სვინაქსარულ ვერსიაში: „მრავალნი უკუე კურნებანი აღასრულნა წმიდამან ამან , ვიდრეცა სოფელსა შინა იყო... ეპისკოპოსი ქტისიფონტე (უნდა იყოს „ეპისკოპოსი ქტესიფონისა") მეხისტეხითა დამწუარ და ნახევარ განჰმელ ყო ამისთჳს, რამეთუ სახიერებაჲ (სახარებაი დ.ჩ.) ოდესმე განბასრნა მან". (დიდი სსნაქსარი = Great Synaxarion / გიორგი მთაწმიდელი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა. თბილისი: 2017, 68).

66 Martirium SS. Milis, Susae Episcopi, Abrosimi Presbiteri, et Sinae Diaconi, Stefano Evodio Assemani, Acta Sanctorum Martyrum Orientalium et Occidentalium. vol. 1. (Romae: Typis Josephi Collini, 1748) , 72-73.

ცეოდნენ მას სინოდის წევრები. ამის დამნახავი გაცეცხლდა, დაარტყა ხელი სახარებას და უთხრა: „თქვი, თქვი, სახარება! რისთვის ხარ შუაში დასვენებული, როგორც მსაჯული? შენ ხედავ, რომ სიმართლემ დატოვა პატიოსანი ეპისკოპოსები, ისევე როგორც განდგომილნი, და შენ ხმას არ იღებ სამართლიანობის აღსადგენად"![67] რადგან იგი მოწიწებით, თავმდაბლობით და დახმარების თხოვნით არ მიუახლოვდა და შეეხო სახარებას, უფალმა პაპამ იმ წამსვე საკუთარ სხეულზე იწვნია სასჯელი. მაშინ მეამბოხე ეპისკოპოსებისგან დაწერილი ბრალდების უსამართლო, ძალადობრივი, უწმიდური წერილები კიდევ უფრო სანდო გახდა [კრებაში მონაწილე] ეპისკოპოსებისთვის. მათ შეუთხზეს მას, როგორც ღვარძლიან ადამიანს [ცილისმწამებლური] წერილები და [მისი] მრავალი ასლი გაავრცელეს მრავალ მხარეს".[68]

მართალია, 424 წლის კრების აქტებში არაა დაკონკრეტებული, თუ რა სასჯელი იყო ეს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, „მილესის მარტვილობის" ცნობით პაპას სხეულის ნახევარი გაშეშებია, თუმცა სხვა წყაროები განსხვავებულ ცნობას გვაძლევენ: ნესტორიანული ქრონიკის "Mukhtasar al-Akhbar al-Bi'iya"-ს მიხედვით პაპას მარჯვენა ხელი 12 წლის განმავლობაში გამხმარი იყო,[69] ამ ცნობას ადასტურებს „სიირთის ქრონიკაც", რომლის მიხედვითაც, სიმონი „... პაპას საქმეებს მართავდა მას შემდეგ, რაც მისი მარჯვენა ხელი პარალიზებული გახდა".[70] იმავეს გვამცნობს ბარ ებრაია: „მისი (პაპას) მარჯვენა ხელი დაუყოვნებლივ პარალიზებუ-

67 ამ ცნობას ოდნავი განსხვავებით იმეორებს ბარ ებრაია, მისი ცნობით „მან (პაპამ) მოიტანა წმიდა სახარება და ტახტზე განათავსა და [ხელი] დაარტყა სახარებას და თქვა: „თქვი, თუ რაიმე გაქვს სათქმელი, რადგანაც არავინ იჯერებს სიტყვას, რომელიც ჩემგან ესმით" (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 30).

68 Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 290.

69 Wood. Philip, The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq, Oxford: Oxford University press. 2013, 84.

70 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. 296.

ლი გახდა“,[71] თუმცა მისი ცნობით ასე გაგრძელდა მხოლოდ 1 და არა 12 წელი: „იგი გარდაიცვალა ძლიერ მოხუცებული, მისი დაავადებიდან ერთი წლის შემდეგ, 69-წლიანი მმართველობის შემდეგ. ზოგიერთები არასწორად ამბობენ, რომ იგი გარდაიცვალა მისი მკლავის პარალიზებიდან 12 წლის შემდეგ“.[72]

ბარ ებრაიას ცნობით, „ზოგიერთები ამბობენ, რომ იგი დამხობილ იქნა ეპისკოპოსთა მიერ, რომელთაც დაინახეს რა მომხდარი, დაადასტურეს მათი ბრალდებების [სამართლიანობა], თუმცა, ზოგიერთები ამბობენ, რომ იგი არ დაუმხიათ, რადგანაც ეპისკოპოსებმა თქვეს, რომ იგი უკვე საკმაოდ დაისაჯა ღვთის ხელით “.[73] პაპას დამხობის ფაქტს მხარს უჭერენ „სიირთის ქრონიკა“ და 424 წლის კრების აქტები. „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, კრებას პაპა დაუმხია და მის ადგილას მისი არქიდიაკონი სიმონ ბარ საბა დაუდგენიათ: „ის (სიმონი-დ.ჩ) იყო მიტროპოლიტ პაპას არქიდიაკონი და ის მართავდა მის საქმეებს მას შემდეგ, რაც მისი (პაპას-დ.ჩ.) მარჯვენა ხელი გახდა პარალიზებული. ამბობენ, რომ როცა მიტროპოლიტ პაპას ჰქონდა კამათი ეპისკოპოსებთან და მის სამწყოსთან, ამ უკანასკნელებმა ძალით აიყვანეს და დასვეს იგი მიტროპოლიტად“.[74] ამასვე ადასტურებს 424 წლის კრების აქტების ცნობები: „უფალი სიმონი, რომელიც მმართველობის შერყვნის პერიოდში მის (პაპას-დ.ჩ.) ადგილას იყო დადგენილი,“.[75]

პაპა არ შერიგებია კრების ამ განაჩენს, „არბელას ქრონიკის“ ცნობით, „მან მისწერა დასავლეთის ეპისკოპოსებს

71 Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 30.
72 Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 32.
73 Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 30.
74 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. 296.
75 Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens , 291; Braun. Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale . 52.

და განსაკუთრებით ედესის[76] ეპისკოპოსს, რომელსაც ერქვა სა'და, ყველა დაეთანხა მას, რადგანაც, მათი შეხედულებით, ის (პაპა-დ.ჩ.) იყო მრისხანე და საშიში კაცი. ისინი დაჰპირდნენ მას, რომ მხარს დაუჭერდნენ მას მეფეთა მეფე კონსტანტინესთან. ისინი მიხვდნენ, რომ კარგი იქნებოდა თუ დედაქალაქის ეპისკოპოსი გახდებოდა აღმოსავლეთის ყველა ეპისკოპოსზე უპირატესი. მათ ამის შესახებ წერილი მისწერეს მას თავიანთი სახელით, და მეფისა და დასავლეთის წარჩინებულთა სახელით. და მათ მისწერეს მას, რომ როგორც რომაელთა მმართველობის ქვეშ მყოფ დასავლეთში არის მრავალი პატრიარქი, ანტიოქიის, რომის, ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის, ამის მსგავსად აღმოსავლეთში, რომელიც სპარსელთა მმართველობის ქვეშაა, იყოს ერთი პატრიარქი მაინც. ღმერთი, რომელმაც ადამის ცოდვათა გამო ბრძანა, რომ მხსნელი უნდა მოვიდეს სამყაროში, რომელიც მისი საკუთარი შვილია, ის, რომელმაც ეგვიპტეს ჭირი მოუვლინა, რაც იქნებოდა თავისუფლება ისრაელისთვის, ის, რომელმაც ეკლებიდან ნაყოფი აღმოაცენა და ეკლის ბუჩქიდან - ვარდები. რომელსაც ყოველთვის შეუძლია ბოროტისგან სიკეთის აღმოცენება. მისი ღვთიური ბრძანების და ბრძნული განგების მეშვეობით ნებადართული იქნა, რომ პაპას მიზნები წარმატებით შესრულებულიყო. და ამგვარად იგი გახდა ყველა ეპისკოპოსისა და ქრისტიანის საერთო მეთაური აღმოსავლეთის მიწაზე. ყველა ეპისკოპოსი დათანხმდა, რაც დასავლეთიდან იყო განსაზღვრული, რადგანაც მათ ეშინოდათ, რომ დასავლელი ეპისკოპოსები დატოვებდნენ ორ ძლიერ მტერს შორის - დასავლეთში რომაელთა ქრისტიან მეფესა

76 ქალაქი ზემო მესოპოტამიაში, თანამედროვე ურფა თურქეთში. დააარსა სელევკოს I ნიკატორმა (ძვ. წ. 305-281) ძვ.წ. 302 წელს. ოსროენას სამეფოს (ედესის სამეფო) დედაქალაქი ძვ .წ. 132-ახ. წ. 216. 216 წლიდან რომის პროვინცია, ხოლო 318 წლიდან რომის აღმოსავლეთის დიოცეზის ნაწილი.

და აღმოსავლეთში სპარსელთა ბოროტ მეფეს შორის".[77]

424 წლის კრების აქტების მიხედვით, „როდესაც ეს ცნობილი გახდა დასავლელი მამებისთვის და მათ გულმოდგინე გამოკვლევით გამოააშკარავეს ამ მეამბოხეთა ცილისწამება, რომელთა თვითმყოფადობა ჩამორთმეულ იქნა. ყველა ეპისკოპოსი, რომლებიც გახდნენ ბრალმდებლები და სხვა მოწმეები, გადაყენებულ და დამხობილ იქმნენ მათი წოდებიდან. კეთილშობილ ეპისკოპოსთაგან, რომლებიც უფალ პაპას წინააღმდეგ გამართულ კრებაზე იყვნენ, ზოგიერთმა ეს სამყარო დატოვა წამებით პატივდებულმა, სხვები კარგი სახელით გარდაიცვალნენ, ხოლო მათ, ვინც ისევ ცოცხალი დარჩა, შეუნარჩუნდა წოდება, არა მათი ქმედების გამო, არამედ რადგანაც ცნობილი იყო, რომ ისინი გულუბრყვილონი და მიამიტი ადამიანები იყვნენ. ამიტომაც შეძლეს ამ განდგომილებმა იოლად მოეტყუებინათ ისინი და იმ დალოცვილთა სათნოებების მოჩვენებითი შესახედაობით მეამბოხეებმა შეძლეს შეესრულებინათ მათი ბოროტი განზრახვა პატრიარქის წინააღმდეგ, რადგან ეშინოდათ, რომ ის მათ თავიანთი სამღვდელო ხარისხიდან განაყენებდა. მათზე დასავლელი მამებისგან მოვიდა [ეს განჩინება]: ისინი უმოწყალოდ არიან გადაყენებულნი, დამხობილნი და უარყოფილნი, ყველა, ვინც უფალ პაპას საწინააღმდეგოდ მოიქცა, მამებისგან დამხობილ და გადაყენებულ იქნა. თავისი სასიქადულო საქმეებისა და რელიგიისადმი მგზნებარე გულმოდგინებისათვის, რადგანაც ის (პაპა-დ.ჩ.) უფრო მეტად გაბრწყინდა, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი, რისთვისაც მას სამაგიერო მიეზღო ამ კრებისაგან, რომელიც მის მოწაფეთა მიერ გაიმართა მისსავე წინააღმდეგ, რომელთაც არ ჰქონდათ ამის ჩადენის უფლება, მამებმა ბრძანეს: „უფალი პაპა გამოცხადდეს ყველას მეთაურად დიპტიხში და ყველა მისი წინამორბედი მოიხ-

77 MŠIHA-ZKHA.., 122-123.

სენიონ მის შემდეგ.".[78]

როგორც ირკვევა, დასავლეთის ეპისკოპოსთა ჩარევით პაპამ კათედრა დაიბრუნა, სიმონი კი ისევ არქიდიაკვნად იქნა დადგენილი.[79] ეპისკოპოსები იძულებულნი გახდნენ დამორჩილებოდნენ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ სიმონი არ აპირებდა შეგუებოდა მას. „არბელას ქრონიკის" ცნობით, „სიმონმა, პაპას არქიდიაკონმა, არ მიიღო ეს სიახლე, ის ცდილობდა, მეფის სახელით გაეუქმებინა იგი, მშობლების დახმარებით. მაგრამ პაპა მზაკვრულად დაუკავშირდა სიმონის მშობლებს და ასიამოვნა მათ დაპირებით, რომ სიკვდილის წინ დანიშნავდა მას თავის მემკვიდრედ".[80]

„სიირთის ქრონიკის" ცნობით, „ბერძნებმა მისწერეს პაპა სიმეონის შესახებ, მათ სთხოვეს მიტროპოლიტს, რომ ეპატიებინა მისთვის, რადგანაც ის იყო უდანაშაულო. და რომ ის იქნებოდა მისი მსახური და შემცვლელი. პაპა დათანხმდა და გადაწყვიტა, რომ სიმეონი გახდებოდა მიტროპოლიტი მის შემდეგ".[81] ამასვე ადასტურებს 424 წლის კრების აქტები: „ჩვენ თანახმა ვართ, რომ როდესაც უფალი პაპა დატოვებს ამ სამყაროს, სიმონი დაჯდეს მის ტახტზე და იპყრას საპატრიარქო მმართველობა.".[82] მართლაც, პაპას გარდაცვალების (327 წ.) შემდეგ, სელევკიის კათედრა სიმონმა დაიკავა.

მართალია, წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პაპას გახდა აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა მეთაური, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, აღმოსავლეთის ეკლესია დედაქალაქის ეპისკოპოსის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებულ ერთიან ორგანიზაციად მხოლოდ 410 წლის კრებაზე ჩამოყალიბდა. რაც შეეხება პაპას, შესაძლოა, მან მხოლოდ დედაქალაქთან ახლოს მდებარე საეპისკოპოსოები დაიქვემდებარა.

78 Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 291; Braun. Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale. 50-53.

79 Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 291.

80 MŠIHA-ZKHA..,123.

81 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. 296.

82 Chabot, Synodicon Orientale.., 291.

399 წლის სელევკიის კრება

399 წელს ირანის ტახტზე ავიდა იეზდიგერდ I (399-420), აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა არკადიუსმა (395-408) იეზდიგერდის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით ირანში ელჩობა გააგზავნა, რომელსაც მაიფერკატის[83] ეპისკოპოსი მარუთა[84] მეთაურობდა.

„სიირთის ქრონიკის" ცნობით, „არკადიუსმა, რომის იმპერატორმა, რომელმაც იცოდა სპარსეთში ქრისტიანთა საშინელი დევნის შესახებ, ამით გულდამძიმებულმა წერილი მისწერა იეზდიგერდს, სადაც ის ეუბნებოდა: „თუკი ღმერთმა სამეფო ხელისუფლება ჩვენს ხელთ მოაქცია, ეს მან ჩვენი პირადი კეთილდღეობისთვის კი არ ქმნა, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის საქმეები წარვმართოთ სამართლიანად, დავიმორჩილოთ მჩაგვრელები, დავაჯილდოვოთ კეთილისმქმნელნი, ყველა მათგანი დამსახურებისდა მიხედვით. შენ არ გიყვარს ღმერთი! მიუხედავად ამისა, მან შენ მოგცა ქვეყნიური სამეფოს საკმაოდ დიდი ნაწილი, მან დაგიმორჩილა თავისი ქმნილება, მან აგამაღლა ტახტამდე! ასე რომ, არ არის სამართლიანი, ცუდად ექცეოდნენ შენი ქვეყნის ქრის-

83 მდებარეობდა ძველ სოფენეში, სომხეთის სამხრეთით. მარუთამ ირანიდან მრავალი მოწამის წმ. ნაწილი ჩამოასვენა მაიფერკატში, რის შედეგადაც ქალაქს მარტიროპოლისი ეწოდა.

84 IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისის სირიელი მოღვაწე. ესწრებოდა 381 წლის მეორე მსოფლიო კრებას და 383 წლის ანტიოქიის კრებას. იყო იოანე ოქროპირის მეგობარი, ორჯერ იქნა ბიზანტიის იმპერატორებისგან სასანიანთა იმპერიაში ელჩად გაგზავნილი და დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთის ეკლესიის რეორგანიზაციაში. XII საუკუნის ავტორის, იბნ ალ-აზრაქის (გარდ. 1181 წ.) მიხედვით, მარუთა სასანიანთა ირანის დედაქალაქში მიყვანილ იქნა, რათა შაბურ II-ის (309-379) ქალიშვილისთვის ემკურნალა, რის შემდეგადაც მიღწეულ იქნა მშვიდობა ირანსა და რომის იმპერიას შორის (Jean-maurice Fiey, Maruta de Martyropolis d'apres Ibn al-Azraq (†1181), AB 94, 1976, 35-45; H, Munt, Ibn Al-Azraq, Saint Marutha, and the Foundation of Mayyafariqin (Martyropolis), in: True Stories: Historians and Hagiographers in the Late Antique and Medieval Near East, ed. A. Papaconstantinou, Turnhout, Brepols, 2010, 149-174.

ტიანებს, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ მათ. თუ ის მართალია, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება ისე, რომ შენ არ იცი, ასევე არანაკლებ მართალია ისიც, რომ შენიანები მათ მუდმივად ჩაგრავენ და ართმევენ ყველაფერს, რაც კი აბადიათ. იცოდე, რომ ეს ღმერთის წყრომას და კაცთა სიძულვილს გამოიწვევს. მართლაც, როდესაც ადამიანებს ესმით თუ რა დაემართათ მათნაირებს, ისინი უსამართლობად და არაადამიანურად მიიჩნევენ ამას. ამ ადამიანებს უფრო მეტი სარგებელი ექნებოდათ, თუკი ისინი მტერს დაედევნებოდნენ და იმპერიაში რეფორმებს განახორციელებდნენ". შემდგომ მან (არკადიუსმა - დ.ჩ.) სთხოვა იეზდიგერდს, ქრისტიანების მიმართ გამოეხატა თავისი კეთილგანწყობა, ასევე, რომ შეეწყვიტათ ქრისტიანების სისტემატიური დევნა და უფლება მიეცა მათთვის, აღედგინათ ეკლესიები. იეზდიგერდს, რომელიც ავად იყო, წერილი გაუგზავნეს მაიფერტაკის ეპისკოპოსის მარუთას მეშვეობით. იგი გაიგზავნა იმპერატორისგან, რომ უკეთ მიეღოთ. მისი ჩამოსვლით იეზდიგერდმა დიდად გაიხარა, დაჰყვა მის სურვილს და გაუგზავნა საჩუქრები. ქრისტიანების დევნა დასრულდა და მათთან მშვიდობამ დაისადგურა".[85]

ეპისკოპოს მარუთას ელჩობის შედეგად ქრისტიანებმა მოიპოვეს რელიგიური თავისუფლება, მარი იბნ სულეიმანის მიხედვით მარუთამ „მეფეს სთხოვა ეკლესიების აგების ნებართვა და რომ ქრისტიანებმა თავიანთი გზების მიხედვით იცხოვრონ და დაუფარავად გამოაცხადონ თავიანთი რელიგია, [და] მეფემ მიანიჭა ეს".[86] ბარ ებრაიას ცნობით, „მისი (მარუთას-დ.ჩ.) ჩამოსვლით მშვიდობა აღდგა ქრისტიანთათვის".[87]

---

85 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II), publiée par Addaï Scher . René Graffin, François Nau. Patrologia Orientalis. T.5. (Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs,1910), 317-318.

86 Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria.. pars.II. 25-26; Ralph Marcus. The Armenian Life of Marutha of Maipherkat, The Harvard Theological Review, Vol. 25, No. 1 (Cambridge: Cambridge University Press on behalf of the Harward Divinity school, 1932), 50-51.

87 Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum, 48.

ამასთანავე წყაროთა ცნობით, ჩატარდა საეკლესიო კრება, სწორედ ეს კრება უნდა იყოს აღმოსავლეთის ეპისკოპოსების მეორე კრება.[88]

მარი იბნ სულეიმანის ცნობით „[ქაიუმას ეპისკოპოსობიდან] ხუთი წლის შემდეგ მშვიდობა დამყარდა რომის იმპერატორსა და სპარსეთის მეფეს შორის. ეს უკანასკნელი სთხოვდა იმპერატორს გაეგზავნა მისთვის მედიცინაში (mutatabbib) გამოცდილი ადამიანი და მან გაუგზავნა მას მაიფარაქინის ეპისკოპოსი, სახელად უფალი მარუთა, მცოდნე მკურნალი და ღვთისმოსავი კაცი (jamil almadhhab), როდესაც მან მეფეს სთხოვა ეკლესიების აგების ნებართვა და რომ ქრისტიანებმა თავიანთი გზების მიხედვით იცხოვრონ და აშკარად გამოაცხადონ თავიანთი რელიგია, მეფემ მიანიჭა ეს... და როდესაც საკითხი მოგვარდა, ის (ქაიუმა-დ.ჩ.) გადადგა პატრიარქობიდან და ისააკს გადასცა იგი... და როდესაც ქაიუმამ დაინახა, რომ ღმერთს სურდა ქრისტიანების ერთად შეკრება და მათი საქმეების დაარსება, მან მისწერა აღმოსავლეთის ქალაქების ყველა მიტროპოლიტსა და ეპისკოპოსს[89] და ისინი მივიდნენ მასთან მადაინის ეკლესიაში, და შეიკრიბნენ მისი თანდასწრებით მაიფარიქინის ეპისკოპოს მკურნალ მარუთასთან ერთად. მან უთხრა მათ: „თქვენ იცით, რომ მე არ შევეფერები ამ თანამდებობას ჩემი უძლურებისა და ცოდვების გამო, და აჰა, მე მივუძღვენი საკუთარი თავი ღმერთს, რომელიც არის ძლევამოსილი და დიდებული, რადგან ვერ ვიპოვე ვერავინ, ვინც საკუთარ თავს შესთავაზებდა ღმერთს, რომელიც არის კურთხეული და ამაღლებული, და რადგანაც მე ეშინობდი, რომ შეიძლებოდა ქრისტიანობა გამქრალიყო აღმოსავლეთში და მისი ეკლესია და საპატრიარქო შეიძლე-

88 ასე ფიქრობდა ასემანიც: Giuseppe Luigi Assemani, De catholicis seu patriarchis chaldaeorum et nestorianorum commentarius, Roma, 1775. 12. შენ.1.

89 ეს კრება შედარებით მცირე მაშტაბის უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს წყაროებშია წარმოდგენილი.

ბოდა გამქრალიყო. ახლა ღმერთმა ამ ორი დალოცვილი მეფის და კურთხეული ეპისკოპოსის მეშვეობით აგვაცილა ის, რისიც გვეშინოდა, და შიში შეწყდა. და მე გთხოვთ თქვენ, რომ გაეთავისუფლდე პატრიარქობიდან და [ეს პატივი] მიენიჭოს მას, ვისაც თქვენგან და თქვენთვის ამოირჩევს ღმერთი, დიდება მის სახელს". ისინი აქვითინდნენ და თქვეს: „როგორ გგონია, ჯეროვანი იქნება, რომ მას შემდეგ, რაც შენ საკუთარი თავი ღმერთს შესწირე, (დიდება მის სახელს) და დიდად იტანჯე, [პატრიარქად სხვა დაჯდეს] და ჩვენ შენი მსახურები არ ვიყოთ?" მაგრამ მან გააგრძელა ვედრება, სანამ მათ პატრიარქად ზემოთხსენებული ისააკი არ აირჩიეს მადაინში, თანახმად წესისა".[90]

ბარ ებრაიას ცნობით, „მისი (ქაიუმას-დ.ჩ.) კურთხევიდან 5 წლის შემდეგ მშვიდობა დამყარდა ბერძენთა იმპერატორ არკადიუსსა და სპარსელთა მეფე იეზდიგერდს შორის, რომელიც ასევე დევნიდა ქრისტიანებს. მარუთა, მაიფერქატის ეპისკოპოსი, საუცხოოდ განსწავლული ბრძენი ადამიანი, გაგზავნილ იქნა ელჩად ამ საქმისთვის და მისი ჩამოსვლით მშვიდობა აღდგა ქრისტიანთათვის. მაშინ ქაიუმამ მარუთას თანდასწრებით შეკრიბა აღმოსავლეთის ყველა ეპისკოპოსი და დაარწმუნა ისინი, რომ გადაეყენებინათ იგი, როგორც თანამდებობისთვის გამოუსადეგარი. „მე მხოლოდ იმიტომ მივიღე თანამდებობა, რომ იძულებული გავხდი, რადგან არც ერთ თქვენგანს არ სურდა პასუხისმგებლობა ჰქონოდა. ახლა, მას შემდეგ, რაც ღმერთმა შეიწყალა თავისი ეკლესია და მშვიდობა აღადგინა, არ არის გონივრული, რომ ჩემნაირი ადამიანი, უხეში, სუსტი და ეკლესიის მართვის უუნარო, დარჩეს მის ხელმძღვანელად". ეპისკოპოსებმა უარი თქვეს

90 Maris, Amri, et Salibae: pars. II, 25-26; Ralph Marcus. The Armenian Life of Marutha of Maipherkat, The Harvard Theological Review, Vol. 25, No. 1 (Cambridge: Cambridge University Press on behalf of the Harward Divinity school, 1932), 50-51.

მის გათავისუფლებაზე ამ ვალდებულებიდან. მაგრამ მან ღვთის სახელით აიძულა მათ ამის ქმნა და დაარწმუნა მარუთა, რომ ძალით დაეთანხმებინა ისინი. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დამწუხრდნენ მის მიერ თანამდებობაზე უარის თქმით, მათ აკურთხეს ახალი კათოლიკოსი, ისააკი".[91]

წყაროებში კრების მოწვევის თარიღი არ არის დაფიქსირებული, მაგრამ იგი შეიძლება გაავარკვიოთ ზოგიერთი მინიშნების მიხედვით. კერძოდ, ბარ ებრაიასა და მარი იბნ სულეიმანის ცნობით, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქაიუმამ კრება მოიწვია მაშინ, როდესაც მარუთა იმყოფებოდა სპარსეთში. მარუთას ირანში ვიზიტის თარიღის შესახებ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს: 399 წელს ქაიუმას მიერ მარუთას თანდასწრებით ჩატარებულ კრებაზე საუბრობს ლიბანელი ორიენტალისტი ჯუზეპე ლუიჯი ასემანი (Jiuseppe Luigi Assemani, 1710-1782),[92] ბელგიელი ორინეტალისტი თომას ჯოზეფ ლამი (Thomas Joseph Lamy, 1827-1907) კრების თარიღად 400 წელს ვარაუდობს,[93] მარუთას პირველ ელჩობას 399 წლით ათარიღებს ამერიკელი მკვლევარი რალფ მარკუსი (Ralph Marcus, 1900-1956),[94] რომის ისტორიის თანამედროვე მკვლევარი უოლტერ სტიევენსონი (Walter Stevenson) მარუთას ელჩობას 399-403 წლებს შორის მიუთითებს,[95] თანამედროვე ორიენტალისტი ფილიპ ვუდი (Philip Wood) ამ ელჩობის თარიღად 402 წელს გვთავაზობს,[96] ხოლო თანამედროვე მკვ-

91 Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum, 46-48.

92 Assemani, De catholicis seu patriarchis chaldaeorum et nestorianorum commentaries historico-chronologicus, 12. შენ I.

93 Thomas Joseph Lamy, Concilium Seleuciae Et Ctesiphonti Habitum anno 410. (Lovanii: Excudebat Car. Peeters, 1868) , 1-2.

94 Ralph Marcus. The Armenian Life of Marutha of Maipherkat, The Harvard Theological Review, Vol. 25, No. 1 (Cambridge: Cambridge University Press on behalf of the Harward Divinity school, 1932), 47.

95 Walter Stevenson. John Chrysostom, Maruthas and Christian Evangelism in Sasanian Iran. Studia Patristica 47. Classical Studies Faculty Publications (Richmond: Peelers Publishers, 2010) , 302-303.

96 Philip Wood. The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq, (Oxford: Oxford University press. 2013), 32.

ლევარი გრეჰემ ჯონსი (Graham Jones) მას 399 წლით ათარიღებს.[97]

რაკიღა მარუთას ელჩობის თარიღი ისტორიოგრაფიაში მსჯელობის საგანია, ვეცდებით იგი წყაროთა სხვა ჩვენების საფუძველზე გამოვარკვიოთ. როგორც ვნახეთ, კრებაზე სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსად ისააკი იქნა არჩეული, ხოლო ელია ნიზიბინელის ცნობით (975-1046) ისააკი „[ეპისკოპოსად] დამტკიცებული იქნა იეზდიგერდის, ვარაჰრანის ძის, მეფობის პირველ წელს".[98] ხოლო რადგანაც იეზდიგერდის მეფობა აითვლებოდა 399 წლის 14 აგვისტოდან,[99] კრება, რომელზეც ისააკის გამორჩევა მოხდა, უნდა ჩატარებულიყო 399 წლის 14 აგვისტოდან 400 წლის 13 აგვისტომდე. ამ მონაცემს მხარს უჭერს „სიირთის ქრონიკის" ცნობაც, რომლის მიხედვითაც ქაიუმამ „მისი ასაკისა და უძლურების მიუხედავად, თავისი პასტორალური მოვალეობის შესრულება გააგრძელა უწმინდური იეზდიგერდის ტახტზე ასვლამდე".[100] მაშასადამე ისააკი სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსად იეზდიგერდის გამეფებიდან მალევე დაუდგენიათ.

„სიირთის ქრონიკის", ელია ნიზიბინელისა და ამრი იბნ მატას ცნობით, ისააკი გარდაცვლილა იეზდიგერდ I-ის მეფობის მე-12 წელს.[101] რაც უდრის პერიოდს 410 წლის 14 აგვისტოდან 411 წლის 13 აგვისტომდე, სწორედ ამ შუალედში უნდა გარდაცვლილიყო სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი ისააკი.

97 Graham Jones, Constantine and his mother build a city: Helen of Edessa and Martyropolis, Ниш и Византија X, 2012, 482.

98 La Chronographie d'Elie Bar-Synaia Metropolitain de Nisibe... Par L., J., Delaporte, (Paris: Libraire Honore Champion, Editeur,1910) , 39.

99 Theodor Nöldeke, Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden aus der arabischen Chronik des Tabari: Übersetzt und mit ausführlichen Erläuterungen und ergänzungen Versehn. (Leiden: Brill. 1879) , 418; Chabot, Synodicon Orientale, 254. შენ. 2.

100 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II), 313.

101 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II), 318; La Chronographie d'Elie Bar-Synaia Metropolitain de Nisibe... Par L., J., Delaporte, (Paris: Libraire Honore Champion, Editeur,1910) , 39; Maris, Amri, et Salibae: pars. I, 15.

„სიირთის ქრონიკის“, ელია ნიზიბინელის, ბარ ებრაიას, მარი იბნ სულეიმანისა და ამრი იბნ მატას ერთობლივი ჩვენებით ისააკი 11 წელი იყო სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი.[102] ეს მონაცემებიც ისააკის სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსად დადგინების თარიღად 410/411-11=399/400 წელს გვაძლევს.

კრებაზე სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსად აირჩიეს ისააკი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამავე დროს ქაიუმამაც შეინარჩუნა გარკვეული ძალაუფლება. მარი იბნ სულეიმანის ცნობით, კრების მამებმა ისააკს „წამოუყენეს პირობა, რომ მან უნდა იმოქმედოს როგორც შვილმა ქაიუმას, კურთხეული და საპატიო ადამიანის მიმართ და არაფერი არ უნდა გადაწყვიტოს მისი დამტკიცების გარეშე. და ისააკმა ქმნა ეს და უფრო მეტი, რისი შესრულებაც დააკისრეს მას ქაიუმას გარდაცვალებამდე“.[103] ამ ცნობას კიდევ უფრო აზუსტებს ბარ ებრაია: „მათ მოსთხოვეს მას (ისააკს-დ.ჩ.), რომ ყოფილიყო როგორც მორჩილი შვილი ხანდაზმული ქაიუმასი, და არაფერი გაეკეთებინა მისი რჩევისა და ნებართვის გარეშე. ისააკი ასეც მოიქცა, მან დიდი პატივისცემა გამოხატა ქაიუმას მიმართ და ემორჩილებოდა მას მის სიკვდილამდე, რის შემდეგაც იგი გახდა ეკლესიის ერთადერთი მმართველი“.[104] როგორც ჩანს, 399 წლის კრებაზე დაადგინეს, რომ სელევკია-ქტეზიფონის ეკლესია ერთობლივად და შეთანხმებულად უნდა ემართათ ისააკსა და ქაიუმას. „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, ქაიუმა „გარდაიცვალა იეზდიგერდის მესამე წელს“[105] ე.ი. 401 წლის 14 აგვისტოდან 402 წლის 13 აგვისტომ-

102 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II), 318; Maris, Amri, et Salibae: pars. II, 27; La Chronographie d'Elie Bar-Synaia Metropolitain de Nisibe... 39; Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum, 52; Maris, Amri, et Salibae: pars.I. 15.

103 Maris, Amri, et Salibae: pars.II, 26; Ralph Marcus. The Armenian Life of Marutha of Maipherkat, The Harvard Theological Review, Vol. 25, No. 1, 51.

104 Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum, 50.

105 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II), 313.

დე. ამ დროიდან ისააკი შეუდგა ეკლესიის დამოუკიდებლად გაძღოლას.

ინგლისელი მეცნიერი და მწერალი გლოჩესტერ რიდლი (Glocester Ridley, 1702-1774) ფიქრობდა, რომ 400 წლის კრებაზე მიღებულ იქნა რწმენის სიმბოლო, რომელიც ამ კრების კანონშია მოთავსებული, იგი იმოწმებს Assemani, Bibliotheca Orientalis, T. I, 302.[106] ასემანი საუბრობს ეპისკოპოსს მარუთასა და კათოლიკოს ისააკის დროს ჩატარებულ კრებაზე და მოყავს ამონარიდი კრების მიერ მიღებული სარწმუნოების სიმბოლოდან: „ვაღიარებთ ერთ ცხოვრების მომცემელ სულს და წმიდა პარაკლეტს, რომელიც არის მამისა და ძისგან", კრების თარიღს კი არ ასახელებს.[107] რაკიღა 399-400 წლის კრების მიერ რწმენის სიმბოლოს მიღებაზე არც ერთი წყარო არ საუბრობს და ასემანის მიერ ციტირებული სარწმუნოების სიმბოლო 410 წლის კრების დადგენილებაში მოიპოვება,[108] უნდა ვიფიქროთ, რომ გ. რიდლის ერთმანეთში აერია 399-400 და 410 წლების კრებები, მაშასადამე, 399-400 წლის კრებას ზემოთაღნიშნულის გარდა სხვა დადგენილება, მით უმეტეს სარწმუნოების სიმბოლო არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ „სიირთის ქრონიკის" ცნობით, ქაიუმა თვითონ იეზდიგერდმა შეცვალა ისააკით,[109] როგორც ჩანს, იეზდიგერდი გამეფებიდან მალევე, პირველივე ხელსაყრელ მომენტში ჩაერია ეკლესიის საქმეებში და დედაქალაქის ღრმად მოხუცებული ეპისკოპოსი თავისი კანდიდატურით, ახალგაზრდა და ენერგიული ისააკით ჩაანაცვლა, რომელსაც სასანიანი შაჰი მთელი იმპერიის ქრისტიანების მეთაურად ამზადებდა.

106 Glocester Ridley, Eight Sermons on the Divinity and operations of the Holy Ghost... (Oxford: at the Clarendon Press, 1802), 37.

107 Josephus Simonius Assemani, Bibliotheca Orientalis, T. I, 302.

108 დაწვრილებით იხილეთ 410 წლის კრების განხილვისას.

109 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II), publiée par Addaï Scher . René Graffin,

აღმოსავლეთის ეკლესიის რეორგანიზაცია - 410 წლის სელევკიის კრება

408 წლის 1 მაისს გარდაიცვალა აღმოსავლეთ რომის იმპერატორი არკადიუსი (495-408), ტახტზე მცირეწლოვანი თეოდოსი II (408-450)[110] ავიდა, გარდაცვალებამდე არკადიუსმა თავისი მცირეწლოვანი შვილის მეურვედ იეზდიგერდ I (399-420) გამოაცხადა, რომელმაც არკადიუსის გარდაცვალების შემდეგ სენატს წერილი მისწერა და ომით დაემუქრა მათ, ვინც თეოდოსის წინააღმდეგ შეთქმულებას მოაწყობდა.[111]

თეოდოსი II-მ ირანში ელჩად ისევ მარუთა მარტიროპოლელი გაგზავნა. ბარ ებრაიასა და სიმეონ ბეთ არშამელის ცნობით მარუთა იეზდიგერდთან გაუგზავნიათ მისი მეფობის მე-11 წელს.[112] იეზდიგერდის მეფობის მე-11 წელი იწყებოდა 409 წლის 14 აგვისტოდან, მაშასადამე, მარუთა ირანში უნდა ჩასულიყო 409 წლის 13 აგვისტოს შემდეგ.[113]

„სიირთის ქრონიკის" მიხედვით, „ისააკმა ისარგებლა მარუთას იქ ყოფნით და მოიწვია კრება საჭირო წესების დასაკანონებლად აღმოსავლეთის ეკლესიის მმართველობაში, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე დასავლეთში".[114] ამ კრების დოკუმენტები ქვემოთ სრულად მოგვყავს:

„გამარჯვებული მეფეთა მეფის, იეზდიგერდის მეფობის მე-11 წელს, მას შემდეგ, რაც მყუდროება და სიმშვიდე

110 თეოდოსი დაიბადა 401 წ. 10 აპრილს.

111 Procopius of Caesarea , History of the wars, with an English translation by Henry Bronson Dewing, (London S. Heinemann, 1914), 9-11.

112 Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , 50; Assemani, Bibliotheca Orientalis, T.I, 355.

113 Wood. The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq, 32; W. Wigram , An introduction to the history of the Assyrian Church, or, The Church of the Sassanid Persian Empire, 100–640 A.D. (London: Society for promoting Christian knowledge; New York, E.S. Gorham, 1910) , 87.

114 Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II),. 1910, 318.

აღდგენილ იქნა უფლის ეკლესიებისთვის, მან (იეზდიგერდმა - დ.ჩ.) მიანიჭა თავისუფლება და სიმშვიდე ქრისტიანებს, და ღვთის მსახურებს მისცა უფლება ღიად განედიდებინათ ქრისტე, თავიანთი სხეულით, როგორც სიკვდილისას, ისე სიცოცხლის განმავლობაში. მან დააცხრო ღვთის ეკლესიის დევნის ქარიშხალი, და განაშორა სნეულების სიბრმავე ქრისტეს მთელი სამწყსოსგან. მან უბრძანა ყველას მის სამეფოში, რომ ტაძრები, რომლებიც დაინგრა მისი წინამორბედების მიერ, უნდა აშენდეს ბრწყინვალედ მისი მეფობისას, და საკურთხეველები, რომლებიც იყო ჩამონგრეული, დიდი სიფრთილით უნდა აღედგინათ. ისინი, ვინც თავისი სარწმუნოების გამო იყო პასუხისმგებლობაში მიცემული და პატიმრობითა და ტანჯვით გამოცდილი, უნდა გათავისუფლებულიყვნენ. ასევე მღვდლები და წინამძღვრები, და მთელი წმინდა კრებული, გადააღგილდებოდნენ თავისუფლად და შიშის გარეშე.[115] ეს მოხდა ღვთის ჩინებული და დიდი [კაცის], სელევკიისა და ქტეზიფონის ეპისკოპოსის და მთელი აღმოსავლეთის კათოლიკოსისა და მთავარეპისკოპოსის, ჩვენი მამის, უფალ ისააკის უპირატესად კურთხევის დროიდან.

115 ქრისტიანებთან ასეთი ურთიერთობის გამო იეზდიგერდს წარმართი ავტორები „ცოდვილს" (არაბ.al-athim, სპარს. Bazehkar/ bazagar) უწოდებდნენ (The History of al-Tabari, vol.V. The Sasanids, the Byzantines, the Lakhmids, and Yemen , translated and annotated by Clifford Edmund Bosworth, Albany: State University of New York Press . 1999, 70; Abou Mansour 'Abd Al-Malik Ibn Muhammad Ibn Isma'il Al- Tha'alibi, Histoire des rois des Perses. Texte arabe publié et traduit par H. Zotenberg. Paris: Imprimerie Nationale. 1900, 547; Chronique de Abou=Djafar-Mo'hammed-ben-Djarir-ben-Yazid Tabari traduite sur la version Persane d'Abou-'Ali Mo'hammed Bel'ami, par M. Herman Zotenberg. T.2. Paris, Imprimerie Imperiale, 1869, 103; Wigram, An introduction to the history of the Assyrian Church; McDonough, A Second Constantine? The Sasanian King Yazdgard in Christian History and Historiography. 129; Touraj Daryaee. Sasanian Persia. The Rise and Fall of an Empire.(London. New York: I.B.Tauris & Co Ltd, 2009) , 21; Jes Peter Asmussen, Christian in Iran, Ehsan Yarshater, The Cambridge History of Iran 3 (2), The Seleucid, Parthian and Sasanian periods, (Cambridge: Cambridge University Press, 1983) , 939, შენ. 6).

რომელიც ღმერთმა მთელი აღმოსავლეთის მეთაურად დადგინების ღირსად მიიჩნია. რომელმაც მისი მმართველობითა და ხელმძღვანელობით გახსნა მოწყალების კარი ხალხისა და ღვთის ეკლესიის მშვიდობისა და თანხმობისთვის. რომლის სიწმიდე უფრო მეტად გაბრწყინდა, ვიდრე აღმოსავლეთის ყველა მისი წინამორბედი ეპისკოპოსისა.[116]

მოციქულის გულმოდგინებითა და მზრუნველობით, მშვიდობის დესპანი, რომელიც ღმერთმა თავისი მოწყალებით გაგზავნა აღმოსავლეთში, ბრძენი მამა, ღირსეული ხელმძღვანელი, უფალი მარუთა, ეპისკოპოსი, ვინც იყო მშვიდობისა და თანხმობის შუამავალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომელიც ცდილობდა უფლის, ქრისტეს ეკლესიები გაემყარებინა, რომელმაც თავისი ძალისხმევა გამოიყენა, რათა საპატიო ეპისკოპოსი მამებისგან დასავლეთში დადგენილი განკარგულებები და ღვთაებრივი წესები, ორთოდოქსული და ჭეშმარიტი კანონები აღმოსავლეთშიც ყოფილიყო დადგენილი, ჭეშმარიტად და სამართლიანად დამოძღვრისთვის და ღვთის ყველა ხალხისთვის.

და ასევე რომაელთა ქვეყნის ეპისკოპოსი მამებისა და ხელმძღვანელების: ანტიოქიის კათოლიკოსი ეპისკოპოსის პორფირიუსის[117], ჰალაბის[118] ეპისკოპოს აკაკის,[119] ედესის ეპის-

---

116 ეს სიტყვები მიჩნეულია 313 წლის მილანის ედიქტის სასანურ ანალოგად (Scott McDonough, A Second Constantine? The Sasanian King Yazdgard in Christian History and Historiography. Journal of Late Antiquity 1.1. (Baltimore: The Johns Hopkins University Press. 2008) , 128).

117 პორფირიუსი, ანტიოქიის ეპისკოპოსი 404-412 წლებში.

118 ალეპო. ქალაქი სირიაში, სელევკოს ნიკატორმა (ძვ.წ. 305-281) მას ბეროა (Βέροια) უწოდა. ამგვარად იხსენიება იგი გვიანდელ ბერძნულ წყაროებშიც.

119 აკაკი ბეროელი ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა ევსები სამოსატელის მიერ 378 წელს, ესწრებოდა 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებას. გარდაიცვალა 437 წელს 116 წლის ასაკში.

კოპოს პ(ა)ქიდას,[120] ტელას[121] ეპისკოპოს ევსების, ამიდის[122] ეპისკოპოს აკაკის,[123] და ყველა [მათი] ზრუნვით, ვინც კეთილი ხსოვნის ღირსია მამის, ძისა და წმიდა სულის წინაშე აღმოსავლეთის მთელ ჩვენს ეკლესიასა და ერთობაში. ჩვენგან სხეულით შორს ყოფნის გამო, მათ სრულად გვიჩვენეს თავიანთი კეთილგანწყობა. ასევე მათი გონიერების მზრუნველობა, წერილის მიწერით მათი საპატიო ძმის, ჩვენი ეკლესიების დიდების, უფალ მარუთასადმი, ჭეშმარიტი ფიცის თხოვნით, რომ იგი შეფერხების გარეშე იქნებოდა წაკითხული მეფეთა მეფის, სახელოვანისა და გამარჯვებულის წინაშე.

პატივსაცემმა ეპისკოპოსმა, უფალმა მარუთამ ეს წერილი საიდუმლოდ აჩვენა მის ძმასა და თანამოღვაწეს, რომელიც იზიარებს მის სიყვარულსა და მეგობრობას, ჩვენს მამას, ღვთის რჩეულს, უფალ ისააკს, სელევკიისა და ქტეზიფონის ეპისკოპოსს, აღმოსავლეთის კათოლიკოსსა და მთავარეპისკოპოსს.

---

120 ედესის ეპისკოპოსი 398-409 წლებში. „ედესის ქრონიკის" ცნობით „ამაეე (710) წლის მეორე თიშრის თვის 23-ში უფალი პაქიდა გახდა ედესის ეპისკოპოსი". The Chronicle of Edessa. The Journal of Sacred Literature, New Series [=Series 4], vol. 5. 1864, 34-35. რაც 398 წლის 23 ნოემბერზე მოდის. ამაეე წყაროს ცნობით „იმ (720) წლის აბის თვის დასაწყისში (სავსემთავრობისას) უფალი პაქიდა გავიდა ამ ქვეყნიდან". The Chronicle of Edessa. The Journal of Sacred Literature, New Series [=Series 4], vol. 5. 1864, 35. მაშასადამე იგი 409 წლის 1 აგვისტოს გარდაცვლილა.

121 თანამედროვე ვირანშეჰირი თურქეთში, „ედესის ქრონიკის" ცნობით იგი 350 წელს აუშენებია კონსტანტინე დიდის შვილს, კონსტანტის, და მას ადრე ანტიპოლისი რქმევია, ხოლო იოანე მალალას ცნობით იგი თავად კონსტანტინე დიდს აუგია ძველი მაქსინოპოლის ადგილზე.

122 თანამედროვე დიარბექირი, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.

123 აკაკის დიდხანს ეკავა ამიდის საეპისკოპოსო კათედრა, 419 წელს იგი ელჩად იქნა გაგზავნილი იეზდიგერდ I-ის კარზე, მონაწილეობა მიიღო 420 წლის აღმოსავლეთის ეკლესიის კრებაში, (დაწვრილებით იხ. 420 წლის კრების მასალებში), ხოლო შემდეგ საეკლესიო ნივთებით გამოისყიდა და გაათავისუფლა 421-422 წლის სპარსეთ-რომის აღმ. იმპერიის ომში რომაელებისგან დატყვევებული 7 ათასი სპარსელი მეომარი. (Histoire ecclesiastique Socrate de Constantinople : texte grec de l'edition G. C. Hansen, traduction par Pierre Perichon et Pierre Maraval, introduction et notes par Pierre Maraval, Paris, Cerf, 2004, VII. XXI). ქართულ თარგმანში დასახელებულია „5 ათასი სპარსელი" (სოკრატე სქოლაქტიკოსი, საეკლესიო ისტორია.., 414) რაც შეცდომაა.

ერთობლიეი შეთანხმებითა და სურვილით, მათ თარგმნეს წერილი ბერძნული ენიდან სპარსულად და წაიკითხეს გამარჯვებული და სახელოვანი მეფეთა მეფის წინაშე. ღვთის ნებით, რომელმაც მეფეთა მეფე იეზდიგერდის გული გაანაწყო, რომ მიეინიჭებინა ყველა უფლება და ჩაედინა ყოველგვარი სიკეთე, როგორც დაწერილია: „მეფის გული უფლის ხელში ისეა, როგორც წყალთა ტალღა, ის სადაც მას სურს, იქით მიაბრუნებს მას".[124] მეფე იეზდიგერდმა, როგორც კი ეს მოისმინა, სიხარულით თქვა: „აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთიანია ჩემი მმართველობის ძალაუფლების ქვეშ." მან გულითადი სურვილით ბრძანა, რომ მისი უდიდებულესობის სამეფო სიგელი[125] სწრაფი მენაველების საშუალებით წაეღოთ სხვადასხვა ადგილების მარზპანებთან, რათა მათ გამოეგზავნათ ეპისკოპოსები:[126] ნიზიბინისა[127] და მისი პროვინციის,[128] ჰედაიაბისა[129] და მისი პროვინციის, ბეთ გარმაისა[130] და მისი პროვინციის, ბეთ ჰუზაიესა[131] და მისი პროვინციის, მაიშანი-

---

124 „ვითარცა ნაკადულნი წყალთანი, ეგრეთვე გულნი მეფისანი - ჴელთა შინა ღმრთისათა, სადა ნებავს მიხედვად, მიაქციოს მუნით". იგავნი, 21.2.

125 ჰროართაკი.

126 „სიირთის ქრონიკის" ცნობით, „მარუთამ იეზდიგერდს წარუდგინა დასავლეთის მამების წერილი, ისინი სთხოვდნენ ეპისკოპოსების და მიტროპოლიტების გაერთიანებას (შეხვედრას) სელევკია-ქტეზიფონში. იეზდიგერდმა ამაზე თანხმობა განაცხადა და ძალზედ კმაყოფილი იყო ამ შეთანხმების შედეგით ორ იმპერიას შორის. შემდეგ მან მისწერა თავისიანებს და სიხარულით აცნობა სელევკიაში პროვინციებიდან ეპისკოპოსების წარგზავნის შესახებ". (Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II),. 1910, 318).

127 ნიზიბინი, ბეთ არბაის (არაბთა მიწის) მეტროპოლია, თანამედროვე თურქეთში, მარდინის პროვინციაში.

128 მასზე დამოკიდებულების.

129 ჰედაიაბი, ადიაბენე. სირიელები ამ სახელით მოიხსენიებდნენ დიდ და მცირე ზაბს შორის მდებარე რეგიონს.

130 ტიგროსის აღმოსავლეთით, მცირე ზაბსა და ჰემრინის მთიანეთს შორის.

131 ხუზისტანი (სუზიანა), სპარსეთის ყურის ჩრდილოეთით.

სა და მისი პროვინციის და კაშკარის. წარგზავნილი 40 ეპისკოპოსის სახელი დაწერილ იქნა, რადგან თავიანთ მოსვლითა და კრებაზე განსჯით მათ შეეძლოთ დაესრულებინათ სქიზმა და გაყოფა არ გაგრძელებულიყო, რადგანაც მათ შეუძლიათ მიიღონ და შეასრულონ ყველა ის, რაც ჯეროვანი და სწორი იქნება კათოლიკე ეკლესიის წესრიგისთვის. ასე რომ, მათმა ძმებმა, ფარსისა და სხვა შორეული ადგილების ეპისკოპოსებმა მიიღონ მათთვის ამ ეპისკოპოსებისგან მოცემული დადგენილება.

კანუნის თვეში,[132] ნათლისღების წმიდა დღესასწაულზე, ისინი მოვიდნენ დიად ქალაქში, აღმოსავლეთის ყველა ქალაქის დედაქალაქში.[133] გამარჯვებულმა და სახელოვანმა მეფეთა მეფემ შეიტყო მათი მოსვლის შესახებ და უბრძანა ჩვენს საპატიო მამას, უფალ ისააკს, სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსს, კათოლიკოსს და მთავარეპისკოპოსს სრულიად აღმოსავლეთისა და მის ძმას, ეპისკოპოს უფალ მარუთას,

---

132 იანვარი.

133 „სიირთის ქრონიკის" ცნობით „მისი მეფობის მეთერთმეტე წელს, შობისათვის 40 მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი შეიკრიბა სელევკიაში". (Histoire nestorienne : (chronique de Séert). Première partie. (II),. 1910, 318.) 410 წლის კრების მასალების მიხედვით, როგორც ვხედავთ, 410 წლის კრების აქტები ეპისკოპოსების დედაქალაქში ჩამოსელის თარიღად ნათლისღების დღესასწაულს ასახელებს, ხოლო „სირტის ქრონიკა" - შობის დღესასწაულს, შობას (yawn 'id almildd) ასახელებს ეპისკოპოსთა შეკრების დღედ ამრი იბნ მატაც (Maris, Amri, et Salibae: pars. I, 14 ; Ralph Marcus. The Armenian Life of Marutha of Maipherkat, The Harvard Theological Review, Vol. 25, No. 1, 54). ეს იმით არის გამოწვეული, რომ აღმოსაელეთის ეკლესიაში შობისა და ნათლისღების დღესასწაულები ერთად, 6 იანვარს აღინიშნებოდა(Geoffrey Wainwright, Karen B. Westerfield Tucker, The Oxford History of Christian Worship. Oxford: Oxford University Press. 2006, 65.ძველად აღმოსავლეთის ეკლესიებში (ანტიოქია, ალექსანდრია, იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი) ნათლისღება და შობა ერთად, 6 იანვარს აღინიშნებოდა, მხოლოდ მე-4 საუკუნის ბოლოსა და მე-5 საუკუნის დასაწყისში მოხდა მათი განცალკევება, სომხეთის ეკლესიაში დღემდე შემორჩა ეს ტრადიცია. Encyclopedia of Religion and Ethics edited by James Hastings, vol. III. 1910, 601-605.). მაშასადამე ეპისკოპოსები დედაქალაქში ჩასულან 410 წლის 6 იანვარს (Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 257. შენ. 3).

რომ ყველა ერთად უნდა შეკრებილიყვნენ დიდ ეკლესიაში. წერილი, რომელიც დასავლეთის ეპისკოპოსებმა გამოგზავნეს, უნდა წაეკითხათ მათი თანდასწრებით და დამორჩილებოდნენ [მას] და დაეცვათ ყველაფერი, რაც მასში ეწერა.

და შებათის თვის პირველი სამშაბათი[134] ჩვენთვის იყო აღდგომის [დღე][135] და ჩვენ ვიხილეთ გარდაცვლილის განახლება. ეს იყო ჩვენთვის ხსნა. მშვიდობა აღორძინდა ჩვენზე და „ახალი რამ გაკეთდა ჩვენს თაობაში“, ჩვენი მამის, უფალ ისააკის, კათოლიკოსისა და მთავარეპისკოპოსის მმართველობის ქვეშ და [ამ] დროიდან, მშვიდობის მიწათმოქმედის, თანხმობის მთესველის, ეპისკოპოს უფალ მარუთას მეცადინეობით, განსაკუთრებით ამ დღეს, როდესაც აღმოსავლეთის მიწაზე ეპისკოპოსთა კრება გაიმართა. ჩვენი ბაგეები გაიხსნა განდიდებით, ჩვენი გული სიხარულით თრთოდა, ჩვენი ენები ქებას გალობდა, და სულიერი თაყვანისცემითა და რწმენით ვადიდებდით ცოცხალ ღმერთს, მის ქრისტეს, მხსნელს და მის წმიდა სულს, რადგანაც მან გაამრავლა და შეასრულა ეს დიდებული რამ ჩვენ შორის. რისთვისაც სათანადო მადლობის თქმა არ შეგვიძლია. ჩვენ ყველა ერთსულოვნად ვეუბნებით ჩვენს გულმოწყალე ღმერთს, რომ გაამრავლოს გამარჯვებული და სახელოვანი მეფეთა მეფე იეზდიგერდის დღეები, მისი წლები გრძელდებოდეს უკუნითი უკუნისამდე და საუკუნიდან საუკუნემდე. ეპისკოპოსთა კრების ამ ბრწყინვალე შესახედაობით ჩვენი სული ისე ამაღლდა, თითქოს ქრისტეს დიდებულების ტახტის წინაშე ვიდექით. კრების მიერ არჩეულმა მამებმა და ხელმძღვანელებმა ბრძანეს, რომ დასავლეთიდან გამოგზავნილი წერილი წაკითხულიყო აღმოსავლეთში შეკრებილი მთელი ამ ახალი კრების წინაშე.

134 410 წლის 1 თებერვალი (Chabot, Synodicon Orientale.., 257, შენ. 6; Braun, Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale. 6-7; 6. შენ. 4).

135 აქ იგულისხმება არა ქრისტეს აღდგომის დღესასწაული, არამედ აღმოსავლეთის ეკლესიის აღდგომა-განახლება.

და ყველა ჩვენგანმა, სხვადასხვა ადგილიდან შეკრებილმა ეპისკოპოსებმა, რიცხვით ორმოცმა, სიხარულით და დიდი მოწადინებით მოვისმინეთ წერილი და მივიღეთ ყველაფერი, რაც მასში ეწერა:

პირველი, ეპისკოპოსთა შესახებ: რომ თავდაპირველად ისინი ერთ ქალაქში არ იყვნენ ორი ან სამი, არამედ თითოეულ ქალაქში და მის იურისდიქციაში მხოლოდ თითო, რომ მომაკვდავ ეპისკოპოსს არ აქვს სხვისი დადგენის უფლება, არც მისი სიკედილისას, არც მის ცხოვრებაში. ერთის ან ორის მიერ დადგენილი ეპისკოპოსი არ იქნება კანონიერი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც დადგინდება სამის მიერ, თუნდაც ეპისკოპოსები ძალიან შორს იყვნენ და მაშინაც მიტროპოლიტი მთავარეპისკოპოსის წერილობითი უფლებით.

მეორე: ერთად, თანაბრად, აღვნიშნავთ წმიდა დღესასწაულს, პირველს წმიდა დღესასწაულებს შორის, ჩვენი მხსნელის, ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღეს და განცხადებას. რომ ასევე ერთად და ერთდროულად დავიცავთ 40 დღეს შვიდ კვირაში და აღვნიშნავთ წმიდა პასექს და ჯვარცმისა და ვნების დიდ დღეს, და ჩვენი მაცხოვრის აღდგომას. და რომ ჩვენს ყველა ეკლესიაში ჩვენ ვწირავთ ღმერთს წმიდა მსხვერპლს, ქრისტეს ხორცსა და სისხლს, ცოცხალთა განწმენდისა და მკვდართა აღდგომისათვის.

მესამე: (რომ) სრულყოფილი და მშვენიერი იყო საპატიო ეპისკოპოს უფალ მარუთასადმი მიწერილი [ეს სიტყვები]: „იმ შემთხვევაში თუ ეს მოეწონება ჩვენს უფალს და მეფეთა მეფე მოისმენს ჩვენს თხოვნას და ეპისკოპოსებს შეკრების ნებას დართავს და იქ კრება გაიმართება, ჩვენ ახლა გიგზავნით ყველა მარეგულირებელ კანონს, დამტკიცებულს ქალაქ ნიკეაში გამართულ დიდ კრებაზე, სამართლიანი მოსამართლისა და ღვთისმოყვარე კონსტანტინე ძლევამოსილის[136] დროს, როდე-

136 ბერძნ. Νικητής - გამარჯვებული, ძლევამოსილი, კონსტანტინე დიდის (306-337) ზედწოდება.

საც 318 ეპისკოპოსი შეიკრიბა[137] და ღვთისმოშიშების თანახმად, რომელიც მათ ჰქონდათ, დაადგინეს და დაამტკიცეს ჭეშმარიტი მოძღვრება, წმიდა წესები, სამართლიანი საქმეები, ბრწყინვალე კანონები, სუფთა დადგენილებები."

როდესაც ჩვენ მოვისმინეთ ეს ნაწყვეტი ჩვენი ღირსეული თანამოღვაწეების წერილიდან, ჩვენმა წმიდა და ნეტარხსენებულმა მამამ - იმ დროს, როდესაც ჩვენ თავდახრილნი ვიყავით და სიმშვიდე და თანხმობა გვქონდა - უფალმა ისააკმა, სელევკიისა და ქტეზიფონის ეპისკოპოსმა, კათოლიკოსმა, მთავარეპისკოპოსმა, პირველმა გახსნა ბაგე დაუყოვნებლივ, როგორც თავის თანამოღვაწეთა მეთაურმა, და უთხრა თავის ძმას, ეპისკოპოს უფალ მარუთას, რომელმაც გაიზიარა მისი სიყვარული ქრისტეს მშვიდობაში: „მოიტანონ წიგნი, რომელშიც ჩაწერილია კანონები და წაიკითხონ ამ ეპისკოპოსთა მთელი კრების წინაშე." - მათ მოიტანეს და წაიკითხეს. ჩვენ მოვისმინეთ ყველა ეს კანონი, საჭირო ქრისტეს ეკლესიის მსახურების წესრიგისთვის. (და) ვისწავლეთ ყველა კანონი, დასავლეთის დიდ და წმიდა კრებაზე ეპისკოპოსი მამების მიერ ღვთაებრივი სიბრძნით გამოთქმული. და ჩვენი სული განახლდა სრული სიხარულით. და უფალმა ისააკმა, როგორც მისი თანამოღვაწეების ხელმძღვანელმა, პირველმა თქვა: „ვინც არ ეთანხმება ამ დიდებულ წესებსა და ორთოდოქსულ კანონებს და არ მიიღებს მათ, ანათემას გადაეცემა მთელი ღვთის ხალხისგან და არ ექნება ძალაუფლება ქრისტეს ეკლესიაში". და ჩვენ, ყველა ეპისკოპოსმა, მის შემდეგ, ერთობლივი შეთანხმებით განვსაზღვრეთ და ჩვენ ყველამ ვთქვით მის მსგავსად.

შემდეგ, უფალმა მარუთამ გვითხრა ჩვენ, ყველას: „ყველა ეს დადგენილება, ეს წესები, ეს კანონები, უნდა ჩაიწეროს და ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ამ განჩინების ბოლოს და ჩვენი

137 იგულისხმება 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრება.

ხელმოწერებით დავადასტუროთ მუდმივი შეთანხმებით.“ და უფალმა ისააკმა, კათოლიკოსმა, პირველმა თქვა: „მე, ყველაზე წინ, დავადასტურებ ჩემი ხელით.“ და ჩვენ ყველამ, ეპისკოპოსებმა სხვადასხვა მხარიდან, მის შემდეგ განვაცხადეთ: „ჩვენ სიხარულით მივიღებთ მათ, და ჩვენი ხელმოწერით დავადასტურებთ, რაც ზემოთ დაიწერება [იმ] ყველაფრის ბოლოში.“

რამდენიმე დღის შემდეგ[138] ჩვენი წმიდა მამები, აღმოსავლეთის კათოლიკოსი უფალი ისააკი და ეპისკოპოსი მარუთა ესაუბრნენ გამარჯვებულ და სახელოვან მეფეთა მეფეს, რომელმაც ბრძნულად და დიდსულოვნად გამოსცა ედიქტი და უბრძანა ხოსრო-იეზდიგერდს, დიდ ვეზირს[139] და მიჰრშაბურს, არგაბედის[140] სახლიდან. და ყველა ჩვენ, ეპისკოპოსთაგანი წავედით მათ წინაშე და ერთად მოვუსმინეთ თითოეულ მათგანს. ისინი გვესაუბრნენ ამგვარად: „ადრე დიდი დევნა იყო თქვენ წინააღმდეგ და თქვენ ფარულად დადიოდით. ახლა მეფეთა მეფემ დიდი მყუდროება და სიმშვიდე უზრუნველყო თქვენთვის, კათოლიკოს ისააკის შუამავლობით მეფეთა მეფის წინაშე, რომლისთვისაც სასიამოვნო იყო, დაედგინა იგი მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანების ხელმძღვანელად. და განსაკუთრებით იმ დღიდან, როდესაც ეპისკოპოსი მარუ-

138 კრების პირველი სხდომიდან.

139 Buzurgframadhar - ვაზურგ-ფრამადარი, დიდი ვეზირი.

140 Argabedh - ჯარის მეთაური, შესაძლოა ეს ის მიჰრ-შაბური იყოს, რომელსაც 421-422 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს ელია ნიზიბინელი (La Chronographie d'Elie Bar-Synaia.., 40), ამავე პერიოდში მოგვთა მეთაურ მიჰრშაბურს ახსენებს „პეროზ ბეთ-ლაპატელის მარტვილობა“ (Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang: Ostsyrisches Mönchsleben Aus dem Syrischen übers. von Oskar Braun. Kempten-München: Verlag der Jos.Kösel'schen Buchhandlung. 1915, 163). იეზდიგერდის დროს მოგე მიჰრშაბურს ასახელებს „ბეთ გარმაელი ათი მარტვილის“ წამების ტექსტი (Persian Martyr Acts under King Yazdgird I. (Persian martyr acts in Syriac: text and translation by Geoffrey Herman). Piscataway, NJ: Gorgias Press, 2016), ხოლო ბაჰრამ მე-5-ის დროს იაჰარხოს მიჰრშაბურს ახსენებს „იაკობის მარტვილობა“ Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang.., 170).

თა აქ მოვიდა, მეფეთა მეფის კეთილგანწყობით, მშვიდობა და მყუდროება გამრავლდა თქვენთვის. რომაელთა ქვეყნიდან გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით, რომელიც აქაურ ეპისკოპოსებს ეხებოდა, მეფეთა მეფე იეზდიგერდმა ბრძანა: „ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც თქვენ ამოირჩევთ და თქვენ იცით, რომ შესაფერისია ღვთის ხალხის მართვისა და ხელმძღვანელობისთვის, რომელიც დამტკიცებული იქნება ეპისკოპოსების ისააკისა და მარუთას მიერ, გახდება ხელმძღვანელი. ნურავინ გამოეყოფა მათ. თუ ვინმე დაუპირისპირდება მათ და დაარღვევს მათ ნებას, მათ გვითხრან ჩვენ, ხოლო ჩვენ ვეტყვით მეფეთა მეფეს და მისი ბოროტი განზრახვა დაისჯება, რაც არ უნდა იყოს“.

[შემდეგ] ჩვენ ყველანი ერთად გამოვედით იქიდან. და ხელახლა უფალმა ისააკმა, აღმოსავლეთის კათოლიკოსმა და მისმა ძმამ, ღირსეულმა ეპისკოპოსმა უფალმა მარუთამ გვითხრეს ჩვენ: „ეს კრება, რომელიც დღეს ჩატარდა, ეს კანონები და წესები, რომლებიც წაკითხულ იქნა თქვენ შორის, დამტკიცებულ იქნა. თითოეული ქალაქის თითოეული ეპისკოპოსისთვის, როგორი უნდა იყოს მათი ქცევა, საზღვრები და უფლებამოსილება, თქვენ მოისმინეთ და მიიღეთ ეს ყველაფერი. ახლა დაწერეთ ყველაფერი, რაც საჭიროა კათოლიკე ეკლესიის მსახურებისთვის. დაადასტურეთ იგი თქვენი ხელით და დაამტკიცეთ იგი ხელშეუხებელი და ურღვევი შეთანხმებით“. და ყველა ჩვენგანმა ხმამაღლა ვთქვით: „რასაკვირველია, ჩვენ ამას სიამოვნებით ვიქმთ და დავამოწმებთ,[141] ვინც არ მიიღებს და ამ განსაზღვრების შემდეგ განჯოფის სულით მოიქცევა, იქნება სრულიად უვარგისი მთელი ქრისტეს ეკლესიისთვის, არ არსებობს არავითარი წამალი ამ წყლულებისთვის. გაკიცხულ იქნება მეფეთა მეფის მკაცრი სასამართლოსაგან. და იქნება მიცემული მძიმე პასუხისგება-

141 ხელს მოვაწერთ.

ში, სირცხვილსა და შეურაცხყოფაში". ჩვენ ყველა სრულად დავთანხმდით, მუდმივი კაეშირით. ხელშეუხებელი ფიცით, ურღვევი შეთანხმებით, უქცევი გადაწყვეტილებით. და ვთხოვეთ ნოტარს, რომ დაეწერა: „ყველაფერზე ადრე, ყველა ეკლესიაში, ლოცვები, თხოვნები, მოწოდებები და ვედრებები შესრულდეს ღვთის წინაშე, მისი ქრისტეს და მისი ცოცხალი და წმიდა სულის [წინაშე], მეფეთა და მმართველთათვის, რათა ისინი მშვიდობით და უშფოთველად ცხოვრობდნენ, რათა მათ არ განიზრახონ ქედმაღალი და ძალადობრივი ჩანაფიქრი ღვთის ხალხისა და ეკლესიის წინააღმდეგ".[142]

სამასთვრამეტი ეპისკოპოსის სარწმუნოების განსაზღვრება[143]

გვწამს ერთი ღმერთი, ყოვლისშემძლე მამა, შემოქმედი ცისა და ქვეყანის და ყოველი ხილულისა და უხილავის.

და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მამისაგან

142 ჩაზგასმული სიტყვები ლამის გამოცემაში შესულია, როგორც 410 წლის კრების მიერ მიღებული პირველი კანონი (T., J., Lamy, Concilium Seleuciae Et Ctesiphonti Habitum anno 410. Lovanii: Excudebat Car. Peeters, 1868, 26-28). ამ დადგენილების ამოსავალი უნდა იყოს პაელე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ: „გლოცავ უკუე ყოველისა წინა, რაჲთა ჰყოფდე ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანის-ცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათჳს, მეფეთათჳს და ყოველთა მთავართა, რაჲთა მშჳდობით და მყუდროებით ვცხონდებოდით ყოველითა ღმრთის მსახურებითა და სიწმიდითა, რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა" (I ტიმ. II, 1-3.).

143 იგი ლამის გამოცემაში კრების მეორე კანონის სახითაა. (T., J., Lamy, Concilium Seleuciae Et Ctesiphonti Habitum anno 410. Lovanii: Excudebat Car. Peeters, 1868, 28). 410 წლის სარწმუნოების სიმბოლო ჩვენამდე მოღწეულია ორი განსხვავებული ვერსიით. ორიეე მათგანი მოგვიანებით ჩაწერილია მრავალ ხელნაწერში. პირველი ვერსია აღმოსავლურ-სირიულია და მომდინარეობს აღმოსავლეთის ეკლესიის წყაროებიდან, მრწამსის მეორე ვერსია დასავლურ-სირიულია და მომდინარეობს სირიული მართლმადიდებლური წყაროებიდან (Mathunny John Panicker, The Person of Jesus Christ in the Writings of Juhanon Gregorius Abu'l Faraj Commonly Called Bar Ebraya, 2002: 58; Everett Ferguson, Doctrinal Diversity: Varieties of Early Christianity, Volume 4, 1999: 133).

შობილი, მხოლოდშობილი. რომელიც არის მამის არსისაგან. ღმერთი ღვთისაგან და ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან, შობილი და არა ქმნილი. ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა ცასა და ქვეყანაზე. რომელიც ჩვენ, კაცთათვის და ჩვენი ხსნისათვის ჩამოვიდა ზეციდან და განსხეულდა და განკაცდა. და იქნო და მესამე დღეს აღდგა და აღვიდა ზეცად. და არის მომავალი ცოცხლებისა და მკვდრების განსასჯელად.

და ერთი წმიდა სული.

ისინი, ვინც ამბობენ, რომ იყო დრო, როცა ის[144] არ იყო და სანამ დაიბადებოდა ის არ იყო, ან რომ ის არსებობაში შემოვიდა არარსებობისგან, ან ისინი, ვინც ამბობენ, რომ ის იყო სხვა ბუნებისგან და სხვა არსისგან, ან რომლებიც მიიჩნევენ, რომ ძე ღვთისა ექვემდებარება ცვლილებას, ასეთ ხალხს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია ანათემას გადასცემს".[145]

144 ძე ღმერთი, იგულისხმება არიოზის ერესი.

145 Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens , 258. Mathunny John Panicker, The Person of Jesus Christ in the Writings of Juhanon Gregorius Abu'l Faraj Commonly Called Bar Ebraya, 2002: 58; Everett Ferguson, Doctrinal Diversity: Varieties of Early Christianity, Volume 4, 1999: 133. დასაელურ-სირიულ რედაქციაში არსებული რწმენის სიმბოლო ასე იკითხება: „გეწამს ერთი ღმერთი, მამა, რომელმაც თაეის ძეში შექმნა ცა და ქვეყანა, და რომელმაც მასში დააარსა სამყაროები ზემოთ და ქვემოთ, და მასში განახორციელა აღდგომა და განახლება ყველა ქმნილებისთვის. და მისი ძე, მხოლოდშობილი, რომელიც იშვა მისგან. ის არის მამის არსებისგან (სირ. „Ituta"), ღმერთი ღვთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისაგან, შობილი და არა ქმნილი. რომელიც არის მამის თანაარსი (სირ. „bar kyaneh"), რომელმაც ჩვენ, კაცთათვის, რომლებიც შეიქმნენ მისი მეშვეობით, და ჩვენი ხსნისათვის გარდამოხდა და სხეული შეიმოსა (სირ. "lbesh pagra) და გახდა კაცი და ევნო და მესამე დღეს აღდგა. და ავიდა ზეცაში და დაჯდა მამის მარჯვნივ. და მოვა ცოცხლებისა და მკვდრების განსასჯელად. და ვაღიარებთ ცხოვრების მომცემელ და წმიდა სულს (სირ. "ruha qaddisha"), ცხოვრებისმომცემელ ნუგეშინისმცემელს (Paraclete), რომელიც არის მამისა და ძისგან. და ერთ სამებას და ერთარსებას (სირ. „ituta") და ერთნებას (სირ. „sebyana")". Dr Sebastian Brock, The Christology of the Church of the East in the Synods of the Fifth to Early Seventh Centuries: Preliminary Considerations and Materials, in: Everett Ferguson, Doctrinal Diversity: Varieties of Early Christianity, Volume 4,

1999: 133; A. Vööbus, New Sources for the Symbol in Early Syrian Christianity, Vigiliae Christianae Vol. 26, No. 4 (Brill: 1972) , 294; T. J. Lamy, Le concile de pierre à Séleucie-Tenu Ctésiphon en 410, 267-268). ლამი სიტყვებს „რომელიც არის მამისა და ძისგან" მიიჩნევს ფილიოქვეს ტოლფარდად და ფიქრობს, რომ კრებაზე შეკრებილი მამები ამ სიმბოლოში აღიარებენ სულიწმიდის ძისგან გამომაელობას (T., J., Lamy, Concilium Seleuciae Et Ctesiphonti Habitum anno 410, 30-31, შენ. 2). ჟ. შაბო ეხება ამ სიტყვებს და აღნიშნავს, რომ ხელნაწერში ეს სიტყვები ნამდვილად არის და იგი იმავე ხელითაა ნაწერი, რომლითაც დანარჩენი ტექსტი, მისი თქმით, ხელნაწერის საუბეჭდურად დათარიღებული არაა, იგი IX ან X საუკუნეს უნდა მიეკუთნებოდეს, ტექსტში მას აღმოსაელურ-სირიული ვერსია მოჰყავს, როგორც უფრო შესაფერისი და ნამდვილად 410 წლის კრების მიერ შეწყნარებული, რომელსაც იგი განმარტებას ურთავს, რომ „როგორც მოსალოდნელი იყო, იქ არაა კვალი სულიწმიდის ძისგან გამომაელობის აღნიშვნისა" (Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 262-263, შენ. 5); André de Halleux-ის მტკიცებით, ორიგინალი არის დასაელურ-სირიული ტექსტი, რადგანაც მასში არქაული ფრაზეოლოგიაა, ხოლო აღმოსაელურ-სირიულ ტექსტში შეინიშნება გარკვეული ნეოლოგიზმები, რომლებიც 500 წლიდან გვხვდება, იგი ასკვნის, რომ სწორედ დასაელურ სირიული ვერსია ასახავს 410 წელს მიღებულ სიმბოლოს (André de Halleux, "Le symbole des évêques perses au synode de Séleucie-Ctesiphon (410), Erkenntnisse und Meinungen, II = Göttinger Orientforschungen, Reihe Syriaca 17, 1978, 161-90); ამ მოსაზრებას იზიარებს ს. ბროკი (Sebastian Brock), იგი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ბერძნული „ხორცშესხმული"-ს (σαρκωθέντα, incarnate) ნაცვლად აღმოსაელეთ სირიულ ვერსიაში არის "etgashsham" (განხორციელდა), მაშინ როცა დასაელეთ სირიულ ვერსიაში გამოყენებულია "lbesh pagra" (ხორცი შეიმოსა), ეს უკანასკნელი კი რეგულარულად გამოიყენებოდა ადრეულ სირიულ წერილებში (თომას აქტები, აფრაატი, ეფრემი), ამიტომაც, მისი თქმით, ნათელი უნდა იყოს, რომ სწორედ დასაელურ-სირიული ვერსიაა ორიგინალი, მისი აზრით, აღმოსაელურ-სირიულ ვერსიაში რომ მოგვიანო ხანებში შეტანილია ცვლილებები, რასაც მისი მოსაზრებით, ამტკიცებს ისიც, რომ მასში სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი ისააკი მოხსენიებულია როგორც „კათოლიკოსი", ეს კი ანაქრონისტულია, რადგანაც ეს ტიტული მიღებულ იქნა მხოლოდ მოგვიანო ხანაში (Dr Sebastian Brock, The Christology of the Church of the East in the Synods of the Fifth to Early Seventh Centuries, 126; Sebastian P. Brock, Fire from Heaven: Studies in Syriac Theology and Liturgy, Aldershot : Ashgate, 2006, 74); რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრებებზე? პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ეპისკოპოსი ისააკი კათოლიკოსად მხოლოდ აღმოსაელურ-სირიულ ვერსიაში არ იწოდება, არამედ იგი ლამის მიერ გამოცემულ 410 წლის კრების აქტებში იწოდება, როგორც „ისააკი, კათოლიკოსი და არქიეპისკოპოსი სელევკიისა და ქტეზიფონისა" (T., J., Lamy, Concilium Seleuciae Et Ctesiphonti Habitum anno 410. (Lovanii: Excudebat Car. Peeters, 1868) , 24). როგორც ეხედავთ, ისააკის კათოლიკოსად მოხსენიება არ გამოდგება აღმოსაელურ-სირიული ვერსიის

გვიანდელობის სამტკიცებლად, რაკიღა ეს ტიტული დასაელურ-სირიულ ვერსიაშიც გეხვდება. ამასთან, როდესაც 410 წლის კრების მიერ მიღებულ რწმენის სიმბოლოზე ესაუბრობთ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ კრებაზე მიიღეს ნიკეის კრების სიმბოლო, იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იწოდება *„318 ეპისკოპოსის სარწმუნოების განსაზღვრებად“*, მაშასადამე უნდა ვივარაუდოთ, რომ კრებამ პირდაპირ, ყოველგვარი დამატების გარეშე მიიღო ნიკეის კრების სიმბოლო და 410 წლის კრების მიერ მიღებული სარწმუნოების სიმბოლო იდენტური უნდა იყოს ნიკეის სიმბოლოსი, რომელიც ასე იკითხება: "გვწამს ერთი ღმერთი, მამა ყოველისმპყრობელი, ყოველივე ხილულის და უხილავის შემოქმედი; და ერთი უფალი იესო ქრისტე ღვთის ძე, მამისაგან შობილი მხოლოდშობილი, რაც ნიშნავს მამის არსისაგან, ღმერთი ღმერთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისაგან, შობილი და არა ქმნილი, მამის თანაარსი, რომლის მეშვეობით შეიქმნა ყოველივე, ცაშიც და მიწაზეც, რომელიც ჩვენი, ადამიანებისა და ჩვენი ხსნის გამო ჩამოვიდა, და განხორციელდა და განკაცდა, იეშუა და აღსდგა მესამე დღეს, ავიდა ცაში, და არის მომავალი ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად. და ერთი წმინდა სული. წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია შეაჩვენებს მათ, რომლებიც ამბობენ: "იყო დრო, როდესაც არ იყო", და, "შობამდე არ იყო", და, "რომ არარსებულიდან შეიქმნა", ან ამბობენ, რომ ღვთის ძე არის "სხვა ვგვამოენებისგან" ან "არსისგან", ქცევადისა და ცვალებადისაგან" (სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი: ახალი იერონი, 2012, 26; თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი: ახალი იერონი, 2008, 49; Philip Shaff, The Seven Ecumenical Councils. Grand Rapids, MI: Christian Classics Ethereal Library. 2005.. 33-34). ეს სიმბოლო თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ 410 წლის კრების მრწამსის აღმოსაელურ-სირიულ ვერსიას, ხოლო საგრძნობლად განსხვავდება დასაელურ-სირიული რედაქციისგან, კერძოდ, მასში ნიკეის რწმენის სიმბოლოს სიტყვებს „და ერთი წმიდა სული“ ემატება „რომელიც არის მამისა და ძისაგან", რაც არ არის ნიკეის სიმბოლოში, ასევე ნიკეის სიმბოლოში არ გვაქვს სიტყვები „და ერთ სამებას და ერთარსებას და ერთნებას", რომელიც მოცემულია დასაელურ-სირიულ რედაქციაში, ამ რედაქციაში ასევე არ მოიპოვება ნიკეის მრწამსში არსებული ანათემა მათ მიმართ, ვინც ძე ღმერთის ცვალებადობას, არარსებულისგან შექმნას და მისთანათა ასწავლიდნენ. ამრიგად, რწმენის სიმბოლოთა შედარების შედეგად აშკარაა, რომ აღმოსაელეთ სირიულ რედაქციაში არსებული ტექსტში აშკარად ნიკეის კრების სიმბოლოა, ხოლო დასაელეთ სირიული რედაქციისას კი ნიკეის კრების სიმბოლოსგან მრავალი განსხვავებული რამ მოეპოვება. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ერთია, თუ რომელი ვერსია წარმოადგენს 410 წლის კრების სიმბოლოს, ხოლო მეორე - ის, თუ რას გულისხმობს სიტყვები „სულიწმიდა არის მამისა და ძისაგან". აღსანიშნავია, რომ აქ არ გვხვდება სიტყვა „გამოდის", არამედ „არის", რაც შესაძლოა გულისხმობდეს მამისაგან გამომაელობას და ძის მეშვეობით მოცემას.

კრებაზე დამტკიცებული კანონები, რომლებიც რიცხვით ოცდაერთია[146]

კანონი I. - არჩევისა და წესის [შესახებ], რომლის მიხედვითაც ეპისკოპოსმა უნდა მიიღოს ხელთდასხმა.- თუ ეპისკოპოსი დადგენილია ერთის ან ორის მიერ, მაკურთხეველიცა და ნაკურთხიც დამხობილ იქნეს. როდესაც უნდა დაადგინოთ ეპისკოპოსი, რომელი ეპისკოპოსებიც შეიკრიბებიან ქალაქში, რომ მოითათბირონ ერთად, ისინი გამოვიდნენ გარეთ და მოძებნონ ადამიანი, რომელიც ზრუნავს ღარიბებისათვის, ღებულობს უცხოებს, დაუამებს დაჩაგრულებს, ასაზრდოებს ობლებსა და ქვრივებს, არ გასცემს თავის ფულს ვახშად. არ იღებს ქრთამს, განაჩენისას არავის მიემხრობა, შორს დგას სიამაყისა და სიხარბისაგან. გაწაფულია მჭევრმეტყველებასა და სიბრძნეში. დღე და ღამე გულისხმა-ჰყოფს წმიდა წერილის სწავლებებს, გონიერი და მართლმსაჯულია, რაც საჭიროა ეკლესიის სრულად განსაგებელად და აუცილებელია ხელმძღვანელობისთვის. და როდესაც ეპისკოპოსები შეიკრიბებიან ხალხთან ერთად და ქრისტეს ეკლესიაში, საკურთხევლის წინ, მსხვერპლის შეწირვის დროს, მას თავზე დაადებენ სახარებას, და ყველა მათგანი გაიწვდის მარჯვენა ხელს მასზე, და მათ შორის უპირატესი წარმოთქვამს ხე-

146 „სიირთის ქრონიკისა" და ამრი იბნ მატას ცნობით, 410 წლის კრებამ 22 კანონი მიიღო (Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 319; Maris, Amri, et Salibae: pars. I, 14 ; Ralph Marcus. The Armenian Life of Marutha of Maipherkat, The Harvard Theological Review, Vol. 25, No. 1, 54); იბნ ტაიიბის ცნობით კრებას 26 კანონი მიუღია (Braun. Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale. 7, შენ. 1); ლამი გამოყოფს 27 კანონს (T., J., Lamy, Concilium Seleuciae Et Ctesiphonti Habitum anno 410, 27-86); ხოლო შაბოსა და ბრაუნის მიერ გამოცემულ კრებათა აქტებში 21 კანონია შემორჩენილი (Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 263-275; Braun. Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale. 16-34. ასევე იხ. ქვემოთ); ს. ბროკის აზრით, ეს 21 კანონი არის კრების შემოქმედება და არა პირდაპირი რეპროდუქცია ნიკეის კრების კანონებისა (Sebastian P. Brock, Fire from Heaven: Studies in Syriac Theology and Liturgy, (Aldershot : Ashgate, 2006) , 74).

ლთდასხმის ლოცვებს. შემდეგ ეპისკოპოსად დადგინებული მოვა, რომ [მისი კურთხევა] სრულყოფილ იქნეს დიდი მიტროპოლიტის, სელევკია-ქტეზიფონის კათოლიკოსისგან. ის მოიტანს წერილს ეპისკოპოსებისგან, რომლებმაც ხელთასხმით აკურთხეს იგი. თუ ჩვენგან ვინმე გაბედავს აკურთხოს სხვა ეპისკოპოსი თავის სიცოცხლეშივე, სიკვდილისწინა მომენტში, სამას თერამეტი ეპისკოპოსის დიდი და წმიდა კრების[147] მიერ დადგენილი განსაზღვრების თანახმად, ხელთდასხმულიცა და ხელთდამსხმელიც უმოწყალოდ უნდა დაიგმოს ეკლესიის მთელი სამღვდელოებისგან.[148]

კანონი II. - საჭურისები, რომლებიც [თავად] ისახიჩრებენ [თავს] და მოიკვეთენ თავიანთ ასოებს. - საჭურისთა შესახებ, ჩვენ ასევე ვიცავთ, რაც დაწესდა კრებაზე, ვინც ნებაყოფლობით არის საჭურისი და არღვევს თავის მამაკაცობას, არ მიიღება ეკლესიაში. მაგრამ, თუ მისი ახალგაზრდობის დროს ძალით იქნა დასახიჩრებული ან მისი ბატონებისგან ან ბარბაროსთგან, ან თუ ავადმყოფობის დროს ასოწართმეული იქნა მკურნალობის გამო, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს საეკლესიო დასში. კურთხეულ მამათა კანონის მიხედვით.[149]

კანონი III. - რომ თანასახლეულებმა[150] ძველი ჩეულების მიხედვით აღარ უნდა იცხოვრონ სამღვდელოებასთან. - თანასახლეულთა შესახებ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც მითითებულია კრების მიერ, ამიერიდან, ყველა ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, პიპოდიაკონი ან სამღვდელო დასის წევრი, რომელიც იცხოვრებს ქალთან, და არა მარტო, უმწიკვლოდ და წმიდად, ეკლესიის მსახურის შესაბამისად, მამაკაცი მამაკაცთან განცალკევებით, არ დაიშვება ეკლესიის მსახურებაში.[151]

147 იგულისხმება 325 წლის ნიკეის მსოფლიო კრება

148 ნიკეის I მსოფლიო კრების მე-4 კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 231-232).

149 ნიკეის I მსოფლიო კრების 1-ელი კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 231).

150 დედაკაცებმა.

151 ნიკეის I მსოფლიო კრების მე-3 კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 231).

კანონი IV. – სამღვდელონი, რომლებიც სარგებელს არაკეთილსინდისიერად მოიპოვებენ. - ჩვენ ასევე სიხარულით დავიცავეთ იმას, რაც კრებაზეა დაწესებული ბინძური მოგების, სარგებლისა და მევახშეობის შესახებ. ამიერიდან, ყოველი ადამიანი ეკლესიის მსახურთგან, მიუხედავად მისი სამღვდელო ხარისხისა, ვინც გამოიყენებს მევახშეობასა და სარგებელს, იქნება მსახურებიდან გაუცხოებული და არანაირი თანაზიარობა არ ექნება ჩვენთან.[152]

კანონი V. - რომ მორწმუნეთათვის არ არის მართებული, რომ იყენებდნენ ავგურებს,[153] მისნობებს და უცხო (ოკულტურ) საქმეებს. - რაც შეეხება ავგურებს, უგუნურთა და ცოდვილთა მისნობებსა და ოკულტურ საქმიანობებს, რაც წარმართობისთვის არის შესაფერისი, ლიგატურები, ამულეტები, შელოცვები, დემონის თაყვანისცემა - ეს ყველაფერი და ისინი, ვინ მათ იყენებენ ანათემირებულნი და ეკლესიისგან განკვეთილნი არიან. ისინი უცხო არიან მთელი ჩვენი ეკლესიისთვის და მათთვის, ვინც აღიარებს ჩვენს რწმენას. ვინც შემჩნეული იქნება ამ საქმიანობაში, შეუბრალებლად დაიგმობა ქრისტეს მთელი ეკლესიისგან და არ იქნება შეწყალება მისთვის.[154]

კანონი VI. - ეპისკოპოსთა შეკრებისთვის, როდის, სად და რა მიზეზით უნდა მოხდეს.- ეს კანონი დადგინდა კრებისგან, რომ წელიწადში ორჯერ ეპისკოპოსები იკრიბებიან, ისე, რომ მათ კრებაზე ყველა კამათი და ბრალდება სრულდება.[155] ჩვენ მოვუწოდეთ კრების ხელმძღვანელებს, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, როდესაც მეფე არის სელევკია-ქტეზიფონში,

152 ნიკეის I მსოფლიო კრების მე-17 კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 235).

153 აეგურები - ფრინველთმისნები, ქურუმები, რომლებიც მკითხაობდნენ ფრინველთა ფრენის მეშვეობით.

154 ლაოდიკიის ადგილობრივი კრების 36-ე კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 257).

155 ნიკეის მსოფლიო კრების მე-5 კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 232).

დიდი მიტროპოლიტი, რომელსაც უჭირავს კოკეს საყდარი[156], მოგვწერს, ჩვენ სიხარულით შევიკრიბებით და მოვალთ მისი მამობის წინაშე მოკრძალებით. ყველაფერს, რასაც ის დააწესებს ღვთის შიშით, ჩვენ აღვასრულებთ დაუყოვნებლივ, ჩვენი უფლის, ქრისტეს კანონებს, რომელსაც იგი დაგვიდგენს, ჩვენ მივიღებთ და შევასრულებთ მისი ნების პატივისცემითა და მორჩილებით.

კანონი VII. - სახლები, რომლებიც განკუთვნილია უცხოელთა მიღებისთვის და ისინი, ვინც სამშვიდობო წერილით უნდა იქნას მიღებული.- ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ყველა ეკლესიას ჰქონდეს საგანგებო სახლი, რომ მიიღოს უცხოელები და ღარიბები. ჩვენ მივიღებთ მას, ვისაც აქვს წერილი ეპისკოპოსისგან მის თანამოძმესთან ან მღვდლისგან მის თანამოძმესთან.[157]

კანონი VIII. - სამღვდელოთათვის, რომლებიც მიწეულნი არიან ნადიმზე ან ჭირის სუფრაზე, არ არის ნებადართული, რომ ითხოვონ ან აიღონ ულუფა, ან ჭამონ სასტუმროებში, ან მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ნადიმებში.- მღვდლები, დიაკვნები, პიპოდიაკვნები არ დადიან ღარიბთა დაკრძალვის ტრაპეზზე, რადგანაც სამღვდელოთათვის სპეციალური საკვები არსებობს, მათ არ შეუძლიათ

156 ადგილი, რომელზეც შემდეგში აღმოსავლეთის ეკლესიის საკათედრო ტაძარი იქნა აღმართული. იგი თავდაპირველად ქტეზიფონთან ერთად, ტიგროსის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, ახ. წ. I-II საუკუნეთა მიჯნაზე ტიგროსმა კალაპოტი შეიცვალა, ეს მოხდა 75-106 წლებს შორის, რის შედეგადაც მდინარემ კოკე გამოყო ქტეზიფონიდან და სელევკიის მიმდებარე ტერიტორიად აქცია იგი. ბერძნულ-ლათინურ წყაროებში იგი იხსენიება „კოხეს" (Κώχη, Cochè) სახელწოდებით (S. Gregorii Theologi, Oratio V – Contra Julianum II, in: Jacques-Paul Migne, Patrologiae cursus completus: Series graeca. T. 35, 1857, col. 676; Julian the Emperor: Containing Gregory Nazianzen's Two Invectives and Libanius' Monody with Julians' Extant Theosophical Works translated by C. W. King, London, G. Bell and sons, 1888, 94; Eutropi Breviarium ab urbe condita cum versionibus graecis et Pauli Landolfique additamentis, Monumenta Germaniae Historica, Autorum Antiquissimorum T. II. Berolini, Apud Weidmannos, 1879, 160-161).

157 ანტიოქიის 341 წლის ადგილობრივი კრების მე-7 კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 249).

წაილონ მათი ნაწილი, რომ ეკლესიის ღირსების შეურაცხყოფა ან გაკიცხვა არ გამოიწვიონ. მღვდლებს, დიაკვნებს, თუნდაც იპოდიაკვნებს, სამღვდელოებს, ნაკურთხ პირებს ან მეკარეებს, [უფლება არ აქვთ] რომ ისხდნენ საზოგადოებრივ ნადიმებსა და დღესასწაულებზე, არც დაკრძალვებზე, არც სასტუმროებში.[158]

კანონი IX. - რა არის საჭირო კვირის მსახურებისთვის. - რომ ყოველ კვირას სახარება სხვა წიგნებთან ერთად უნდა იქნას წაკითხული, ღვთის სიტყვა ნაქადაგები იყოს სამ ან ოთხ საათამდე, და შემდეგ მსხვერპლი უნდა იყოს შეწირული.

კანონი X. - რომ თითოეულ ეპისკოპოს მიტროპოლიტს უნდა ჰქონდეს ამ კანონთა ასლი, რომ იფიქრონ და იმოქმედონ მათ შესაბამისად. შეთანხმების თანახმად, რომელიც გაკეთდა მათ გამოკვლევასთან შედარებით. – ამ კანონში მოცემული სიტყვების მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვაწესებთ, რომ ყოველ ეპისკოპოს მიტროპოლიტს, რომელსაც აქვს ძალაუფლება სამ, ოთხ ან ხუთ ეპისკოპოსზე, ამ კანონთა წერილები მუდმივად ჰქონდეთ თან, იმისთვის, რომ მისი ბრძანებისა და ხელმძღვანელობის მიხედვით იმოქმედონ. - ჩვენ ვადასტურებთ მამის, ძის და სულიწმიდის წინაშე, რომ არ დავარღვევთ ამ ბრწინვალე კანონებსა და სახელოვან წესებს. არც ჩვენ და არც ისინი, ვინც მოვლენ ჩვენ შემდეგ. და რადგან ჩვენ გვაქვს ერთი რწმენა, ერთი ნათლობა, ერთი ეკლესია, და რომ ჩვენ თაყვანს ვცემთ მხოლოდ წმიდა სამების ერთარსებას. ისინი, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, დაიბადებიან და გაიზრდებიან უფლის, ქრისტეს შიშით ჩვენს ყველა ეკლესიასა და ეპარქიაში. ამიერიდან სამუდამოდ.

---

158 ლაოდიკიის ადგილობრივი კრების 24-ე და 27-ე კანონები (დიდი სჯულისკანონი.., 256).

კანონი XI. – რომ ეპისკოპოსად ხელთდასხმა არ უნდა შესრულდეს ერთი ეპისკოპოსის მიერ; და სამღვდელო დასის წევრები[ს შესახებ], [რომლებსაც] თავიანთი ეპისკოპოსებისგან აქვთ მღვდელმოქმედება შეჩერებული. ახლა და ამიერიდან, ჩვენ შორის არსებული დარღვევა აღარ გაგრძელდება, რომ ერთი ეპისკოპოსი არ აკურთხევს სხვას, არამედ ჩვენ დავიცავთ იმას, რაც ზემოთ წერია: რომ ეპისკოპოსები უწესოდ ნუ გადაკვეთენ თავიანთი თანამოძმის საზღვრებს; რომ ის ნუ უზამს თავის თანამოძმეს იმას, რასაც არ დაუშვებს საკუთარი თავისთვის;[159] რომ მღვდელი ან დიაკონი, რომელიც მისი ეპისკოპოსისგან არის განსჯილი და ჯანყდება მის წინააღმდეგ, არ უნდა მიიღოს სხვა ეპისკოპოსმა.[160]

კანონი XII. - პატივის შესახებ, რომელიც ჯეროვანი და სათანადოა კათოლიკოსისათვის, რომელსაც უჭირავს სელევკიისა და ქტეზიფონის საყდარი.- ჩვენ ყველანი სიამოვნებით დავთანხმდით და მივიღეთ ბრძანება მეფეთა მეფის იეზდიგერდისგან, ყველა ჩვენ ეპისკოპოსთაგანი აღმოსავლეთის ამ მიწიდან და ისინი, ვინც ჩვენ შემდეგ მოელენ, ექვემდებარებიან ეპისკოპოსს, კათოლიკოსს, არქიეპისკოპოსსა და მიტროპოლიტს სელევკიისა და ქტეზიფონისა, ქრისტეს მოსვლამდე, ეს არის ყველა ეპისკოპოსისთვის, რომელიც ზის კოკეს ეკლესიის დიდებულ საყდარზე.

კანონი XIII. - წესები და კანონები, რომლებიც ეხება მსახურებებს, წმიდა საიდუმლოებებსა და ჩვენი მხსნელის ბრწყინვალე დღესასწაულებს. - ახლა და ამიერიდან, ჩვენ ყველა ერთგვაროვნად შევასრულებთ მსახურებას დასავლელების მსახურების შესაბამისად, რომელიც ეპისკოპოსებმა ისააკმა და მარუთამ გვასწავლეს, და როგორც ჩვენ ვნახეთ, როგორც მათ შეასრულეს აქ, სელევკიის ეკლე-

159 „როგორც თქვენ გსურთ გექცეოდნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ“, მათეს სახარება. 7.12.

160 ნიკეის მსოფლიო კრების მე-5 კანონი (დიდი სჯულისკანონი.., 232).

სიაში. თითოეულ ქალაქში დიაკვნები გააკეთებენ მოწოდებას, როგორც ეს კეთდება; ასევე წაიკითხება წმიდა წერილი; სუფთა და წმიდა მსხვერპლი შეიწირება ყველა ეკლესიაში ერთ საკურთხეველზე; რომ ამიერიდან ძველი მოგონებების გამოყენება აღარ არის ჩვენ შორის და ჩვენ მსხვერპლს აღარ შევწირავთ სახლებში. ჩვენ ერთნაირად აღვნიშნავთ ჩვენი უფლის განცხადების დღესასწაულსა და მისი აღდგომის დიდებულ დღეს, როგორც მიუთითებს მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი და კათოლიკოსი სელევკიისა და ქტეზიფონისა. ვინც გაბედავს [და] მარტო და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებთან შეუთანხმებლად თავის ეკლესიაში და თავის ხალხს შორის აღნიშნავს შობის დღესასწაულს, დიდმარხვას ან უფუარობის დიდ დღეს, ასევე შეწყალების გარეშე უნდა იყოს უარყოფილი ნებისმიერი საეკლესიო მსახურებიდან, როგორც გარყვნილი, და აღარ იქნება გამოსწორების საშუალება მისთვის.

კანონი XIV. - ქორეპისკოპოსები. - წესის დარღვევა - მრავალი ქორეპისკოპოსი იყოს ერთ ეპისკოპოსთან, აღარ გაგრძელდეს. თითო ეპისკოპოსისთვის საკმარისია მხოლოდ ერთი ქორეპისკოპოსი, სადაც რამდენიმეა, გადაყენებულნი არიან.

კანონი XV. - არქიდიაკონის არჩევისთვის ჯეროვანი და მის მსახურებასა და მართვასთან დაკავშირებული წესები. ხაზინადარების [შესახებ] და ქედმაღალთა გამოსწორების შესახებ.- რომ ეპისკოპოსს თავის ქალაქში ერთი არქიდიაკონი უნდა ჰყავდეს, რომელიც არის ბრძენი საუბარსა და სწავლებაში, რომელსაც შეუძლია მოაწესრიგოს და მართოს ყველაფერი, რაც ეკლესიის მსახურებისთვის არის საჭირო. კვირას, ეპისკოპოსის თანდასწრებით, ის კათედრაზე წარმოთქვამს დიაკვნის მოწოდებას, წაიკითხავს სახარებას. ის დააწესებს ყველაფერს მსახურებასთან დაკავშირებით. ის

იქნება ეპისკოპოსის მკლავი და ენა, და პატივს მიაგებს მას. ის საჯაროდ გამოაცხადებს ეპისკოპოსის საიდუმლო სურვილს. ის მღვდლებს დასხამს თავიანთ ადგილებზე და თვითონ დადგება დიაკონთა მეთაურად, თავის წოდებაში, როდესაც ეპისკოპოსი დაჯდება თავის ტახტზე. საქმიანობის დროს, ის კარებზე განაწესებს ჰიპოდიაკვნებს, რომელთაც ჩვენთან „ეგზორცისტები" ეწოდებათ. ის გადასცემს წიგნებს მკითხველებს. ის გაანაწილებს მღვდლებს, დიაკვნებს, ჰიპოდიაკვნებს, რათა მონათლონ, იმსახურონ საკურთხეველზე, თვალყური ადევნონ ტაძარსა და მის შემკულობას. ასე იყოს ყველა ეკლესიაში, სადაც ეპისკოპოსია. - რომ ისინი, ვინც კვირებს აიღებენ, გამოიკვებებიან ეკლესიის მიერ და დაბინავდებიან სადიაკვნეში.[161] რომ ყოველ ეკლესიასა და ქალაქში კვირები ამგვარად არის განაწილებული.

ეკლესიის შემოსავალთან და შესაწირავთან დაკავშირებით, რომელიც უნდა მიენდოს მორწმუნე ხაზინადარს, რომ ეს კანონი ამიერიდან დაცულია: ხაზინის გასაღებები განთავსდება საკურთხეველზე[162] და ის, ვინც გახდება ხაზინადარი, აიღებს მას საკურთხევლიდან. როდესაც ის მიატოვებს ხაზინადარობას ან როდესაც ეპისკოპოსი მოისურვებს, რომ მან (ხაზინადარმა - დ. ჩ.) დატოვოს, ის განათავსებს გასაღებებს საკურთხეველზე და მიიღებს წმიდა საკურთხევლისგან კეთილს ან ბოროტს, მისი დამსახურების მიხედვით.

ყოველი მღვდელი, რომელიც არის ქალაქში და რომელიც, მძიმედ არ არის ავად, ეკლესიაში თავის თანამოძმეებთან ერთად არ ზის სკამზე ლოცვის დროს ან საკურთხევლის წინაშე მსხვერპლის [შეწირვის] დროს, დამხობილ უნდა იქნას თავისი ხარისხიდან. ეპისკოპოსის არყოფნის შემთხვევაში არ-

161 Διακονικόν - ტაძრის ცენტრალური აფსიდის სამხრეთით მდებარე ღრუ ან სათავსი, რომელიც გამოიყენებოდა (და გამოიყენება) საეკლესიო ნივთების, წიგნების და ა.შ.-ს შესანახად.
162 სამსხვერპლო, ტრაპეზი.

ქიდიაკონმა უნდა დანიშნოს მღვდელი, რომელიც შესწირავს მსხვერპლს. თუ ეპისკოპოსი იქ იმყოფება, მას შეუძლია დანიშნოს ის, ვინც თავად სურს.

მსგავსად დიაკონთათვის, ყოველი დიაკონი, რომელიც არის ქალაქში, [და] მძიმედ არ არის ავად, ლოცვის დროს უნდა იყოს ხალხს შორის, დიაკონთა ხარისხში. [იგი] მიიღებს ბრძანებას არქიდიაკონისგან, რომ აიღოს წიგნი, ავიდეს კათედრაზე და წაიკითხოს. თუ არ არის ავადმყოფი, წაკითხვის შემდეგ მას არ შეუძლია, რომ დატოვოს ხალხი და შევიდეს სადიაკვნეში, რათა დარჩეს იქ, არამედ დანარჩენ დროს უნდა დადგეს თავისი ხარისხის შესაბამისად, თანამოდასეებთან ერთად. არქიდიაკონმა სათანადოდ უნდა დასაჯოს დიაკონი, რომელიც უგულებელჰყოფს ამ დადგენილებებს.

მსგავსად ჰიპოდიაკონთათვის, რომ მათგან, ვინც კი მსახურების დროს არ არის ეკლესიაში, თუ ავად ან მოგზაურობაში წასული არ არის ან დაბრკოლება არ აქვს. რომ ვინც არ ესწრება ფსალმუნებს ან მსახურების დროს არ უყურებს ტაძრის კარებს, გაძევებულ იქნას, რათა ამ დაუდევრობამ არ გარყვნას მრავალი. არქიდიაკონს მართებს, რომ იზრუნოს ამ წესების [დაცვისათვის], გამოიკითხოს და გამოიძიოს თითოეული [საქმე]. არც ერთი მღვდლის, დიაკვნისა და იპოდიაკვნისთვის არ არის დაშვებული, რომ წავიდეს [რომელიმე] მხარეში მისი ნებართვის გარეშე. დიდი სიფხიზლეა აუცილებელი არქიდიაკონისთვის, რომელმაც ქრისტეს ეკლესიაში უნდა იმსახუროს ენერგიულად და გონივრულად, რათა სხვებისთვის კარგი მაგალითი იყოს. ამისთვის სიტყვით და სწავლებით უნდა იყოს ეკლესიის მანათობელი და ნათელი ეპისკოპოსის წინაშე.

ძველი ჩვეულება, რომლის მიხედვითაც უმცროს მღვდელს არ შეეძლო მსხვერპლის შეწირვა, როდესაც უფროსი იმყოფებოდა [იქ], ამ მიზეზით ყველა [უფროსი] მღვდელი და დიაკონი

საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ წავიდეს, იმ საბაბით, რომ დაუთმოს უმცროსებს [მსხვერპლის შეწირვა]. ასაკით უმცროსს უფლება აქვს მსხვერპლი შესწიროს ეპისკოპოსის წინაშე, თუ იგი უბრძანებს ამას. ეპისკოპოსის არყოფნისას კი, მღვდლებს ან დიაკვნებს არ შეუძლიათ დატოვონ საკურთხეველი და წავიდნენ, ვინც არ უნდა იყოს მსხვერპლის შემწირველი, უფროსი თუ უმცროსი. მათ ჭეშმარიტად პატივი უნდა სცენ ერთმანეთს თანახმად კურთხეული პაელეს სიტყვებისა, რომელიც ამბობს: რომ „თავის თანამოძმეს ყველა მიიჩნევდეს ღირსეულად, რომ ის უკეთესია, ვიდრე თვითონ".[163]

კანონი XVI - წესების შესახებ, რომლებიც ყურადღებით უნდა იქნეს დაცული მღვდელმსახურთა მიერ, რომლებიც მოწვეულნი არიან და მოდიან ხელთდასხმისთვის. - ეს არის დასაგმობი ჩვეულება, სუსტი და ღელვის გამომწვევი, რომ ახალგაზრდები, რომლებმაც არ იციან წმიდა წერილის სწავლებები, სწრაფად და დაუყოვნებლივ იღებენ ხელდასხმას გამოცდის გარეშე. ამიერიდან, ეს შეზღუდვა დადგინდება და კრების განსაზღვრების თანახმად ხელთდასხმა არ მიეცემა მას, ვინც 30 წლის არაა. ეპისკოპოსებისთვის არაა ნებადართული, რომ აკურთხოს მღვდელი ან დიაკონი საერო ადგილას, არამედ მხოლოდ ეკლესიებში; საკურთხეველის წინ ან მონასტრებში და სადაც წმიდა საიდუმლოებები აღესრულება. ვინც არის განუსწავლელი მეცნიერებაში და არ შეუძლია წაიკითხოს დავითი[164] ზეპირად, არ შეიძლება გახდეს ჰიპოდიაკონიც კი, რომ იგი უვარგისი იქნება იქამდე, სანამ არ ისწავლის დავითნის სრულად კითხვას ზეპირად. ამ სისუსტის გამო სიბნელე შევიდა ეკლესიებში. თუ შემთხვევით მან წარსულში მიიღო დიაკვნად ან სამღვდელოდ კურთხევა, დაე დააგროვოს [ცოდნა] და განისწავლოს, რათა ქრისტეს მსახ-

163 პაელე მოციქულის ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ. 2.3. "საკუთარ თავზე უმეტესად მიიჩნევდეთ ერთიმეორეს".
164 ე.ი. ფსალმუნები.

ურები თავიანთი სიტყვებითა და ცოდნით არ ჰგავდნენ უვიც ერისკაცებს.

კანონი XVII. - ეპისკოპოსების შეთანხმება და ხელშეკრულება ამ კანონების დაცვასთან დაკავშირებით. და დამრღვევთა წინააღმდეგ განსაზღვრულ გაკიცხვასთან [დაკავშირებით], ვინც არად ჩააგდებს მათ. - ყველა ჩვენგანი, სხვადასხვა ადგილთა ეპისკოპოსი, შევიკრიბეთ გამარჯვებული და სახელოვანი იეზდიგერდის, მეფეთა მეფის ბრძანებით, და ჩვენ ყველა სიხარულით ვიღებთ ყველა ამ აზრს: პირველი, ჩვენი მამა და მეთაური, უფალი ისააკი, ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი, კათოლიკოსი, მთავარეპისკოპოსი და ასევე ჩვენ ყველა: დაე, ღვთის ცეცხლი დაატყდეს მათ, ვინც გაბედავს დაარღვიოს ეს დადგენილებები, დაე, ღვთის რისხვა იყოს მათზე, დაე, განისაჯონ და ანათემას გადაეცნენ ქრისტეს მთელ ეკლესიაში, რომელიც არის [სამყაროს] ოთხივე მხარეში. ძველი ჩვეულებისგან ადრე წარმოშობილი უწესრიგობის გამო, საჭირო გახდა, რომ აღმოსავლეთის ეკლესიების და მათი ეპისკოპოსების რეფორმირებისთვის აუცილებელი ყველა დადგენილება ყოფილიყო დაწერილი და ნასწავლები ამ განაჩენში. ასე, რომ ახლა და ამიერიდან ეს ძველი დარღვევები აღარ მოხდება. ამჟამინდელი ეპისკოპოსების სახელები და მათთვის მინიჭებული იურისდიქციის [საზღვრები] დაწერილი და მიღებული იქნა კრების ბრძანებით და ეს განსაზღვრება ასევე ეხება მათ, ვინც მოვა მათ შემდეგ- რომ კონტროლი და ანათემა, ისევე როგორც მეფეთა მეფის სასჯელი, მოქმედებს მასზე, ვინც გაბედავს, რომ დაარღვიოს ეს კანონი. სელევკიისა და ქტეზიფონის ნებისმიერი ეპისკოპოსი უფლებამოსილია, რომ აკურთხოს და დაამტკიცოს ამ ადგილას სხვა ეპისკოპოსი, რომელიც აღიარებს ეკლესიის მართლმადიდებლურ შეხედულებებს. მაგრამ ამ მიტროპოლიტ ეპისკოპოსს, რომელიც აკურთხევს და ამტკიცებს ეპისკოპოსს ამ

ადგილზე, არ შეუძლია ამის მარტო ქმნა, არამედ მხოლოდ ხუთ ეპისკოპოსთან ერთად, ან ყველაზე მცირე - სამთან. - რომ ეპისკოპოსი, რომელიც საკუთარ თავს ეკლესიის ხმის მიცემის ღირსად წარმოაჩენს და მოქმედებს ზემოთ დაწერილი კანონების შესაბამისად, კეთილად უნდა მოიხსენონ ქრისტეს ყველა ეკლესიასა და ეპარქიაში. დაე, მოიპოვონ დიდება იმ სამყაროში, რომელიც არ გაქრება, იგი გაცოცხლდება და მიიღებს ჯილდოს ყველასთან ერთად, ვინც ერთგულად ემსახურა [ღმერთს] და დიდი გამოცხადების დღეს[165] ცათა სასუფეველში დაიმკვიდრებს კეთილ ადგილს.

კანონი XVIII. - მიტროპოლიტთა უპირატესობისა და მათი ძალაუფლების ქვეშ მყოფი თითოეული ეპისკოპოსის შესახებ. – ((ქალაქთა სახელები, რომელთა ხელძღვანელებიც დამტკიცებულნი არიან. ქალაქები, რომლებზეც ისინი არიან დადგენილნი, სახელებით სათითაოდ აღნიშნული და ხელმძღვანელი, რომელიც უნდა იყოს ეპისკოპოსი.)) ეპისკოპოსი, რომელიც სხვებზეა დადგენილი, უნდა დაეხმაროს მათ და იზრუნოს მათთვის. როდესაც მათ შორის განხილვა იქნება, მან უნდა დაითანხმოს ისინი მოწყალე შეკრების მეშვეობით და არა უფლებამოსილების ძალით. ყველა ეპისკოპოსისთვის ნებადართულია, რომ თავის ქალაქსა თუ ეპარქიაში აკურთხოს მღვდლები და დიაკვნები, რომ იქადაგოს და ააშენოს ეკლესიები, ეს ეხება ყველა სათნოებას, რათა იყოს კარგი მაგალითი მისი თანამოღვაწეებისთვის. მიტროპოლიტმა ეპისკოპოსმა, რომელიც დადგენილია თავის ძმებზე, სხვადასხვა ადგილთა ეპისკოპოსებზე, რომელსაც აქ უფლებამოსილება მათ ნაწილზე, რომ პატივს სცემდნენ მის ღირსებას, უნდა მისწეროს დიდ მიტროპოლიტს და შეატყობინოს ყველაფერი, რაც ხდება მის იურისდიქციაში მყოფ მის მეზობელ ეპისკოპოსებს შორის. თუ არის კამათი ეპისკოპოსსა და მის

165 ე.ი. ქრისტეს მეორედ მოსვლისას.

თანამოძმეს შორის, ან მღვდელს ან დიაკონსა და მის ეპისკოპოსს შორის, ან თუ რომელიმე ეპისკოპოსი არ აღასრულებას მსახურებას კანონთა თანახმად, მიტროპოლიტი ეპისკოპოსი, რომელიც დადგენილია მათზე, უნდა ჩაერიოს ლმობიერებით, კეთილგონიერებითა და სიმშვიდით, თანახმად იმ ყველაფრისა, რაც მითითებულია დიდი კრების[166] კანონებში. თუ რაიმე საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია მიტროპოლიტისთვის, და თუ მას არ შეუძლია გადაწყვიტოს იგი მშვიდობიანად, დაწეროს და აცნობოს დიდ მიტროპოლიტს, და ის აღკვეთს და გაკიცხავს. ეს ეკუთნის კათოლიკოსს, რომ მისი სიბრძნის მიხედვით გასცეს ბრძანებები და გადაწყვეტილებები.

კანონი XIX - რომ ეპისკოპოსებს არ აქვთ ნება ითქმედონ ტირანულად ან დაჩაგრონ თავისი თანამოძმე ეპისკოპოსი: - არ არის ნებადართული, რომ ეპისკოპოსი, რომელიც არის მიტროპოლიტი, ძალით ან ავტორიტეტის გამოყენებით შევიდეს ეპისკოპოსის ეპარქიის იურისდიქციაში, რომელზეც იგი არის დამტკიცებული. ან დაწეროს და მოითხოვოს რაიმე წინაალმდეგობით, არამედ მან თავისი საყდრიდან მისი დარწმუნების იმედით უნდა მისწეროს ადგილის ეპისკოპოსს საყვედურის შესახებ, რომელიც მან მოისმინა, და თუ არა, ის აფრთხილებს დიდ მიტროპოლიტს, როგორც ზემოთ წერია. თუ ეპისკოპოსს სურს, მარტვილთა ხსენებისას, შეუძლია სთხოვოს მის ზემდგომ მიტროპოლიტს, რომ იგი მოვიდეს [მასთან]. ეპისკოპოსისთვის ჯეროვანია, რომ პატივს მიაგებდეს იმ ეპისკოპოსს, რომელიც მასზე ზემდგომია.

კანონი XX - წესების შესახებ, რომლებიც მიზანშეწონილია მიტროპოლიტებისთვის, რომ თვალყური ადევნონ არჩევასა და ხელთდასხმას მათი ძალაუფლების ქვეშ: - როდესაც მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეპარქიის ეპისკოპოსი გარდაიცვლება, მიტროპოლიტმა უნდა შეკრიბოს ეპის-

166 იგულისხმება ნიკეის I მსოფლიო კრება.

კოპოსები და დაადგინოს ეპისკოპოსი, რომელსაც ქალაქი აირჩევს. ხელთდასხმის შემდეგ, მან წერილის თანხლებით გაგზავნოს იგი დიდ მიტროპოლიტთან, რომ იყოს სრულყოფილი (დადასტურებული) [კურთხევა]. გარდა ამისა, მიტროპოლიტ ეპისკოპოსს არ აქვს უფლება მის იურისდიქციაში მყოფ ეპისკოპოსებზე, მას არ შეუძლია ვერცხლისმოყვარეობის ან უძღებობის გამო აიძულოს ისინი, მისცენ მას რაიმე.

კანონი XXI- სამიტროპოლიტო საყდრებისა და პროვინციების რიგის პატივისა და წესრიგის და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ეპისკოპოსების შესახებ: (რადგანაც ამ ბრძანებაში თითოეული ქალაქის ეპისკოპოსები და სამიტროპოლიტო საყდრები არის ჩამოთვილი ერთიმეორისგან განცალკევებით, ასევე ეპისკოპოსები, რომლებიც არიან განთავსებული მათ იურისდიქციაში, (რომ) საყდარი პატივცემული უნდა იყოს თავად ქალაქის სიდიადის მიხედვით.) დაბრკოლება და უწესრიგობა ბატონობს გარკვეულ მხარეებში, სადაც არის ქალაქები, რომელთა ეპისკოპოსები გადაყენებული და დაგმობილი იქმნენ. ჭეშმარიტად, საცდურსა და ...[167] მოვიდა და ეს აქ არის... [ბეთ ლაპატი] და კარკა, ეპისკოპოსები... [იაზდაიდადი], აგაპიტი, მარი, ბარ შაბტა და შილა; მათ გამოიჩინეს თავხედობა, რომ მიეცათ მათთვის უნაყოფო ხელთდასხმა. და თითოეული მათგანი იყენებს ავტორიტეტს საკუთარი კეთილდღეობისთვის, ერისკაცებმა ... სწორედ ამიტომ აუცილებელია რომ ჩვენ განვსაზღვროთ და განვალაგოთ საყდრები თანმიმდევრობით.

ჩვენ ამ კრებაზე განვსაზღვრეთ, რომ ამ ორი ქალაქის, ბეთ ლაპატის და კარკას ეპისკოპოსები, დარჩნენ თოთოეული თავის ეკლესიასა და თავის კრებაში, ერთმანეთზე ყოველგვარი უფლებამოსილების გარეშე. მათ სიკვდილამდე არ შეუძლიათ აკურთხონ მღვდლები ან დიაკვნები, არც ქალაქში, არც

167 ხელნაწერი დაზიანებულია.

სოფლებში. რაც შეეხება ეპისკოპოსებს, მათ არ შეუძლიათ დაადგინონ სხვები, გარდა მათი, ვინც ზემოთ არის აღნიშნული. ეს განსაზღვრება დამტკიცებულია ანათემით.

საყდრები, რომლებიც არიან პატივცემულნი, თანმიმდევრობით განთავსებულნი ქალაქის სიდიადის მიხედვით. ეპისკოპოსმა, რომელსაც უჭირავს ესა თუ ის საყდარი, უნდა გაიზიაროს თავისი საყდრისა და ქალაქის პატივი.

პირველი და მთავარი საყდარი არის სელევკიისა და ქტეზიფონის, და ეპისკოპოსი, რომელიც იკავებს [ამ საყდარს], არის დიდი მიტროპოლიტი და ყველა ეპისკოპოსის თავი. კაშკარის ეპისკოპოსი აღირიცხება დიდი მიტროპოლიტის ეპარქიასთან და არის მისი მარჯვენა ხელი და თანამსახური და ხელმძღვანელობს მას მის შემდეგ. ამიერიდან [კაშკარის] პროვინციის მიტროპოლიტი არის დიდი მიტროპოლიტის იურისდიქციის ქვეშ, რომელსაც უკავია სელევკიისა და ქტეზიფონის საყდარი.

ამის შემდეგ არის ბეთ ლაპატის საყდარი, ბეთ ჰუზაიეს მიტროპოლიტი. ამგვარად, როდესაც ეპისკოპოსები, რომელთა შესახებ განისაზღვრა, გარდაიცვლებიან, ეპისკოპოსი, რომელიც სელევკიის მიტროპოლიტის მიერ იქნება ნაკურთხი, იქნება თავისი თანამოძმე ეპისკოპოსების მიტროპოლიტი ეპისკოპოსი.

ამის შემდეგ ნიზიბინის საყდარი და ეპისკოპოსი რომელსაც უკავია მიტროპოლიტობა არზონზე[168], ქარდუზე[169], ბეთ ზაბდაიზე,[170] ბეთ რაჰიმაიზე,[171] ბეთ მოკსაიეზე[172] და მათ ეპის-

168 Arzōn - ბერძნ. Ἀρζανηνή - არზანენე. ტიგროსის მარცხენა სანაპიროზე, მაიფერკატის აღმოსავლეთით.

169 Qardou - ბერძნ. Γορδυηνη - გორდიენე. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ტიგროსის მარცხენა სანაპიროზე, ზაბდიკენეს, რომელიც ტიგროსის მარჯვენა ნაპირს იკავებდა, მოპირდაპირე მხარეს.

170 Beit Zabdai - ბერძნ. Ζαβδικηνή - ზაბდიკენე. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ტიგროსის მარჯვენა სანაპიროზე.

171 Beit Rahimai - რეჰიმენე, სომხეთის სამხრეთით.

172 Beit Mŏksyĕ - მოხოენა, ვანის ტბის სამხრეთით. დღევანდელ აღმოსავლეთ თურქეთში, ვანის პროვინციაში.

კოპოსებზე.

ამის შემდეგ არის ფერატის და მაიშანის საყდარი და ეპისკოპოსი, რომელიც მიტროპოლიტობს კარკაზე[173] რიმაზე,[174] ნეჰარგურზე[175] და მათ ეპიკოპოსებზე.

ამის შემდეგ არის არბელას საყდარი და ეპისკოპოსი, რომელიც მიტროპოლიტობს ბეთ ნუჰადრაზე,[176] ბეთ ბაგაშზე,[177] ბეთ დასენზე,[178] რამონინზე,[179] ბეთ მაჰქარტზე,[180] დაბარინოსზე[181] და მათ ეპისკოპოსებზე.[182]

ამის შემდეგ არის კარკას[183] საყდარი და ეპისკოპოსი, რომელიც მიტროპოლიტობს შეჰარჰარტზე,[184] ლასომზე,[185] არივანზე,[186] რადანიზე,[187] ჰარბაგელალზე[188].[189]

173 Karka - კარკა ნიშნავს ციტადელს, სასანიანთა იმპერიაში რამდენიმე ქალაქი იყო ამ სახელწოდებით, აქ იგულისხმება karka de maišan - მაიშანის კარკა.

174 Rimă - მესენეს ქალაქი.

175 Nehargour - მაიშანსა და აჰვაზს შორის.

176 Beit Nouhadra - ეს დიოცეზი მდებარეობდა ტიგროსსა და ჰაბურს, ტურ აბდინსა და ჯებელის მთიანეთს შორის.

177 Beit Bagaš - დიდი ზაბის გასწერივ, აზერბაიჯანსა და დაბილს შორის.

178 Beit Dasen - გარას მთის რეგიონი, დიდი ზაბის დასაელეთით, ამადიის სამხრეთით.

179 Ramönïn - ადიაბენეში, იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

180 Beit Mahqart - ადიაბენეში, ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია.

181 Dabarinos - ადიაბენეში, იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

182 ამ ცნობას იმეორებს „არბელას ქრონიკა": „ისინი ასევე შეიკრიბნენ უფალ ისააკის დროს და დაადგინეს, რომ არბელას საეპისკოპოსო საყდარი უნდა ყოფილიყო სამიტროპოლიტო და მისი დაქვემდებარების ქვეშ უნდა ყოფილიყო სხვა მრავალი საყდარი: ბეთ ნუჰადრასი, ბეთ ბაგაშის, ბეთ დასენის, რამონინის, ბაჰქარტის (მაჰქარტი) და დაბარნასი (დაბარინოსი)". MSIHA-ZKHA.., 143.

183 აქ იგულისხმება ბეთ სელოკის კარკა - karka de Beit Selōk - თანამედროვე კირკუკი, ბეთ გარმაის მიტროპოლია.

184 Šeharqart - ბეთ გარმაიში, დაქუქსა და არბელას შორის.

185 Lasom - დაქუქიდან (ერაყში) სამხრეთ-დასაელეთით 1.5 კილომეტრში, მოსულიდან ბაღდადამდე მიმავალ გზაზე.

186 Arĕwăn - ბეთ გარმაის რეგიონში, მცირე ზაბზე.

187 Radani - ბაღდადის ჩრდილოეთით.

188 Harbagelal - სავარაუდოდ მცირე ზაბზე.

189 410 წლის საეკლესიო კრების 21-ე კანონი ჩართულია ებედიესუ ნიზიბინელის (XIII-XIV საუკუნე) შრომაში „საეკლესიო კრებათა დადგენილება",

სხვადასხვა ადგილების ეპისკოპოს[თა და] მიტროპოლიტთა სახელები, რომლებიც ამჟამად არიან ეპისკოპოსები. ბეთ ლაპატში, რომელიც არის მეტროპოლია, არ არის ეპისკოპოსი, რომლისგანაც ჩვენ შეგვიძლია აღვრიცხოთ მის თანამოძმე მიტროპოლიტებს შორის, რადგანაც ნებისმიერ ქალაქში, სადაც ორი ან სამი ეპისკოპოსია, კრებამ არ მიიღო ისინი. როდესაც იქნება მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი ბეთ ლაპატში,

---

მას მნიშვნელოვნად აქვს ტექსტი შეცვლილი, რათა მოერგო იგი თავისი დროისთვის: „იმავე კრების XXI კანონი. ეპარქიათა და მეტროპოლიათა საყდრების წოდების, ღირსებისა და სიძველის [შესახებ] და ეპისკოპოსების [შესახებ], რომლებიც მასზე დამოკიდებულნი არიან, თანმიმდევრობით. - საყდრები პატივდებული და განლაგებულია თანმიმდევრობით ქალაქის სიდიდის მიხედვით. თუნდაც ახალგაზრდა ეპისკოპოსმა დაიკავოს რომელიმე საყდარი, ის უნდა იყოს პატივდებული მისი საყდრისა და მისი ქალაქის შესაბამისად. პირველი და მთავარი საყდარი არის სელევკიისა და ქტეზიფონის, რომელსაც [ის] უკავია, იგი არის დიდი მიტროპოლიტი და ყველა ეპისკოპოსის ხელმძღვანელი. მის შემდეგ მოდიან საყდართა მიტროპოლიტები, რომლებიც ჩამოთვლილია: (I.) პირველი არის ელამის. – (II.) მეორე - სობასი, რომელიც არის ნიზიბინი. და მესოპოტამიელთა სირიის. - ეპისკოპოსები არიან: 1. არზონის; 2. ქუბის; 3. ბეთ რაჰიმაის; 4. ბალადის; 5. სიგარის; 6. ქარდუს; 7. ტამანონის; 8. ბეთ ზაბდაის; 9. ქელალის; 10. ჰარრანის; 11. ამიდის; 12. რეს'აინის; 13. ადორმიაჰის; (III.) მესამე არის ფერატ დე მაიშანის, რომელიც არის ბასრა; (IV.) მეოთხე - არბელასი, ჰაზზასი, ასურეთისა და მოსულის. - ეპისკოპოსები: ბეთ ნუჰადრანის, მარგასი, ჰინაიტას, ბეთ ბაგაშის, ტაიმანას, ჰადიტას, ჰეფტონის, დასენის, ადერბაიჯანის; (V.) მეხუთე არის კარკა დე ბეთ სელოკის და დაქუქის [საყდარი]; (VI.) მეექვსე არის ჰალაჰის, რომელიც არის ჰოლვანი და ჰამადანი. ამ ეპარქიის მიტროპოლიტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კათოლიკოსის არჩევასა და ხელთდასხმაში. არიან სხვებიც გარეშეთა შორის, მათ არ აქვთ უფლება ბრძანონ, ილაპარაკონ ან დაწერონ არჩევისას. - გარეშე მიტროპოლიტთა ჩამონათვალი: (VII.) პირველი არის ფარსისა და ზღვისპირა კუნძულების მიტროპოლიტი; (VIII.) მეორე - დამასკოს, იერუსალიმისა და სანაპირო ზოლის; (IX.) მესამე - მერვისა და ნიშაბურის; (X.) მეოთხე - თურქთა (თურქისტანი); (XI.) მეხუთე - რაზიქაიეს, სახელდობრ რეის, ყუმის და ქაშანის; (XII.) მეექვსე - ჰერივანის, სახელდობრ ჰერათის; (XIII.) მეშვიდე - არანისა და ალანიის, მისი სამყოფელი არის ბარდასა და სივნიეთში, სომხეთის ნაწილში; (XIV.) მერვე არის ზღვათა კუნძულებისა და შიდა მხარეების, დაბაგის, ჩინისა და მაჩინის" (Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 619-620).

იგი იქნება მიტროპოლიტი კარკას,[190] ჰორმიზდ-არდაშირის,[191] შუშტერინის, შუშის და მათი ეპისკოპოსებისა. ამ სამი ქალაქის ეპისკოპოსები დამტკიცებულნი არიან თითოეული თავისი ქალაქისთვის: იოჰანანი, ჰორმიზდ-არდაშირის ეპისკოპოსი, აბიშო, შუშტერინის ეპისკოპოსი და ზუქა, შუშის ეპისკოპოსი.

მეორე მიტროპოლიტი: ოსია, ნიზიბინის ეპისკოპოსი, მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეპისკოპოსები: დანიელი, არზონის ეპისკოპოსი; სამუელი, ეპისკოპოსი არზონისა ბეთ დ'აუსტანისთვის[192], დანიელი, ბეთ მოკსაიეს ეპისკოპოსი; აბრაამი, ბეთ რაჰიმაის ეპისკოპოსი;

მაიშანის მიტროპოლიტი: ზაბდა, ეპისკოპოსი ფერატისა, მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფნი: მარაი, კარკას ეპისკოპოსი; აბრაამი, რიმას ეპისკოპოსი; იოჰანანი, ნეჰარგურის ეპისკოპოსი.

ჰედაიაბის მიტროპოლიტი: დანიელი, არბელას ეპისკოპოსი, მის იურისდიქციაში მყოფნი: ისააკი, ბეთ ნუჰადრას ეპისკოპოსი; ბარინოსი, ბეთ ბაგაშის ეპისკოპოსი; აჰადაბუი, ბეთ დასენის ეპისკოპოსი; აქბალაჰა, რამონინის ეპისკოპოსი; ნოე რაბარინჰესნის?[193] ეპისკოპოსი.

ბეთ გარმაის მიტროპოლიტი: აქბალაჰა, კარკას[194] ეპისკოპოსი; [მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფნი:] პაველე, შეჰარქარტის ეპისკოპოსი; ბატა, ლაშომის ეპისკოპოსი; იოჰანანი, არევანის ეპისკოპოსი; ნარსე, რადანის ეპისკოპოსი; იოსები, ჰარბაგელალის ეპისკოპოსი.

---

190 karka — იგულისხმება karka de Ledān - ლედანის კარკა, ხუზისტანში, მდ. კერჰაზე.

191 Hormīzd-Ardašīr - მოგვიანებით, შემოკლებით „ჰორმიზირი", თანამედროვე აჰვაზი სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ხუზისტანში.

192 Arzon de Beita de'Aoustan - „ბეთ დ'აუსტანი" ნიშნავს „დინასტიის სახლს", მდებარეობდა სომხეთში, არზანენეს ჩრდილოეთით.

193 იკითხება ̈ ̈ ̈ - Rbrnhsn - აქ უნდა წერებულიყო ̈ ̈ ̈- დაბარინოსი, რომელიც არბელას მიტროპოლიტს ემორჩილებოდა.

194 ბეთ სელოკის კარკა.

„შორეული ეპარქიების - ფარსის,[195] კუნძულების,[196] ბეთ მადაიეს,[197] ბეთ რ[აზ]იქაიეს[198] და ასევე აბრაშაჰრის მხარის ეპისკოპოსებს შემდგომში ევალებათ კრების მიერ შემუშავებული კანონების მიღება. როგორც კი რომელიმე შემოვა, ვალდებულია მიიღოს, დაეთანხმოს, ხელი მოაწეროს ამ კანონებს.

დიდმა მიტროპოლიტმა დაამტკიცა ეპისკოპოსი არდაისა[199] და თოდურუს?[200] კუნძულებისთვის: მისი სახელია პავლე, რომელიც დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებებს და თავის თანამოძმე ეპისკოპოსებთან ერთად მოაწერა ხელი.

ბატაი მაშმაჰიგის[201] [ეპისკოპოსი], რომელიც განსჯასა და უკან დაბრუნებას ითხოვდა, არის ხელახლა განსჯილი, განკვეთილი, დამხობილი და მხილებული მთელი კრებისგან, იგი და [ის] ვინც მიიღებს მისგან ხელთდასხმას. - სხვა უგუნურებისა და დარღვევისათვის, ვინც ძალის გამოყენებით მიიტაცა ეპისკოპოსის ტიტული და ბევრი ადამიანი მოატყუა: ეპისკოპოსთა კრებამ დაადგინა, რომ ისინი არიან განსჯილნი და დაწყევლილნი ცასა და მიწაზე, ასევე ისინი, ვინც იღებს მათ, მონაწილეობს მათთან, მათთან ერთად ლოცულობს, საკუთარ სახლში შეჰყავს [ისინი]; იყვნენ ისინი უარყოფილნი ქრისტს მთელი ეკლესიისა და სამწყსოსგან. მათი ხსოვნა გაქრება ცისქვეშეთიდან. თუ ისინი აჩვენებენ სინანულის ნაყ-

195 Perse - ფარსი, თანამედროვე ირანის ოსტანი (პროვინცია), სპარსეთის ყურის აღმოსავლეთით.

196 ʾIlēs - Iles - აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა აქტებში აღნიშნავს სპარსეთის ყურის კუნძულთა ჯგუფს, რომლებიც მდებარეობს ბაჰრეინში, რომელთაც ჰყავდათ რამდენიმე ეპისკოპოსი.

197 Beit Madayĕ - ძველი მიდია, ჰამადანის გარშემო მდებარე ტერიტორია.

198 Beit R[az]iqayĕ - რეის პროვინცია, თანამედროვე ირანში, თეირანის ოსტანში.

199 Ardai - კუნძული, საეპისკოპოსო კათედრა, საეარაუდოდ ის, რომელსაც სხვა ადგილას დარაი ეწოდება.

200 Todourou - კუნძული, საეარაუდოდ ბაჰრეინის კუნძულთა ჯგუფში.

201 Mašmahig - სპარსეთის ყურის ერთ-ერთი კუნძული, ბაჰრეინსა და ომანს შორის.

ოფს, ისინი განიხილებიან, როგორც უბრალოდ ერისკაცნი, სანამ არ მიელენ დიდ მიტროპოლიტთან, ხელს მოაწერენ და უარს იტყვიან. და თუ ისინი დაიცავენ და გააკეთებენ, რაც იქნება დადგენილი, მაშინ ჩვენ შეგვიძლია შევიწყალოთ ისინი. თუკი მათგან რომელიმე გაბედავს შეეწინააღმდეგოს ამ დადგენილებას, მისი სიტყვა გადაცემული იქნება მეფისთვის, და ის მიიღებს სასჯელს მეფეთა მეფისა და კრებისგან და არ იქნება განკურნება ან პატიება მისთვის. კრების განსჯისა და ანათემის წერილის თანახმად, ისინი უნდა იყვნენ განსჯილნი, ანათემირებულნი და უარყოფილნი, სახელებით, ყველა ქვეყანაში სადაც ისინი არიან. ამ დამრღვეეთაგან ერთ-ერთი, სახელად დანიელი, აქ არის. მან მიიღო უნაყოფო ხელთდასხმა ბატაისგან, [რომელიც იყო] განსჯილი და დაგმობილი, რომელიც თავად განისჯება და ეკლესიიდან განიკვეთება. ის უნდა გავიდეს იმ მხარიდან, სადაც მას გადაცდომა აქვს და ჩვენ აღარასდროს ̣შევხვდებით მას. დაე წავიდეს თავის ადგილას, დამხობა და განკიცხვა [მას]!

უფლის, ქრისტეს მშვიდობა იყოს მათთან, რომლებიც მოციქულთა კათოლიკე ეკლესიის ჭეშმარიტი რწმენის გზაზე დადიან!

ხელმოწერები:

მე, ისააკი, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მარუთა, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ოსია, ეპისკოპოსი ნიზიბინისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ზაბდა, ეპისკოპოსი ფერატისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, დანიელი, ეპისკოპოსი არბელასი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აქბალაჰა, ეპისკოპოსი კარკასი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, იაზდაიდადი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აგაპიტი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მილესი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ბარ შაბტა, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მარი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, შილა, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აბდიშო, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ზუქა, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ბარ ჰაილა, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, დანიელი, ეპისკოპოსი არზონისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, სამუელი, ეპისკოპოსი არზონის ბეითა აუსტანისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მიჰრბოზიდი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მარაი, ეპისკოპოსი მაიშანის (კარკასი), ვუერთდები

ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აბრაამი, ეპისკოპოსი რიმასი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, იოჰანანი, ეპისკოპოსი ნეჰარგურისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ისააკი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ბარინოსი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, პაველე, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ..., ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მარაი, ეპისკოპოსი კაშკარისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ბატა, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, იოსები, ეპისკოპოსი არევანისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, იოჰანანი, ეპისკოპოსი გარიტინისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აბრაამი, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მარე, ეპისკოპოსი, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, მილესი, ეპისკოპოსი ფერათისა, ვუერთდები ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აბაი (აბი), ეპისკოპოსი რიმასი, ვუერთდები ყველაფერს, რაც დაწერილ იქნა ზემოთ, ამ წმიდა კრებაზე.

მე, აბდიშო, ეპისკოპოსი ნეჰარგურისა, ვუერთდები ყველაფერს, რაც დაწერილ იქნა ზემოთ, ამ წმიდა კრებაზე.

მე, მილესი, ეპისკოპოსი ზაბესი, ვუერთდები ყველაფერს, რაც დაწერილ იქნა ზემოთ, ამ წმიდა კრებაზე.

მე, ოსიამ, ჰირტას[202] ეპისკოპოსმა, დავადასტურე ყოველივე ზემოთ დაწერილი.

მე, სიმეონ ბარდუქმა, შუშტერის ეპისკოპოსმა, დავადასტურე ყოველივე ზემოთ დაწერილი.

მე, ელიამ, მაშმაჰიგის ეპისკოპოსმა, დავადასტურე ყოველივე ზემოთ დაწერილი".[203]

410 წლის კრება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, ვინაიდან, ამ დროს მოხდა აღმოსავლეთის ეკლესიის რეორგანიზაცია. კრებაზე, ფაქტობრივად, ოფიციალურად დაფუძნდა „აღმოსავლეთის ეკლესია", რომელსაც სათავეში ედგა სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი - აღმოსავლეთის კათოლიკოსი, ასევე ჩამოყალიბდა 5 საპატრიარქო: ბეთ ლაპატის, ნიზიბინის, ფერატის, ჰედაიაბისა და ბეთ გარმაის. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრების მიერ ნიკეის მრწამსის აღიარება, რითაც აღმოსავლეთის ეკლესიამ დაადასტურა თავისი მართლმადიდებლობა.

როდესაც ესაუბრობთ 410 წლის სელევკიის კრებაზე, გვერდს ვერ ავუვლით „კათოლიკოსის" ხსენებას ამ კრების აქტებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს ამ ტიტულის წარმოშობის დროსა და გარემოებაზე. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ტიტული პირველად მიიღო სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსმა პაპა ბარ აგგაიმ (დაახლ. 280-327), 315 წელს სელევკიაში გამართულ კრებაზე.[204]

---

202 ჰირტა ან არაბეთის ჰირტა, ლაჰმიდ არაბთა მცირე სამეფოს დედაქალაქი, მისი ნანგრევები არის ალის მეჩეთის (ნაჯაფში) სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქუფადან რამდენიმე კილომეტრში.

203 Chabot, Synodicon Orientale.., 254-275.

204 Stewart, Nestorian missionary enterprise: the story of a church on fire, 15; Alban Butler, John Cumming, Butler's Lives of the Saints: August: New Full Edition. Collegeville: Burns & Oates, 1998, 39; Henry Wace, A Dictionary of Christian Biography and Literature to the End of the Sixth Century A.D., with an Account of the Principal

მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით პირველი კათოლიკოსი სწორედ ისააკი იყო.[205] ხოლო მეცნიერთა მესამე ნაწილის თქმით, 410 წლის კრების აქტებში „კათოლიკოსის" მოხსენება ანაქრონისტულია და გვიანდელ ჩანართს წარმოადგენს, მათი აზრით, ეს ტიტული აღმოსავლეთის ეკლესიაში დამკვიდრდა მხოლოდ მე-5 საუკუნის ბოლოს.[206]

410 წლის კრების აქტებში „კათოლიკოს ეპისკოპოსად იხსენიება მხოლოდ ორი ადამიანი, ანტიოქიის ეპისკოპოსი პორფირიუსი (ⲡⲉⲥⲕⲟⲡⲟⲥ ⲛ̀ⲧⲁⲛⲧⲓⲟⲭⲓⲁ ⲙ̀ⲡⲟⲣⲫⲩⲣⲓⲟⲥ – „პორფირიუსი, კათოლიკოსი ეპისკოპოსი ანტიოქიისა") და სელევკია-ქტესიფონის ეპისკოპოსი ისააკი (ⲙ̀ⲡⲓⲥⲕⲟⲡⲟⲥ ⲛ̀ⲥⲉⲗⲉⲩⲕⲓⲁ ⲙⲛ̀ⲧⲕⲧⲥⲓⲫⲱⲛ - ისააკი, კათოლიკოსი ეპისკოპოსი), უილიამ უიგრამის (W. Wigram) თქმით, კათოლიკოსი იყო რომში სამოქალაქო და ფინანსური მოხელე, ეს ტიტული შემდეგ სომხებმა გადაიტანეს თავიანთი ეკლესიის მეთაურის ტიტულად და მათგან გადაიღეს სელევკიის ეპისკოპოსებმა.[207] თუმცა ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას და აი რატომ: ჩვენამდე მოღწეულია ცნობები, რომელთაგანაც ირკვევა, რომ „კათოლიკოსი" რომის იმპერიაში არ ყოფილა მხოლოდ საერო ტიტული, არამედ მას სასულიერო პირთა მიმართაც იყენებდნენ, კერძოდ, 400 წლით დათარიღებულ სინოდალურ ეპისტოლეში თეოფილე ალექსანდიელი პალესტინის ეპისკოპოსებს სწერს „ევლოგის, იოანეს, ზენობის, ავქსენტის, დიო-

Sects and Heresies. Grand Rapids, MI: Christian Classics Ethereal Library. 2000, 1194; Dr. Vilakuvelil Cherian Samuel, The Growing Church (An Introduction to Indian Church History). Kottayam: Divyabodhanam Publications, Orthodox Seminary, P. B. 98. 2007, 46.

205 Aubrey Russell Vine, The Nestorian Churches. London: Independent Press. 1937, 48, 80; Achim Nkosi Maseko, Church Schism & Corruption. Durban. 2008, 221; ბეჟან ჯავახია, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბილისი, უნიჟერსალი, 2005, 82.

206 Baum, Winkler, The Church of the East: A Concise History, 15-16; Brock, The Christology of the Church of the East in the Synods of the Fifth to Early Seventh Centuries, 126; Brock, Fire from Heaven: Studies in Syriac Theology and Liturgy.., 74.

207 Wigram , William Ainger, An introduction to the history of the Assyrian Church, or, The Church of the Sassanid Persian Empire, 100–640 A.D. London, Society for promoting Christian knowledge; New York, E.S. Gorham, 1910, 91.

ნისეს, გენადის, ზენონს, თეოდოსის, დიქტერის, პორფირის, სატურნინს, ალანის, პაველეს, ამონიუსს, ჰელიონს, სხვა პაველეს, ევსების და ყველას, კათოლიკოს ეპისკოპოსებს, ელიაში ტაძრის განახლების დღესასწაულზე შეკრებილთ, თეოფილე მიესალმება...".[208] რომის პაპი გრიგოლ კირიონ ქართლის კათოლიკოსს სწერს: „გრიგორიუსი, კვირიკე ეპისკოპოსს და სხვა კათოლიკოს ეპისკოპოსებს იბერიაში".[209] აშკარაა, რომ რომის იმპერიის ტერიტორიაზე ტერმინი „კათოლიკოსი" არ წარმოადგენდა საეკლესიო ტიტულს და მიემართებოდა ყველა მართლმორწმუნე ეპისკოპოსს, სწორედ ამ ფორმით შევიდა იგი აღმოსავლეთის ეკლესიაში, სადაც ტიტულის მნიშვნელობა შეიძინა და მხოლოდ ეკლესიის მეთაურს მიემართებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ანაქრონიზმად ჩაითვალოს 410 წლის კრების აქტებში „კათოლიკოსის" ხსენება და ვფიქრობთ, სწორედ ეს თარიღი (ან მისი ახლო ხანები) უნდა ჩაითვალოს ამ ტერმინის ტიტულად ფორმირების ხანად.

მართალია, კრების აქტებიდან ვერ დგინდება აღმოსავლეთის ეკლესიის ზუსტი საზღვრები 410 წლისთვის, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩრდილო-დასავლეთით მისი იურისდიქციის გავრცელება დასტურდება სომხეთამდე და ერთი საეპისკოპოსო - „ბეთ დ'აუსტანი" თვით სომხეთის ტერიტორიაზეც კი ემორჩილებოდა აღმოსავლეთის კათოლიკოსს და შედიოდა ნიზიბინის სამიტროპოლიტოში.

რა ვითარება იყო ამიერკავკასიაში? ექვემდებარებოდნენ თუ არა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები აღმოსავლეთის კათოლიკოსს? გ. მამულია სამართლიანად შენიშნავს, რომ რადგანაც კრებათა აქტებში არაფერია ნათქვამია 410 წლის კრების მუშაობაში ქართლის ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ, სავარაუდოა, რომ იმ დროისთვის ქართლის ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო მოქ-

208 Norman Russel, Theophilus of Alexsandria, The Early Church Fathers, 2007, 93.
209 Jacques Paul Migne. Patrologiae Cursus Completus. Series Latina. T. 77. სვეტი 1204.

ცეული სელევკია-ქტეზიფონის კათოლიკოსის უშუალო გავლენის ქვეშ.[210] მართლაც, რაკიღა აღმოსავლეთის ეკლესია ოფიციალურად სწორედ 410 წლის კრებაზე ჩამოყალიბდა, ამ დროისთვის იგი ვერ მოიცავდა სასანიანთა მთელს იმპერიას, თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სულ სხვა ვითარებაა 420 წლისთვის, როდესაც აღმოსავლეთის ეკლესიის კრებას ესწრებიან ამიერკავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები.

გ. ყიფიანის თქმით: იეზდიგერდმა „მძიმე და ამავე დროს თამამი გადაწყვეტილება მიიღო - გააერთიანოს ირანისა და რომის ეკლესიები".[211] უფრო ქვემოთ ავტორი წერს: „კრებამ დაადგინა, რომ ეს ორი ეკლესია, ირანისა და რომისა, უნდა გაერთიანდეს".[212] გაუგებარია, თუ რომელ ეკლესიას მოიაზრებს მკვლევარი „რომის ეკლესიაში", თუმცა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება, რომ კრებას აღმოსავლეთის ეკლესიის რომელიმე სხვა ეკლესიასთან გაერთიანების გადაწყვეტილება მიეღოს.

უფალ ოსააკის კრების დასასრული[213]

210 მამულია, ქართლის ეკლესია V –VI საუკუნეებში, 6, შენ. 2.

211 გურამ ყიფიანი, ბოლნისის სიონი (ტაძრის გეგმა და სამი უძველესი წარწერა), ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2010. 724.

212 ყიფიანი, ბოლნისის სიონი.., 725.

213 Chabot, Synodicon Orientale... 275.

კათოლიკოს ისააკის გარდაცვალების (411 წ.)[214] შემდეგ სელევკია-ქტეზიფონის საყდარი დაიკავა აჰაიმ (411-415/6)[215], ხოლო 415/6 წელს, როდესაც აჰაი გარდაიცვალა,[216]

214 „სიირთის ქრონიკის", ამრი იბნ მატასა და ელია ნიზიბინელის ცნობებით იგი 11-წლიანი კათოლიკოსობის შემდეგ, იეზდიგერდის მეფობის მე-12 წელს გარდაცვლილა (Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc. 2, 319; Maris, Amri, et Salibae.., pars. I, 15. La Chronographie d'Elie Bar-Synaia Metropolitain de Nisibe... 39). ისააკის კათოლიკოსობას 11 წლით განსაზღვრავენ მარი იბნ სულეიმანი და ბარ ებრაიაც (Maris, Amri, et Salibae: pars. II, 27; Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum, 52). ეს მონაცემები ისააკის გარდაცვალების თარიღად 410/411 წელს გვაძლევს.

215 გ. მამულია თავის გამოკვლევაში წერს: „მარ-ისააკის გარდაცვალების (410 წ.) შემდეგ, 418 წ. იეზდიგერდმა კათალიკოსად მარ-იაჰბალაჰა განაჩინა" (გიორგი მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბილისი: მეცნიერება. 1992. 7). მოცემული მონაკვეთიდან ისე გამოდის, თითქოს სელევკია-ქტეზიფონის საეპისკოპოსო კათედრა ისააკის გარდაცვალების შემდეგ 8 წლის განმავლობაში ვაკანტური იყო და მხოლოდ შემდეგ დაიკავა იგი იაჰბალაჰამ. როგორც ჩანს, ეს უხერხულობა იგრძნო ვ. თორაძემ, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიაზე საუბრისას გ. მამულიას გამოკვლევას ეყრდნობა და ისააკის გარდაცვალების თარიღად 418 წელი მიუთითა (ვახტანგ თორაძე, ნინო თორაძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2006, 61). სინამდვილეში ისააკის გარდაცვალების შემდეგ კათოლიკოსი იყო აჰაი, რომლის გარდაცვალების შემდეგ იაჰბალაჰა გახდა კათოლიკოსი (იხ. ზემოთ).

216 აჰაის კათოლიკოსობას ხანგრძლივობას წყაროები განსხვავებულად უჩვენებენ. ბარ ებრაიას ცნობით მისი კათოლიკოსობა 7 წელს გაგრძელდა, (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum.., T. III. 1877: 52.), „სიირთის ქრონიკის" ცნობით, აჰაი აღმოსავლეთის ეკლესიას 4 წელი, 7 თვე და რამდენიმე დღე ხელმძღვანელობდა. (Histoire nestorienne : (chronique de Séert). I partie, fasc 2, 325.), ელია ნიზიბინელის ცნობით აჰაი კათოლიკოსი იყო 4 წელი და 5 თვე და გარდაიცვალა იეზდიგერდის მეფობის მე-17 წელს (La Chronographie d'Elie Bar-Synaia Metropolitain de Nisibe... 39); ბარ ებრაიას ცნობით, იაჰბალაჰა ტახტზე ავიდა იეზდიგერდის მეფობის მე-16 წელს. (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , T.III. 1877: 54). როგორც 420 წლის კრების აქტებიდან ირკვევა, იაჰბალაჰას კათოლიკოსობის მე-3 წელი უდრიდა იეზდიგერდის მეფობის მე-19 წელს, ე.ი. იაჰბალაჰა კათოლიკოსი უნდა გამხდარიყო იეზდიგერდის მეფობის მე-17 = 415/6 წელს. შესაბამისად, აჰაის კათოლიკოსობისთვის რჩება დრო 411 წლიდან (ისააკის გარდაცვალება) 415/6 წლამდე (იაჰბალაჰას კათოლიკოსობის დასაწყისი), რაც მართლაც 4 წელი და რამდენიმე თვე გამოდის.

სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი გახდა იაჰბალაჰა.[217] 418 წელს იეზდიგერდმა იაჰბალაჰა სათავეში ჩაუყენა დიპლომატიურ მისიას და აღმოსავლეთ რომის იმპერიაში გააგზავნა, რა იყო ელჩობის მიზანი ეს დაუდგენელია. 420 წლის კრების აქტების მიხედვით იეზდიგერდს იაჰბალაჰა ორი სამეფოს „მშვიდობისა და შეთანხმებისთვის" გაუგზავნია, მაშასადამე ელჩობა პოლიტიკური მიზნით შემდგარა, მაგრამ 424 წლის კრების დოკუმენტებში საუბარია ელჩობის სხვა მიზეზზე: „კათოლიკოს უფალ იაჰბალაჰას დროს ასევე მოიქცნენ მეამბოხეები და ამპარტავნები... მათ ააღელვეს და აღაშფოთეს მრავალი ადამიანი, მათ აღაგზნეს სქიზმა და გათიშვა ეკლესიაში. მშვიდობის მაცნის მეშვეობით ეს ცნობილი გახდა ჩვენი დასავლელი მამებისთვის, რომლებმაც აცნობეს ეს იმპერატორს. ერთობლივი შეთანხმებით მათ გამოგზავნეს გულმოდგინე, ამ დავალების შესაბამისი ადამიანი. რომელმაც გამოაელინა ერთგულება წესებით, რომელიც მან შემოიღო და განაჩენით, რომელიც მან მიიღო მეამბოხეთა წინააღმდეგ, და დიდებული მშვიდობით, რომელიც მან დამყარა კათოლიკოს უფალ იაჰბალაჰას დროს".[218] ამ ცნობის მიხედვით, იაჰბალაჰას ელჩობის მიზეზი ყოფილა აღმოსავლეთის ეკლესიაში არსებული არეულობა.

იაჰბალაჰას კათოლიკოსობის მე-5 ე.ი. 419/420 წელს, აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა თეოდოსი მცირემ (408-450) ამიდის ეპისკოპოსი აკაკი გააგზავნა ირანში. სელევკია-ქტეზიფონში აკაკის ყოფნისას იეზდიგერდის

---

217 იაჰბალაჰა ნიშნავს „ღვთის მოცემულს", იგივეა რაც ბერძნ. თეოდორე - „ღვთის წყალობა". Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 321; Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , T.III. 1877: 54; Adrian Fortescue, The lesser eastern churches (London : Catholic Truth Society, 1913). 50; Assemani, De catholicis seu patriarchis chaldaeorum et nestorianorum commentaries, 14.

218 Chabot. Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, 293. და ქვემოთ, 424 წლის აქტებში.

თანდასწრებით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება. კრების აქტების მიხედვით იგი გამართულა იეზდიგერდის მეფობის 21-ე წელს, ესე იგი 419 წლის აგვისტოსა და 420 წლის აგვისტოს შორის. რაკიღა კრება მეფის თანდასწრებით გაიმართა, ხოლო სელევკია-ქტეზიფონი მეფის ზამთრის სადგომი იყო, ჯოფრი ჰერმანი ვარაუდობს, რომ კრება უნდა ჩატარებულიყო 419 წლის ზამთრისა და 420 წლის გაზაფხულის შუალედში.[219] ქვემოთ სრულად მოგვყავს კრების აქტები:

„კრება უფალ იაჰბალაჰასი, კათოლიკოსისა ბეთ ლაპატისა,[220] ნიზიბინისა, ფარსისა, არმენიისა,[221] მაიშანის ფერატი-

---

219 Geoffrey Herman, The Last Years of Yazdgird I and the Christians," in Geoffrey Herman, Jews, Christians and Zoroastrians, Religious Dynamics in a Sasanian Context (Piscataway: Gorgias Press, 2014) , 74; იქვე, შენ. 30. Geoffrey Herman, The Passion of Shabur, Martyred in the 18th year of Yazdgird with a Fragment of the Life of Mar Aba Catholicos , 124, შენ.17.

220 ამგვარი წაკითხვით ზემოთმოყვანილი ონომასტიკონი არის ტიტული იაჰბალაჰასი. კრების აქტების გერმანული თარგმანის გამომცემელმა ოსკარ ბრაუნმა ტექსტი ამგვარად გაამართა: „კრება მარ იაჰბალაჰასი, კათოლიკოსისა [და ეპისკოპოსებისა] ბეთ ლაპატისა, ნიზიბინისა, ფარსისა, არმენიისა, ფერატ დე მაიშანისა, ჰედაიაბისა, ბეთ გარმაისა, გურზანისა..." (Braun. Das Buch der Synhados.., 35). ხოლო ტექსტის ფრანგულ ენაზე გამომცემელმა ჟ.ბ. შაბომ ამგვარად აღადგინა ეს ადგილი: „კრება მარ იაჰბალაჰასი, კათოლიკოსისა [სელევკიისა და ქტეზიფონისა და ეპისკოპოსებისა] ბეთ ლაპატისა, ნიზიბინისა, ფარსისა, არმენიისა, ფერატ დე მაიშანისა, ჰედაიაბისა, ბეთ გარმაისა, გურზანისა..." (Chabot. Synodicon Orientale, 276. შენ. 1). ტექსტის ამგვარი წაკითხვით გამოვა, რომ ზემოთჩამოთვლილი ონომასტიკონი ეკუთვნის არა იაჰბალაჰას ტიტულს, არამედ კრებაზე მონაწილე ეპისკოპოსებს. მიუხედავად ტექსტის ამგვარი წაკითხვისა ჟ. ბ. შაბო უშვებდა, რომ შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს იმ პროვინციებთან, რომლებზედაც ერცელდებოდა მარ იაჰბალაჰას ძალაუფლება (Chabot, Synodicon Orientale, 276. შენ. 1) ამ მოსაზრებას ხელს უშლის ორი რამ: 1) ჩამონათვალში არის როგორც პროვინციის მიტროპოლიები, ისე მათ შემადგენლობაში მყოფი მცირე ქალაქები, ტიტულის შემთხვევაში მხოლოდ მეტროპოლიების ჩამოთვლაც საკმარისი იქნებოდა, 2) მიუხედავად იმისა, რომ კრების დოკუმენტებზე მხოლოდ 12 ხელმოწერაა შემორჩენილი და მათგან საეპისკოპოსო მხოლოდ 7-ს აქვს აღნიშნული, მათი მიმდევრობა ემთხვევა აქ წარმოდგენილ სიას. ამიტომაც, ვფიქრობთ, წარმოდგენილი ონომასტიკონი ეკუთვნის კრებაში მონაწილეებს და მათი რიცხვი უნდა იყოს არა 12, არამედ უფრო მეტი.

221 Armenie - სომხეთი.

სა, ჰედაიაბისა,[222] ბეთ გარმაისა, გურზანისა,[223] ბეთ მადაიესი, არანისა,[224] აბრაშაჰრისა,[225] ადორბიგანისა,[226] კუნძულებისა, ისთაჰრისა,[227] კარკასი, არზონისა, შუშისა, შუშტერისა, ბელაშფარისა,[228] დასქარტასი, ზაბესი,[229] ფეროზ-შაბურისა,[230] დარგერდისა,[231] ბეთ დარაიესი, შაბურ-კუასტისა,[232] არდაშირ-ფარიჰდისა,[233] ბეთ შაბურისა,[234] საიმარატისა.[235]

---

222 ჰედაიაბის მიტროპოლიტი იყო არბელას ეპისკოპოსი. (იხ. 410 წლის 21-ე კანონი), ამ დროს არბელას ეპისკოპოსი იყო დანიელი, „არბელას ქრონიკის“ ცნობით „მძიმე ავადმყოფობის გამო უფალმა დანიელმა ვერ შეძლო ამ კრებაზე დასწრება“ (MŠIHA-ZKHA..,143). თუკი ეს ცნობა სწორია, მაშინ მოცემული ონომასტიკონის კრებაში მონაწილეთა საეპისკოპოსოებად გაგება გაჭირდება. მეორე მხრივ, რაკიღა 420 წლის დოკუმენტებზე დანიელის ხელმოწერა არაა, შესაძლოა, ქრონიკის ავტორმა ჩათვალა, რომ იგი ამ კრებას არ დასწრებია და ამის ასახსნელად დანიელის ავადმყოფობა მოიგონა, როგორც გამამართლებელი ამ კრებაზე მისი არყოფნისა,

223 Gurzan - ქართლი.

224 Aran - ალბანეთი.

225 Abrašahr - ფაჰლაურად Aparšaru – “ზემო ქვეყანა“, მხარე, რომელშიც ქალაქი ნიშაბური დაარსდა. ხორასანში.

226 Adorbigan - ძველი ატროპატენე, მისი დედაქალაქი იყო განძაკი, თანამედროვე ჩრდილოეთ ირანსა და აზერბაიჯანში.

227 Istahr - ფარსში, ძველი პერსეპოლისის ახლოს.

228 Belašpar - ბერძნ. βολογεσιφορα - ჰოლვანთან ახლოს.

229 სირიულში არის ܪܒܬ ܪܒܝܬ- ზაბეს დასქარტა, ამგვარად კითხულობს მას ო. ბრაუნი, ხოლო შაბო მას ჰყოფს ორ ნაწილად დასტაგერდად და ზაბედ. ზაბე - ტიგროსის მარჯვენა სანაპიროზე, სელევკიასა და კაშკარს შორის.

230 Peroz-Šabur სპარს. Ambara, ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ტაბარის ცნობით დაუარსებია შაბურ II-ს (The History of al-Tabari. Volume V, 56-57).

231 Dargerd – უნდა იყოს „დარაბგერდის“ შემოკლება ან გადამწერის შეცდომა. დარაბგერდი, თანამედროვე დარაბი ირანში, ფარსის პროვინციაში.

232 Šabur-kuast - ააშენა შაბურ I-მა, თანამედროვე კურემაბადი,

233 Ardašir-Pharihd ან Ardašir-Phrihr - ო. ბარუნის აზრით, იგი უნდა იყოს პარიადრე, ხოლო ჯ. შაბო ფიქრობდა, რომ შესაძლოა, ეს ყოფილიყო პტოლემეს მიერ დასახელებული პარადენე, თანამედროვე ბელუჯისტანში (მოიცავს პაკისტანის, ირანისა და ავღანეთის ნაწილს).

234 Beit Šabur - ბეჰ-შაბური ფარსში.

235 çaimarat - შირვანიდან სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი დღის საეალზე, მიჰრაგანქადაქად წოდებულ რეგიონში.

მეფეთა-მეფე იეზდიგერდის მეფობის 21-ე წელს, რომლის სამეფო ძალაუფლება ღვთის წყალობით მშვიდობას ამყარებს მთელს სამყაროზე და რომლის კეთილმოსურნეობასაც მოაქვს ქრისტეს ეკლესიისა და სამწყსოს აღზევება მთელს აღმოსავლეთში. - ღვთის ღირსეული და დიდებული რჩეულის, უფალ იაჰბალაჰას, აღმოსავლეთის ეპისკოპოსის, კათოლიკოსისა და მთავარეპისკოპოსის, ნეტარი პონტიფიკატის მეთაურობის ქვეშ. მისი მმართველობის მეხუთე წელს. - იმ დროს, როდესაც პატივსაცემი უფალი აკაკი, ეპისკოპოსი ამიდისა, რომაელთა იმპერატორის მიერ დესპანად იქნა გაგზავნილი გამარჯვებულ და მშვიდობისმოყვარე მეფეთა მეფესთან, ქრისტეს ეკლესიისა და კრებულის, რომელიც არის აღმოსავლეთში, სიმშვიდისა და დაწყნარებისთვის, რომ თავისი ჩამოსვლით ეპასუხა ჩვენი მამის, წმინდა მღვდლის, პატივსაცემი უფლის, ეპისკოპოს იაჰბალაჰას, აღმოსავლეთის ყველა ეპისკოპოსის მეთაურისა და კათოლიკოსის ელჩობისათვის. რომელიც სახელოვანი და მშვიდობისმოყვარე, გამარჯვებული მეფეთა მეფისგან, მისი მეფობის მეცხრამეტე და ჩვენი პატივსაცემი მამის, უფალ იაჰბალაჰას, ეპისკოპოსის, აღმოსავლეთის კათოლიკოსის სამღვდელო მმართველობის მესამე წელს, მისი უდიდებულობის სახელით გაიგზავნა რომის იმპერატორთან დიდი პომპეზურობითა და პატივისცემით,[236] ამ ორი სამეფოს, რომლებიც სამყაროს მტკიცე საყრდენები

236 "სიირთის ქრონიკის" ცნობით, იაჰბალაჰას რომაელთა ქვეყნიდან „წმინდა სამკაული" ჩამოუტანია, Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 332.

არიან, მშვიდობისა და შეთანხმებისთვის.[237]

იმ დროს, როდესაც ჩვენი მამები, ორი დესპანი მღვდელმთავარი, მეფეთა მეფესთან ერთად იყვნენ ქალაქ ბეჰ-არდაშირში.[238]

---

237 „სიირთის ქრონიკა" ამ მოვლენათა თანმიმდევრობას სხვაგვარად გადმოგვცემს: „მისი (იაბალაჰას) კათოლიკოსად კურთხევიდან 3 წლის შემდეგ, არკადის შვილმა თეოდოსიმ, რომის იმპერატორმა, აკაკი ამიდელი წერილით გააგზავნა იეზდიგერდთან, იაბალაჰასთან შეთანხმებით.აკაკიმ დაადგინა ეკლესიისა და მორწმუნეთა მართვისთვის საჭირო წესები, დაამტკიცა ნიკეის დასაყოლელი მამებისა და კათოლიკოსის ისააკის კანონები და ასევე სხვა კანონები... იაბალაჰას კათოლიკოსობის მე-4 წელს, იეზდიგერდმა, თეოდოსის მიერ აკაკის გამოგზავნის სამადლობელად თავის მხრივ ელჩად გაგზავნა იაბალაჰა, გაატანა წერილი და ჩინებული საჩუქრები. მან მისწერა თავის მეგობრებს, რომ მომსახურებოდნენ იაბალაჰას და პატივით მოპყრობოდნენ მისი მოგზაურობის განმავლობაში. როდესაც იგი ჩაიდა თეოდოსისთან, კათოლიკოსმა გადასცა მას მეფის წერილი და დაარწმუნა იგი სპარსეთის ეკლესიის ორთოდოქსობაში, მათი სწავლებების ერთიანობასა და ორი სუბსტანციის უარყოფაში. იაბალაჰას გონიერებით აღტაცებულმა, უბოძა მას საჩუქრები: ფულადი თანხა და სხვა საჩუქრები, რომლებიც სპარსეთში ძნელად ხელმისაწვდომი იყო. და მისცა იეზდიგერდს ყველაფერი, რაც მან სთხოვა. თავის სამყოფელში დაბრუნებულმა იაბალაჰამ თეოდოსის მოცემული საჩუქრებით განაახლა სელევკიის ეკლესია და ააშენა სხვები" (Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 332). სხვა ადგილას იგივე წყარო ახსენებს „წმიდა სამკაულს" რომელიც იაბალაჰას ჩამოუტანია რომაელთა ქვეყნიდან და შემდეგში ბაპრამ მე-5-მ მიითვისა: ბაპრამმა „მიითვისა წმინდა სამკაული, რომელიც იაბალაჰამ ჩამოიტანა რომაელების ქვეყნიდან". (Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 332.), ხოლო პეროზ ბეთ ლაპატელის მარტვილობის მიხედვით ბაპრამს გაუძარცვავს სელევკიის დიდი ტაძრის მოკაზმულობა, რომელიც რომაელთა მეფემ და მისმა მღვდლებმა გამოგზავნეს ტაძრისთვის და ცეცხლის ტაძრისთვის გადაუცია (Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang: Ostsyrisches Mönchsleben Aus dem Syrischen übers. von Oskar Braun.., 165).

238 Beh-Ardašir - ბეჰ-არდაშირი ან ვეჰ-არდაშირი, სელევკიის ოფიციალური სახელი. განახლდა არდაშირ I -ის (224-241) მიერ, სახელი, ჟ. შაბოს თქმით, ერთდროულად აღნიშნავდა სელევკიასა და ქტეზიფონს. თ.უმცა ამ მოსაზრებას მხარს არაფერი უჭერს, ვფიქრობთ, „ბეჰ არდაშირი" აღნიშნავდა მხოლოდ სელევკიას, რადგანაც იქ, სადაც წყაროებში ორივე ქალაქის შესახებ არის საუბარი, ისინი თავიანთი სახელით იხსენიება „ბეჰ არდაშირი" და „ქტეზიფონი". მაგალითისთვის 544 წლის საეკლესიო კრების აქტებში იხსენიება „ბეჰ არდაშირისა და ქტეზიფონის ქალაქების საეპისკოპოსო საყდრის სამღვდელოება..." (Chabot, Synodicon Orientale.., 328); ხოლო ტაბარის ცნობით, იეზდიგერდ I-ის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც არისტოკრატიამ ტახტზე სასანიანთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი ხოსრო გაამეფა, იეზდიგერდის ვაჟის, ბაპრამის აღმზრდელმა ალ-მუნდირმა თავისი შვილის მეთურობით ჯარები გაგზავნა „ქტეზიფონისა და ბიჰ არდაშირის, ორი სამეფო ქალაქის წინააღმდეგ" (The History of al-Tabari . Volume V, 87).

ჩვენ ყველა, აღმოსავლეთის მთელი მიწის ეპისკოპოსები, შევიკრიბეთ, რომ შევხვედროდით და მოკრძალებით მოვპყრობოდით ჩვენს მამას, პატივსაცემ უფალ იაჰბალაჰას, ეპისკოპოსს, კათოლიკოსს აღმოსავლეთისა. და წარვმდგარიყავით მისი პატივსაცემი ძმის, უფალ აკაკის, ეპისკოპოსისა და მოციქულის წინაშე, და ერთობლივი შეთანხმებითა და ნებით, ჩვენ წარვუდგინეთ ეს თხოვნა მის მამობას, და პატივსაცემ უფალ აკაკის, ეპისკოპოსსა და მოციქულს[239]: „რადგანაც თქვენი მამობა დასაველეთში დესპანად არის დადგენილი, და თქვენმა სიწმიდემ მონაწილეობა მიიღო კათოლიკე ეკლესიის ყველა მსახურებაში ამ ქვეყნის ბრწყინვალე ქალაქების წმიდა მღვდელმთავრებთან ერთად. რადგანაც, თქვენი პატივსაცემი ძმა, ეპისკოპოსი უფალი აკაკი, თავის მხრივ, აქ ჩამოვიდა დესპანად და რადგანაც სამღვდელო წესრიგთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ის ეთანხმება თქვენს ღირსებას და ჩვენ, მართებულია, რომ ჩვენ ვეცადოთ, დავწეროთ, დავამტკიცოთ და დავადასტუროთ ჩვენი ბეჭდებითა და ხელმოწერებით დიდებული კანონები, რომელიც სათანადოდ იქნა დადგენილი ჩვენი მამების, ნეტარი მოციქულების ტრადიციით, სამღვდელოების სამართავად, და ასევე უცვლელი წესები და კანონები, დადგენილი ეპისკოპოსთა კრებებზე, რომელიც გაიმართა სხვადასხვა დროს დასავლეთში: - ჭეშმარიტი ღვთის მეგობრის, ძლევამოსილი იმპერატორის კონსტანტინეს დროს, როდესაც 318 ეპისკოპოსი შეიკრიბა ქალაქ ნიკეაში.

239 ამ დოკუმენტის მიხედვით, კრების მოწყობის ინიციატივა ეკუთვნოდათ თავად ეპისკოპოსებს, ხოლო „არბელას ქრონიკის“ ცნობით კრება მოუწვევია თავად იაჰბალაჰას: „პატრიარქმა იაჰბალაჰამ დაწერა და მოიწვია ყველა ეპისკოპოსი, რომ შეკრებილიყვნენ მასთან საეკლესიო საქმეებისთვის“ (MŠIHA-ZKHA.., 143). ბუნებრივია, კრების მოწვევის ბრძანება იეზდიგერდს უნდა გაეცა, რაც შემდეგ ეპისკოპოსებისთვის კათოლიკოსს უნდა ეცნობებინა, ამდენად „არბელას ქრონიკის“ ცნობა სიმაროლეს უნდა შეესაბამებოდეს.

სხვა კანონები, რომლებიც დადგენილია კრების მიერ, რომელიც გაიმართა გალატიის ანკვირიაში,[240] და კაბადოკიის

240 რომის იმპერატორ მაქსიმიანეს დევნილობის შემდეგ, როდესაც მშვიდობა დამყარდა, ბევრი ქრისტიანი - დევნილობის დროს შიშით ან რაიმე სხვა მიზეზით ეკლესიისგან გამდგარი - ითხოვდა ეკლესიაში მიღებას, ამიტომაც შედგა კრება, რომელზეც იმსჯელეს თუ როგორ უნდა მიეღოთ ეს ადამიანები ეკლესიაში და რა სასჯელი განესჯით მათთვის (ერიკო გაბიძაშვილი, შრომები, ტ. 1: მონოგრაფიული ნარკვევები. თბილისი, 2010. 347). კრება ჩატარდა გალატიის ანკვირიაში. კრების ჩატარების ზუსტი თარიღი დადგენილი არაა, ანკირიის კრება უნდა იგულისხმებოდეს ევსევი კესარიელის ცნობაში, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ იმპერატორ მაქსიმიანე დაზას გარდაცვალების შემდეგ ეპისკოპოსები შეიკრიბნენ (Eusebius of Caesarea, Church History, Book X.3.) მაქსიმიანე დაზა გარდაიცვალა 313 ზაფხულში, შესაბამისად სწორედ ეს თარიღია ანკვირიის კრების გამართვის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი (Karl Joseph von Hefele, A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. T. & T. Clark. 1871, 199) კრების დადგენილებებზე ხელისმომწერთა სიაში პირველ ადგილზე არის ანტიოქიის ეპისკოპოსი ვიტალი, (Giovanni Domenico Mansi, Sacrorum Conciliorum Nova et Amplissima Collectio. T. II. Florentiae: expensis Antonii Zatta Veneti, 1759. Col. 534.) ამიტომაც მიიჩნევა, რომ სწორედ იგი ხელმძღვანელობდა კრებას. (Hefele. A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. 1871. 201). რადგანაც ვიტალი ანტიოქიელი 319 წელს გარდაიცვალა, კრების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 319 წელია (Hefele, A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. 1871. 199). ბინიუსი მიიჩნევდა, რომ იპოვა უფრო ზუსტი დათარიღების საფუძველი, ანკვირიის კრებას ესწრებოდა ამასიის ეპისკოპოსი ბასილი (Mansi, Sacrorum Conciliorum.., II. Col. 534.), ბინიუსი თვლიდა, რომ იგი ეწამა იმპერატორ ლიცინიუსის დროს, 316 წელს, შესაბამისად კრების გამართვის ზედა ქრონოლოგიურ თარიღად იგი 316 წელს მიიჩნევდა (Mansi, Sacrorum Conciliorum.., II. Col. 536.), მაგრამ ტილემონმა დაამტკიცა, რომ იგი არ უწამებიათ 320 წლამდე (Hefele, A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. 1871. 199.). კრების თარიღზე მსჯელობისას ჰეფელეს მოჰყავს მოციქულთა 36-ე (38) კანონი, რომლის მიხედვითაც კრება უნდა მოწვეულიყო წელიწადში ორჯერ, პირველად - აღდგომიდან მე-4 კვირაში, ხოლო რადგანაც მაქსიმიანე 313 წლის ზაფხულში გარდაიცვალა, ამის შემდეგ პირველი სულთმოფენობა იქნებოდა 314 წელს. მისი თქმით, ქრისტიანებს უმალ უნდა ესარგებლათ მაქსიმიანეს სიკვდილით მოხიჭებული თავისუფლებით და 314 წელს უნდა მოეწვიათ კრება (Hefele, A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. 1871. 199.). ამ თარიღს მხარს უჭერს მეცნიერთა უმრავლესობა (Hefele, A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. 1871. 200.) კრებას ესწრებოდა 18 ეპისკოპოსი (Mansi, Sacrorum Conciliorum.., II. Col. 534.) და კრებამ მიიღო 25 კანონი (დიდი სჯულისკანონი, ლათინურ გამოცემებში 24 კანონია (Mansi, Sacrorum Conciliorum.., II. Col. 528- 534.), რადგანაც გაერთიანებულია მე-4 და მე-5 კანონები (გაბიძაშვილი, შრომები.., 348). ამ კანონებიდან 1-9 და 12 კანონი შეეხო ქრისტიანობიდან განდგომილთა ეკლესიაში მიღებას, ხოლო დანარჩენი - საეკლესიო დისციპლინის ზოგად წესებს. ე. გაბიძაშვილი აღნიშნავს, რომ ანკვირიის კრების მე-10 კანონი გააუქმა ტრულის კრებამ მე-6 კანონით (გაბიძაშვილი, შრომები.., 348.) თუმცა ჩვენ ამ კანონებში ვერ ვხედავთ რაიმე საწინააღმდეგოს ანკვირიის კრების მე-10 კანონისა.

სირიაში,[241] სხვა კანონები, რომლებიც დადგენილია ქალაქ (ნეო)კესარიაში[242] გამართული კრების მიერ.[243] სხვა კანონები, რომლებიც დადგენილია კრების მიერ, რომელიც

---

241 ორიგინალშია Suria kpdokia. ჯ. შაბო მიიჩნევდა, რომ აქ უეჭველად გადამწერის შეცდომაა, აბას კანონებში, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს 420 წლის კრების აქტების ამ ადგილს, წერია კაბადოკიის კესარია (სირიული ტექსტი: Chabot, Synodicon Orientale.., 545 თარგმანი Chabot. Synodicon Orientale.., 555), მაგრამ რაკიღა კესარიის კრება უცნობი იყო შაბოსთვის, მისი აზრით, თავდაპირველად აქ უნდა წერებულიყო არა კაბადოკიის კესარია, არამედ კაბადოკიის ნეოკესარია (Chabot. Synodicon Orientale.., 278, შენ.2), მაგრამ, რაკიღა ნეოკესარია 420 წლის და აბას კანონებში ცალკეა მოხსენებული, რთულია ბოლომდე ამ მოსაზრებას დავეთანხმოთ.

242 ორიგინალშია ܩܝܣܪ - კესარია, მაგრამ რადგანაც აბას კანონებში იკითხება ܢܝܩܘܣܩܝܣܪ (Chabot. Synodicon Orientale.., 545; 555) - ნეოკესარია, ასევე აღადგენს 420 წლის კრების ტექსტში ჯ. შაბო. (Chabot. Synodicon Orientale.., 278, ასევე იქვე, შენ. 3.)

243 ნეოკესარიის კრების ზუსტი თარიღი უცნობია, კანონიკურ კრებულებში აღნიშნულია, რომ იგი ანკირიის კრების შემდეგ და ნიკეის კრებამდე გაიმართა. კრების გამართვის მეორე ქრონოლოგიურ საყრდენს იძლევა კრების დადგენილებების ზოგიერთ რედაქციაში არსებული ხელისმოწერთა სია, რომლის მიხედვითაც კრებაში მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა ვიტალი ანტიოქიელი (Mansi. Sacrorum Conciliorum.., II. Col. 548.), ამ მონაცემით კრება გამართულა 314-319 წლებში, მაგრამ რადგანაც ნეოკესარიის კრების მასალებში არსებული ხელმომწერების დიდი ნაწილი ემთხვევა ანკირიის კრებაზე მონაწილეთა სიას (ვიტალი ანტიოქიელი, ლუპუსი კილიკიის ტარსუსის, ბასილი ამასიელი, ჰერაკლე ზელის, ნარცისი კილიკიის ნერონიადის, ლეონტი კესარიელი, ლონგინოს ნეოკესარიელი, ამფიონ ეპიფანიელი, სალამანუს გერმანიკიელი, გერმანე პალესტინის ნეაპოლისელი. Mansi. Sacrorum Conciliorum.., II. Col. 534, 548) მკვლევართა დიდმა ნაწილმა ეჭქვეშ დააყენა ამ ხელმოწერათა ისტორიული ღირებულება, ამიტომაც ჰეფელე დაასკვნის, რომ ძალაში უნდა დარჩეს ნეოკესარიის კრების ზოგადი დათარიღება, 314-325 წლები. (Hefele, A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. 1871. 222-223) კრებამ მიიღო 15 კანონი.

გაიმართა ქალაქ ღანგრაში.[244] სხვა კანონები, რომლებიც დადგენილია ქალაქ ანტიოქიაში ტაძრის კურთხევისას გამართული კრების მიერ.[245] სხვა კანონები, რომლებიც დადგენილია იმ კრების მიერ, რომელიც გაიმართა ფრიგიის ლაოდიკიაში".[246]

244 არც ღანგრის კრების ჩატარების თარიღია ისტორიოგრაფიაში ზუსტად გარკვეული, სოკრატე მას 360 წლის კონსტანტინოპოლის კრების შემდეგ ათაესებს (სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია.., 186-187) სოზომენე კი ანტიოქიის 341 წლის კრებამდე (Sozomen. Ecclesiastical History. Translated by Chester D. Hartranft. In Schaff, Philip; Wace, Henry. Nicene and Post-Nicene Fathers, Second Series. 2.. Buffalo. 1890, IV. 24), არც კრების მასალები იძლევა რაიმეს დაზუსტების საშუალებას. გაურკვეველია, ვინ იყო ცალკეული რედაქციების მიერ კრების თავმჯდომარედ დასახელებული ევსევი, (ევსევი ნიკომიდიელი თუ ევსევი კაბადოკიის კესარიიდან), ისტორიკოსთა მოსაზრებები კრების თარიღის შესახებ იხ. Karl Joseph von Hefele. A History of the Councils of the Church: A.D. 326 to A.D. 429. T. & T. Clark. 1876 325-326; 335-339. კრების თარიღის გამოსარკვევად საინტერესოა ჟ. შაბოს ცნობა, რომლის მიხედვითაც ბორჯიას მუზეუმსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ ღანგრის კრების კანონთა სირიულ ვერსიებში აღნიშნულია, რომ ეს კრება გაიმართა პლაკიდისა და რომულის კონსულობისას, მარკუს ცეცილიანუს პლაკიდუსი და ფლავიუს რომულუსი კონსულები იყვნენ 343 წელს, ამ მითითებით კრება 343 წელს გამართულა (Chabot. Synodicon Orientale.., 278. შენ. 4.). ერთადერთი, რაც ზუსტად ეცით, ისაა, რომ კრებამ მიიღო 21 კანონი.

245 ანტიოქიის კრების შესახებ ცნობები მოეპოვებათ სოკრატე სქოლასტიკოსსა და სოზომენეს, მათი ცნობით ანტიოქიის ახალი ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით იმპერატორ კონსტანცის (337-361) თანდასწრებით შედგა კრება. სოკრატე სქოლასტიკოსის სიტყვით, ეს მომხდარა მარკელუსისა და პრობინუსის კონსულობისას, კონსტანტინე დიდის გარდაცვალებიდან მე-5 წელს, (სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია.., 101), რაც 341 წელს უდრის. სოზომენეს ცნობით კრებას ხელმძღვანელობდა ანტიოქიის ეპისკოპოსი პლაკიტოსი (Sozomen. Ecclesiastical History.., III. 5). მისივე ცნობით კრებაში მონაწილე ეპისკოპოსთა რაოდენობა დაახლოებით 97 იყო (Sozomen. Ecclesiastical History.., III. 5). კრებამ მიიღო 25 კანონი, ამასთან განკვეთა ათანასე ალექსანდრიელი. ზოგიერთი მეცნიერი ამ კანონებს მიაწერს არა 341 წლის, არამედ 332 წლის ანტიოქიის კრებას. ერცლად იხილეთ: Hefele. A History of the Councils of the Church: A.D. 326 to A.D. 429. T. & T. Clark. 1876, 56-82.

246 ისტორიოგრაფიაში სადაეოა ლაოდიკიის კრების თარიღიც, გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ნიკეის მსოფლიო კრებაზე ადრე გაიმართა, ანდაც 343 ან 365 წელს, მაგრამ მეცნიერთა დიდი ნაწილი ამჯობინებს ზოგადად მიუთითოს 343-381 წლებს შორის პერიოდი, (სარდიკიისა და მეორე მსოფლიო კრებას შორის), როგორც ლაოდიკიის კრების ჩატარების ქრონოლოგიური ჩარჩო. (Hefele. A History of the Councils of the Church: A.D. 326 to A.D. 429. T. & T. Clark. 1876. 295-298), კრებას ესწრებოდა აზიის მრავალი ეპისკოპოსი, კრებაზე მიიღეს 60 კანონი.

ამისთვის მან უბრძანა ნოტარს, რომელმაც შეკრიბა ჩვენი ნათქვამი და დაწერა ეს, ყველას შეთანხმებითა და ჩვენი კრების ერთსულოვანი ნებით: „ჩვენი სათაყვანებელი ღმერთი მრავალჯერ და მრავალნაირად ესაუბრებოდა ჩვენს ძველ მამებს.[247] და მან უხვად გადმოღვარა თავისი წყალობა ადამიანთა მოდგმაზე. ახლა ის კვლავ იყენებს თავის ჩვეულ წყალობას მათზე, რომლებიც მოუხმობენ მის სახელს. ის მოიხილავს თავის ეკლესიას სიკეთის მთელი სისავსით. და თავისი მსახურების- მღვდლების მეშვეობით სამწყსოს სთავაზობს თავისი მაცხოვნებელი სისხლით გამოსყიდვას. ეპისკოპოსი მამები სხვადასხვა დროს სუფთა განზრახვით იკრიბებდნენ წმიდა კრებაზე. მან მათი პირიდან გადმოადინა ის, რაც საჭირო იყო ეკლესიების დაფუძნების, გაუმჯობესებისა და რეგულირებისათვის. ღვთაებრივი სულის ძალით მათ შეძლეს, რომ დაედგინათ სასარგებლო, მაცოცხლებელი და დამცველი კანონები მათთვის, ვინც იღებს მიუწვდომელი სამების ჭეშმარიტებასა და უსაზღვრო უდიდებულესობას, რომ მმართველობა იყოს მოწესრიგებული, მღვდლობა - დაცული. ერთობა - გადარჩენილი. რომ ერისკაცები დაშორებულნი იქნებიან ცოდვის ორმოსგან. მათთვის, ვის წინაშეც სატანა, კაცობრიობის მტერი, გაბრწყინდა. მათთვის, ვისი დაცემაც მან გაამრავლა, რომლებიც შეაწუხა თავისი იდუმალი ხრიკებით. ეპიტიმიის დაკისრება დაწესებულია როგორც წამოდგომის საშუალება. სამყაროში მისი ბოროტებისგან დაგროვილი ნანგრევების წინააღმდეგ, მათ დაადგინეს კანონები, როგორც მცველი და გამათავისუფლებელი. ასე რომ, ცოდვა, მახვილზე უფრო საზარელი, აღარ მოქმედებს მისი ბრძანების მიხედვით, არამედ აკრძალულია, რომ მისი ფესვები შურისძიების შიშით გამხმარია და მას არ შეუძლია მისი მორწყვა ამქვეყნიური სიტკბოებით და აღვირახსნილობის ნაყოფის

247 "მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაწარმეტყველთა მიერ," ებრ. 1. 1.

გამოღება. ამგვარად, ნებისმიერ შემთხვევაში, კაცობრიობის მტერს ძლიერი დარტყმა აქვს მიყენებული და მოკლულია შეუბრალებელ ჯლეტაში. ჩვენი უფლის, ქრისტეს, მთელმა ეკლესიამ, რომელიც არის რომაელთა მთელს იმპერიაში და მათმა მეთაურებმა, სიხარულით მიიღეს მრავალი ხნის განმაელობაში კურთხეულ კრებაზე სულისგან შთაგონებული ეპისკოპოსი მამების მიერ მოციქულთა ტრადიციების თანახმად დადგენილი [წესები]. და ისინი დიდი სიფრთხილით იცავდნენ ყველა ამ სასარგებლო კანონს. მაგრამ, ჩვენი ქვეყნის ეკლესიების მსგავსად, ჩამოერთვათ მათაც. მათ შორის მრავალი დაბრკოლება იყო. დავები და გაყოფა მოხდა, რადგანაც მეთაურებს არ ჰქონდათ წესი. ქრისტეს სამწყსო მოედო ფეხით გათელილ საძოვრებს და სვამდა თავიანთი უთანხმოებისგან ამღვრეულ წყალს, და დაავადებები და უძლურებები გამრავლდა მათ შორის. სამკურნალო კანონებისა და დადგენილებების უქონლობის გამო. მათზე გამოჩნდა ცოდვის კეთრი და ჭუჭყი. რადგანაც ეს ეწინააღმდეგებოდა მოციქულთა ტრადიციას და ეპისკოპოსი მამების წმიდა კრების სწავლებას და გამოიწვია ღვთის განრისხება. რადგან მათ ეჭვიანობითა და უთანხმოებით მხარი დაუჭირეს უწესრიგო მეთაურებს, რომლებიც გახდნენ ავხორცნი და უგუნურნი.

ქრისტეს ეკლესიებში მცირე რეფორმები განახორციელეს ნეტარმა უფალმა ისააკმა, რომელსაც მაშინ ეკავა სელევკიისა და ქტეზიფონის საეპისკოპოსო [კათედრა], და მართალმა ეპისკოპოსმა მარუთამ, რადგანაც კანონთა უმრავლესობა, რომელიც სანქცირებული იყო წმიდა კრებისა და ზუსტი გადმოცემისაგან, ყურადღების მიღმა იყო დატოვებული, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი არ იყო ჩაწერილი ეპისკოპოს მამათა კანონებში, მათ იმ დროს დაწერილ წიგნში ჩაწერეს ის [კანონები], ასევე ის, რაც აუცილებელი ჩანდა, მაგრამ რადგანაც უმრავლესმა ჩვენმა ძმამ დატოვა ეს სამყარო, და აღარ

იყვნენ, ეს [კანონები] არ დამტკიცებულა. არ იყო სრულყოფილი საშუალება ძველი ბოროტებისთვის, რომლითაც დაუდევრობა გაუარესდა. გაყოფა, უთანხმოებები, მსგავსად უვიცობის ძველი აგზნებისა, სხვადასხვა ადგილას დღევანდლობამდე გრძელდება კადნიერი და ამაყი ადამიანებისგან, რომლებიც უარს ამბობენ შენდობაზე და არ სურთ შერიგება.

ამიტომაც, ჩვენ ყველა, ეპისკოპოსები, რომლებიც ჩვენი სათაყვანებელი ღმერთის, ქრისტეს, ჩვენი იმედის, წმიდა სულის, ჩვენი მოლოდინის, ნებით, სხვადასხვა ადგილებიდან მსახურებთან ერთად, რომლებიც თან გვახლავს, სელევკიასა და ქტეზიფონში ვართ შეკრებილები, ჩვენს პატივსაცემ მამასთან, უფალ იაჰბალაჰასთან, ეპისკოპოსთან, აღმოსაელეთის კათოლიკოსთან და მთავარეპისკოპოსთან და მის ძმასთან, ჩინებულ უფალ აკაკისთან, ეპისკოპოსთან, დესპანთან, ერთსულოვნად იმავე ღვთაებრივი სიყვარულით, იმავე ჭეშმარიტი რწმენით, იმავე სრული იმედით, ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას, რომ კანონები, რომლებიც დადგენილია სახელოვანი მამებისა და დალოცვილი ეპისკოპოსების მიერ კათოლიკე ეკლესიისთვის მთელ რომაელთა იმპერიაში, და რომელიც დღემდე დაცულია სიფრთხილითა და მზრუნველობით, თქვენი აღმატებულებისგან მოგვეცეს თითოეულ ჩვენგანს. ო, ჩვენო დიდებულო მამავ! მეთაურო და ხელმძღვანელო ყველა ჩვენგანისა და ჩვენი ყველა ძმის, ეპისკოპოსებისა, რომლებიც არიან ბრწყინვალე, ძლევამოსილი და მშვიდობისმოყვარე იეზდიგერდის, მეფეთა მეფის, მთელს იმპერიაში. ასე, რომ ჩვენ მივიღებთ თქვენი აღმატებულების ხელიდან ჩვენი მამების კანონთა სრულყოფილ გადმოცემას, რომ ჩვენ დავიცავთ მათ გულმოდგინედ, დღე და ღამე მათზე ვიფიქრებთ, და ის იქნება ჩვენთვის და ჩვენი შეკრებისთვის მეგზური და ხელმძღვანელი. და სიკეთისთვის, რომელიც თქვენ ჩვენთვის მოიმოქმედეთ, ყველა ჩვენგანი, ისევე რო-

გორც ყველანი, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ და დასხდებიან ჩვენს ადგილას ჩვენს საყდრებზე, მთელი ჩვენი სულით ვაღიარებთ თქვენს გულმოდგინებას სათაყვანებელი ღვთის წინაშე. ჩვენი ფეხები იელიან სწორი და პირდაპირი გზით. თქვენი სიტყვის ხელმძღვანელობით ჩვენ ვიპოვით ჩვენი სახელოვანი მამების, დალოცვილი ეპისკოპოსების მზრუნველ დადგენილებებსა და განმათავისუფლებელ კანონებს. ასე რომ, როგორც ამ ეპისკოპოს მამათა ერთადერთ ჭეშმარიტ რწმენას ვაღიარებთ, რომელიც დასაბამს იღებს სახელოვანი მოციქულებისგან, ჩვენ ასევე ვმართავთ კანონების მიხედვით, რომლებიც მათ სრულყოფილად განსაზღვრეს სხვადასხვა დროს და არ იქნება განსხვავება მცირე რამეშიც კი ჩვენსა და მათ შორის, იმგვარად, როგორც ყველა ნაწილი ერთი სხეულისა, რომელიც ქრისტეა. ჩვენ ასევე მივიყვანთ ეკლესიის მმართველობას მათი ღვთაებრივი სიყვარულის სრულყოფილებამდე და მათი უნაკლო წესრიგის სისავსემდე. და თუ რომელიმე ჩვენგანი, ამპარტავანი სულით, რომელიც შორს არის ჩვენი სათაყვანებელი ღვთისგან, გაბედავს, რომ დაარღვიოს ეს კანონები, რომლებიც ჩვენმა ეპისკოპოსმა მამებმა დაამტკიცეს, ჩვენ მას სამუდამოდ გავკიცხავთ და შევაჩვენებთ[248] ღვთის, მისი ქრისტეს და მისი წმიდა სულის წინაშე, ისევე როგორც მათ, ვინც მის ბოროტ განზრახვას დაეთანხმება."

მაშინ ჩვენმა პატივსაცემმა მამამ, უფალმა იაჰბალაჰამ, ეპისკოპოსმა, აღმოსავლეთის კათოლიკოსმა, მისი სიბრძნის სიუხვითა და შუქმფენი ცოდნის სიდიადით გახსნა ბაგე მისი დიდებული ძმის, უფალ აკაკის, ეპისკოპოსისა და დესპანის თანდასწრებით, და თქვა: „რადგანაც თქვენ გაქვთ ეს სწორი და სასარგებლო მოსაზრება, პირველ რიგში მე მზად ვარ, რომ ნამდვილად განვახორციელო ის, ასევე თქვენც

248 ანათემა.

შეასრულეთ თქვენი ჩანაფიქრი და თქვენი დაპირებების კეთილი განზრახვა. ჭეშმარიტად, ჩვენი სათაყვანებელი ღმერთი, რომელსაც სურს ყველა ადამიანის ხსნა, ზრუნავს თავისი ეკლესიის სიმტკიცესა და მოწესრიგებულობაზე, რომ მისი სამწყსოს მწყემსები მოქმედებდნენ სიწმინდით, უბიწოდ და ფხიზლად, რათა მისი წმიდა მსახურების წევრები იყვნენ პატივცემულნი. რათა სამღვდელოება იყოს უბიწოდ დაცული, საერონი - ბოროტის მარწუხებისა და მახისაგან გამოხსნილნი. სახელოვანი და დალოცვილი კეთილმოსახსენებელი ეპისკოპოსი მამები იყვნენ შთაგონებულნი, რომ მათი წმიდა კანონებით ქრისტეს ეკლესიების მომწესრიგებელნი ყოფილიყვნენ. და რომ ყველა ქვეყანა, რომელიც მათი ჭეშმარიტი სწავლების საფუარის გემოს გაიგებს, დარჩეს მოციქულთაგან მიღებული ჭეშმარიტი რწმენის სიმტკიცეში. როგორც მათი ჭეშმარიტი გადმოცემის კეთილსურნელების სისრულე, მარილი მოვიდა ჩვენამდე, როგორც ჭეშმარიტების მეგობრებთან, მათთან, ვინც სამართლიანობას აღასრულებენ, ბრწყინვალე სამების ჭეშმარიტების მქადაგებლებთან. წერილში, რომელიც თქვენ გადმოგვეცით, თქვენ გვაცნობეთ, რომ გვთხოვდით, რათა ჩვენს ეკლესიებში ფართოდ გავრცელებული გამოუცდელობისაგან გამოწვეული დიდი უწესრიგობის გამო თქვენთვის მიგვეცა კანონები, რომლებიც სხვადასხვა დროს დასავლეთში დამტკიცებულ იქნა წმიდა კრებების მიერ ეკლესიათა მოწყობისთვის. თქვენი ერთსულოვანი კეთილი სურვილი მიღებულ იქნა ჩვენგან, რადგანაც თქვენ ეს გვთხოვეთ, როგორც წესიერმა, გონიერმა, უმწიკვლო, წმიდა და თავიანთი საქმეების გამო პატივცემულმა ადამიანებმა. თქვენ მტკიცედ დაგვპირდით, რომ შეასრულებთ ამ კანონებს და გვითხარით, რომ ვინც კი დაარღვევს მათ, იქნება განსჯილი და შეჩვენებული. ჩვენ, მას შემდეგ, რაც ღვთაებრივი შეწევნით დავიკავეთ ეს თანამდებობა, გვქონდა ეს

სურვილი. დღეს, ღვთის წყალობით თქვენ შეკრებილნი ხართ ჩვენთან, და ერთხმად გვთხოვეთ თქვენს წერილებში, ჩვენ გაძლევთ თითოეულ თქვენგანს დასავლეთის ეპისკოპოსი მამებისგან დამტკიცებულ ამ მომწესრიგებელ კანონებს, რათა ფხიზლად დაიცვათ ის, რომ არავინ გაბედოს, დაარღვიოს რაიმე. და ჩვენ უმთავრესად ვერთგულობთ მას. მთელი ჩვენი სულით ვეცდებით, დავიცვათ იგი თქვენთან ერთად და თქვენს მსგავსად. ჩვენ ვბრძანებთ განსჯასა და შეჩვენებას ყველას წინააღმდეგ, ვინც დაარღვევს ამ სამართლიან კანონებს. ასე, რომ ბოროტის ხრიკები იქნება ყველანაირად განადგურებული, მისი ხუნდები - დამსხვრეული, მისი მახეები - შემუსრვილი, და ყველა ამპარტავანი, ვინც აღდგება ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, დამდაბლდება. რა არის მამათა მიერ წმიდა კრებაზე დამტკიცებული ეს კანონები? თქვენს სიკეთეს შეუძლია გაიგოს იგი ამ წერილებში ჩაწერილიდან. ყველა კანონი, ადრე ჩამოთვლილი ერთიან ბრძანებაში, ძლევამოსილი მეფეთა მეფის მეფობის მეთერთმეტე წელს, ეპისკოპოს უფალ ისააკის მმართველობის დროს, დაიწერა დროისა და ვითარების მიხედვით. მაგრამ ვითარება იცვლება დროსთან ერთად და კანონები მასთან ერთად, ვისაც აქვს ძალაუფლება. დიდი იყო არეულობა და უწესრიგო მღელვარება მოხდა აქ და იქ. მკაცრი, დროსთან დაკავშირებული კანონები დადგენილ იქნა კადნიერთა დათრგუნვისთვის, რომ ის დაცული უნდა იყოს და არა გაუქმებული, რადგანაც შეიძლება ის [კანონები] იყოს შიშის მიზეზი სხვებისათვის და ვერავინ გაბედოს, რომ აღაგზნოს ძველი მღელვარება ხელახლა!"

მაშინ ღირსეულმა და სახელოვანმა უფალმა აკაკიმ, ეპისკოპოსმა და მოციქულმა, გვითხრა ჩვენ, ყველა ეპისკოპოსს: „ამიტომ აუცილებელია შეინახოთ და არ დაგავიწყდეთ ადრინდელი წერილები, რადგანაც დღეს ისინი ისევ გამოსადეგნი არიან, რომ გამოასწორონ და შეაშინონ ისინი, ვინც

უწესრიგობაში ცხოვრობს და ეისაც სურს, რომ დააღვიოს შემწყნარებელი განსაზღვრება.“

და ჩვენ, ეპისკოპოსებმა, რომლებიც ვიყავით იქ, ჩვენი პატივსაცემი მამის, უფალ იაჰბალაჰას, ეპისკოპოსისა და აღმოსავლეთის კათოლიკოსის თანდასწრებით, და ჩვენი ძმის, პატივსაცემი უფლის, აკაკის, ეპისკოპოსისა და დესჰანის თანდასწრებით, ხელი მოვაწერეთ, დავბეჭდეთ ჩვენი ბეჭდებითა და ჩვენი ხელმოწერებით ყველაფერი ის, რაც ერთსულოვანი შეთანხმებით დავწერეთ. თითოეული ჩვენგანი ფლობს ამ კანონთა წიგნს, რათა მათ შესაბამისად ვიმოქმედოთ. და თუ ვინმე ჩვენგანი ან მათგანი, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა, აღდგება მის წინააღმდეგ, ჩამოშორებულ იქნას ქრისტეს მსახურებისაგან!“

მე, იაჰბალაჰა, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი აღმოსავლეთისა, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აკაკი, ეპისკოპოსი, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, აგაპიტი, ეპისკოპოსი ბეთ ლაპატისა, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ოსია, ეპისკოპოსი ნიზიბინისა, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.[249]

---

249 ვფიქრობთ, ამის შემდეგ აკლია ფარსის, არმჳრიის, მაიშანის ფერატის, ჰედაიაბის, ბეთ გარმაის, გურზანის, ბეთ მადაიეს, არანის, აბრაშაჰრის, ადორბიგანის, კუნძულების და ისთაჰრის ეპისკოპოსების ხელმოწერები, რომელიც დაკარგული უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰედაიაბის ეპისკოპოსი ამ დროს იყო დანიელი, შესაბამისად კრების დოკუმენტებზე ხელი სწორედ მას უნდა მოეწერა. ჩვენ ასევე შეგვიძლია კრების მონაწილე ფარსის ეპისკოპოსის ვინაობის გარკვევა, როგორც ირკვევა, კრების ჩატარებიდან მალევე გარდაიცვალა იაჰბალაჰა და კათოლიკოსი გახდა მა'ნა, რომელიც „სიირთის ქრონიკის“, ელია ნიზიბინელისა და მარი იბნ სულეიმანის ცნობებით კათოლიკოსად გახდომამდე ფარსის მიტროპოლიტი იყო (ელია ნიზიბინელი მას ეპისკოპოსად მოიხსენიებს). მარის ცნობით მა'ნამ ურჩია იაჰბალაჰას, რომ არ მიეღო ახალი კანონები, თუმცა კათოლიკოსმა ეს რჩევა არ გაითვალისწინა და დამბლა დაეცა, იგი გარდაიცვალა თითქმის დაუყოვნებლივ (Maris, Amri, et Salibae: Pars II., 28).

მე, საუმაი, ეპისკოპოსი კარკასი[250], ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, თეოდორე, ეპისკოპოსი[251] ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, დუქა, ეპისკოპოსი შუშისა, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, გურა, ეპისკოპოსი შუშტერისა, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, შატმანი, ეპისკოპოსი, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, გარინი, ეპისკოპოსი, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ბარ შემა, ეპისკოპოსი, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ნარსაი, ეპისკოპოსი, ვადასტურებ ყოველივე ზემოთ დაწერილს".[252]

420 წლის კრებაზე ხელახლა იქნა დამტკიცებული ნიკეის კრების დადგენილებები, ასევე მიღებულ იქნა ანკვირის,

---

250 „მართას მარტვილობაში" იხსენიება „კარკას ეპისკოპოსი საუმა„ (P. Bedjan, Acta Martyrum et Sanctorum: Tomus Primus, vol. 1, 7 vol. Leipzig: Otto Harrassowitz, 1890, 340) მარტვილობის ცნობით მან ბაჰრამის მეფობის მე-8 წელს (428/429) გადაასვენა წმ. მართას ნაწილები (Braun. O., auszuge aus.., 81-82; Bedjan, Acta Martyrum et Sanctorum: Tomus Primus, vol. 1, 340-341).

251 თეოდორეს საეპისკოპოსო დასახელებული არაა (Chabot, Synodicon Orientale.., 42). თუკი შევადარებთ ხელმოწერებსა და კრების მასალების დასაწყისში არსებულ ჩამონათვალს, ადვილია თეოდორეს საეპისკოპოსოს გარკვევა, კრების აქტების დასაწყოსში ამგვარი ჩამონათვალია: „კარკა (კარკა დე ლედანი), არზონი, შუში, შუშტერი", როგორც ჩანს, ამგვარივე თანმიმდევრობით მოაწერეს მათმა ეპისკოპოსებმა კრების დადგენილებებს ხელი: მე-5. ქაუმა არის კარკა დე ლედანის ეპისკოპოსი, მე-7, ზუქა - შუშის, მე-8, გურა - შუშტერის, მე-6 , თეოდორე უნდა იყოს არზონის ეპისკოპოსი. ამ შემთხვევაში ხელმოწერების თანმიმდევრობა ზუსტად დაემთხვევა კრების აქტების დასაწყისში არსებულ ჩამონათვალს: კარკა (კარკა დე ლედანი), არზონი, შუში, შუშტერი - ქაუმა კარკა (დე ლედანის) ეპისკოპოსი, თეოდორე არზონის, ზუქა - შუშის, გურა - შუშტერის.

252 Chabot, Synodicon Orientale.., 276-284.

ნეოკესარიის, ღანგრის, ანტიოქიის, და ლაოდიკიის კრებათა კანონები.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრების აქტებში „გურზანის" - ქართლის დასახელება. ამ ცნობას ყურადღება პირველად მ. თარხნიშვილმა მიაქცია, მისი თქმით, „ამ კრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ „ეპისკოპოსები გურზანიდან" ე.ი. საქართველოდან.,, კრების აქტების მიხედვით იაჰბალაჰა ყველა იქ შეკრებილი ეპისკოპოსის კათალიკოსია; იგი „აღმოსავლეთის ეპისკოპოსების მეთაურად" იწოდება „... იეზდიგერდის მთელს სამეფოში" და ისინი (ეპისკოპოსები) მისი მორჩილნი უნდა იყვნენ. ერთი სიტყვით, კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსები მიიჩნევიან იაჰბალაჰაზე დაქვემდებარებულად, ეს... სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს, თუ არა იმას, რომ V საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესია მართლაც სირიულ-სპარსული საკათალიკოსოს შემადგენელი ნაწილი იყო და სამართლებრივადაც უთუოდ მასზე იყო დამოკიდებული".[253]

გ. მამულიას აზრით, მართალია მ. თარხნიშვილმა V საუკუნის I ნახევრის ქართლის ეკლესიის მდგომარეობა ძირითადად სწორად განსაზღვრა, მაგრამ მისი მოსაზრებებიდან ყველა არაა მისაღები, როგორც კრების დადგენილებიდან ჩანს, „ეპისკოპოსები" ამ შემთხვევაში არა ცალკეულ პროვინციათა, არამედ ზოგადად კრებაზე მონაწილე იერარქთა მიმართ არის გამოყენებული. მაშასადამე, 420 წლის კრებაზე მონაწილეობა ქართლის ეკლესიის ერთ იერარქს უნდა მიეღო.[254]

გ. მამულია შენიშნავს, რომ რადგანაც კრებათა აქტებში არაფერია ნათქვამია 410 წლის კრების მუშაობაში ქარ-

253 მიქელ თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოქმნა და განვითარება, თარხნიშვილი, წერილები, თბილისი: კანდელი, 1994, 135-136.

254 მამულია, ქართლის ეკლესია V –VI საუკუნეებში, 6, შენ. 2.

თლის ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ, სავარაუდოა, რომ იმ დროისთვის ქართლის ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული სელევკია-ქტეზიფონის კათალიკოსის უშუალო გავლენის ქვეშ. სულ სხვაგვარი ვითარებაა 420 წლისთვის, როდესაც ირანის ეკლესიის II კრებაზე მონაწილეობას ღებულობს არა მხოლოდ ქართლის (გურზანის) წარმომადგენელი, არამედ სომხეთისა და ალბანეთის (არანი) ეპისკოპოსებიც. შესაბამისად, ქართლის ეკლესია სირიულ-სპარსული საკათალიკოსოს გავლენის სფეროში მოქცეულა არა V ს. დასაწყისში, როგორც ამას მ. თარხნიშვილი ვარაუდობდა, არამედ უფრო მოგვიანებით, V ს. 20-იან წლებში. გ. მამულიას დამაჯერებლად არ მიაჩნია მ. თარხნიშვილის მოსაზრება 420 წლისთვის ქართლის ეკლესიის სელევკია-ქტეზიფონის კათალიკოსისადმი კანონიკური დამოკიდებულების შესახებ. მისი აზრით, რადგანაც იმ დროს ბიზანტია-ირანს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა, ხოლო თვით ირანის ეკლესია ბიზანტიის ეკლესიასთან მჭიდრო დამოკიდებულებაში იყო და ანტიოქიის საპატრიარქოსაგან თავის კანონიკურ დამოკიდებულებასაც არ უარყოფდა. ასეთ პირობებში სელევკია-ქტეზიფონის კათალიკოსი ბიზანტიელ საეკლესიო იერარქებს ვერ გაანაწყენებდა და ქართლის ეკლესიაზე მათ კანონიკურ უფლებებს ვერ ხელყოფდა. გ. მამულიას აზრით ქართლის ეკლესიის დამორჩილება სელევკია-ქტეზიფონის კათოლიკოსს მხოლოდ 424 წლის შემდეგ შეეძლო, როდესაც მან ანტიოქიისგან ავტოკეფალია გამოაცხადა.[255]

მაშინ, როდესაც გ. მამულია ამ სტიქონებს წერდა, მიიჩნეოდა, რომ 424 წლამდე აღმოსავლეთის ეკლესია ანტიოქიის საყდარს ექვემდებარებოდა, მხოლოდ ამ ბოლო დროს უ. უინკლერმა გამოარკვია, რომ აღმოსავლეთის ეკლესია არ ყოფი-

255 მამულია.., ქართლის ეკლესია V–VI საუკუნეებში, 8.

ლა ანტიოქიის საყდრის დაქვემდებარებაში.[256] შესაბამისად, ამ ახალი მონაცემების ფონზე ქართლის (ისევე როგორც სომხეთისა და ალბანეთის) წარმომადგენლის ყოფნა 420 წლის აღმოსავლეთის ეკლესიის კრებაზე გადაფასებული უნდა იქნეს. როგორც ზემოთ ვნახეთ, კრების მონაწილე ეპისკოპოსები თავიანთ კათოლიკოსად აღიარებენ იაჰბალაჰას, რომელსაც, როგორც ამავე აქტებიდან ირკვევა, სასანიანთა მთელი იმპერიის ქრისტიანები ექვემდებარებოდნენ. მაშასადამე, უდავოა, რომ 420 წლისთვის ქართლი, ისევე როგორც სომხეთი და ალბანეთი, ეკლესიურად აღმოსავლეთის კათოლიკოსს ექვემდებარებოდა.

კათოლიკოს უფალ იაჰბალაჰას კრების დასასრული[257]

256 Baum, Winkler.., The Church of the East: A Concise History, 21. ვრცლად იხილეთ 424 წლის კრების განხილვისას.
257 Chabot., Synodicon Orientale.., 284.

424 წლის მარკაბტას კრება

420 წლის კრების გამართვისა და იაჰბალაჰას გარდაცვალებიდან მალევე ირანში ქრისტიანთა მდგომარეობა დამძიმდა, რაშიც, როგორც ჩანს, თავად ქრისტიანებს დიდი წვლილი მიუძღოდათ, "აბდას მარტვილობის" ცნობით „იეზდიგერდის მეფობის 22-ე წელს ჩვენს ხალხს დაუპირისპირდნენ დიდი მეფის დიდებულები და მოგვები, რომელთაც ძალაუფლება ხელთ ჰქონდათ. ისინი აბრალებდნენ ჩვენს ხალხს, რომ ნაზარენები, კერძოდ, ეპისკოპოსები, პრესბიტერები, დიაკვნები და მათი მოკავშირეები წინ აღუდგნენ მეფის ბრძანებას, მის ღირსებას პატივი არ სცეს და შეურაცხყვეს ღმერთების მეფე და დასცინეს და აბუჩად აიგდეს ცეცხლი და წყალი, დაანგრიეს მათი კერპები, რომლებსაც ისინი აღმერთებდნენ. ამის გამო განრისხებულმა მეფემ მოიწვია კრება, რათა ეს საკითხი განეხილა. ბრალდებები მოისმინა და შეიმუშავა ედიქტი, რომლის მიხედვითაც მთელი მისი სამეფოს ტერიტორიაზე უნდა დაენგრიათ ეკლესია-მონასტრები, უნდა შეჩერებულიყო მღვდელმსახურება, დაეპატიმრებინათ ღვთისმსახურები და სამეფო კარზე მოეყვანათ".[258] ცნობა, რომლის მიხედვითაც ქრისტიანები მოგვების ცილისწამებით შეიპყრეს, თავად ტექსტშია უარყოფილი, სადაც მღვდელი ჰაშუ (ოსია) აღიარებს ბრალდებას: "დალოცვილმა ჰაშუმ უპასუხა: მე დავანგრიე საკერპო და ჩავაქრე ცეცხლი, რადგან ის არ არის ღვთის სახლი და არც ცეცხლია ღვთის ქალიშ-

258 Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang von Oskar Braun, 139; Auszüge aus syrischen Akten persischer Märtyrer : Übersetzt und durch Untersuchungen zur Historischen Topographie erlautert von Georg Hoffmann, (Leipzig : Brockhaus, 1880) , 34; The confession of the blessed Mār 'Abdā, in: Geoffrey Herman, Persian Martyr Acts under King Yazdgird I. (Persian martyr acts in Syriac: text and translation). (Piscataway, NJ: Gorgias Press, 2016) , 54.

ვილი".[259] ქრისტიანთა დევნის მიზეზად ოსიას მიერ ცეცხლის ტაძრის დანგრევას ასახელებენ აღმოსავლური წყაროები: „სიირთის ქრონიკა", მარი იბნ სულეიმანი და ამრი იბნ მატა,[260] ხოლო დასავლური წყაროები სამსხვერპლოს დანგრევას ეპისკოპოს აბდას მიაწერენ.[261]

„სიირთის ქრონიკის", მარი იბნ სულეიმანისა და ამრი იბნ მატას ცნობებით სომხეთის პატრიციუსის ისააკის თხოვნით იეზდიგერდმა შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა.[262] ამით ისარგებლეს ქრისტიანებმა და მიჰრშაბურის დახმარებით მიაღწიეს ფარსის მიტროპოლიტ მა'ნას კათოლიკოსად დადგენას, მაგრამ, როგორც „სიირთის ქრონიკა" გვაუწყებს, იეზიგერდთან წარდგენის დღესვე მან ხელმწიფის რისხვა გამოიწვია, შეურაცხყოფილი მა'ნა ფარსში გადაასახლეს, მაგრამ მალევე ისევ დაპატიმრებულ იქნა, აკრძალული იყო მისთვის კათოლიკოსის წოდება როგორც მის სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგ.[263]

---

259 Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang : Ostsyrisches Mönchsleben Aus dem Syrischen übers. von Oskar Braun. 140-141; The confession of the blessed Mār 'Abdā, in: Geoffrey Herman, Persian Martyr Acts under King Yazdgird I. 60.

260 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 328; Maris, Amri, et Salibae.., pars. I. 16; Maris, Amri, et Salibae.., pars. II, 28.

261 თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი: ახალი ივერიონი, 2008, 295-296; Theophanis Chronographia recensvit Carolus de Boor. Vol.I. 1883:81;

262 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 328; Maris, Amri, et Salibae.., pars. I, 16; Maris, Amri, et Salibae.., pars. II. 28. ეჭიქრობთ, მასში უნდა დავინახოთ სომხეთის მთავარეპისკოპოსი ისააკი (საპაკი).

263 Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 328-330.

420 წელს გარდაიცვალა იეზდიგერდი,[264] იეზდიგერდის შვილმა შაბურმა, რომელიც სომხეთს მართავდა (414-420), დატოვა სომხეთი და დედაქალაქს მიაშურა, მაგრამ იგი ღალატით იქნა მოკლული,[265] ირანის არისტოკრატიამ ტახტზე აიყვანა სასანიანთა საგვარეულოს გვერდითი ხაზის წარმომადგენელი ხოსრო (Kisrā), მაგრამ იეზდიგერდის შვილმა ბაჰრამმა, რომელიც არაბ ლაჰმიდთა მეფის ალ-მუნდირ I-ის (418-462) კარზე ჰყავდა იეზდიგერდს გაგზავნილი, დახმარება სთხოვა ალ-მუნდირს, რომელმაც არაბთა ჯარები თავისი შვილის მეთაურობით გაგზავნა დედაქალაქის წინააღმდეგ, ირანის მმართველობა იძულებული გახდა მოლაპარაკება ეწარმოებინა, შედეგად ხოსრომაც და ირანის არისტოკრატიამაც აღიარა ბაჰრამი ირანის მეფედ. ირანის ტახტზე ავიდა ბაჰრამ V გური (421-438).[266]

ტუსის ეპისკოპოს სამუელის მიერ კათოლიკოსობის კანდიდატად წამოყენებულ იქნა დადიშო,[267] მარი იბნ სულეიმან-

264 იეზდიგერდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა ვერსიები იხილეთ: Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 332; მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, (თბილისი: მეცნიერება, 1984) , 226; The History of al-Tabari . Volume V, 73; Kitab al-'Unvan. Histoire universelle , écrite par Agapius de Menbidj, 407-408; Theodor Nöldeke, Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden aus der arabischen Chronik des Tabari : Übersetzt und mit ausführlichen Erläuterungen und ergänzungen Versehn. (Leiden. E.J. Brill, 1879) , 77-78. შეხ.1.

265 მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. 226; The History of al-Tabari. Volume V, 87. შენ.1; რიჩარდ ფრაის აზრით შაბური ავიდა ტახტზე და მცირე ხანს მეფობდა კიდეც Richard N. Frye , The Political History of Iran under the Sasanians, from Cambridge History of Iran, Volume 3(1) (Cambridge: Cambridge University Press, 1983) , 144. მაგრამ შაბურის ირანში გამეფება არც ერთი წყაროთი არ დასტურდება.

266 The History of al-Tabari . Volume V, 87; Abou Mansour 'Abd Al-Malik Ibn Muhammad Ibn Isma'il Al- Tha'alibi, Histoire des rois des Perses .., 550.

267 დადიშო/დადიეშუ „იესოს მეგობარს" ანუ „მხსნელის მეგობარს" ნიშნავს. Fortescue, A., The lesser eastern churches .50. შენ. 7. Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , T.III. 60; Assemani, De catholicis seu patriarchis chaldaeorum et nestorianorum commentarius historico-chronologicus . 17.

ისა და ამრი იბნ მატას ცნობებით სამუელმა ხორასანი დაიცვა ბარბაროსთა შემოსევისგან, რის გამოც ბაჰრამის პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, ამიტომაც დადიშოს კანდიდატურა მიღებულ იქნა,[268] ეს მოხდა 421 ან 422 წელს.

ბაჰრამის ტახტზე ასვლიდან მალევე ახალი ძალით გაჩაღდა ქრისტიანთა დევნა.[269] მან არ დაინდო არც გარდაცვლილები და მარტირიუმების განადგურების ბრძანება გასცა, წმიდანთა ნაწილები ამოთხარეს და შეურაცხჰყვეს.[270] ქრისტიანებმა დახმარება აღმოსავლეთ რომის იმპერატორს სთხოვეს, ხოლო მათი ნაწილი რომაელებთან გაიქცა. ეს ყველაფერი აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან ომში გადაიზ-

---

268 გ. მამულია თავის გამოკვლევაში "ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში" წერს: "ირანის ავტოკეფალური ეკლესიის პირველმა კათალიკოსმა დადიშომ ბაჰრამ მე-5 ის განსაკუთრებული მადლიერებაც დაიმსახურა, იმის გამო, რომ იგი ჩრდილოელი ბარბაროსი ხალხებისგან ხორასანის დაცვას ხელმძღვანელობდა" (გიორგი მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბილისი: მეცნიერება. 1992, 17) ავტორი იმოწმებს Arthur Christensen / L'Iran Sous Les Sassanides 1944. გვ. 281. აღნიშნულ გვერდზე მართლაც მოიპოვება ეს ინფორმაცია, თუმცა ავტორი წყაროს არ უთითებს, როგორც ირკვევა, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს შეცდომასთან, სინამდვილეში ხორასანის დაცვას მეთაურობდა არა დადიშო, არამედ - სამოელი (Maris, Amri, et Salibae.., pars. II, 31; Maris, Amri, et Salibae.., pars. I, 17).

269 ბაჰრამის დროს დაწყებული დევნის შესახებ იხილეთ: Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 332-333; Ausgewählte Akten persischer Märtyrer. von Oskar Braun. 150-73 ; სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, 409; თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, 296-297;

270 „სიირთის ქრონიკის" მიხედვით წყალში ჩაყარეს: Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.2. 332, ხოლო პეროზ ბეთ ლაპატელის მარტვილობის ცნობით მზეზე დაყარეს: Ausgewählte Akten persischer Märtyrer. von Oskar Braun. 163; Arthur Vööbus. Early monasticism in Persia. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, V. 184 T.14. history of Asceticism in the Syrian Orient. Louvan: Secrétariat du CorpusSCO, 1958. 285.

არდა.[271] ამგვარ ვითარებაში ეპისკოპოსთა ნაწილმა დადიშოს ცილი დასწამა მეფის წინაშე, შედეგად დადიშო დააპატიმრეს, ხოლო ფარბოხტმა,[272] კაზრუნის ეპისკოპოსმა, მიჰრშაბურს დიდი ფულადი თანხა გადაუხადა, რათა იგი კათოლიკოსად დაემტკიცებინათ, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ეპისკოპოსებმა შეძლეს მისი გადაყენება.[273]

271 სოკრატე სქოლასტიკოსი. საეკლესიო ისტორია, 409; Geoffrey Greatrex, Samuel N.C, Lieu, Roman-Eastern-Frontier and the Persian wars part II AD 363–630. New York: Taylor and Francis e-Library, 2005. 38-40. სოკრატეს ცნობით ომის დაწყებას სხვა მიზეზიც ჰქონდა, კერძოდ სპარსელების მიერ რომაელი ვაჭრების ტვირთის მიტაცება და რომაელთაგან მიღებული ოქროს მაღაროს მთხრელების დაბრუნებაზე უარის თქმა (სოკრატე სქოლასტიკოსი. საეკლესიო ისტორია, 409).

272 მის სახელს წყაროები განსხვავებულად წარმოადგენენ, მარი იბნ სულეიმანი ფარაბოხტს უწოდებს (Maris, Amri, et Salibae: II, 31), ელია ნიზიბინელი ფრუხბოხტს (La Chronographie d'Elie Bar-Synaia.., 40) ბარ ებრაია მარაბოხტს (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , T. III.., 58-60), ამრი იბნ მატა ქარაბოხტს (Maris, Amri, et Salibae: I. 16). ფარბოხტი წყაროებში კათოლიკოსად დასახელებულია მა'ნასა და დადიშოს შორის, ი. ლაბური კი მას აიგივებს 424 წლის კრების აქტებში დასახელებულ არდაშირ-კურა(ჰი)ს მეამბოხე ეპისკოპოს ფარბოხტთან (J. Labourt, Le Christianisme dans l'empire perse.., 119-120). ჩვენ ეს გაიგივება სამართლიანად მიგვაჩნია, მართალია, კათოლიკოსი ფარბოხტი კაზრუნის ეპისკოპოსად არის წყაროებში დასახელებული, მაგრამ კაზრუნიცა და არდაშირ-კურა(ჰი)ც ფარსის პროვინციაში მდებარეობდა და სრულიად შესაძლებელია გვიანდელ წყაროებში ფარბოხტის საეპისკოპოსო შეცდომით იყოს დასახელებული.

273 მარი იბნ სულეიმანის ცნობით „პატრიარქი ფარაბოხტი იყო კაზრუნის ეპისკოპოსი, პატრიარქ მანას სიკვდილის შემდეგ ის ცდილობდა ბაჰრამის გვარდიის მეთაურის დახმარებით მიეღწია პატრიარქობისთვის. მისცა მას დიდი ფულადი თანხა და დაჰპირდა, რომ მოგვების წესებს გაჰყვებოდა, ამავე დროს მან დაიწყო თხოვნით თავის მობეზრება ხალხისა და მეთაურებისთვის, სანამ მათ არ დანიშნეს პატრიარქად. ის იჯდა [პატრიარქად] მოკლე დროის განმავლობაში, ვიდრე მამები და ეპისკოპოსები სასწრაფოდ შეეყარნენ ბაჰრამის მეგობრებს, რომ გადაეყენებინათ იგი, და ეკლესია გადარჩა მისი ბოროტებისგან". (Maris, Amri, et Salibae.., II, 31); ბარ ებრაიას ცნობით: „ამ კაცმა (მარაბოხტი - დ. ჩ.), მაგნას ანათემატიზაციის შემდეგ მოისყიდა მეფე ბაჰრამი, იეზდიგერდის შვილი და ძალის მუქარით აიძულა ეპისკოპოსები ეკურთხებინათ იგი. მაშინ ეპისკოპოსები გაიქცნენ სამეფოს წამყვან კაცთან და იპოვეს მარაბოხტის გადაყენების შესაძლებლობა და მისი სრულად უარყოფის შემდეგ ანათემას გადასცეს იგი". (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , T. III. 58-60).

422 წელს აღმოსავლეთ რომის იმპერიასა და ირანს შორის დაიდო ზავი, ორივე მხარე შეთანხმდა საკუთარ ტერიტორიებზე რელიგიის სრული თავისუფლების შესახებ.[274] მაგრამ, მიუხედავად ამ ზავისა, როგორც ირკვევა, მარტირიუმების განადგურების ბრძანება ბაჰრამის გამეფებიდან 5 წლის განმავლობაში მოქმედებდა.[275]

დადიშო რომაელთა ელჩის თხოვნით ბაჰრამმა პატიმრობიდან გაათავისუფლა. გათავისუფლების შემდეგ კათოლიკოსმა დადიშომ მოიწვია კრება, რომელზეც იგი გადადგომას ითხოვდა და რომლის აქტებიც ქვემოთ სრულად მოგვყავს:

„კრება მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, რომელიც შედგა არაბთა[276] მარკაბტაში[277], მეფეთა მეფის ვარანის დღეებში, როდესაც კათოლიკოს უფალ დადიშოს სურდა, რომ გადამდგარიყო საკათოლიკოსოს[278] ხელმძღვანელობიდან.[279]

---

274 Greatrex , Lieu , Roman-Eastern-Frontier and the Persian wars PART II AD 363–630 , 42. სოკრატე სქოლასტიკოსი. საეკლესიო ისტორია, 414, MŠI-HA-ZKHA.., 142.

275 Ausgewählte Akten persischer Märtyrer. 163.

276 მომთაბარე არაბები, რომელთაც ძირითადად მესოპოტამიის ვაკეები ეკავათ. Chabot. Synodicon Orientale.., 684.

277 ადგილმდებარეობა დაუდგენელია. ჟ. შაბო თელის, რომ შესაძლოა "მარკაბტა" იყოს დამახინჯებული ვარიანტი "მაბრაკტასი", რომელიც სელევკია-ქტესიფონთან ახლოს მდებარეობდა (Chabot. Synodicon Orientale.., 676. ჯონ სტიუარტი კრების ჩატარებას სელევკიაში მიუთითებს: John Stewart, Nestorian Missionary Enterprise . the story of a church on fire , (Edinburgh : T. & T. Clark, 1928), 11.

278 ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲐᲢᲘ - კათოლიკატი, საკათოლიკოსო.

279 როგორც ჩანს, კრების მოწვევის მიზეზი გახდა კათოლიკოს დადიშოს სურვილი, რომ გადამდგარიყო. ამასვე გვამცნობს ბარ ებრაიაც: „მან (დადიშომ) ასევე სთხოვა ეპისკოპოსებს, რომ ნება მიეცათ, უარი ეთქვა მისი თანამდებობის ტვირთზე" (Bar Hebraeus, Eclesiastical Chronicle. 326).

მეფეთა მეფე ვარანის მე-4 წელს,[280] უფალ დადიშოს, კათოლიკოსის, ეპისკოპოსთა უზენაესი მეთაურისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა განმგებლის წინაშე, არაბეთის მარკაბტაში შეიკრიბნენ ეპისკოპოსები:

აგაპიტი, ეპისკოპოსი ბეთ ლაპატისა; ოსია, ეპისკოპოსი ნიზიბინისა; ზაბდა, ეპისკოპოსი ფერატისა; დანიელი, ეპისკოპოსი არბელასი; აქბალაჰა, ეპისკოპოსი ბეთ შელოკის კარკასი; იაზდადი, ეპისკოპოსი რევ-არდაშირისა[281]; მილესი, ეპისკოპოსი ქარდუსი; აბდიშო, ეპისკოპოსი შუშტერისა; დანიელი, ეპისკოპოსი არზონისა; სიმეონი, ეპისკოპოსი არაბეთის ჰირტასი; აბრაამი, ეპისკოპოსი რიმასი; იოჰანანი, ეპისკოპოსი ნეჰარგურისა; ნარსე, ეპისკოპოსი კარკასი[282]; ნარსე, ეპისკოპოსი რა[დან]ისა[283]; მარაი, ეპისკოპოსი კაშკარისა; ბატაი ეპისკოპოსი ლასომისა; იოსები, ეპისკოპოსი ჰარბაგელალისა; იოჰანანი, ეპისკოპოსი არზონის აუსტანი-

---

280 ვარანის (420-438) მეფობის მე-4 წელი იწყებოდა 423 წლის აგვისტოში. თ. ლამი კრების თარიღად რატომღაც 430 წელს მიუთითებს (Lamy, Le concile de pierre à Séleucie-Tenu Ctésiphon en 410.., 253), ი. მაიენდორფი 429 წელს (John Meyendorff, Imperial unity and Christian divisions: the church, 450-680 AD, Crestwood, NY: St. Vladimir's Seminary Press, 1989 , 286), რ. ფრეი (R. Fray) 421 წელს (Richard N. Fray, The History of ancient Iran, 1984, 32), ხოლო რალფ მარკუსი 420 წელს (Ralph Marcus. The Armenian Life of Marutha of Maipherkat.., 71).

281 Rew-arsašir - გვიანდელი რეშაჰრი (ან რაშაჰრი), ფარსის მეტროპოლია. მას არაფერი აქვს საერთო სპარსეთის ჟურეში მდებარე ქალაქ რიშაჰრთან. ის მდებარეობდა ბევრად უფრო ჩრდილო-დასაელეთით, მდინარე ტაბზე, ფარსისა და ხუზისტანის საზღვარზე.

282 მაიშანის კარკა.

283 ორიგინალშია „ნარსე ეპისკოპოსი რეისა" (Chabot. Synodicon Orientale.., 43). მაგრამ, რადგანაც ამავე კრების აქტებში დასახელებულია რეის მეორე ეპისკოპოსიც - დავითი ეპისკოპოსი რეისა, (Chabot. Synodicon Orientale.., 43.) ხოლო 410 წლის კრების აქტებში ნარსე მოხსენებულია რადანის ეპისკოპოსად (ნარსე ეპისკოპოსი რადანისა (Chabot. Synodicon Orientale.., 34) ჟ. შაბო ნარსეს საეპისკოპოსოდ აღადგენს „რადანის" (Chabot. Synodicon Orientale.., 285).

სა[284]; მილესი, ეპისკოპოსი შუშტერისა; ბარ შაბა, ეპისკოპოსი მერვისა[285]; იაზდოი, ეპისკოპოსი ჰარევისა[286]; აფრიდი, ეპისკოპოსი სეგესტანისა[287]; დავითი, ეპისკოპოსი აბრაშაჰრისა; დომიციანი, ეპისკოპოსი გურგანის შავიტასი[288]; დავითი, ეპისკოპოსი რეისა[289]; ადაი, ეპისკოპოსი ებრას ერიევანისა[290]; სასარი, ეპისკოპოსი ბეთ დარაისი; ატიკუსი, ეპისკოპოსი ბეთ მოკსაიესი; არტაშაჰრი, ეპისკოპოსი არმენიისა; ქირისი, ეპისკოპოსი დასენისა,[291] მარი, ეპისკოპოსი ბეთ ბაგაშისა; აფრაატი, ეპისკოპოსი ისფაჰანისა[292]; არდაქი, ეპისკოპოსი ქურდუს

---

284 d'Aoustan d'Arzon - აუსტან დ'არზონი- იგივე ბეით დე აუსტანის არზონი (იხ. ზემოთ).

285 Merw - ჩრდილოეთ ხორასანში, თანამედროვე მერვი თურქმენეთში.

286 ორიგინალშია „იაზდოი ეპისკოპოსი ჰარევისა" (Chabot. Synodicon Orientale.., 43). ასე აქვს იგი მოტანილი ო. ბრაუნს (Braun. Das Buch der Synhados..,46), ხოლო ჟ. შაბო მას ჰერათად აღადგენს (Chabot. Synodicon Orientale.., 285). ჰარევი (ფაჰლაურად ჰერათი), ქალაქი ხორასანში. თანამედროვე ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთით.

287 Segestan - იგივე საკასტანი ან სისტანი. თანამედროვე ავღანეთის სამხრეთ-დასავლეთი.

288 Šawita de Gorgan - (შავიტა დე გურგანი), ჟ. შაბოს თქმით, Šwlt𐡏 - შავიტა შესაძლოა ნიშნავდეს „ვაკეს, ბარს", თუმცა იქვე ამატებს, რომ მან არ იცის ეს რეგიონის განმსაზღვრელია, თუ ადგილის სახელწოდება (Chabot. Synodicon Orientale.., 682), M.J. Birnie-ს „შავიტას" ნაცვლად უფრო სწორ წაკითხვად Šbītā „შებიტა" მიაჩნია, რაც „ტყეობას, ტყეთა შეკრებას" ნიშნავს (Chabot. Synodicon Orientale.., 682), მსგავსადვე კითხულობს ი. ლაბურიც, მაგრამ იგი გურგანის ნაცვლად უთითებს გურზანს (ქართლი) (J. Labourt, Le Christianisme dans l'empire perse.., 122. შენ. 3). თუმცა აქტებში წერია „დომიც(იანი) ეპისკოპოსი გურგანისა" და არა „გურზანისა" (Chabot. Synodicon Orientale.., 43). გურგანი, ძველი ჰირკანია, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

289 Rai - თანამედროვე ირანში, თეირანის ოსტანში, თეირანიდან 45 კმ-ის მანძილზე.

290 Arewan de 'Abra - "ებრა" ნიშნავს „მდინარის მიღმა მხარეს", ებრას ერიევანი მდებარეობდა მდ. მცირე ზაბის ჩრდილოეთით.

291 Dasen – იგივე ბეთ დასენი, გარას მთიანეთში, მდ. დიდი ზაბის დასავლეთით.

292 Ispahan - ძვ. ასპადანა, ქალაქი თანამედროვე ირანში, ისპაჰანის პროვინციის (ოსტანი) დედაქალაქი.

მაშკენასი[293]; ზადოი, ეპისკოპოსი ისთაჰრისა[294]; იოპანანი, ეპისკოპოსი მაზონისა[295]; ჰატიტა, ეპისკოპოსი ბელაშფარის შებიტასი[296].

ყველა ამ ეპისკოპოსმა თხოვნით მიმართა აღმოსავლეთის ყველა ეპისკოპოსის უფროსს, მეთაურსა და ხელმძღვანელს, პატივდებულ და წმიდა კათოლიკოსს უფალ დადიშოს, მათ სთხოვეს მას, რომ დაბრუნებულიყო თავის ტახტზე და დამდგარიყო ღვთის ეკლესიის მეთაურად, ემართა და გასძღოლოდა ქრისტეს სამწყსოს აღმოსავლეთის მთელ მიწა'ზე. რომელიც მას ქრისტესგან მიენდო მაღალ სამღვდელოებაში, რომელიც მან მიიღო, როგორც მოციქულთა თავმა პეტრემ: „წმინდანთა, მოძღვართა და ეპისკოპოსთა თავთა, თავიანთ საქმეში მასწავლებელთა და მათი, ვინც გამოცდილია და მარტვილთა, თავიანთი ტანჯვით მათი უფლის, ქრისტეს მოწმობაში გვირგვინოსანქმნილთა შეთანხმებითა და ნებართვით, პატრიარქობის საჩუქარი მიეცა და დაუდასტურდა ამ

293 Maškena dĕ kwrd - ნიშნავს „კურდთა ბანაკს", ქალაქი ფარსში.

294 Istahr - ისთაჰრი, ფარსის პროვინციაში, პერსეპოლისის ჩრდილოეთით 5 კმ-ს მანძილზე.

295 Mazon - ომანის სპარსული სახელწოდება.

296 Šebita de Belašphar - როგორც ეთქვით, „შებიტა" ნიშნავს „ტყვეობას, ტყვეთა შეკრებას", ჯ. შაბო აღნიშნავს, რომ მან არ იცის აღნიშნავს თუ არა ეს სიტყვა კონკრეტულ ადგილს (Chabot. Synodicon Orientale.., 682). ი. ლაბური მიუთითებს, რომ ბელეშფარის ეპისკოპოსად დასახელებულია აეციუსი (Aetius?) და მისი აზრით, გურზანისა და ბელეშფარის ეპისკოპოსთა სახელები (დომიციანი და აეციუსი) ადასტურებს იმას, რომ განდევნილნი რომაელები იყვნენ. იგი იქვე დასძენს, რომ შესაძლოა ეს ხელმოწერები ეკუთვნოდეს არა ამ პერიოდს, არამედ უფრო გვიანდელს, კერძოდ ხოსრო I-სას, რომელმაც უამრავი ტყვე მოიყვანა აღმოსავლეთში (J. Labourt, Le Christianisme dans l'empire perse.., 122. შენ. 3). როგორც ვაჩვენეთ, დომიციანი იყო არა გურზანის (ქართლი), არამედ გურგანის ეპისკოპოსი. რაც შეეხება აეციუსს, ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბელაშფარის ეპისკოპოსის სახელი იკითხება „ჰატიტა"-დ (Chabot. Synodicon Orientale..., 43). მის სახელს ჯ. შაბო კითხვის ნიშნის ქვეშ აღადგენს „ჰატიტა"-დ (Chabot. Synodicon Orientale..., 285). ი. ლაბურის მსგავსად უიგრამიც კითხულობს აეციუსს. (W.A. Wigram, An Introduction to the History of the Assyrian Church. 106).

დალოცვილ საყდარს კოკეს საკათედრო ტაძარში. და შენ, უფალ კათოლიკოსს, მოგენდო ეს. შენ დამტკიცდი მამად, მეთაურად და ხელმძღვანელად აღმოსავლეთის მთელ ქრისტიანობაზე. და ის (მადლი) წავიდა და გადაეცა შენი საყდრიდან ეპისკოპოსთა ყველა საყდარს, არა მხოლოდ ამ სამეფოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აჰა, ის მიედინება და გადაეცემა უწყვეტად. და ძლევამოსილი მეფის ბრძანებებსა და მოძალადე მმართველების გვემასა და წამებებს არ შეუძლია შეაჩეროს მისი სვლა."

იმის შემდეგ, რაც ითქვა ჩვენგან, ეპისკოპოსებისგან, სახელოვანმა აღმსარებელმა, ჩვენმა მამამ და მეთაურმა, მთელი აღმოსავლეთის ხელმძღვანელმა, გახსნა ბაგე და უთხრა მთელს ჩვენს კრებას: „ეკლესიისგან განკვეთილებს, რომლებიც ჩვენს შორის არიან, არ სურთ, რომ ხელმძღვანელი ჰყავდეთ, ისინი, ვინც მრავალჯერ მოიკვეთნენ ეკლესიიდან და განშორებულ იქმნენ ჩვენს უფალთა და წმიდათა მამათა კათოლიკოსთა, უფალ ისააკისა და უფალ იაჰბალაჰას და ეპისკოპოსთა კრების მიერ, რომელთაგან ზოგიერთი წავიდა ამ სამყაროდან და თქვენ, რომლებიც ახლა აქ ხართ კრებაზე, იცით უზნეობა ამ საზარელი ადამიანებისა: ბატაისი ჰორმიზდ-არდაშირის [ეპისკოპოსის], ბარ შაბტასი შუშის, ზაბდასი ზაბეს, ქისასი ქონის,[297] შარბილისა დასქარტა დ'მალქას,[298] აბნირისა კაშკარის, სოლომონისა ნუჰადრას,[299] ბარ ჰაილასი თეჰალის,[300] ბერიკოისი ბელაშფარის, ფარ-

297 Qoni – იმ ადგილის სახელწოდება, სადაც იდგა მონასტერი, რომელშიც, ტრადიციის მიხედვით, დაიკრძალა მოციქული მარი, ბაღდადიდან სამხრეთით 80 კილომეტრის მოშორებით, ტიგროსის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან ორ კილომეტრში.

298 Dasqarta de Malka - დასტაგერდი. თანამედროვე ერაყში.

299 ბეთ ნუჰადრა.

300 Tehal - ბეთ გარმაის საეპისკოპოსო ქალაქი, რომლის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია.

ბოხტისა[301] არდაშირ-კურა(ჰი)ს,[302] იზიდ-ბოზიდისა დარაბგერდის, თავიანთ თანამებრძოლებთან ერთად. რომლებიც თქვენ იცით, რომ მას შემდეგ, რაც ისინი ეკლესიიდან განიკვეთნენ, განეშორნენ და განიძარცვნენ ყველა სამღვდელო ტიტულისაგან და ასევე კანონის ძალით გაუცხოებულ იქმნენ წმიდა საიდუმლოთაგან, ისინი ეძებდნენ, რომ დახმარება მიეღოთ გავლენიან უცხოთაგან. აჯანყებულები მათ მსგავსად, რომელთაგან ზოგიერთი ეკლესიიდან იყო განკვეთილი, ხოლო სხვები გადაყენებული ჩვენგან, გაერთიანდნენ მათთან. მათ შეაშფოთეს მორწმუნეთა გონება და მოატყუეს ისინი საუბრით: „ჩვენ უდანაშაულოდ ვართ ეკლესიიდან განკვეთილი და სამღვდელო პატივისაგან დამხობილი, ეს უკანონოდ გაკეთდა უფალ ისააკის და უფალ იაჰბალაჰას და მათთან ერთად ეპისკოპოსთა მიერ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არ ვართ დამნაშავენი, ჩვენ არ მიგვიღია ეკლესიიდან განკვეთა და გაძევება, რომელსაც ისინი, ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ, არც დოკუმენტები, რომელსაც ისინი ჩვენზე გამოსცემდნენ, რომლითაც ჩვენ არ შეგვიძლია მივუახლოვდეთ საიდუმლოებებს ან დავუკავშირდეთ ქრისტიანებს“.

მათი ბოროტი განზრახვის გამო მე დავწერე მათი განაჩენი და გავაგზავნე მათ მხარეებში. როდესაც მათ დაინახეს ნაწერები, თქვეს: „ჩვენ არ ვეთანხმებით დადიშოს განაჩენს, რადგანაც მას არ მიუღია კათოლიკოსობა. კაცმა, რომელიც საკუთარ თავს ეპისკოპოსს უწოდებდა, დაასხა მას ხელ-

---

301 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა, ეს ის ფარბოხტი იყოს, რომელსაც დადიშოს პატიმრობისას მცირე ხნით კათოლიკოსობა ეპყრა, სახელთა იდენტურობისა და მოვლენათა მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ამ ორ პიროვნებას შორის ტოლობის დასმა შესაძლებელია, თუ ეს ასეა, მაშინ ფარბოხტს კათოლიკოსობა მიუღია არა დადიშოს წინ, არამედ მისი დაპატიმრების შემდეგ, როგორც ამას ი. ლაბური ვარაუდობს (Labourt, Le Christianisme dans l'empire perse.., 120. შენ. 3).

302 Ardašīr-Kurrah, საშ. სპარს. Ardaxšēr-Xwarra „არდაშირის დიდება“ - ადმინისტრაციული ერთეული ირანში, ფარსის პროვინციაში.

ნი და კათოლიკოსად გამოაცხადა“.[303] და გარდა ამისა, მათ თქვეს, რომ „მან[304] დაწერა და დაადასტურა მოგვებთან: მე არ ვარ ქრისტიანთა მეთაური, მე არ ვაკურთხებ ეპისკოპოსებს, მღვდლებს ან დიაკვნებს, მან ხელი მოაწერა, რომ პატივს მიაგებდა ცეცხლსა და წყალს, ის შორს არის ქრისტიანობის ყველა საქმიანობისგან, ის ჩაიძირა დიდ მრუშობაში, ბევრ ფულს გასცემს გამორჩენის მიზნით. ეკლესია-მონასტრები გაძარცვულია მისგან. ის აკურთხებს მხოლოდ დიდი საჩუქრის სანაცვლოდ. ბევრი ადამიანი იმედგაცრუებულია მის მიერ საჩუქრების მიღებითა და უსამართლო განაჩენის გამოტანით. ის ყველაზე ვერაგი ადამიანია მთელ მის გარემოცვაში. ბრიყვი და უცოდინარი, რადგანაც მას აკლია გამოცდილება და არ შეუძლია წმიდა წერილის კითხვა. მთელი დევნა, რომელიც ამ ხანებში ქრისტიანთა წინააღმდეგ მოხდა, გამოწვეული იყო მისი ბრალდებებით“. მათ ეს უთხრეს ქრისტიანებს და მრავალი მათგანი გამჭრიახობის ნაკლებობის გამო გადაიბირეს. ისინი, ვინც მათი მსმენელები იყვნენ, მოწადინებულნი იყვნენ უფრო მეტად, ვიდრე ამ უზნეობის ავტორები და მთქმელები, რომ ექადაგათ თავიანთი ძმებისთვის, რათა აღეშფოთებინათ ისინი ჩვენ მიმართ. ყველა ეს უზნეობა ჩვენ წინააღმდეგ მოჰქონდათ, არა როგორც დამხობილი ხალხისგან გაგონილი, არამედ თითქოს თავიანთი თვალით დანახული.

პირველ წელს მათ ისევ ჩვენ წინააღმდეგ ქურუმთა და მმართველთა წინ მოიტანეს საძაგელი სიტყვები და არას-

303 ჩვენი აზრით, შესაძლოა, აქ ტუსის ეპისკოპოსი სამუელი იგულისხმებოდეს, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეკუთვნოდა დადიშოს კათოლიკოსად დადგენის იდეა.
304 ე.ი. დადიშომ.

წორი ბრალდებები, და მათ გადამცეს მე სასტიკ ტანჯვას.[305] და როგორც მრავალი ქრისტიანი აღშფოთებული იყო ჩემზე, ამ მომდურავთა საქმის გამო, მე ვერ ვნახე ნუგეშინისმცემელი ტკივილსა და დაავადებებში, რომელიც შემიმსუბუქებდა წამების ტკივილებს, უბედურებებსა და სასტიკ კავშირებს. ამ მიზეზით მდევნელები გათამამდნენ და მოგვები გახდნენ უფრო ძლევამოსილნი ეკლესია-მონასტერთა დანგრევისთვის. მრავალი განდგა და განცალკევდა ჩვენი ძმობისგან. ზოგიერთმა აღიარა [რწმენა], უფრო მეტი გაიქცა და დაიმალა. და ამ გაკიცხულ ადამიანებს ჯერ კიდევ სურთ ქრისტიანობის განადგურება, რომ დაიცვან თავიანთი ბოროტი სურვილი ეკლესიის მოძღვართა მეთაურების მეშვეობით მანუგეშებელი სულის მიერ მათ წინააღმდეგ გამოტანილი სამართლიანი განაჩენის უღიარებლობით. მათი ცდომილებები გავრცელებულია უბრალო ხალხს შორის მათი ბოროტი განზრახვის შესაბამისად. რამდენად სასიამოვნოა მათთვის ცოდვის სისაძაგლეში სიარული და რომ მათ სურთ მუდამ ჰქონდეთ წარწყმედის თავისუფალი საშუალება. მათ აღარ სურთ ჰყავდეთ მეთაური, არც ხელმძღვანელი, რომ დაიცვას ისინი მათი უბედურების ბილიკებზე სიარულისგან. თქვენ ყველამ შეიტყვეთ, ოუ როგორ გავთავისუფლდი მორწმუნე მაცნის

---

305 ორიგინალ'შია „პირველ წელს", ო. ბრაუნს დედნისეული ვარიანტი მოჰყავს (Braun, Das Buch der Synhados.., 49) ხოლო ჟ. შაბო „უკანასკნელ წელს" აღადგენს (Chabot, Synodicon Orientale.., 288), რადგანაც მისი თქმით, მართალია, ორიგინალ'ში „პირველი წელი" წერია, მაგრამ მისი თქმით, ამგვარი წაკითხვა ნაკლებად ბუნებრივი ჩანს, რადგანაც ამ პასაჟიდან შეგვეძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დადიშოს პატიმრობა დიდხანს არ გრძელდებოდა(Chabot, Synodicon Orientale.., 288 შენ.1.) , მაგრამ კრების აქტების დედნისეულ ვარიანტს ეთანხმება ბარ ებრაიას ცნობაც, რომლის მიხედვითაც „[კათოლიკოსად კურთხევიდან] მცირე ხნის შემდეგ მას ბრალი დასდეს მეფის წინაშე და დაპატიმრებულ იქნა მისი ბრძანებით" (Bar Hebraeus, Eclesiastical Chronicle. 326).

მეშვეობით,[306] მსგავსად ფრინველის მონადირის მარყუჟისგან [გათავისუფლებისა]. და ახლა რატომ დაიღალე შენ, ჩემო გამწარებულო სულო, ვინ არის გადამეტებულად დამწუხრებული უბედურებათა სიმრავლის გამო, რომელმაც გადაიარა მათზე? თქვენი მოკრძალებული პატივისთვის, მე გადავიტანე დიდი შეურაცხყოფა და უზომო უბედურება. ნება მომეცით, მწარედ ვიტირო ეკლესიის განადგურების, მისი შვილების დამცირებისა და დაღუპვის გამო." - მან თქვა ეს და მისმა თვალებმა ცრემლები გადმოღვარა, ის ტიროდა ტკივილისგან და ყველა ეპისკოპოსი აატირა.

მაშინ ეპისკოპოსი აგაპიტი[307] ადგა და ეპისკოპოსთა უმაღლეს მეთაურს, მთელი აღმოსავლეთის ხელმძღვანელს, ნებართვა სთხოვა, რომ ესაუბრა მისი თანდასწრებით და ასევე წაეკითხა კანონიკური წერილები, რომლებიც სხვადასხვა დროს და ბოლოს კათოლიკოს უფალ ისააკისა და უფალ იაჰბალაჰას დროს დასავლეთის [ეკლესიათა] ხელმძღვანელებ-

306 იგი უნდა ყოფილიყო რომის იმპერატორის ელჩი, ამ მოსაზრებას ადასტურებს ბარ ებრაიას ცნობა: „ [დადიშო დაპატიმრებული იყო] სანამ ბერძენთა იმპერატორ თეოდოსის მიერ წარგზავნილმა ელჩმა მის დასაცავად არ ილაპარაკა სპარსელთა მეფის წინაშე და მან გაათავისუფლა" (Bar Hebraeus, Eclesiastical Chronicle. 326). უცნობია ამ ელჩის ვინაობა. ვფიქრობთ, შესაძლოა მასში იგულისხმებოდეს ის ელჩი, რომელზეც თეოდორიტე კვირელი საუბრობს და რომლის თხოვნითაც ბაჰრამს დიაკონი ბენიამინი გაუთავისუფლებია: „ორი წლის შემდეგ ჩამოვიდა რომაელთა ელჩი, რომელიც სხვა საქმეების გამო შუამავლობდა. როდესაც მან ეს შეიტყო, მეფეს სთხოვა დიაკვნის გამოშვება... მეფემ... ბრძანა მისთვის ხუნდების ახსნა" (თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია...298), როგორც ვხედავთ, რომაელი ელჩი სასანიანთა კარზე ქრისტიანთა დევნის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ მისულა, რაც სწორედ კრების ჩატარების წინა პერიოდს, 423 წელს გვაძლევს. ი. ლაბური დადიშოს გათავისუფლებას ამ ელჩობას მიაწერს (J. Labourt, Le Christianisme dans l'empire perse.., 121, შენ. 2).

307 ბეთ ლაპატის მიტროპოლიტი. ებედიესუ ნიზიბინელის ცნობით დასავლელი ეპისკოპოსების წერილი კათოლიკოსს აგაპეტმა მიუტანა, რომელმაც მის საყდარს პირველობის პატიჟი მოუტანა. ჟ.. შაბოს თქმით, ეს ეწინააღმდეგება ისააკის კრების აქტების ცნობებს, რომელშიც აგაპეტი წარმოდგენილია როგორც მეამბოხე (Chabot, Synodicon Orientale.., 289. შენ. 2). თუმცა ისააკის კრების აქტებში ჩვენ ვერ ვხედავთ აგაპიტის ხსენებას, იქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ბეთ ლაპატში რამდენიმე ეპისკოპოსი ერთდროულად იყო.

მა ჩვენს ძველ მამებს გამოუგზავნეს. აგაპიტმა წაიკითხა წერილები და თანმიმდევრულად განაგრძო საუბარი თავდაპირველი დაბრკოლებების შესახებ, რომლისგანაც წარმოიშვა დევნა ეკლესიათა წინააღმდეგ, განაკუთრებით უღირსი და დაუმორჩილებელი ეპისკოპოსების მეშვეობით, რომლებმაც თავიანთი უღირსი საქციელის გამო წმინდა და სახელოვანი მაღალუსამღვდელოესი, მართლმორწმუნე კათალიკოსის, უფალ პაპას მკაცრი გაკიცხვა მიიღეს,იმ დროს, როდესაც ისინი მივიდნენ უფალ მილესთან და მის მსგავს კეთილშობილ ეპისკოპოსებთან, რომელთაც მათ თავგზა აურიეს და რომლებიც, მათი მიამიტობის გამო გზას ააცდინეს. ხოგიერთი ამ მეამბოხეთაგანი იყო ბრალმდებელი, სხვები - მოწმეები. და უფალმა მილესმა და მისმა მსგავსმა კეთილშობილმა ეპისკოპოსებმა ამ მეამბოხეთა ჩვენებანი მიიღეს როგორც მოსამართლეებმა. მაშინ, როდესაც მათ უფლება არ ჰქონდათ მოეწყოთ ეს სასამართლო, მათ განაჩინეს უფალ პაპას დამხობა და გადაყენება. უფალმა პაპამ დაინახა, რომ სამართალი ამ კრებაში აღარ იყო, რომ ჭეშმარიტება ბოროტებამ გადაფარა, რომ სიმართლე განხეთქილებაში მყოფთა სურვილებს ეწირებოდა და ამ დროს სახარება დაესვენებინათ შუაგულში, მაგრამ უსამართლოდ მსჯელობდნენ, უსამართლოდ ექცეოდნენ მას სინოდის წევრები. ამის დამნახავი გაცეცხლდა, დაარტყა ხელი სახარებას და უთხრა: „თქვი, თქვი, სახარებავ! რისთვის ხარ შუაში დასვენებული, როგორც მსაჯული? შენ ხედავ, რომ სიმართლემ დატოვა პატიოსანი ეპისკოპოსები, ისევე როგორც განდგომილნი და შენ ხმას არ იღებ სამართლიანობის აღსადგენად!“ რადგან იგი მოწიწებით, თავმდაბლობით და დახმარების თხოვნით არ მიუახლოვდა და შეეხო სახარებას, უფალმა პაპამ იმწამსვე საკუთარ სხეულზე იწვნია სასჯელი. მაშინ მეამბოხე ეპისკოპოსებისგან დაწერილი ბრალდების უსამართლო, ძალი-

ადობრივი, უწმიდური წერილები კიდევ უფრო სანდო გახდა [კრებაში მონაწილე] ეპისკოპოსებისთვის. მათ შეუთხზეს მას, როგორც ღვარძლიან ადამიანს [ცილისმწამებლური] წერილები და [მისი] მრავალი ასლი გააკრცელეს მრავალ მხარეს. შემდეგ, როდესაც ეს ცნობილი გახდა დასაელელი მამებისთვის და მათ გულმოდგინე გამოკვლევით გამოააშკარავეს ამ მეამბოხეთა ცილისწამება, რომელთა თვითმყოფადობა ჩამორთმეულ იქნა. ყველა ეპისკოპოსი, რომლებიც გახდნენ ბრალმდებლები და სხვა მოწმეები, გადაყენებულ და დამხობილ იქმნენ მათი [სამღვდელო] ხარისხიდან. რაც შეეხება კეთილშობილ ეპისკოპოსებს, რომლებიც უფალ პაპას წინააღმდეგ გამართულ კრებაზე იყვნენ, ზოგიერთებმა ეს სამყარო დატოვეს წამებით პატივდებულებმა, სხვები კარგი სახელით გარდაიცვალნენ, ხოლო მათ, ვინც ისევ ცოცხალი იყო, შეუნარჩუნდა [სამღვდელო] ხარისხი, არა მათი ქმედების გამო, არამედ რადგანაც ცნობილი იყო, რომ ისინი გულუბრყვილონი და მიამიტი ადამიანები იყვნენ. ამიტომაც შეძლეს ამ განდგომილებმა იოლად მოეტყუებინათ ისინი და იმ დალოცვილთა სათნოებების მოჩვენებითი შესახედაობით მეამბოხეებმა შეძლეს შეესრულებინათ მათი ბოროტი განზრახვა პატრიარქის წინააღმდეგ, რადგან ეშინოდათ, რომ ის მათ თავიანთი ხარისხიდან განაყენებდა. მათზე დასაელელი მამებისგან მოვიდა [ეს განჩინება]: ისინი უმოწყალოდ არიან გადაყენებულნი, დამხობილნი და უარყოფილნი, ყველა, ვინც უფალ პაპას საწინააღმდეგოდ მოიქცა, მამებისგან დამხობილ და გადაყენებულ იქნა. თავისი სასიქადულო საქმეებისა და სარწმუნოებისადმი მგზნებარე გულმოდგინებისათვის, რადგანაც ის უფრო მეტად გაბრწყინდა, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი, რისთვისაც მას სამაგიერო მიეგო მის წინააღმდეგ მისივე მოწაფეების მიერ გამართული კრებისგან, რომელთაც არ ჰქონდათ ამის ჩადენის უფლება, მამებმა

ბრძანეს:

„უფალი პაპა გამოცხადდეს ყველას მეთაურად დიპტიხში და ყველა მისი წინამორბედი მოიხსენიონ მის შემდეგ. როგორც ვიცით, უფალი სიმონი, რომელიც მმართველობის შერყვნის პერიოდში მის ადგილას იყო დადგენილი, არის სათნო და ღვთაებრივი ადამიანი, მაგრამ კრებისგან გახდა იძულებული [დაეკავებინა პაპას ადგილი], გახდება უფალ პაპას არქიდიაკონი და თავის მოვალეობას მის წინაშე სიყვარულით და ღვთისმოშიშებით აღასრულებს. ჩვენ თანახმა ვართ, რომ როდესაც უფალი პაპა დატოვებს ამ სამყაროს, სიმონი დაჯდეს მის ტახტზე და იპყრას საპატრიარქო მმართველობა. რადგანაც, ჩვენ შორის მოსწაელეს არ აქვს თავის მასწაელებელზე მეტი უპირატესობა და ძალაუფლება, რომ მასზე წინ დადგეს და ის განსაჯოს. ეს უფლება მათ ქრისტე ღმერთისგან არ აქვთ, როგორც ბუნების კანონი, რომ შვილებს არ შეუძლიათ გააძევონ მშობლები მათი სამკვიდროდან, არამედ მშობლებს შეუძლიათ ეს შვილების მიმართ. და არ შეუძლიათ ყმებს თავიანთი ბატონის თავისუფლება შეზღუდონ, არამედ ბატონს შეუძლია ეს თავისი ყმების მიმართ. ასევე ქალებს არ აქვთ უფლება უხელმძღვანელონ ქმრებს, არამედ ისინი უნდა იყვნენ ქმრების დაქვემდებარებაში. ქალებს ევალებათ ქმრების სიყვარული, მათ დაქვემდებარებაში ყოფნა და მორჩილება. კაცებს კი ერთის სიყვარული, მაგრამ არა ქალის დაქვემდებარებაში ყოფნა. და იქ, სადაც კაცი დაექვემდებარება ქალს, მოიწვევს საკუთარ თავზე სასჯელს, რადგან ის არ ასრულებს სამყაროს ბუნებით, ღვთისგან დადგენილ კანონს. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ წმინდა ეკლესიაში ყველაფერი სრულყოფილად იქნეს შესრულებული, რომ როგორც ერთია მამა ჭეშმარიტებისა, ერთია მისი ძე, მხსნელი ქრისტე და ერთია მისი სული ცხოველსმყოფელი და ნუგეშინისმცემელი, მსგავსად ძემ ამოირჩია მხოლოდ ერთი ერთ-

გული თანაშემწე სიმონ ბარ იონა, მეტსახელად კეფა, რომელსაც შეჰპირდა: „ამ კლდეზე მე ჩემს ეკლესიას ავაშენებ“ და „შენ მოგცემ ცათა სასუფეველის გასაღებს“.[308] ყველას არ უთხრა ქრისტემ, “თქვენზე ავაშენებო ეკლესიას” და “თქვენ მოგცემთო გასაღებს”, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტემ ყველა მოწაფეს უბოძა სამღვდელო მადლი, მაგრამ არა ერთადერთი მმართველობა ანუ სულიერი მამობა. ისევე როგორც ეს პრინციპია ერთი ჯეშმარიტი ღმერთის, ასეევა ეს დაცული მის ერთგულ მსახურთან: ერთია მთავარიც, მმართველიც და მზრუნველი თავის მოძმეებისათვის. ეს კანონები და დადგენილებები დაცულია ჩვენს ეკლესიაში. და თუ რომელიმე ეპისკოპოსს აქვს განცდა რომ უსამართლოდ მოექცა მას მასზე ზემდგომი, მან ეს უნდა განაცხადოს კრებაზე, რომელიც ყოველ წელიწადს ტარდება და განაცხადოს მორჩილებით. და თუ ეპისკოპოსები მიიჩნევენ, რომ მათი ძმა ცდება, ისინი უნდა შეევედრონ მამას, რომ მან მის შვილს ეს აპატიოს. ამიტომაც ადგენენ მამები ყოველ წელს კრებას, რომ ეს სიძნელეები და გაურკვეველობები გაარკვიონ და გამოსავალი იპოვონ. და მსგავსად აღმოსავლეთის მხარეში, ქალაქ სელევკიაში, კოკეს დიდებულ ეკლესიაში დამკვიდრებულ საპატრიარქო საყდარში, ეპისკოპოსებს არ შეუძლიათ კრების გამართვა თავიანთი მეთაურისა და ხელმძღვანელის წინააღმდეგ. მათ არ აქვთ უფლება განსაჯონ იგი და უნდა იცოდნენ, რომ არ გაიწოდონ ხელი მასზე, რაც არ აქვთ მიცემული არც ღვთისგან და არც კაცთაგან“.

„ეს განისაზღვრა ჩვენი ძველი დასაველელი მამების მიერ და წერილობით გაიგზავნა ჩვენს ძველ აღმოსავლელ მამებთან. ეს წერილები არის ღვთის სიტყვის ძალით დამტკიცებული და ისინი ეკლესიიდან განკვეთას განუკუთვნებენ მათ,

308 „და მე გეტყჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი“. მთ. 16. 18-19.

ვინც დაარღვევს ამას“.

„ასევე იყო კათოლიკოს უფალ ისააკის დროს, რომელიც იყო ღვთის კაცი, რომელმაც დიდი სასწაულები და სასწაულებრივი ნიშნები მოახდინა. რომლის ხელითაც 22-წლიანი უძლურების შემდეგ აღორძინდა ქრისტიან ხალხზე უმაღლესი სამღვდელოების მმართველობა[309] და რომელმაც მმართველობის განახლებით განადიდა ეკლესია, დიდი კეთილგანწყობის დახმარებით, რომელიც მას ღმერთმა მისცა მეფის თვალში. აგიტატორებს და ავთვისებიან მავნებლებს, თავიანთი ავი საქმეებით, რომლებიც იმ დროს ეპისკოპოსებად იწოდებოდნენ, ჰქონდათ კადნიერება კათოლიკოს უფალ ისააკის წინააღმდეგ დაჯგუფების შექმნისა. მათ დაწერეს გაკიცხვის თავები და მძიმე ბრალდებები [მის წინააღმდეგ], მათ აღაშფოთეს მიამიტი [ადამიანები] და ააღელვეს უძლურთა გონება. მათ უჩივლეს მას მეფესთან, მათ გაუგზავნეს მეფეს უსამართლო სიტყვები, ასე რომ, თუკი შესაძლებელი იყო აეღელვებინათ [მისი] გონება და დაემწყვიათ უფალი ისააკი სატყრობილეში. ეს ცნობილი გახდა დასავლეთის მამებისთვის. და მათ წერილებითა და მხარდაჭერით, ასევე ქრისტიანთა სამეფოს მეთაურის[310] ბრძანებით, ეპისკოპოსი უფალი მარუთა გამოგზავნილ იქნა მეფეთა მეფის, იეზდიგერდის წინაშე. ის მოვიდა და წარუდგა მას მნიშვნელოვანი საჩუქრებით, რომელიც თან წამოელო. მეფეთა-მეფე იეზდიგერდის ბრძანებით ჩატარდა ეპისკოპოსთა კრება, გულმოდგინე გამოკვლევით, უფალმა მარუთამ განსაჯა მეამბოხეები და გარდაქმნა ყველაფერი, რაც შეშლილ იქნა ამ ურჩი ეპისკოპოსებისგან.

კათოლიკოს უფალ იაჰბალაჰას დროს იგივე გააკეთეს მეამბოხეებმა და ამპარტავნებმა. ზოგიერთ გაელენიანი ქრისტიანისა და გარეშე ხალხის დახმარებით, მათ მიიტა-

309 სხვა წყაროებით არ დასტურდება ისააკის კათოლიკოსობის წინა პერიოდში დედაქალაქის საეპისკოპოსო კათედრის 22 წლით გაუქმება.

310 იგულისხმება რომაელთა იმპერატორი თეოდოსი II მცირე (408-450).

ცეს საეპისკოპოსო ხარისხი. მათი საძაგელი საქმეების და უნაყოფო შეხედულებების გამო, რომელიც მათ ჰქონდათ, მათ არ შეეძლოთ მიეღოთ უფალ იაჰბალაჰას ძალაუფლება. მათ ააღელვეს და აღაშფოთეს მრავალი ადამიანი, მათ აღაგზნეს სქიზმა და გათიშვა ეკლესიაში. მშვიდობის მაცნის მეშვეობით ეს ცნობილი გახდა ჩვენი დასავლელი მამებისთვის, რომლებმაც აცნობეს ეს იმპერატორს. ერთობლივი შეთანხმებით მათ გამოგზავნეს გულმოდგინე, ამ დავალების შესაბამისი ადამიანი.[311] რომელმაც გამოავლინა ერთულება წესებით, რომელიც მან შემოიღო და განაჩენით, რომელიც მან მიიღო მეამბოხეთა წინააღმდეგ, და დიდებული მშვიდობით, რომელიც მან დაამყარა კათოლიკოს უფალ იაჰბალაჰას დროს. თქვენ ეს იცით, ჩვენო მამანო! ყოველთვის, როდესაც ჩვენ შორის სქიზმა და უთანხმოება იყო, დასავლელი მამები იყვნენ მხარდამჭერნი და დამხმარენი ამ მამობის. რომელთანაც ჩვენ ყველანი, როგორც მოწაფენი და შვილნი ვართ დაკავშირებულნი და მიმაგრებულნი, როგორც მთელი სხეულის ნაწილები თავთან, კიდურების დედოფალთან. მათ ასევე შეგვიმსუბუქეს ჩვენ და გაგვათავისუფლეს მოგვების მიერ ჩვენი მამებისა და ჩვენს წინააღმდეგ აგზნებული დევნისგან. მადლობა მოციქულებს, რომლებიც მათ სხვადასხვა დროს ჩვენთან გამოგზავნეს.

და ახლა, როდესაც დევნა და ტანჯვა ასეთი აშკარა გახდა ჩვენთვის, გარემოებები არ მისცემს საშუალებას მათ, რომ ჩვენთვის ადრინდელივით იზრუნონ. არამედ, როგორც საყვარელი შვილები და გულმოდგინე მემკვიდრეები, ჩვენ თავად უნდა ვცდილობდეთ, რომ მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ ერთმანეთს იმ ხელისუფლების მეშვეობით, რომელიც ჩვენია. რადგანაც თუ - ღმერთმა ნუ ქნას! - ჩვენ დავეცემით ხელმძღვანელობის სიმაღლიდან, ჩვენ დავიღუპებით წყალობის

311 იგულისხმება ამიდის ეპისკოპოსი აკაკი.

გარეშე. მოდი, განკურნე ჩვენი ხალხისა და სამღვდელოების ჭრილობები. მოდით, ყველა გარდაცვლილის წინაშე, ჩვენი მამისა და მეთაურისთვის, რომელიც არის ჩვენი ხელმძღვანელი, მომმარაგებელი, გამანაწილებელი ღვთაებრივი საგანძურის ყველა სიმდიდრის, კათოლიკოსი უფალი დადიშო, რომელიც ჩვენთვის არის პეტრე[312], ჩვენი საეკლესიო შეკრების თავი. მოდით, ვილოცოთ და შევევედროთ ჩვენს მამას, რომ დაიმდაბლოს თავი და მიიღოს ჩვენი თხოვნა, ან ჩვენ ყველანი დავდგებით მის კართან გლოვით, ვაი-ვაგლახით, ჯვალოთი, ნაცრით, ტირილითა და მწარე ქვითინით, სანამ ჩვენი მამა მოწყალებას არ მოიღებს ჩვენზე, მიიღებს ჩვენს თხოვნას, დაუბრუნდეს თავის მამობრივ საყდარს და აიღოს ხელმძღვანელობა ჩვენზე, თანახმად ქრისტეს ბრძანებისა პეტრეს, მოციქულთა თავის მიმართ."

იმის შემდეგ, რაც ითქვა ეპისკოპოს აგაპიტისგან, ოსია, ნიზიბინის ეპისკოპოსი, წამოდგა და თქვა: „ჩვენო ძმანო და თანამოღვაწენო, რატომ დუმხართ და სხედხართ განსჯილი და დამხობილი ადამიანების მსგავსად? ისინი იწვევენ ეკლესიის დაზიანებასა და ნგრევას. ისინი თავიანთი ხალხის დაკმაყოფილებისა და პატივისათვის თავიანთი ბრალდებებითა

312 იგულისხმება პეტრე მოციქული. როგორც ვნახეთ, 424 წლის კრების აქტებში კათოლიკოსი მრავალჯერ არის შედარებული პეტრე მოციქულს, ასევეა „არბელას ქრონიკაშიც": „მამებმა დაამტკიცეს ქტეზიფონის პატრიარქის უზენაესობა ყველა ეპისკოპოსზე, მსგავსად პეტრეს უპირატესობისა მოციქულებზე" (MŠIHA-ZKHA.., 143). ვფიქრობთ, სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული ქართული წყაროების მიერ ქართლის ეკლესიის პირველ კათოლიკოსად პეტრეს დასახელება და სინამდვილეში ქართლის პირველი კათოლიკოსი იყო არა პეტრე, არამედ სამოელი, რომელიც ქართლის ეკლესიისთვის „პეტრე" ე. ი. მეთაური იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართლის კათოლიკოს პეტრეს არსებობას ეჭქვეშ აყენებდა კ. თუმანოვი, მისი აზრით, ქართლის პირველი კათოლიკოსის ხელდამსხმელის, ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონის სახელი მის მიერ ხელდასხმულზე გადავიდა, რომლის ნამდვილი სახელიც სამოელი ყოფილა. აღნიშნულ საკითხზე ვამზადებთ გამოკვლევას, რომელსაც მკითხველი ახლო მომავალში იხილავს.

და უცხოთა წინაშე ცილისწამებებით იწვევენ მთელი ქრისტიანი ხალხის დაღუპვას, შეურაცხყოფით, ურთიერთბრალდებებით, სინდისის გახრწნით, მორწმუნე მამაკაცებისა და დედაკაცების სახლებში ფარულად შეღწევით. რამდენად უფრო შეგვეფერება ჩვენ, რომ მოვინდომოთ და გავაკეთოთ რაც შეგვიძლია, ყველაფრისთვის, ჩვენი მამისა და მეთაურის, კათოლიკოს უფალ დადიშოს მმართველობის სიმტკიცისთვის, ეკლესიის სიმშვიდისა და თანხმობისათვის და მისი შვილების აღდგენისათვის, რომლებიც თავიანთი სახლის ხარისხიდან გამოვიდნენ, რაც გამოიწვია შფოთმა, უთანხმოებამ, ცილისწამებამ, რომელიც მათ შორის შემოიტანეს ამ გაკიცხულმა, განძარცვულმა და დამხობილმა ადამიანებმა, რომლებიც თავიანთი ამპარტავნებით მუდამ ღვთისმოშიშების გამანადგურებლები იყვნენ. მოდით, დავტოვოთ რაც შორსაა და გავაკეთოთ ის, რაც ახლოსაა. მის კარზე დგომისგან ჩვენ უფრო შორს ვართ, ვიდრე ჩვენი ხელებით მის წმიდა ფეხებზე მოხვევისგან."

ყველა ეპისკოპოსი წამოდგა და პირქვე დაემხო, ისინი მოეხვივნენ კათოლიკოსის ფეხებს და იყვნენ ჩაბღაუჭებულნი მასზე. მათ ქვითინით აიმაღლეს ხმა და თქვეს: „გვეედრებით, აპატიე უგუნურება შენს შვილებს, რომლებიც განუსჯელად იქცეოდნენ მოხიბლულები ამ მეამბოხეთა და ბრალდებათაგან. გაითვალისწინე შენი შვილების ეს შეკრება, მოწყალება მოიღე შენი უფლის სამწყსოზე, რომელთა გამოც ხანგრძლივად იყავი შეკრული სასტიკი ჯაჭვებით, წამებითა და მწარე ტანჯვით. და რომელთათვისაც სიხარულით მიიღე სხვადასხვა საფრთხე. ახლა, ზურგს ნუ შეაქცევ მათ და ნუ დატოვებ ამ სასტიკი მტაცებლების ხელში, ამ დამხობილი და გადაყენებული [მოძღვრების ხელში], არამედ მოწყალება მოიღე მთელს შენს სამწყსოზე და დაე, მკაცრი სასჯელის დადგენილება მხოლოდ იმ მაყვედრებელთათვის იყოს დადგე-

ნილი, რომლებიც შეწყალების გარეშე იქნებიან დამხობილნი, არა მხოლოდ სამღვდელო ხარისხიდამ, არამედ ხარისხიდანაც და ერთობიდანაც. და როგორც წარმართებს, მათ ჩამოერთმეოთ ქრისტიანებთან ეაჭრობისა და ურთიერთობის უფლება. მათი გადაყენება, ეკლესიიდან განკეეთა და დამხობა გამოცხადდება ქრისტეს მთელს ეკლესიაში. და თუ ისინი შეასრულებენ ეპიტიმიას, როგორც ეს გაახარებს თქვენს მამობას, ისინი მიიღებიან, როგორც ერისკაცები და უფლება ექნებათ, რომ მორწმუნე ერისკაცებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ საიდუმლოებებში. - და ჩვენ მივიღეთ და ვიღებთ [ახლაც] ღეთაებრიე დადგენილებებსა და მამობრიე კანონებს, რომლებიც დროდადრო იგზავნებოდა აღმოსავლეთის ამ მხარეში, რომელშიც ჩვენ ვართ. მათ დაადგინეს, რომ: „მამა არ შეიძლება თავისი სამკვიდროდან შვილების მიერ იქნეს გამოდევნილი, რომ ვინც არის მეთაური ან ხელმძღვანელი, არ შეიძლება ბრძანებებს იღებდეს მისგან, ვინც მასზე დაბლა დგას. რომ ის, ვისაც აქვს უზენაესი უფლებამოსილება, არ არის მის ქვეშევრდომზე დამოკიდებული". როგორც ჩვენმა დასაელელმა მამებმა განსაზღვრეს: „რომ ეპისკოპოსებს არ აქეთ უფლება მოიწვიონ კრება მათი მეთაურის წინააღმდეგ, არც ბრალდების ან საჩივრის დაწერის უფლება. მაგრამ თუ ისინი უჩივიან და არ დაკმაყოფილდებიან პატრიარქის თანდასწრებით გამართულ კრებაზე, მათ უნდა მიმართონ მის კოლეგებს, რომლებიც საქმის განხილვის შემდეგ გადაწყვეტენ მათ შორის [სამართალს]." როგორც ეს მრავალჯერ გამოცდილია. ისინი, ვინც კათოლიკოსების წინააღმდეგ ცდილობდნენ გასაჩივრებას, ყოველთვის დამნაშავენი აღმოჩნდნენ და თავიანთი დანაშაულის სასჯელი მიიღეს ეკლესიიდან განკეეთითა და გადაყენებით, ჩამოერთვათ თავიანთი სასულიერო წოდება და განძარცვულ იქმნენ სამოსლისგან, რომელიც ემოსათ. ჩვენ ახლა განვსაზღვრავთ ღეთის სი-

ტყვის მიერ: „რომ აღმოსავლეთის მკვიდრთ არ აქვთ უფლება თავიანთი პატრიარქის წინააღმდეგ საჩივრით მიმართონ დასავლეთის პატრიარქებს. რომ ნებისმიერი საქმე, რომლის გადაწყვეტაც მისი თანდასწრებით ვერ მოხერხდება, გადადებულ-იქნას ქრისტეს სამსჯავროსთვის“. ჩვენ განვსაზღვრავთ და ვამტკიცებთ ამ დადგენილებას, რომელიც არის ურღვევი და შეურყეველი. რადგანაც ჩვენ განვსაზღვრავთ წმიდა სამების მიერ, სამების სიტყვის მიერ, არავის აქვს უფლება, რომ კათოლიკოსის წინააღმდეგ კრება გამართოს, გამოიწვიოს კამათი, სქიზმა ან გაყოფა, დაწეროს მის წინააღმდეგ ბრალდების ან საჩივრის განცხადება, გააგზავნონ ბრალდების შემცველი არასწორი ინფორმაცია ეპარქიებში, როგორც მათ გააგზავნეს უფალ პაპას წინააღმდეგ. შევიდნენ სახლებში, რომ ილაპარაკონ მასზე ცუდი რამ. ჩვენ არანაირი მიზეზით არ შეგვიძლია ვიფიქროთ ან ვთქვათ, რომ აღმოსავლეთის კათოლიკოსი შეიძლება განისაჯოს მასზე დაბლა მდგომისგან ან მისი მსგავსი პატრიარქისგან. ის თავად უნდა იყოს მოსამართლე ყველასი, ვინც მის ქვეშაა და მისი საკუთარი განაჩენი გადანახული უნდა იყოს ქრისტესთვის, რომელმაც ამოირჩია იგი, აღაზევა და დააყენა იგი თავისი ეკლესიის მეთაურად. ამისთვის ნასიამოვნებია მისი უსასრულო დიდებულება, რომ მისი უმაღლესი ძალაუფლება მინდობილი და უკვდავყოფილი იქნება მისი ეკლესიის მმართველობაში. ასე რომ, ვინც კათოლიკოსის ხელქვეითია, მისი მოწაფე და ქვემდგომია, შესაძლოა კათოლიკოსის მიერ მოხმობილ იქნას სასამართლოზე და მან ხალისით უნდა მიიღოს ნებისმიერი განაჩენი, რომელიც გამოვა მისგან. და ჩვენ ყველა, ეპისკოპოსები, მსგავსად ყველასი, ვინც ჩვენს შემდგომ მოვა, ვეთანხმებით და ვამტკიცებთ, დამსწრენი და აქ არ მყოფნი, ყველაფერს, რაც აღესრულება თქვენი მამობისგან და ყველა იმ მამისგან, რომლებიც მოვლენ თქვენ შემდეგ და დაიკავებენ

თქვენს საყდარს“.

ეპისკოპოსებმა დაამატეს და თქვეს: „დიდება უფალს და დიდხანს სიცოცხლე შენ, ჩვენო მამაე! ჩვენი ხელებიდან არ გაეუშვებთ თქვენს ფეხებს და არ წამოვდგებით მიწიდან იქამდე, სანამ არ მოსცემ მშვიდობას ჩვენს კრებას და მთელს ეკლესიას“.

და მაშინ ჩვენმა მამამ, კათოლიკოსმა უფალმა დადიშომ თქვა: „გევედრებით, ძირს გარნთხმულად ყოფნით ნუ დამიმატებთ უბედურებას უბედურებაზე, წამოდექით, რადგანაც მე აღვასრულებ ყველაფერს, რასაც მოხოვთ.[313] ისინი, ვინც თავიანთი უღირსების გამო სამღვდელო წოდებიდან განკვეთილი და დამხობილი იქმნენ, და რომლებიც შეწყალებას არ იმსახურებენ, ესენი არიან პირველები მათთან ერთად, რომლებიც ახლახან შეუერთდნენ მათ, რომლებიც მე გაეასამართლე თქვენს სიწმიდესთან შეთანხმებით. ყველა დანარჩენისთვის, რომლებიც უმეცრებით ან უგუნური გულმოდგინებით იქცეოდნენ [ასე], ჩვენ უარს ვამბობთ და განვაგდებთ ჩვენი გონებიდან ყველა უთანხმოებას, რაც ჩვენსა და მათ შორის არსებობდა. ჩვენ შევუნდობთ მათ თქვენი ლოცვებითა და მისი ეკლესიისთვის უკუნისამდე ნუგეშინისმცემელი, მიმტევებელი და მწყალობელი სულის მიერ.“

და ეპისკოპოსებმა თქვეს: „ამინ“.

ფეხზე ამდგარმა ეპისკოპოსებმა ასევე თქვეს: „ეს არის ის, რაზეც ჩვენ თქვენთან, ჩვენს მამასთან შევთანხმდით. თუ ჩვენს დროში ან ჩვენს შემდეგ ვინმე გაბედავს, რომ დაარღვიოს რაიმე, დაუნდობლად უარყოფილი და დამხობილი იქნას

313 ამდენად, დადიშომ მიიღო კრების წინადადება, უარი თქვა გადადგომაზე და დარჩა აღმოსავლეთის კათოლიკოსად. ამას მოკლედ გვამცნობს ბარ ებრაიაც: „მან (დადიშომ) ასევე სთხოვა ეპისკოპოსებს, რომ ნება მიეცათ, უარი ეთქვა მისი თანამდებობის ტვირთზე, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ და თავმდაბლურად შეევედრნენ, რომ უარი არ ეთქვა ეკლესიის მართვაზე. მან მიიღო მათი თათბირი და სიკვდილამდე გააგრძელა ეკლესიის ხელმძღვანელობა“ (Bar Hebraeus, Eclesiastical Chronicle. 326).

ყველა სამღვდელო ხარისხიდან, როგორც დამხობილი და უარყოფილი იყვნენ ადრინდელი და ახლანდელი მეამბოხენი. და თუ ვინმე, ნებისმიერი მიზეზით გახდება მათი ქომაგი, გააცანით მათ ნგრევა, დანაკარგი, უბედურებები, დევნები, გამოწვეული ეკლესიაში ამ მეამბოხეებისგან, ამ უნაყოფოთა და ამაყთაგან, რომლებიც აღდგნენ უპირატესზე, და თუ შემდეგ ის, ვინც შეამდგომლობს, არ დაემორჩილება, იყოს მათ მსგავსად განკვეთილი, შეწყალების გარეშე, ნებისმიერი სამღვდელო ტიტულისგან. სამების ცოცხალი სიტყვით, არც ჩვენ და არც მათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, არ შეგვეძლება გავაუქმოთ ან დავარღვიოთ ის, რაც ჩვენ განვსაზღვრეთ, დავამტკიცეთ და ხელმოწერით დავადასტურეთ ამ წერილში."

[ეს არის] ყველა ეპისკოპოსი, რომელთა სახელებიც წერილის თავშია დაწერილი, რომლებმაც შეადგინეს და ბეჭედი დაუსვეს და ხელი მოაწერეს, გარდა იმ ეპისკოპოსებისა, რომელიც გვიან მოვიდნენ, ხელი მოაწერეს და დაეთანხმნენ ყველაფერს, რაც პირველებმა გააკეთეს. გარდა ეპისკოპოსებისა, რომლებიც ეკლესიიდან განიკვეთნენ კრებაზე კათოლიკოს უფალ დადიშოს განაჩენით. ისინი მოვიდნენ (გვიან) და ამ წერილის ბოლოს თავიანთი ბეჭედი დასვეს და თავიანთი ხელმოწერები დაურთეს, მათი სახელები ცნობილია თავად ამ წერილებიდან".[314]

ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ 424 წელს ირანის ეკლესიამ გამოაცხადა ავტოკეფალია და გამოვიდა ანტიოქიის დაქვემდებარებისგან,[315] მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში უ. უინკლერმა (W. Winkler) გამოარკვია,

---

314 Chabot, Synodicon Orientale.., 285-298.

315 Labourt, Le Christianisme dans l'empire perse sous la dynastie Sassanide.., 120-125; Fortescue, The lesser eastern churches.., 51; P. M. Sykes, A History of Persia, Vol. I. 1915, 468; Christensen, L'Iran sous les Sassanides.., 276; Fray, The History of ancient Iran.., 321; Rassam. S., Christianity in Iraq. Its Orogins and Development to the Present Day. Leominster: Gracewing, 2006, 36; მაშულია, ქართლის ეკლესია.., 8; გ. ყიფიანის თქმით აღმოსაელეთის ქრისტიანები „აიძულეს, რომ თავი რომის ეკლესიისაგან განკვეთილად გამოეცხადებინათ" (გ. ყიფიანი, ბოლნისის სიონი.., 726). ბუხებრივია, აქ ტერმინთა აღრევასთან გვაქვს საქმე და „განკვეთის" ნაცვლად „გამოყოფა" უნდა ვიგულისხმოთ.

რომ აღმოსავლეთის ეკლესია არასდროს ყოფილა ანტიოქიის დაქვემდებარების ქვეშ. მისი მტკიცებით, აღმოსავლეთის ეკლესიაზე ანტიოქიის იურისდიქცია არ დასტურდება 410, 420, 424 წლის კრებების პერიოდში, „სინამდვილეში - დაასკვნის იგი - არც ერთი უძველესი წყარო არ აღნიშნავს აღმოსავლეთის ეკლესიის დამოკიდებულებას ანტიოქიისადმი, როგორც დედა ეკლესიისადმი, შუა საუკუნეების ზოგიერთი ტექსტი (იბნ ატ-ტაიიბი, მარი იბნ სულეიმანის და ამრ იბნ მატას პატრიარქთა სია) არის პირველი, რომლებიც წამოადგენენ აღმოსავლეთის ეკლესიის კათოლიკოსთა ანტიოქიაში ან იერუსალიმში კურთხევის იდეას".[316] ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ამ სამიეე კრების დოკუმენტები, მათში არანაირი მინიშნება არაა, რომ აღმოსავლეთის ეკლესია რომის იმპერიაში არსებული რომელიმე ეკლესიისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, გარდა იმისა, რომ 410 და 420 წლის კრებებზე მონაწილეობა მიიღეს მესოპოტამიის ეპისკოპოსებმა, რომლებიც ანტიოქიის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ.[317] თუმცა, როგორც კრებათა დოკუმენტებიდან ირკვევა, ისინი უბრალოდ აღმოსავლეთ რომის იმპერატორის მიერ წარგზავნილნი იყვნენ და არა რომელიმე კონკრეტული ეკლესიის, ამ შემთხვევაში ანტიოქიის წარმომადგენელნი. მეტიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, 410 წლის კრების დოკუმენტებში ანტიოქიისა და სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსები მოხსენიებულნი არიან ერთი და იმავე, „ეპისკოპოსი კათოლიკოსის" ტიტულით. რაც იმას ნიშნავს, რომ ისააკი ანტიოქიის ეპისკოპოსის თანაბარი რანგის პირად მიიჩნევა. შესაბამისად, უნდა დავეთანხმოთ უ. უინკლერის დასკვნას, რომ კრებათა აქტები არაფერს ამბობენ აღმოსავლეთის ეკლესიის რაიმე იერარქიულ დაქვემდებარებაზე ანტიოქიის ეკლესი-

316 Baum, Winkler, The Church of the East: A Concise History, 21.

317 მესოპოტამიის პროვინცია ჯერ კიდევ 325 წლის ნიკეის მსოფლიო კრების წინა ხანებში დაექვემდებარა ანტიოქიის ეპისკოპოსს.

ისადმი. 424 წლის კრებაზე აიკრძალა აღმოსავლეთის ეკლესიის წევრების მიერ დასავლეთის ეკლესიებთან საჩივრით მიმართვა, ასევე, კრებამ განსაზღვრა, რომ არავის ჰქონდა კათოლიკოსის წინააღმდეგ კრების მოწვევის უფლება, რაც თავისთავად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა აღმოსავლეთის ეკლესიის ფორმირებაში.

კათოლიკოს უფალ დადიშოს კრების დასასრული[318]

318 ამგვარად სრულდება 424 წლის კრების აქტები (Chabot, Synodicon Orientale..,298).

„როდესაც აღმოსავლეთში მშვიდობა იყო და მის სწავლებაში დიდი ერთგვაროვნება სუფევდა და [ენით] აღუწერელი მოწყალება იყო ყველა გულში, დასავლეთი აიმღვრა და თავისი სწავლებით აღზევდა მეორე ფარაონი, კირილე ეგვიპტელი, რომელიც სამეფო ჯარის დახმარებით და ამქვეყნიური ძალით ებრძოდა ჭეშმარიტებას და დევნიდა ჭეშმარიტ მარტვილს, უფალ ნესტორს, კონსტანტინოპოლის პატრიარქს. როდესაც უფალმა დანიელმა შეიტყო ამ უთანხმოების შესახებ, იწინასწარმეტყველა, როგორც ნათქვამია, რომ მოვიდა დრო, როცა დასავლეთი დაბნელდება და ნათელი აღმოსავლეთში გამოჩნდება"

„იმ დროს, როცა აღმოსავლეთში ხალხის ხელმძღვანელობისა და რწმენის დაცვის საკითხებით იყვნენ დაკავებულნი, დასავლელმა მამებმა ეფესოს მკრეხელურ კრებაზე დაანგრიეს ყოველი კეთილი საქმე, სადაც კირილემ, უსამართლობის მუშაკმა, დაადგინა დიდი მკრეხელობა და კაღნიერი ღვთისგმობა, რომ ჩვენი კაცობრიობის ცხოვრების-მომცემელ ქრისტეში არის ერთი პიროვნება და ერთი ბუნება. და უფალი ნესტორი, მიუხედავად იმისა, რომ არ ესწრებოდა [ამ კრებას], ისევე როგორც სხვა მრავალი ეპისკოპოსი, ანათემას გადასცეს და მცდარად განკეთეს ეკლესიიდან ეგვიპტელთა შეთქმულებით. და აღმოსავლეთის გაყოფა დასავლეთისგან დასრულდა. კირილემ მაშინ დაისვენა, როდესაც თავის უზნეო მიზანსა და ეკლესიის ერთობისა და ურღვევი კავშირის დარღვევაში წარმატებას მიაღწია. გამზადებულმა მარადიული ცხოვრებისთვის, როგორც ჯილდოსთვის მის საქმეთა გამო".[319]

V საუკუნის 20-50 წლები ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია, როდესაც ჩატარდა ორი მსოფლიო კრება და დაიგმო ნესტორიანელობა (431 წლის

319 MŠIHA-ZKHA.., 143-145.

ეფესოს კრებაზე) და მონოფიზიტობა (451 წლის ქალკედონის კრებაზე). თითქოსდა ბედის ირონიით, წყაროები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ დროს აღმოსავლეთის ეკლესიაში. ერთადერთი, რაც ცნობილია, ისაა, რომ 433 წელს პრესბიტერმა იბამ[320] წერილი მისწერა ბეთ არდაშირის ეპისკოპოს მარის სპარსეთში,[321] რომელშიც ერთი მხრივ სასტიკად იყო გაკიცხული ნესტორი ქალწულ მარიამის მიმართ „ღვთისმშობლის" (**Θεοτόκος**) წოდების უარყოფისთვის, ხოლო მეორე მხრივ კირილეს აპოლინარიზმში[322] ადანაშაულებდა და კიცხავდა მისი „12 თავის"[323] ერესს.[324] როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ეკლესიის მესვეურნი აქტიურად აკვირდებოდნენ დასავლეთის ეკლესიებში მიმდინარე პროცესებს.

457 წელს გარდაიცვალნენ იეზდიგერდ II (438/9-457)[325] და კათოლიკოსი დადიშო (421/2-457), აღმოსავლეთის კათო-

320 იბა ედესელი. ედესის ეპისკოპოსი 435-457 წლებში.

321 მარი არდაშირელის ვინაობის შესახებ იხ. Labourt, J, Le Christianisme dans l'empire perse.., 8-9, შენ. 6.

322 აპოლინარიზმი (Apollinarismo) ქრისტოლოგიური ერესი, რომლის სახელწოდებაც მომდინარეობს ლაოდიკიელი ეპისკოპოსის, აპოლინარიუსის, სახელიდან, რომელიც, ქრისტეს ღმრთაებრიობის უარმყოფელ არიანელობასთან დაპირისპირებლად, ამტკიცებდა, რომ ქრისტეში სიტყვამ (ლოგოსი) იესოს სამშვინველის სულიერი ნაწილი ჩაანაცვლა. ამგვარად ეჭვქვეშ დგებოდა ქრისტეს კაცობის სისრულე.

323 იგულისხმება კირილე ალექსანდრიელის „12 ანათემატიზმი".

324 Wace, Henry; Piercy, William C. Dictionary of Christian Biography and Literature to the End of the Sixth Century (3rd ed.). London: John Murray; W. A. Wigram, An Introduction to the History of the Assyrian Church.., 150. წერილის ქართული თარგმანი იხილეთ: „ეპისტოლისაგან იეას მიერ ედესიისა ეპისკოპოსისა მიწერილისა მარინ სპარსისა მიმართ, შემდგომად წინა_სიტყუაობისა" წიგნში: ვიქტორია ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ტ. 1 ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, თბილისი, 2008, 636-638.

325 A History of Persia by Lieut. – Col. P. M. Sykes, Vol I. 1915, 472; Arthur Christensen, L'Iran Sous Les Sassanides, Coperhague, 1936, 284.

ლიკოსი გახდა ბაბოვაი, რომელიც ცეცხლმსახურებიდან ქრისტიანობაზე იყო მოქცეული.[326]

იმავე 457 წელს გარდაიცვალა ედესის ეპისკოპოსი იბა. სპარსელები, რომლებიც ედესის სკოლაში სწავლობდნენ, იძულებული გახდნენ ედესა დაეტოვებინათ და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, რომელთაგან შემდეგში ბარსუმა ნიზიბინის მიტროპოლიტი გახდა, მა'ნა - ფარსის, აკაკი - ბეთ არამაის, იოანე - ბეთ სელოკის კარკას, პავლე - ლედანის კარკას, ფუსაი - შუშტერის.[327]

ბაბოვაის კათოლიკოსობის პირველი წლები სასანიანთა სამეფო კარზე ძალაუფლებისთვის ბრძოლით აღინიშნა. იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდა მისი ორი ვაჟი - ჰორმიზდი და პეროზი. თავდაპირველად ჰორმიზდმა მოახერხა გამეფება (ჰორმიზდ III 457-459), მაგრამ შემდეგ პეროზმა შეძლო ძმის დამარცხება და გვირგვინიც დაიდგა (459-484).[328]

---

326 Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum: T.3, col. 62.

327 Labourt, J, Le Christianisme dans l'empire perse.., 133;

328 The History of al-Tabari Volume V.., 109; Chronique de Abou-Djafar-Mo'hamed-ben-Djarir-ben-Yezid Tabari, traduite sur la version Persane d'Abou-'Ali Mo'hammed Bel'ami, par M. Hermann Zotenberg. T. II. Paris, Imprimerie nationale, 1869, 127; Abou Mansour abd al-Malik ibn Mohamad ibn Isma'il, Histoire des Rois des Perses..Textze Arabe publie et traduite par H. Zotenberg, Paris, Imprimerie nationale. 1900, 573-575; A History of Persia by Lieut. – Col. P. M. Sykes, Vol I. 1915, 472; Arthur Christensen / L'Iran Sous Les Sassanides, Coperhague, 1936, 284-285.

329 მარი იბნ სულეიმანის ცნობით, მისი დაპატიმრების მიზეზი ყოფილა დარღვევა პეროზის ბრძანებისა, რომლის მიხედვითაც აკრძალული იყო კათოლიკოსის დადგენა, Maris, Amri et Salibae, Pars II.., 36. ბარ ებრაიას ცნობით კი ბაბოვაის დაპატიმრების მიზეზი გამხდარა მის მიერ მაზდეანობის უარყოფა. (Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum: T.3, col. 62), რაკილა ბაბოვაი ჰორმიზდ III-ის მეფობისას იქნა კათოლიკოსად არჩეული, ბაბოვაის დასაპატიმრებლად პეროზი მარის მიერ დასახელებულ მიზეზს ვერ გამოიყენებდა, რაც შეეხება ბარ ჰებრაუსის ცნობას, ეს მართლაც რეალური ჩანს, რადგანაც, როგორც სხვა წყაროებიდანაც ირკვევა, გამეფების პირველ ხანებში პეროზი მაზდეანობიდან განდგომილთ ნამდვილად არ სწყალობდა და ზრუნავდა, ისინი კვლავ „მამაპაპეულ" რჯულზე დაებრუნებინა. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით ალბანეთის მეფე ვაჩეს, რომელიც სასანიანთ ირანში არსებული შინაომისას (457-459) აჯანყდა, პეროზმა შეუთვალა: „გამოუშვი ჩემი და და დისწული, ეგენი ხომ თავიდანვე მოგვები იყვნენ, შენ კი აქციე ქრისტიანებად". (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 30). გარდა ამისა, პეროზი ზრუნავდა, რომ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ მაზდეანებს არ უარეყოთ თავიანთი რწმენა, პრისკე პანიონელის ცნობით „ელჩები მოვიდნენ სპარსელთა თვითმპყრობელისაგან და ჩიოდნენ: „ჩვენიანები თქვენთან გადმოვიდნენ, ხოლო იმთავითვე რომაელთა მიწაწყალზე მცხოვრებ მაგებისათვის უნდოდათ დაევიწყებინათ მამაპაპური ადათები და კანონები, უნდოდათ გამოეთიშათ ისინი ღვთის სამსახურიდან, და ნებას არ აძლევდნენ, რომ მათთან მუდამ ნთებულიყო უქრობი ცეცხლი". (პრისკე პანიონელი, გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1. ტექსტი ქართ. თარგმ. გამოსცეს და განმარტებები დაურთვეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961. 256.) რის გამოც რომაელებს თავის მართლება მოუწიათ, „რომ არ ჰყოლიათ ლტოლვილები, არც მაგები შეუწუხებიათ სარწმუნოების გამო". (პრისკე პანიონელი.., 257.) ვფიქრობთ, სწორედ ამგვარ ვითარებაში უნდა ვიძულებინათ გაქრისტიანებული რაჯდენი, დაბრუნებოდა თავის ძველ სარწმუნოებას. ამგვარად, თუკი მთლიანობაში გავიაზრებთ პეროზის პოლიტიკას გაქრისტიანებულ მაზდეანთა მიმართ, ძნელი არაა ვირწმუნოთ ბარ ჰებრაუსის ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბაბოვაი სწორედ მაზდეანობის უარყოფის გამო (რაც პეროზის გამეფებამდე უნდა მომხდარიყო) უნდა დაეტუსაღებინათ.

დააპატიმრეს,[330] როგორც ჩანს ამ პერიოდიდან დაიწყო განხეთქილება აღმოსავლეთის ეკლესიაში, სირტის ქრონიკის" ცნობით, ეპისკოპოსებს დაპატიმრებული ბაბოვაისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ, ხოლო პატიმრობიდან გათავისუფლებულ კათოლიკოსს ისინი გადაუყენებია.[331] პეროზის კეთილგანწყობა მან ვერც გათავისუფლების შემდეგ დაიმსახურა, პეროზმა თავის მარჯვენა ხელად ბარსუმა ნიზიბინელი გაიხადა, „არბელას ქრონიკის" ცნობით პეროზი ბარსუმას რჩევის შესაბამისად მართავდა სახელმწიფოს.[332] წყაროებში ასევე ასახულია, თუ როგორ დევნიდა ბარსუმა ჯარის დახმარებით მართლმადიდებლებს და ნესტორიანელობის გაერცელებას ცდილობდა. ამავე დროს ეკლესიაში

330 „ბაბოვაის მარტვილობის" ცნობით, იგი დაპატიმრებული ყოფილა „მრავალი წლის განმავლობაში", მარი იბნ სულეიმანის ცნობით ბაბოვაი 2 წელი იყო პატიმრობაში (Maris, Amri et Slibae.., 36), ხოლო ბარ ებრაიას ცნობით - 7 წლის განმავლობაში და გაუთავისუფლებიათ ბიზანტიელთა და სპარსელთა შორის ზავის დადებისას (Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum:.T.3. col. 62). ი. ლაბურმა ბაბოვაის ტუსაღობა 457-464 წლებით დაათარიღა (Labourt, Le Christianisme dans l'empire.., 129. იქვე, შენ. 5). ხოლო უ. უიგრამმა ბაბოვაის პატიმრობა 470-480 წლებით განსაზღვრა. (William Ainger Wigram. An Introduction to the History of the Assyrian Church or The Church of the Sassanid Persian Empire 100-640 A.D. London: Society for Promoting Christian Knowledge. New York, E.S. Gorham, 1910, 151). ეფიქრობთ, ი. ლაბურის მოსაზრება უფრო ახლოსაა სიმართლესთან, მხოლოდ მასში მცირეოდენი შესწორება უნდა შევიტანოთ, ვინაიდან პეროზმა მხოლოდ 459 წელს დაიკავა ტახტი და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას ბაბოვაის დაპატიმრება, რაც შეეხება გათავისუფლების თარიღს, მართალია 464 წელს პეროზმა მიიღო იმპერატორ ლეონის ელჩი, მაგრამ, როგორც პრისკე პანიონელი წერს, მისი მოთხოვნები არ დაუკმაყოფილებია: „პეროზმა კონსტანტიუსი მიიღო გორგოში, ასე ერქვა სოფელს, სადაც სპარსელებს ბანაკი ჰქონდათ. აქ დარჩა ის რამდენიმე დღეს. პეროზი მას გულითადად ეპყრობოდა, მაგრამ სათანადო პასუხის გარეშე გაუშვა" (*Сказания Приска Панийского. / Пер. Г. С. Дестуниса. СПб., 1860, 91*). ეფიქრობთ, ბაბოვაის გათავისუფლებას უფრო გვიან, 466-467 წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი.

331 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, publiée par Addaï Scher . René Graffin,. Patrologia Orientalis. T.7. (Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs,1950) , 99.

332 MSIHA-ZKHA.., 147.

უწესრიგობა გავრცელდა, „სიირთის ქრონიკის“ ცნობით: „მის (ბაბოვაის-დ.ჩ.) დროს მხოლოდ მღელვარება და უწესრიგობა იყო: კაცებმა და ქალებმა დაიწყეს შეთქმულება, რომ აერჩიათ ეპისკოპოსები და ქრთამის აღებით ეკურთხებინათ ისინი... სამარცხვინო საქმეები იქმნა, მრუშობა იყო საერთო, ბერები და მღვდლები დაქორწინდნენ უკანონოდ, თუ ვინმე ეკლესიიდან განკვეთილი იყო ცოდვის გამო და ეკლესიაში შესვლა აკრძალული ჰქონდა, მათ შეეძლოთ მიეღოთ საიდუმლოებები მორწმუნეთა სახლებში“.[333]

ერთი მხრივ, ამ საქმეთა გამო, ხოლო მეორე მხრივ ბაბოვაის დასაგმობად 484 წლის აპრილში ბეთ ლაპატში გაიმართა კრება, რომელსაც ბარსუმა ნიზიბინელი ხელმძღვანელობდა. 484 წლის კრების აქტები არ შედის „აღმოსავლელთა სინოდიკონში“, რადგანაც ეს კრება თავად ბარსუმამ უარყო მალევე (ვრცლად იხ. ქვემოთ).

484 წლის კრების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით სომხეთის კათოლიკოს ბაბგენის მიერ სპარსელ ქრისტიანთა მიმართ მიწერილ პირველ წერილში, რომელიც 506 წელს (ან მახლობელ ხანებში) უნდა დაწერილიყო და შესაბამისად ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ წყაროს წარმოადგენს ბეთ ლაპატის კრების შესახებ: „ეს სარწმუნოება ჰქონდა ნამდვილად მთელს ჩვენს ქვეყანას ერთხმად და სრულიად არავითარი ცოდვა არ გამოჩენილა აშკარად პეროზის მეფობის 27-ე წლამდე, ხოლო მაშინ გამოჩნდა ბოროტების ცომი, რომელიც დამალული იყო უწმინდურ სულებში, რომელთაც იწყეს შემღერება ჭეშმარიტი სამების ნათელი რწმენისა, თვის მოტყუება დაუმტკიცებელი ხორციელი ენებით, გავრცელდა ეჭვიანობა და დასნეულდნენ მრავალნი საშინელი სენით იქამდე, რომ გმობა-წვალების მეთაურნი ადგილ-ადგილ კრებებს იწვევდნენ - ხან გუნტშაპუჰში, ხან ასორესტანში - აკაკი, ბარ-

333 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, 99-100.

წუმა, მანი, იოჰანან, პაელე, მიქა და სხვა მათი მოზიარენი ნესტორის, დიოდორისა და თეოდოროტის გამონათქვამებსა და ულმრთოებას უერთხმავდებოდნენ და ამნაირი საქმიანობით მთავართა და მსაჯულთა წინაშე დიდ გარჯასა და საფრთხეში გეაგდებდნენ ჩვენ და სხვა ყველა მართლმადიდებელს ჩვენს ქვეყანაში".[334]

კათოლიკოს აკაკისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ბარსუმა წერს: [მე ვაღიარებ], ასევე, რომ ჩვენ შევიკრიბეთ ქალაქ ბეთ ლაპატში, რათა ჩაგვეტარებინა კრება და მივიღეთ კანონები ადამიანური ენების მიერ, უფალ ბაბოვაის დროს - ღმერთმა გეაპატიოს და შეგვინდოს ამ კრების შეცდომები - სინამდვილეში, მე ვამოწმებ, კრება, რომელიც ჩავატარეთ, ქრისტიანობის საწინააღმდეგო იყო, ისევე როგორც ყველაფერი, რაც იქ იქმნა".[335] იმავე წერილში იგი ბეთ ლაპატის კრებას მოიხსენიებს „მეამბოხური კრების - მამათა ყველა კრების საწინააღმდეგოს"[336] სახელით.

მიიჩნეოდა, რომ 484 წლის ბეთ ლაპატის კრებაზე მიღებულ იქნა ნესტორის ქრისტოლოგია,[337] თუმცა უ. უინკლერი (W. Winkler) დაწვრილებით განიხილავს 484 წლის კრების ამსახველ წყაროებს, მისი თქმით ბეთ ლაპატის კრების დადგენილებანი ფრაგმენტულადაა მოღწეული და ისინი ეხება სიმონიას (სამღვდელო პატივის ფულით ყიდვა), კათოლიკოს გრიგოლის (605-609) 605 წლის კრების მასალებში ნათქვამია, რომ ბეთ ლაპატის კრებაზე ხაზგასმულ-იქნა თეოდორე მოფსუესტელის ჰომილიების და კომენტარების ავტორიტეტი. შედეგად უინკლერი ასკვნის, რომ ფაქტობრივად არანაირი

334 სომეხთა ეპისტოლე სპარსეთში, მართლმადიდებელთადმი, ზაზა ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, მაცნე, (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბილისი: მეცნიერება, 1973, N3. 147-148.

335 Chabot, Synodicon Orientale.., 534-535.

336 Chabot, Synodicon Orientale.., 535.

337 Frye, The Political History of Iran under the Sasanians, 149.

საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ვაღიაროთ 484 წელს ადრინდელი ქრისტოლოგიური განსაზღვრების შეცვლა.[338]

ქვემოთ სრულად მოგვყავს 484 წლის ბეთ ლაპატის კრების დადგენილებათა დამოწმებანი:

ამონარიდი კათოლიკოს გრიგოლის 605 წლის კრებიდან:

„ჩვენ ასევე ვიხსენებთ, რომ ღვთაებრივმა შეკრებამ, რომელიც გაიმართა ბეთ ჰუზაიეში, ქალაქ ბეთ ლაპატში, მეფეთა მეფე პეროზის 27-ე წლის ნისანის თვეში,[339] რომლის ხელმძღვანელები და მთავარი პირები იყვნენ დალოცვილი უფალი ბარსუმა, ეპისკოპოსი მიტროპოლიტი ნიზიბინისა და ნანაი, ეპისკოპოსი მიტროპოლიტი ფერატისა, ამ ღვთაებრივი მასწავლებლისა და მისი თხზულებების შესახებ[340] განსაზღვრა შემდეგი: „მის წინააღმდეგ სხვადასხვა ადგილებში ერეტიკოსების მიერ გავრცელებული ბოროტი ჭორების გამო, არც ერთი ჩვენგანი არ უნდა დაეჭვდეს ამ წმიდა ადამიანის მიმართ. მის სიცოცხლეში იგი სარწმუნოების მასწავლებელთა შორის ითვლებოდა პირველად და ყველაზე ცნობილად. და მისი სიკვდილის შემდეგ მისი ყველა განმარტება და ტრაქტატი გახდა ღირებული და ძვირფასი ყველასთვის, ვინც [ცდილობდა] გაეგო ღვთაებრივი წმიდა წერილების ღრმა მნიშვნელობა და პატივს მიაგებდა ორთოდოქსულ რწმენას. სინამდვილეში მისი წიგნები და განმარტებები ინახავენ შეურყვნელ რწმენას, სულის თანახმად, რომელიც შეესაბამება ახალ აღთქმაში წარმოდგენილ ღვთაებრივ სწავლებას. ისინი ანადგურებენ და უარყოფენ წინასწარმეტყველთა მიერ გაცხადებული წინასწარხედვის ან მოციქულთა სახარებისეულ ქადაგების საწინააღმდეგო ყველა სწავლებას. თუ ვინმე გაბედავს, საიდუმლოდ ან სახალხოდ, ცილი დასწამოს ან შეურაცხ-ყოს ეს ჭეშმარიტი მასწავლებელი ან მისი წმი-

338 Baum, Winkler, The Church of the East: A Concise History, 28-29.

339 484 წლის აპრილი.

340 იგულისხმება თეოდორე მოფსუესტელი.

და თხზულები, ანათემირებულ იყოს თავად ჭეშმარიტების მიერ.“ მათ ამგვარად განსაზღვრეს ეს წმიდა ადამიანი, თავისი კეთილგონიერი მეცნიერებით ცნობილი და ღვთაებრივი სწავლებით განთქმული“.[341]

ბეთ ლაპატის კრების დადგენილებათა ფრაგმენტები ასევე მოიპოვება ელია ნიზიბინელის წერილში, რომელიც ეხება არაკანონიერი პატრიარქის იეშუიაბის არჩევას, ასევე ებედიეშუს შრომაში „საეკლესიო დადგენილებათა წესი“.

ფრაგმენტები, დამოწმებული ელია ნიზიბინელის წერილში:

„ამონარიდი ბეთ ლაპატის კრების XIII კანონიდან: მათთან დაკავშირებით, ვინც სამღვდელო ხელდასხმას ყიდულობს. - ხელახლა, მათ შესახებ, ვინც კი ფულს მისცემს, რომ იყიდოს საეკლესიო ხარისხი, ჩვენ ვაწესებთ ამ სასჯელს: რომ ის ვერ შეასრულებს თავის მსახურებას, ჩვენ გვახსოვს დალოცვილი პეტრეს[342] სიტყვები, რომელმაც იპოვა [ადამიანი] სრულიად უცხო რწმენისგან, სულიერი ჯილდოს ფულით ყიდვის მოსურნე და უთხრა მას: „შენი ფული შენთან იყოს დასაღუპავად, რადგანაც იფიქრე, რომ ღვთის ნიჭის შეძენა შეიძლებოდა ამქვეყნიური ქონებით, შენთვის ამ რწმენაში არ არის არც ნაწილი, არც მემკვიდრეობა“.[343]ამგვარად, ვინც კი ფულს გასცემს ან მიიღებს რომელიმე საეკლესიო ხარისხის მისაღებად, ანათემას გადაეცემა ეკლესიის უფლის, ქრისტეს წინაშე.

XII კანონი კრებისა, რომელიც შეიკრიბა ბ[ეთ ლაპატში]. - რომ არ არის მართებული მიტროპოლიტი ეპისკოპოსისთვის, რომელიც არის ეპისკოპოსთა ხელმძღვანელი, რომ

341 Chabot, Synodicon Orientale.., 475-476.

342 იგულისხმება პეტრე მოციქული.

343 „ვეცხლი ეგე შენი შენთანაე იყავნ წარსაწრყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოენებად. არა გიც შენ ნაწილი, არცა სამკვდრებელი სიტყუასა ამას შინა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ წინაშე ღმრთისა“. საქ. 8. 20-21.

მეფის წერილით იქნას დადგენილი. გვესმა, რომ ზოგიერთები, საეკლესიო კანონთა საწინააღმდეგოდ, გაიქცნენ, რომ ეპოვათ უცხოელი მმართველები[344] და სამეყო პირთა ბრძანებით, რომელსაც ბერძნულად ეწოდება: Ψηφισθησεται περι αυτου.[345]

იმავე კრების XVIII კანონის ამონარიდი: ის, ვინც სიხარბით, ან რომელიმე სამღვდელო ხარისხის მისაღებად გასცემს, თუნდაც რაიმე მის კუთვნილს, [და] არა მისი მიმღების შეწევნისთვის, ანათემას გადაეცეს სამღვდელოების უფლის წინაშე, და ვინც კი გამოაელენს დანაშაულს, საძრახის [რამეს] და დაუდევრობას ეპისკოპოსთა შორის, რომელთაც ეკუთვნის, რომ მისი ხარისხიდან გადააყენონ იგი, მასთან ერთად გაკიცხულ იქმნას ქრისტეს მიერ, თავისი უსირცხვილობის გამო[346]".[347]

ფრაგმენტები, ციტირებული ებედიესუს მიერ:

„[ამონარიდი] ბეთ ლაპატის კრებიდან. - ქადაგებაში, რომელშიც ჩვენი უფალი ენდო მოციქულებს, მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, როდესაც ის მაღლდებოდა ზეცად, მან უბრძანა მათ, რომ განესწავლათ ყველა ადამიანი: პირველად რწმენაში და შემდეგ საქმეებში. „წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, მონათლეთ ისინი მამის, ძისა და წმიდა სულის სახელით".[348] შემდეგ მან დასძინა: „ასწავლეთ მათ, რომ დაიცვან ყველაფერი, რაც თქვენ გიბრძანეთ".[349]

---

344 აქ ბარსუმა უნდა გულისხმობდეს აღმოსავლელ ეპისკოპოსთა მიმართვას ბიზანტიის იმპერატორისადმი. Chabot, Synodicon Orientale.., 622. შენ. 3.

345 ციტატა აზრის დაუსრულებლად აქ წყდება.

346 ჯ. ბ. შაბოს დაკვირვებით, ტექსტი ოდნავ შეცვლილია, მაგრამ მნიშვნელობა განსაზღვრულია (Chabot, Synodicon Orientale.., 622).

347 Chabot, Synodicon Orientale.., 622.

348 „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა". მათეს სახარება 28. 19.

349 „და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ". მაოეს სახარება 28. 20.

[ამონარიდი] ბეთ ლაპატის კრებიდან. - რომ სამღვდელოს ან მონაზონს, რომელსაც აქვს დავა ერისკაცთან, შეუძლია ნებაყოფლობით და იძულების გარეშე წავიდეს ერისკაცთა სასამართლოზე. - პიროვნებამ, რომელიც უარს ამბობს, საჯაროდ უნდა მიიღოს, და თუ ის ნებაყოფლობით ეთანხმება, რომ ფიცი დადოს წარმართთა წინაშე და თუ ის ყალბ ჩვენებას მისცემს, მისი დანაშაული უნდა ჩაიწეროს სპეციალურ წიგნში. ის მიღებულ იქნება ვალერებისა და სირანულის შესაბამისად, რომელსაც იგი აჩვენებს მღვდლების განჩინების თანახმად.

ბეთ ლაპატის კრებიდან. - გარდა რამდენიმე რამისა, რაც ეპისკოპოსთა კრების წინაშე ითქვა, ეს ხელახლა იქნა ნათქვამი: ბევრგან მრავალი მორწმუნე ბაძავს მოგვებს, სამარცხვინო ქორწინებაში შესვლით და ქრისტეს ეკლესიის სამართლიანი კანონისა და [იმ] საერთო გრძნობის დარღვევით, რომელსაც მთელ ხალხს აქვს, მათაც კი, რომლებიც წარმართობაში არიან ჩაძირულნი. გამონაკლისი არიან მხოლოდ მოგვები. და მცირედ შემდგომი: ისინი, ვინც სჩადიან ამ უწმიდურ საქმეებს და რელიგიისა და ბუნებრიეი გრძნობების შესაბამისად არ მოქმედებენ, რომლებიც, უწმიდურებაში ჩაძირულნი, ბედავენ, რომ მონაწილეობა მიიღონ მორწმუნეთა შეკრებასა და ზიარებაში. ჩვენ ვაცხადებთ მათ სრულიად უვარგისად და გაკიცხულად. რომ მღვდელი, რომელიც მათ მიიღებს და გახდის ეკლესიის ერთობის ან ზიარების მონაწილედ, ანათემირებულ იყოს. რომ ჩამოერთვას მას მისი ხარისხი და მღვდლობა, ეპისკოპოსი იქნება ის, მღვდელი თუ დიაკონი. და რომ ვინც უგულვებელყოფს ამ ანათემას, რომელიც არის ქრისტიანული საშუალება წერთნისთვის, რათა ჰქონდეს სამკურნალო სინანული და დაიცვას ქრისტიანის სახელის სიწმიდე, იყოს უცხო ქრისტესა და წმიდა ეკლესიის ყველა მსახურისთვის.

ბეთ ლაპატის კრებიდან. – რომ მორწმუნისთვის არ არის ნებადართული ორი ცოლის ან ხარჭის ყოლა ცოლთან ერთად. - მაგრამ, რაც შეეხება ძველებს, სწავლებამ გაათავისუფლა და არ აიძულებდა მათ, თავიანთი სისუსტის გამო, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ ერთდერთი ცოლით. მხოლოდ, ქრისტეს კანონისა და მოციქულთა სწავლების თანახმად, სწორი და ღირსეულია, რომ მხოლოდ ერთი ქალი იყოს ერთი მამაკაცისთვის, ისევე როგორც მხოლოდ ერთი მამაკაცი თითოეული ქალისთვის. ასე რომ, ჩვენი უფლის ქადაგება შეესაბამება და ჰარმონიაშია პირველი ადამიანის შექმნასთან. ამისთვის დასაწყისში შემოქმედმა შექმნა ერთი ქალი ერთი მამაკაცისთვის, რომ შეერთებოდნენ ორივე ერთმანეთს, ამბობდა: „მამაკაცი დატოვებს თავის მამას და თავის დედას და მიეკვრება თავის ცოლს და ორივე ისინი ერთხორც იქნებიან“.[350]

ბეთ ლაპატის კრებიდან. - სამარცხვინო და უკანონო ქორწინების შესახებ, რომელიც ქალების მოტაცებით ხდება. - შეწუხებისა და ძალიან ხშირი საზიანო შედეგის გამო, კრებამ ბრძანა, რომ მორწმუნეთათვის არ არის ნებადართული ქალის მოტაცება. ისინი, ვინც გაბედავენ ამის ქმნას, ჩამოერთმევათ ტაძარში შესვლისა და საიდუმლოებებში მონაწილეობის უფლება. ქალები, რომლებიც მოიტაცეს, ნებისმიერ შემთხვევაში გამოერთვათ მათ შემპყრობებს და დაუბრუნდნენ მათ, ვისზეც ისინი არიან დამოკიდებულნი. ზიანს, რომელიც მათ მიადგათ, ჩვენ შევაფასებთ გამტაცებელთა და გატაცებულ ქალთა მდგომარეობის მიხედვით. ჩვენ ვავალებთ ეპისკოპოსებს, რომ ფრთხილად მოძებნონ და თავად გადაწყვიტონ ამ თემაზე, რა არის შესაფერისი და რას ითხოვს სარწმუნოება“.[351]

350 „ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳისი და დედაჲ ოჳისი და შეეყოს ცოლსა თჳისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც.“ დაბ. 2. 24.
351 Chabot, Synodicon Orientale.,, 623-625.

მართალია, მოყვანილ ფრაგმენტებში არაფერია ნათქვამი ბაბოვაის დაგმობაზე, მაგრამ, როგორც თავად ბარსუმა ნიზიბინელი თავის წერილებში აღიარებს (იხ. ქვემოთ), ბეთ ლაპატის კრებას კათოლიკოსი დაუგმია, თავის მხრივ ბაბოვაიმ შეკრიბა თავისი მომხრეები და ბეთ ლაპატის კრების მონაწილენი ეკლესიიდან განკვეთა.[352]

352 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, 100.

485 წლის ბეთ ედრაის კრება

ბეთ ლაპატის კრების შემდეგ აღმოსავლეთის ეკლესიაში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, „პეროზის 26-ე წელს სელევკია-ქტესიფონის მხარეში დაიწყო დევნა ქრისტიანთა წინააღმდეგ,[353] ამ მეფემ უბრძანა ქრისტიანებს, რომ მზისთვის ეწოდებინათ „ღმერთი“, ცეცხლის, წყლისა და ვარსკვლავებისთვის - „ღმერთების შვილები“, ვინც არ დაემორჩილა, ისინი ტანჯეს. ქრისტიანები დიდ უბედურებაში ჩაცვივდნენ, ზოგიერთი შეუპოერობდა, სხვები დამორჩილდნენ. ამით შეშფოთებულმა ბაბაიმ მისწერა ზენონს, ბერძენთა მეფეს, რათა შეეტყობინებინა მისთვის, თუ რა ხდებოდა მის სამწყსოში და სთხოვა მას, რომ მიეწერა პეროზისთვის, რითაც მას შეეძლო შეემსუბუქებინა მათი ტანჯვა. მან ეს წერილი ჩადო ლერწმის ღრუში და გაგზავნა მაცნის მეშვეობით. ნიზიბინში მისვლისთანავე იგი იცნეს ბარსუმას მომხრეებმა, ხელში ჩაიგდეს და გაუგზავნეს პეროზს (სხვები ამბობენ, რომ ეს თავად ბარსუმა იყო), მეფემ მოიწვია ბაბოი და დაუბრუნა წერილი მისი ბეჭდით - მას არ შეეძლო მისი ნამდვილობის უარყოფა... მეფემ წერილი წააკითხა და გადაათარგმნინა სპარსულად, გაშმაგდა ბაბოიზე და უთხრა მას: „შენ სიკვდილს იმსახურებ, რადგანაც ჩემს სამეფოს უწმიდური და ტირანული სამეფო უწოდე. უნდა მომეკალი იმ დღეს, როდესაც არ დამემორჩილე ეპისკოპოსთა დანიშვნით. მაგრამ უგულებელეყავი, რომ დამესაჯე, [ახლა კი] ზღვარს გადახვედი“. „უწმინდური ხელისუფლებით უთხრეს იქ დამსწრე ქრისტიანებმა - მას სურდა გამოეხატა ქრისტიანთა მოწინააღმდეგე ხელისუფლება. თუ ის ამას არ იტყოდა, ბერძნები იფიქრებდნენ, რომ შენ ქრისტიანი იყავი, და ამით იგი დაამცირებდა შენს სამეფოს“. ბაბოი [ამგვარად] იცავდა

353 ბარ ებრაია ამ დევნას ბარსუმა ნიზიბინელს მიაწერს (Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum.., T. III. 66).

თავს: „მე ყოველთვის ვლოცულობ მეფისთვის, მე ვლოცავ მას და მიყვარს მისი სამეფო". „შენი დანაშაული - უთხრა პეროზმა - ძალიან დიდია [იმისთვის], რომ გეპატიოს, თუ შენი მეგობრობა, რომელზეც ახლა ლაპარაკობ, გულწრფელია, თაყვანი ეცი მზეს, მე რომ დავინახო ისე". ბაბოიმ უარი განაცხადა. პეროზმა მას განუჩინა, რომ იგი სახრჩობელაზე ჩამოეკიდათ იმავე თითით, რომელზეც ეკეთა რგოლი, რომელიც მან გამოიყენა, რათა დაებეჭდა წერილი. ის თავისი ნეკა თითით იყო ჩამოკიდებული სელევკიის გარეთ და ასე დარჩა სიკვდილამდე.[354] ხალხმა ჰირადან მისი სხეული წაასვენა თავის ქალაქში, სადაც იგი დაკრძალეს. მისი სახელი ჩაიწერა მოწამეებთან ერთად".[355]

ბარ ებრაიას ცნობით, ბარსუმამ პეროზისგან გამოთხოვილი ჯარისკაცებით დაიწყო ორთოდოქსი ქრისტიანების დევნა, მისი თქმით ბარსუმას დაახლ. 7700 მორწმუნე დაუხოცავს.[356] იმავე ავტორის ცნობით, ბარსუმას მოუწვევია კიდევ ორი კრება, სელევკიასა და ბეთ სელოკის კარკაში.[357]

ბაბოვაის სიკვდილით დასჯის შემდეგ სავარაუდო იყო, რომ პეროზი კათოლიკოსად სწორედ ბარსუმას დანიშნავდა, მაგრამ ეს არ დასცალდა, იმავე 484 წელს პეროზი ჰეფთალებთან ბრძოლაში დაეცა.[358] სპარსეთის სამეფო ტახტზე ავიდა პეროზის ძმა ვალარში (484-488). „სიირთის ქრონიკის" ცნობით, „ვალარში კეთილგანწყობილი იყო ქრისტიანთა

---

354 ელია ნიზიბინელის ცნობით „პეროზის, სპარსთა მეფის, 26-ე წელს, იგი (ბაბოვაი - დ.ჩ.) ნეკა თითით ჩამოკიდებულ იქნა ჯვარზე და გარდაიცვალა". La Chronographie d'Elia Bar-Synaia.., 40.

355 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, 101-102.

356 Bar Hebraeus, The Eclesiastical Chronicle.., 328.

357 Bar Hebraeus, The Eclesiastical Chronicle.., 328.

358 Richard Frye, The Political History of Iran under the Sasanians, Cambridge History of Iran, Volume 3(1), Cambridge: Cambridge University Press, 1983, 148. „არბელას ქრონიკის" ცნობით ეს მომხდარა აგვისტოს თვეში (MŠI-HA-ZKHA.., 147).

მიმართ, [მის დროს] აღდგენილ იქნა ეკლესიები".[359]

ვალარშმა კათოლიკოსად დანიშნა არა ბარსუმა, არამედ აკაკი.[360] რომელიც ბაბოვაის ნათესავი იყო,[361] ამასთან ერთად იგი კარგად იცნობდა ბარსუმას, რომელთან ერთადაც იგი ედესის სკოლაში სწავლობდა.[362] ბარსუმასა და აკაკის ურთიერთობა ჯერ კიდევ ბაბოვაის სიცოცხლეშივე იყო დაძაბული.[363]

თავდაპირველად ბარსუმა აკაკის არ აღიარებდა კათოლიკოსად, მაგრამ სამეფო კარი უკვე მის მხარეს აღარ იყო. ერთი წელი გასტანა მისმა თავნებობამ, მისი მწყალობლის, პეროზის, გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე ბარსუმა იძულებული გახდა კათოლიკოს აკაკის შეხვედროდა, დაეგმო ბეთ ლაპატის კრება, მისი დადგენილებები გაეუქმებინა და აკაკი კათოლიკოსად ეღიარებინა.

ბეთ ედრაის კრების მასალებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მის შესახებ ვიგებთ ბარსუმას წერილებიდან, 486 წლის კრების აქტებიდან და აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა მასალების კრებულში გვიან ჩართული ინფორმაციიდან, რომელიც განმარტავს ბეთ ლაპატის კრების ამ კრებულში არშეტანის მიზეზს:

---

359 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, 122.

360 ბარ ებრაიას ცნობით, „ბარ სულასგან გაქცეული ეპისკოპოსები, შეხვდნენ სელევკიაში და თავიანთ კათოლიკოსად აკურთხეს აკაკი. როდესაც ეს ბარსუმა ნიზიბინელმა და მანა ფარსელმა გაიგეს, დაემუქრნენ აკაკის, რომ მისი წინამორბედის მსგავსად მოკლავდნენ, თუკი არ მიიღებდა მათ სიტყვებს". Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , T.III. 72-74.

361 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1.., 112.

362 Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle. 330.

363 „აკაკიმ განათლება ედესის სკოლაში მიიღო, მან იპოვა თეოდულე, განმარტებლის მოსწავლე, რომელმაც დალოცა იგი და უწოდა „აღმოსავლეთის ბურჯი". ის იყო კეთილი და სათნო. ბარსუმას ბაბოვაისთან უთანხმოებისას აკაკი ედესიდან სელევკიაში წავიდა, სადაც ის სწავლობდა მთელი დრო, რაც ბაბოი ცოცხალი იყო. ეხმარებოდა და მხარს უჭერდა მას ეპისკოპოსებთან ერთად ბარსუმას წინააღმდეგ". Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1..,112-113.

„მიზეზი, რის გამოც ჩვენ ეს კრება[364] არ ჩაერთეთ აღმოსავლეთის მამათა კრებების წიგნში, არის ეს:

ბარსუმა, თვითონ, როცა ის ცოცხალი იყო, მივიდა სოფელ ბეთ ედრაიში,[365] ბეთ ნუჰადრას მხარეში, მამათა საპატიო და წმიდა მამასთან, აღმოსავლეთის კათოლიკოს აკაკისთან, და ისინი ერთად საკმაოდ დიდხანს დარჩნენ ეპისკოპოსთა შეკრებაზე. მან გააუქმა ყველაფერი, რაც თვითონ მოიმოქმედა და ასევე ეპისკოპოსებმა, რომლებიც თან ახლდნენ ქალაქ ბეთ ლაპატში. მან დადო ეს პირობა: „როდესაც სელევკიისა და ქტეზიფონის სამეფო ქალაქში იქნება ეპისკოპოსთა შეკრება და ყველა მიტროპოლიტი და მათი ეპისკოპოსები შეიკრიბებიან იქ, მე წავალ და გავაუქმებ ყველაფერს, რაც ბეთ ლაფატის ქალაქში იქმნა“. ღვთის მეგობარმა, საპატიო და წმიდა უფალმა აკაკიმ, კათოლიკოსმა, პატრიარქმა, ბარსუმა მიიღო მისი გაუქმების შემდეგ: მათ მშვიდობა და ჰარმონია დაამყარეს ერთმანეთთან და ერთად მიიღეს მონაწილეობა სამღვდელო მსახურებასა და წმიდა საიდუმლოებების მიღებაში. ბეთ ჰუზაიეს მხარეში, ბეთ ლაპატის ქალაქში ჩატარებული კრების დადგენილებების ცნობილი უარყოფისა და სრული გაუქმების წერილები ბარსუმასა და მასთან ერთად მყოფი ეპისკოპოსებისგან გაგზავნილ-იქნა სელევკიისა და ქტეზიფონის საპატრიარქო ოლქის ეპისკოპოსებთან. ეს წერილები ჩაწერილია ქვემოთ და ორიგინალები მათი ხელმოწერებით ინახება საპატრიარქო არქივში.

ეს არის მიზეზი, რის გამოც ეს კრება [არ არის ჩართული] მამათა კრებებს შორის“.[366]

ამ ცნობიდან ისე ჩანს, რომ ბარსუმას ამ კრებაზე არ გაუუქმებია ბეთ ლაპატის კრების დადგენილებები, არამედ მხოლოდ პირობა დადო, რომ მომავალ კრებაზე გააუქმებდა

364 საუბარია 484 წლის ბეთ ლაპატის კრებაზე.

365 სოფელი მოსულიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით,

366 Chabot, Synodicon Orientale.., 308-309.

მათ, მაგრამ თავად ბარსუმას წერილები და 486 წლის კრების აქტები სხვა რამეს გვამცნობენ. ბარსუმა ნიზიბინელი პირველ წერილში, რომელიც ბეთ ედრაის კრების შემდეგ არის დაწერილი, თავის მიმდევრებს ამცნობს: „მეფეთა მეფე ვალაშის მეორის წლის აბის თვეში[367] ... უფალი აკაკი, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი, მოვიდა ჰედაიაბში, ეპისკოპოსებთან ერთად, რომლებიც ახლდნენ მას, და ჩვენ და ასევე ეპისკოპოსები, რომლებიც იყვნენ ჩვენთან, შეეხედით მათ და მივესალმეთ ერთმანეთს მოწყალებითა და ერთგულებით. და დავუკავშირდით ერთმანეთს სრულყოფილი და ნამდვილი მშვიდობით, რომელშიც არის ქრისტეს საიდუმლოებებში მონაწილეობის ძვირფასი განძი. ჩვენ სრულიად და მთლიანად დავარღვიეთ და გავაუქმეთ ის, რაც დავადგინეთ ბეთ ჰუზაიეში, და რომელშიც არის დრტვინვა, გმობა, ბრალდებები და მტკიცებები ნეტარი ბაბუის, კათოლიკოსის წინააღმდეგ. ჩვენ ვაღიარებთ და პატივს ვცემთ წმიდა უფალ აკაკის, ეპისკოპოსსა და კათოლიკოსს მეთაურთა, მამათა და მღვდელმსახურთა შორის".

იმავეს გვაუწყებს 486 წლის კრების მასალები, სადაც დასახელებულია კრების რამდენიმე მონაწილეც: „მეფეთა-მეფის, ვალაშის მეორე წლის ელულის თვეში,[368] ... ამ ადგილას შევიკრიბეთ: აკაკი, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი აღმოსავლეთისა, პაპა, ეპისკოპოსი ბეთ ლაპატისა, ბარსუმა, ეპისკოპოსი ნიზიბინისა, იოჰანნანი, ეპისკოპოსი ბეთ სელოკის კარკასი, ჩვენს ძმებთან: ბეთ არამაიეს, ბეთ ჰუზაიეს, ნიზიბინის, ჰედაიაბის, ბეთ გარმაის პროვინციებიდან მოსულ სხვა ეპისკოპოსებთან და მანა, რევ-არდაშირის ეპისკოპოსთან ერთად. ღვთის ნების შესაბამისად, ჩვენ ერთმანეთი ლმობიერად მი-

367 485 წლის აგვისტო.

368 485 წლის სექტემბერი. ამ ცნობის მიხედვით კრება ჩატარებულა არა აგვისტოში (აბის თვე), არამედ სექტემბერში, ამ განსხვავების მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, კრება საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულა და შესაძლოა აგვისტოში გახსნილი კრება სექტემბერში დასრულებულიყო.

ვიღეთ, ყველაფერი, რაც იქმნა ბეთ ლაპატში შეკრებაზე, ახლა მშეიდობითა და შეთანხმებით დაბრუნდა ჩვენი უფლის სწაელების თანახმად, ჩვენ ჩვენს შორის დაედეთ ეს შეთანხმება: „როდესაც ღმერთი მოგვცემს შესაძლებლობას, შევხვდებით, ეპისკოპოსები სხვადასხვა ადგილებიდან, და განხილვითა და ურთიერთშეთანხმებით, წერილობით დავადასტურებთ, ჩვენი ხელმოწერებით და ბეჭდებით. საეკლესიო კანონებს, განსაზღვრებებსა და მოძღვრებებს, რომლებიც წმიდა მამებმა და წინამორბედმა ეპისკოპოსებმა ჩამოაყალიბეს".[369]

როგორც ვნახეთ, ბეთ ედრაის კრებაზე გადაწყდა, რომ სელევკია-ქტეზიფონში უნდა ჩატარებულიყო კრება.

369 Chabot, Synodicon Orientale.., 299-300.

486 წლის სელევკიის კრება

ბეთ ედრაის კრების შემდეგ ბარსუმამ წერილი მისწერა თავის მომხრეებს, რომლებიც ბეთ ედრაის კრებას არ ესწრებოდნენ, აუწყებდა რა ბეთ ედრაის კრების შედეგებს, ბარსუმა მათაც მოუწოდებდა შეერთებოდნენ მის დადგენილებას:

„პირველი წერილი

ჩინებულ მიჰრნარსეს[370], სიმეონს[371], მოსეს[372], იეზდიგერდსა[373] და დანიელს[374], ეპისკოპოსთ[375] - ბარსუმა[376], იოჰანნანი[377],მანა[378], აბდიშო[379], პაველ[380], ნოე[381], აბრაამი[382], ბარსუ-

---

370 ზაბეს ეპისკოპოსი, იხსენიება 486 წლის კრების აქტებში, კრების დადგენილებას ხელს აწერს მისი დიაკონი შილა.

371 ჰირტას ეპისკოპოსი, მონაწილეობდა 486 წლის სელევკიის კრებაში და ხელი მოაწერა მის დადგენილებას.

372 პეროზ-შაბურის ეპისკოპოსი, შემდგომში დაესწრო 486 წლის სელევკიის კრებას და ხელი მოაწერა მის დადგენილებას.

373 ბეთ დარაიეს ეპისკოპოსი, დაესწრო 486 წლის სელევკიის კრებას და მის დადგენილებებს ხელი მოაწერა.

374 ქარმის ეპისკოპოსი, ესწრებოდა 486 წლის სელევკიის კრებას და ხელი მოაწერა მის დადგენილებებს.

375 ბარსუმა ნიზიბინელის მიმდევრები, რომლებიც ბეთ ედრაის კრებაზე არ იმყოფებოდნენ.

376 ბარსუმა ნიზიბინელი.

377 ბეთ სელოკის კარკას ეპისკოპოსი, დაესწრო 486 წლის სელევკიის კრებას და მის დადგენილებებს ხელი მოაწერა.

378 რევ-არდაშირის ეპისკოპოსი, ფარსის მიტროპოლიტი.

379 შესაძლოა, იგი იყოს კაშკარის ეპისკოპოსი აბიშო, რომელიც შემდეგში 486 წლის სელევკიის კრებას დაესწრო.

380 შესაძლოა, იგი იყოს ლედანის კარკას ეპისკოპოსი პაველ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 486 წლის სელევკიის კრებაზე.

381 შესაძლოა, იგი იყოს ბელაშფარის ეპისკოპოსი ნოე, რომელიც დაესწრო 486 წლის სელევკიის კრებას.

382 შესაძლოა, იგი იყოს, 486 წლის სელევკიის კრების აქტებში დასახელებული ტაჰალის ეპისკოპოსი აბრაამი.

მა[383], ელია[384], აბა[385], სიმეონი[386], ელია და ისააკ[387],[388] ჩვენი უფლის უხვი მშვიდობა [თქვენ].

მას შემდეგ, რაც მე ხელი მოვაწერე განაჩენს ჩვენს მამასთან, პატრიარქ უფალ აკაკისთან, მეფეთა მეფე ვალაშის მეორის წლის აბის თვეში, ღვთის განგებით, რომელიც ყოველივეს უფალია, რომელსაც სურს თავისი ეკლესიის მშვიდობა და მისი ხალხის თანხმობა, ქრისტეს წმიდა მეგობარი, უფალი აკაკი, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი, მოვიდა ჰედაიაბში, ეპისკოპოსებთან ერთად, რომლებიც ახლდნენ მას, და ჩვენ და ასევე ეპისკოპოსები, რომლებიც იყვნენ ჩვენთან, შევხვდით მათ და მივესალმეთ ერთმანეთს მოწყალებითა და ერთგულებით. და დაეუკავშირდით ერთმანეთს სრულყოფილი და ნამდვილი მშვიდობით, რომელშიც არის ქრისტეს საიდუმლოებებში მონაწილეობის ძვირფასი განძი. ჩვენ სრულიად და მთლიანად დავარღვიეთ და გავაუქმეთ ის, რაც დაეადგინეთ ბეთ ჰუზაიეში, და რომელშიც არის დრტვინვა, გმობა, ბრალდებები და მტკიცებები ნეტარი ბაბუის, კათოლიკოსის წინააღდეგ. ჩვენ ვაღიარებთ და პატივს ვცემთ წმიდა უფალ აკაკის, ეპისკოპოსსა და კათოლიკოსს მეთაურთა, მამათა და

---

383 მისი ვინაობა უცნობია, ამ სახელით ცნობილია მხოლოდ ნიზიბინის ეპისკოპოსი ბარსუმა, მთავარი შემოქმედი ამ მოვლენებისა.

384 ამ სახელით კრებათა აქტებში იხსენიება მხოლოდ ნეპარგურის ეპისკოპოსი ელია, ხოლო წერილში ორი ელიაა დასახელებული, ამიტომ უცნობია თუ რომელში იგულისხმება იგი.

385 მისი ვინაობა უცნობია, ამ სახელის მქონე ეპისკოპოსი არ იხსენიება არც 486 და არც 497 წლის კრების აქტებში, მხოლოდ, ამ უკანასკნელის დადგენილებებს ხელს აწერს „ქარმის ეპისკოპოს დანიელის მღვდელი და ნოტარი აბა", თუმცა ეფიქრობთ, იგი და წერილში დასახელებული აბა, სხვადასხვა პიროვნებები უნდა იყვნენ.

386 მისი ვინაობა უცნობია, ამ სახელით მხოლოდ ერთი პიროვნება იხსენიება წყაროებში, ჰირტის ეპისკოპოსი სიმეონი.

387 შესაძლოა, იგულისხმებოდეს მაიშანის კარკას ეპისკოპოსი ისააკი, რომელიც ხელს აწერს 486 წლის სელევკიის კრების დადგენილებებს.

388 ბარსუმა და მისი მიმდევრები, რომლებიც ბეთ ედრაის კრებაზე იმყოფებოდნენ.

მღვდელმსახურთა შორის. და ჩვენ ამას ვამცნობთ თქვენს მოწყალებას, ასე რომ, თქვენ იცით, რომ თუ მორჩილებასა და მოწიწებას აჩვენებთ პატივსაცემსა და წმიდა კათოლიკოს აკაკის, ეს სასიამოვნო იქნება ჩვენთვის და ჩვენ ყველაფერს დავაკმაყოფილებთ. თქვენ ჩვენგან იქნებით პატივცემულნი საკადრისი ქებით თქვენი მზრუნველობის გამო და ღვთისგან სასიკეთო ჯილდოთი იქნებით მიღებული.

მუდამ კარგად იყავით ჩვენი უფლის მიერ".[389]

მართალია, ბარსუმა დათანხმდა სელევკია-ქტეზიფონში კრების ჩატარებას, მაგრამ, როგორც კათოლიკოს აკაკისადმი მის მიერ მიწერილი წერილებიდან ჩანს, ეს იძულებითი ნაბიჯი იყო და ბარსუმა თავისი დაპირების შესრულებას არ აპირებდა, რისთვისაც იგი ყველანაირ მიზეზს იშველიებდა:

„მეორე წერილი

ღვთის საპატიო მეგობარს, უფალ აკაკის, პატრიარქს, თქვენი მოსიყვარულე ბარსუმა: მშვიდობა ჩვენი უფლის მიერ!

ჩვენ ეცხოვრობთ მხარეში, რომელიც ითვლება შესაშურად მათთვის, რომელთაც იგი არ განუცდიათ. სადაც მისი სიმშვიდის მოწინააღმდეგეები მრავალრიცხოვანია და სადაც ჩვენ არ შეგვიძლია აღვრიხცოთ მისი კეთილდღეობის დაბრკოლებები. განსაკუთრებით ახლა, რადგანაც აქ უკვე ორი წელია გვალვისგან და აუცილებელი საგნების უქონლობით ვიტანჯებით. სამხრეთელი ტომების[390] სიმრავლე შეიკრიბა იქ და ამ ხალხის და მათი საქონლის სიმრავლის გამო მათ გააჩანაგეს და მოაოხრეს მთისა და ბარის სოფლები. მათ გაბედეს გაეძარცვათ და დაეტყვევებინათ ხალხი და საქონელი, თვით რომაელთა ტერიტორიაზეც კი. რომაელთა დიდი არმია შეიკრიბა და მათ ქვეშევრდომ არაბებთან ერთად მოე-

389 Chabot, Synodicon Orientale.., 531-532.

390 მესოპოტამიის მომთაბარე ტომები.

იდა საზღვარზე[391]. მათ ითხოვეს დაკმაყოფილება იმის გამო, რაც ტუაიებმა, სპარსელთა ქვეშევრდომებმა ჩაიდინეს მათ ქვეყანაში. ბრწყინვალე და სახელოვანმა მარზპანმა ქარდაგ ნახორაგანმა შეაკავა ისინი თავისი კეთილგანწყობითა და სიბრძნით. მან დადო შეთანხმება მათთან და დათანხმდა, რომ შეაგროვებდა ტუაიეს[392] მეთაურებს და დააბრუნებდა ნაძარცვსა და ტყვეებს, როგორც კი რომაელთა [ქვეშევრდომმა] არაბებმა თვითონ დააბრუნეს საქონელი და ტყვეები, რომლებიც მათ წაასხეს სხვადასხვა მიზეზით ბეთ გარმაიდან, ჰედაიაბიდან და ნინევედან. შემდეგ ხელშეკრულებით დაადგინა საზღვრები, ისე, რომ ეს უბედურებები ან სხვა მსგავსი რამ აღარ მოხდეს. მაგრამ ღმერთმა იცის, რომ ის, რაზეც ჩვენ მხოლოდ ვისაუბრეთ, დასრულდება! ამის შესახებ და ამის გამო, მეფეთა მეფემ უბრძანა არაბთა მეფეს[393] და ბეთ არამაიეს მარზპანს, რომ მოსულიყვნენ აქ, და რომაელთა მეთაური მთელი მისი ჯარისკაცებითა და მისი [ქვეშევრდომი] არაბებით დარჩნენ საზღვარზე. ჩვენ, უდიდესი მშვიდობისათვის და დიდი მეგობრობის ნიშნად აბის თვის[394] დასაწყისში, დავარწმუნეთ დუქსი, რომ მოსულიყო ნიზიბინში, მარზპანთან, და ის მისგან დიდი პატივით იქნა მიღებული. როდესაც ისინი ერთად სვამდნენ, ჭამდნენ და სიამოვნებას განიცდიდნენ, ტუაიეს [ხალხს] აღმოაჩნდა გამბედაობა, რომ 400 ცხენოსნით წასულიყვნენ და თავს დასხმოდნენ რომაელთა მცირე სოფლებს. როდესაც ჩვენ ეს შევიტყვეთ, ორივე მხარეს, რომაელთა და სპარსელთა მხარესაც დიდი დანაკლისი იყო. დუქსი და ოფიცრები, რომლებიც მასთან იყვნენ, განრისხდნენ ჩვენზე,

391 ნიზიბინი მდებარეობდა ბიზანტია-ირანის საზღვარზე. 363 წელს იმპერატორი იოვიანე (363-364) იძულებული გახდა ქალაქი ირანისთვის გადაეცა.

392 ქრისტიან არაბთა ტომი.

393 უნდა იგულისხმებოდეს ლახმიდ არაბთა (ჰირას) მეფე ასვად იბნ მუნდირი (462-490).

394 აგვისტო.

დარწმუნებულნი, რომ მათი ნიზიბინში მოყვანით ჩვენ ეშმაკურად მოვიქეციოთ, რათა ზიანი მიგვეყენებინა რომაელთათვის. ამის გამო, ჩვენ ახლა არ შეგვიძლია ვუპასუხოთ თქვენი აღმატებულების წერილობით მიწვევას, სანამ რომაელთა და სპარსელთა შორის არსებული სიძნელეები არ აღმოიფხვრება. მარპანს არც კი სურდა ეთქვა, რაც მან შეიტყო მეფის ედიქტისა და თქვენი წერილიდან. თუ თქვენს სიბრძნეს სჯერა ჩვენი, ნურც სხვა ეპისკოპოსებს გამოიძახებთ ამ მომენტში, როდესაც შიმშილობა მეფობს ყველგან და ყველა მხარეში საჭირო საგნების დეფიციტია, რომ არ გამოიწვიოს თქვენ წინააღმდეგ დრტვინვა და გმობა, არამედ ეს კრება, რომლის გასამართავადაც თქვენ ემზადებით, გადატანილ-იქნას მას შემდეგ, რაც თქვენ წახვალთ დესპანებთან ერთად რომაელთა ქვეყანაში და დაბრუნდებით. გარდა ამისა, მტკიცე სწავლება, რომელიც ადრინდელ შეხვედრაზე დამტკიცდა,[395] თქვენს სიბრძნეს მიანიჭებს სიამოვნებას, როდესაც თქვენ იხილავთ და აღმოფხვრით გაურკვევლობას, რომელიც სატანამ გამოიწვია რომაელთა ქვეყანაში.[396] თუ თქვენ გადაწყვეტთ, რომ შეკრება მალე მოხდება, მე შევუერთდები სიტყვით და საქმით ყველაფერს, რასაც თქვენ ქრისტეს კანონების თანახმად დაადგენთ თქვენს კრებაზე. მაგრამ საზღვრებთან არსებული

395 იგულისხმება 485 წლის ბეთ ედრაის კრება.

396 იგულისხმება იმპერატორ ზენონის (474-475; 476-491) მიერ „ჰენოტიკონის" (შეერთების წერილი) გამოცემა 482 წელს, რომელიც მიზნად მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგებას ისახავდა და ითვალისწინებდა შემდეგ საკითხებს:ნესტორისა და ეიტიქის სრული დაგმობა. კირილე ალექსანდრიელის "თორმეტი ანათემის" სრული აღიარება. ხმარებიდან ამოღება სიტყვისა "ბუნება" და ზოგადად, ქრისტეს ერთი ან ორი ბუნების შესახებ საუბრისა. ჰენოტიკონის ტექსტისთის იხ: Ecclesiastical history. A history of the Church in six books from A.D. 431 to A.D. 594. By Evagrius, translated by E. Walford (London: Samuel bagster and sons,1846), 126-135; The Chronicle of Pseudo-Zachariah Rhetor: Church and War in Late Antiquity, Edited by Geoffrey Greatrex and Translated from Suriac and Arabic sources by Robert Phenix and Cornelia Horn, and contributions by Sebastian P. Brock and Witold Witakowski, (Liverpool: Liverpool University Press, 2011) , 199.

სიძნელეების გამო ჩემთვის შეუძლებელია, რომ ახლა წავიდე იქ. ჩვენ ჩვენს წერილებში გავაუქმეთ და სრულიად გავანადგურეთ ბეთ ლაპატის კრება. ახლა, ჩვენ სამუდამოდ თქვენი მამობის საყდრის მოწაფენი და მორჩილნი ვართ.

კარგად იყავით ჩვენი უფლის მიერ და ილოცეთ ჩვენთვის.

მესამე წერილი.

ღვთის ღირსეულ მეგობარს, უფალ აკაკის, პატრიარქს, თქვენი მოსიყვარულე ბარსუმა: მშვიდობა ჩვენი უფლის მიერ!

ამ თხოვნაში მოცემულია მიმართვა თქვენი მოწყალებისადმი, მამათა ღირსო და წმიდაო მამავ, თქვენი უმაღლესი სამღვდელოების მოწაფის, მორჩილისა და მსახურის, უძლურის ბარსუმასგან, რომელსაც სჭირდება თქვენი სამღვდელოების მფარველობა, ვისი დახმარებაც ზრდის მშვიდობას უფლის მიერ. მე ვაღიარებ თქვენი მოწყალებისადმი, ო, გულმოწყალე მამავ, რომ ჩვენი ბუნება, მისი ცვალებადობისა და მოკვდავობის გამო მიდრეკილია შეცდომებისკენ. იმ დროს, როდესაც სატანამ ჩემსა და ბაბუის[397] შორის კამათი გამოიწვია, მე ავდექი და მივედი ყველა დამნაშავე ეპისკოპოსთან, რომელთა წინააღმდეგაც მას სურდა განაჩენი გამოეტანა და რომლებიც აჯანყდნენ მის წინააღმდეგ, რათა მოსულიყვნენ ჩემთან. და რომლებმაც მომცეს მრავალი რჩევა, რათა მათ და მე გაგვეკეთებინა მის წინააღმდეგ, ქრისტიანთა ქმედებისა და იმ ხელისუფლების დარიგების საწინააღმდეგო, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით. [მე ვაღიარებ], ასევე, რომ ჩვენ შევიკრიბეთ ქალაქ ბეთ ლაპატში, რათა ჩაგვეტარებინა კრება და მივიღეთ კანონები კაცობრიეი ენების მიერ, უფალ ბაბუის დროს - ღმერთმა გვაპატიოს და შეგვინდოს ამ კრების შეცდომები - სინამდვილეში, მე ვამოწმებ, კრება, რომელიც ჩავატარეთ, ქრისტიანობის საწინააღმდეგო იყო, ისევე როგორც

397 კათოლიკოსი ბაბოვაი.

ყველაფერი, რაც იქ იქმნა. გარკვეული დროის შემდეგ მე შემიპყრო სინდისის ქენჯნამ, რადგანაც ჩვენ მიერ ქმნილიდან არაფერი არ მოქმედებს და არ იმოქმედებს, მართებულია, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში გვქონდეს სინანული და რომ ჩვენ ვაუქმებთ და ვანადგურებთ იმას, რაც დავადგინეთ. ასე, რომ არავის ჩვენ შემდეგ არ შეუძლია გამოიყენოს ეს კანონები და რომ ყველაფერი, რაც დადგინდა, არის დაგმობილი და შეჩვენებული. ამ წერილამდე ორჯერ უკვე მოგწერეთ წერილი ამ მეამბოხური კრების - მამათა ყველა კრების საწინააღმდეგოს - გაუქმებისა და განადგურების შესახებ. მანამდე, სანამ ვცოცხლობ, და მაშინაც კი, როდესაც თქვენი მამობა დატოვებს ამ ცხოვრებას, რომ მიაღწიოს განსასვენებელ ადგილს, სადაც მამათა სულები ბინადრობენ, თუ ჩემი სისუსტე კვლავ იქნება ამ დროებით ცხოვრებაში, მე ვიქნები მოწაფე და მსახური მისი, ვინც დაჯილდოვდება თქვენი მემკვიდრეობით. მე ვისწავლე იმისგან, რაც მოხდა ჩემთან მიმართებაში, რომ მანამდე, სანამ ნიზიბინი არ არის მისი მმართველობისა და დაქვემდებარების ქვეშ, ვინც ზის სელევკიისა და ქტეზიფონის წმიდა ეკლესიის ტახტზე, აღმოსავლეთის მხარე განიცდიდეს იქნება ზარალსა და სასტიკ უბედურებებს. ახლა ნიზიბინი აღელვებული, მშფოთვარე და მბორგავია, როგორც ბობოქარი ზღვა, და თუ ეკლესიიდან განკვეთის წერილი დაუყოვნებლივ არ იქნება გამოგზავნილი თქვენი მამობისგან და ქალაქი არ დამშვიდდება, მე არ დავრჩები ნიზიბინის საეპისკოპოსოში. ნიზიბინი თავად არ დარჩება სპარსეთის დიადი იმპერიის მორჩილად. მართლაც, არიან აჯანყებულები და თუ ისინი დარჩებიან ნიზიბინში, დააზარალებენ საკუთარ თავს და ქვეყანას, რომელშიც ცხოვრობენ. მათ შემომთავაზეს მე აჯანყების განზრახვა, იმ დროს, როდესაც მე ვიყავი თქვენი მამობის საყდრის მოწინააღმდეგე და ვეწინააღმდეგებოდი ორივე ქალაქს,[398] როგორც ზემოთ ვახსენე. მარზპანი, რომელიც აქაა, ეხმარება ამ ამბოხებულებს, რადგანაც მან არ იცის მათი ბოროტი განზრახვა. მე მეშინია,

398 იგულისხმება სელევკია და ქტეზიფონი.

რომ ვამცნო მას მათი განზრახვა და ვასწავლო მათი საიდუმლო, რომ მან არ მოახსენოს მეფეს და [არ] შეატყობინოს ამ განდგომილების ამბოხება და რომ მეფემ არ გამოაქვეყნოს ედიქტი ყველა ქრისტიანის წინააღმდეგ, მათი აჯანყების გამო.[399] რამდენადაც შესაძლებელია, შემთხვევა უნდა იყოს გასაიდუმლოებული და არ მიაღწიოს გარეშე ხალხამდე. თქვენი დიდებული და ღვთაებრივი ძალაუფლებით მბრძანებლურად დაწერეთ ეკლესიიდან განკვეთის წერილი და დაარტყით მათ, მსგავსად ექიმისა, რომელიც ჰკვეთს ავადმყოფს [სხეულის ნაწილს], რომ გაათავისუფლოს მისი დაავადებისგან. დაემუქრეთ მათ თქვენს წერილებში, რომ გაკიცხავთ მათ მეფესთან და მის დიდებულებთან, თუ გონს არ მოეგებიან. ჩვენი სისუსტისგან ანოტირებული ეს მცირე სიტყვა საკმარისი იქნება თქვენი ცოდნის გაღრმავებისთვის. მომიხსენეთ თქვენს ლოცვებში დღითა და ღამით. ო, ჩვენო ღვთის რჩეულო და ღირსო მამავ, ეს უბედური მხარე მუდმივად გახსოვდეთ, რათა თქვენი ლოცვების დახმარებით ხსნა მოვიდეს მასზე.

მეოთხე წერილი

ქრისტეს კეთილშობილ და წმიდა მეგობარს, ჩვენს მამას, უფალ აკაკის, ეპისკოპოსსა და კათოლიკოსს, თქვენი მოსიყვარულე ბარსუმა: მშვიდობა ჩვენი უფლის მიერ!

ჩვენ მივიღეთ და წავიკითხეთ თქვენი უწმიდესობისგან ჩვენდამი სიყვარულით გამოგზავნილი წერილი და შევიტყვეთ ყველაფერი, რაც იქ იყო დაწერილი.[400] ამგვარად, ჩვენ

399 ჟ. შაბოს აზრით აქ უნდა იგულისხმებოდნენ მოხოფიზიტები, ისინი რომაელთა ჯარის ყოფნით გამხნევებულები, უყოყმანოდ გადასცემდნენ ქალაქს რომაელებს, როგორც ჩანს სწორედ ამ მოვლენების შესახებ წერს მარი იბნ სულეიმანი, თუმცა მას განათავსებს ბარსუმას აკაკისთან შერიგებამდე (Chabot, Synodicon Orientale.., 535-536, შენ. 2).

400 აშკარაა, რომ ეს წერილი წარმოადგენს პასუხს კათოლიკოს აკაკის წერილზე, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა.

საკუთარ თავს დავაკისრეთ, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში გვექმნა ის, რაც სასიკეთოა მორწმუნეთათვის და სარგებლობის მომტანი რელიგიისთვის. და ჩვენ ნებაყოფლობით არ ვიქნებით მიზეზი, რომ დარჩეთ სარგებლის გარეშე. საჭიროდ ჩანდა, რომ თქვენ ამ დროს გამოგეცხადებინათ დამრღვევები და უსიამოვნების აღმძვრელნი, რომლებმაც შეგვაგულიანეს და უთანხმოება შემოიტანეს ეკლესიებში მორწმუნეთა შორის. ბრძანების მიღების შემდეგ, რომელიც გამოგზავნილ იქნა მოწყალე მეფეთა მეფის მიერ ჩვენს დასახმარებლად, რომაელთა და სპარსელთა შორის საზღვრების შესახებ აქ მიმდინარე მნიშვნელოვანი საქმეების გამო. საქმეები, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებს ჩვენს ყოფნასა და დასწრებას. ბრწყინვალე და სახელოვანმა მარზპანმა ქარდაგ ნახორაგანმა გადასცა ჩვენი პასუხი მეფეთა მეფის კარს და განაცხადა: „რომაელები გამოაგზავნიან რამდენიმე მთავარ პიროვნებას საზღვარზე და შეადგენენ ხელშეკრულებას საზღვრებზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ნიზიბინის ეპისკოპოსმა იცის საზღვრების ეს საქმე, მისი დასწრება აუცილებელია და მას არ შეუძლია წავიდეს სამეფო კარზე ხელშეკრულების დადებამდე“. და ჩვენ, ჩვენის მხრივ ეს ნათლად განვაცხადეთ წერილში [მეფის მიმართ]: „ხელშეკრულების გამო ჩვენ ახლა არ შეგვიძლია წავიდეთ მეფეთა მეფის კარზე“. და ახლა, ხელახლა, როგორც ჩვენ ვწერდით ჩვენს წინა წერილში, გაცნობებთ, რომ ჩვენ და ეპისკოპოსები, რომლებიც ჩვენზე არიან დამოკიდებულნი, ჩვენ ღვთისმოშიშების კეთილი სურვილით მივიღებთ და დავთანხმდებით ყველაფერს, რასაც თქვენ თქვენს კრებასა და ერთობლივ შეხვედრაზე დაადგენთ, ჭეშმარიტი რწმენის მხარდაჭერისა და დაცვისათვის წმიდა ეკლესიის კანონების მოძღვრების შესაბამისად. ამიტომ, მოაწესრიგეთ, ჰქმენით და შეასრულეთ ყველაფერი, რის ქმნასაც გეგმავთ თქვენს შეკრებაზე, ქრისტეს დახმარებით და ნუ გველოდებით ჩვენ,

ნურც ჩვენი პროვინციის ეპისკოპოსებს. ჩვენ და ყველა, ვინც ჩვენთან არის, ვითხოვთ თქვენი უწმიდესობისა და ყველა თქვენთან მყოფის მშვიდობას. კარგად იყავით ჩვენი უფლის მიერ და ილოცეთ ჩვენთვის, ო, ჩვენო მამაო!“

[მეხუთე წერილი]

ღირს, წმიდა და ღვთის მეგობარ ჩვენს მამას, უფალ აკაკის, ეპისკოპოსსა და კათოლიკოსს, თქვენი მოსიყვარულე ბარსუმა: მშვიდობა ჩვენი უფლის მიერ!

ჩვენ თქვენს მამობას მუდამ ვუმტკიცებდით ჩვენს თანხმობას ჩვენი ძმების სიყვარულისთვის, ჩვენი თანამოღვაწეების მშვიდობისათვის, ეკლესიაში ხელსაყრელი და სათანადო [წესების] დაწესებისთვის. რამდენადაც ის ჩვენშია, ჩვენ გვინდა ყოველივე კარგი შესრულდეს ჩვენი ხელების მიერ და თქვენგან. რადგანაც ჩვენთვის არაა ადვილი ვქმნათ ის, რაც გვინდა, რადგან ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა წავიდეთ სადაც გვინდა, ჩვენ მივმართავთ თქვენს სიწმიდეს. ჩვენ გაერთიანებული და დაკავშირებული ვართ, რათა დავამყაროთ მშვიდობა და ერთიანობა ჩვენი ძმისა და თანამოღვაწის, სათნო ეპისკოპოსის, უფალ პავლეს[401] ქალაქში მცხოვრებლებლებთან. ახლა, ჩვენ მივწერეთ მათ, როგორც შესაფერისია, და ვესაუბრეთ მას, როგორც არის მართებული: „თუ თქვენ გსურთ ჩვენი წერილობითი მოწვევის მიღება, მშვიდობა დაამყარეთ მის უმაღლესობასთან და მოექეცით მას მოწიწებითა და პატივისცემით, როგორც [თქვენს] ხელმძღვანელს. ჩვენ დავიცავთ წარსულს, ჩვენ შევაქებთ თქვენს ღირსებას და მივიღებთ თქვენს მონანიებას“. მაგრამ ისინი გაჯიუტდნენ

401 იგულისხმება ლედანის კარკას ეპისკოპოსი პავლე, ედესის სკოლიდან გაძევებულთაგან ერთ-ერთი. Assemani, bibl.orient.I. 353. იგი შემდეგ დაესწრო 486 წლის სელევკიის კრებას. რადგანაც ეს ქალაქი მდებარეობდა ბეთ ჰუზაიეს პროვინციაში, ნიზიბინის მიტროპოლიტი არ უნდა ჩარეულიყო ამ საქმეში, თუ არა არაოფიციალურად.

და არ დამორჩილდნენ...[402]. [ამიტომაც მე გთხოვთ, რომ] დასაჯეთ აკრძალვით, როგორც იმსახურებენ. ჩვენ მივიღებთ განაჩენს, რომელსაც თქვენ გამოიტანთ მათ შესახებ, და ასევე ყველასთვის. კარგად იყავით და ილოცეთ ჩვენთვის.

იმავე უფალ ბარსუმასგან უფალ აკაკის, ეპისკოპოსს, პატრიარქს. [მეექვსე წერილი] - ქრისტეს ღირს და წმიდა მეგობარს, უფალ აკაკის, ეპისკოპოსს, პატრიარქს, თქვენი მოსიყვარულე ბარსუმა: მშვიდობა ჩვენი უფლის მიერ!

როდესაც ჩვენ გავაგზავნეთ ჩვენი შეერთება ყველაფერთან, რასაც თქვენ იქმნთ, ღვთის მეგობარმა, ძვირფასმა ძმამ და საერთო ამხანაგმა, უფალმა მა'ნამ,[403] ეპისკოპოსმა, გვიამბო თქვენი უწმიდესობის მიერ მართლმადიდებლური რწმენის შენარჩუნებისთვის გამოჩენილი დიდი გულმოდგინებისა და ეკლესიის სარგებლობისთვის მიღებული დანახარჯების შესახებ. და მე, წმიდა უფალ მა'ნას მეშვეობით თქვენს უწმიდესობას გაგუგზავნე ასი დერიკი[404] და თუ ეს საკითხი, რომლის მტრებიც ცდილობენ შეწყვეტას, გაგრძელდება და არ შეწყდება, ჩვენ წლიდან წლამდე გადავდებთ და გამოვაგზავნით თქვენი უწმიდესობის ხარჯებისთვის 50 დერიკს, თქვენი უწმიდესობა მათ მიიღებს. - ილოცეთ ჩვენთვის, ჩვენო მამავ, და ნუ გაიხსენებთ ჩვენს ცდომილებებს".[405]

საბოლოოდ ბარსუმამ მაინც გაიტანა თავისი და 486 წლის თებერვალში, სასანიანთა იმპერიის დედაქალაქში მის გარეშე ჩატარდა კრება, რომლის მასალებსაც ქვემოთ სრულად ვათავსებთ:

„კრება უფალ აკაკისა, კათოლიკოსისა ბეთ ლაპატის, ნიზიბინის, მაიშანის ფერატის, არბელას, ბეთ გარმაის, ფარ-

402 აქ ხელნაწერს ორი ან სამი სიტყვა აკლია.
403 უნდა იგულისხმებოდეს რეე-არდაშირის ეპისკოპოსი მა'ნა, ფარსის მიტროპოლიტი.
404 ოქროს მონეტა ძველ სპარსეთში.
405 Chabot, Synodicon Orientale.., 532-539.

სის, კაშკარის, ფრემიზდმრწდის.[406]

გაბრიელი ჰერათის; მიჰრნარსე ზაბეს; იეზდეგერდი ბეთ დარაიეს; მოსე ფეროზ-შაბურის; დანიელი ქარმის[407]; ნოე ბელაშპარის; ბაგეში რიმასი; ელია ნეჰარგურის; მოსე არმენიის; აბრაჰამი ტეჰალის; პუსაი შუშტერის; მიკა ლასომის; პაპა ერივანის მაჰოზესი[408]; მოსე ჰამირის; აბრაჰამი ბეთ მადაიეს; ბოზიდი ჰერბაგელალის.

მშვიდობისმოყვარე[409] და კეთილგანწყობილი მეფეთა მეფის, ვალაშის მეორე წლის ელულის თვეში,[410] ღეთაებრივი სიკეთის ნებართვით ამ ადგილას შეიკრიბეთ: აკაკი, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი აღმოსავლეთისა, პაპა, ეპისკოპოსი ბეთ ლაპატისა, ბარსუმა, ეპისკოპოსი ნიზიბინისა, იოჰანნანი, ეპისკოპოსი ბეთ სელოკის კარკასი, ჩვენს ძმებთან: ბეთ არამაიეს, ბეთ ჰუზაიეს, ნიზიბინის, ჰედაიაბის, ბეთ გარმაის პროვინციებიდან მოსულ სხვა ეპისკოპოსებთან და მანა, რევ-არდაშირის ეპისკოპოსთან ერთად.

ღვთის ნების შესაბამისად, ჩვენ ერთმანეთი ლმობიერად მივიღეთ, ყველაფერი, რაც იქმნა ბეთ ლაპატში შეკრებაზე, ახლა მშვიდობითა და შეთანხმებით დაბრუნდა ჩვენი უფლის სწავლების თანახმად, ჩვენ ჩვენს შორის დავდეთ ეს შეთანხმება: „როდესაც ღმერთი მოგვცემს შესაძლებლობას, შევხვდებით, ეპისკოპოსები სხვადასხვა ადგილებიდან, და განხილვითა და ურთიერთშეთანხმებით, წერილობით დავადასტურებთ, ჩვენი ხელმოწერებით და ბეჭდებით. საეკლესიო კანონებს, განსაზღვრებებსა და მოძღვრებებს, რომლებიც წმიდა მამებმა და წინამორბედმა ეპისკოპოსებმა ჩამოაყ-

406 Prwmizdmrwd - შესაძლოა წაკითხულ იქნას ამგვარად Prwmiz de mrwd და უდრიდეს „ფარუმა მერვის [ეპისკოპოსს]“.
407 ადგილმდებარეობა დაუდგენელია, შესაძლოა იგი იყოს „ქარმი კასტრა“, ტაგრიტის მხარეში.
408 იგივე ერივანი.
409 აქედან პირველ კანონამდე მოცემულია ბეთ ედრაის კრების აღწერა.
410 ე.ი. 485 წლის სექტემბერში.

ალიბეს, და რაც აქამდე არსებობს, და მას შემდეგ რაც, ცილისმწამებლები გამრავლდნენ ჩვენს სამწყსოში და თავიანთი ხრიკებით დაარღვიეს ეკლესიის ნამდვილი წესები, რომ შერყვნან სწორი, სამოციქულო და მართლმადიდებლური რწმენა. ჩვენ ყველანი მის ხელმძღვანელობას მინდობილ თითოეულ ქალაქსა და ქვეყანაში ვასწავლით, გამოვაცხადებთ, დავამტკიცებთ ჭეშმარიტ რწმენას და მასთან დაკავშირებულ სათნო საქმეებს".

კანონი I: და ამ მეორე წლის შებათის თვეში[411], ბეთ არამაიეში, ქალაქ სელევკიაში შევიკრიბეთ[412]: მე, აკაკი, კათოლიკოსი ეპისკოპოსი, აღმოსავლეთისა და კეთილშობილი იოჰანნანი, ეპისკოპოსი ბეთ სელოკის კარკასი, აბიშო, ეპისკოპოსი კაშკარისა, პავლე, ეპისკოპოსი ლედანის კარკასი, გაბრიელი, ეპისკოპოსი ჰერათისა, მიჰრნარსე, ეპისკოპოსი ზაბესი, იეზდეგერდი, ეპისკოპოსი ბეთ დარაიესი, სიმეონი, ეპისკოპოსი ჰირტასი, მოსე, ეპისკოპოსი ფეროზ-შაბურისა, დანიელი, ეპისკოპოსი ქარმის, ნოე, ეპისკოპოსი ბელაშფარისა, ბაგეში, ეპისკოპოსი რიმასი, ელია, ეპისკოპოსი ნეჰარგურისა.

ჩვენი თანდასწრებით ითქვა, რომ ბეთ არამაიეს ამ მხარეში არიან ადამიანები, რომლებიც რყვნიან პატიოსან [ადამიანებს], რომლებიც შემოსილნი არიან ასკეტთა სამოსლით, მაგრამ შორს არიან იმ სათნოებათა ქონისგან, რომლებსაც ეს სამოსი გულისხმობს. მიმოდიან სხვადასხვა ადგილებში და კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის რწმენის ორთოდოქსული საქმიანობის გახრწნით ატყუებენ მიამიტი გონების

411 486 წლის თებერვალი.

412 486 წლის კრების გამართვის კიდევ ერთ მიზეზს ასახელებს „სიირთის ქრონიკა": „მისი (ვალარშის-დ.ჩ.) მმართველობის მეორე წელს, ერეტიკოსებმა და სეველუსის მიმდევრებმა სპარსეთში თავიანთი სწავლების გავრცელება და ხალხის რწმენის შერყვნა დაიწყეს, მათ შეძლეს ადვილად და სწრაფად ესწავლებინათ, ნათლავდნენ და მათთვის ეკლესიებს აშენებდნენ. აკაკიმ, რომელმაც იცოდა, თუ რას აკეთებდნენ ისინი, შეკრიბა მამები, რათა ანეთიმისთვის გადაეცა ისინი და ორთოდოქსული რწმენის ყველა მტერი" (Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1..,122).

[ადამიანებს]. რადგანაც ისინი დაზიანდნენ ერეტიკოსთა სწავლების ბოროტებით და ყველა ერესის სიბინძურე გავრცელდა მათში. ისინი ასწავლიან წმიდა წიგნთა სწავლების საწინააღმდეგოს და კიცხავენ სარწმუნოების მოძღვარებსა და მქადაგებლებს. ჩვენი უფლის ხორცშესხმისა და მოციქულთა ქადაგების საწინააღმდეგო გმობათა ძალით ისინი იმსახურებენ, რომ ჰქონდეთ მათი სახელი და ხარისხი, ვისზეც წმიდა სულმა თქვა ნეტარი პავლეს მიერ: „უკანასკნელ დროს ადამიანები რწმენისაგან განდგებიან და შეუდგებიან ბოროტ სულთა და დემონთა მოძღვრებას, ცრუ გარეგნობისგან და ტყუილების თქმისგან ცდუნებულნი, დადაღული ცნობიერების მქონენი, [რომლებიც] კრძალავენ ქორწინებას და საკვებს, რომელიც ღმერთმა შექმნა, რათა მორწმუნეებმა და ჭეშმარიტების მცოდნეებმა მადლიერებით გამოიყენონ“.[413] - ყველას რჩევიდან და შეხედულებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ შეთანხმებისა და წესდების თანახმად, რომელიც ჩვენ ადიაბენეში დავადგინეთ,[414] ამ წიგნში რწმენის სიმტკიცესთან და ზნეობის გამოსწორებასთან დაკავშირებით დაგვეწერა.

ჩვენ ვასწავლით და ვაუწყებთ მთელ მორწმუნეთა ერთობას, რომ თანახმად მოციქულთა სწავლებისა და მამათა მოძღვრებისა, რომელიც გამრავლდა და გავრცელდა ქრისტეს ეკლესიაში, ჩვენი რწმენა მუდამ უნდა იყოს მამის, ძისა და სულიწმიდის ერთი ჭეშმარიტი და მარადიული სამების სამ სრულყოფილ პირში ერთი ღვთაებრივი არსის აღიარება. ვისგანაც წარმართობა და იუდეველი მოსამართლეები იძლია და რომ ჩვენი რწმენა ქრისტეს განხორციელებასთან დაკავშირებით ასევე უნდა იყოს ორი ბუნების - ღვთაებრივის და კაცობრივის აღიარება. არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა გაბე-

413 I ტიმ. 4. 1-3.

414 ო. ბრაუნის მიხედვით აქ უნდა იგულისხმებოდეს 485 წლის ბეთ ედრაის კრება (Braun. Das Buch der Synhados.., 67. შენ. 1.).

დოს, რომ ამ ორი ბუნების სხვადასხვაგვარობას შორის დანერგოს შერევა და შერწყმა. არამედ ღვთაებრივი მუდმივად და მტკიცედ არის თავის საკუთრებაში, ხოლო კაცობრივი თავის საკუთარში. ჩვენ ბუნებათა სხვადასხვაობას ერთ დიდებულებასა და თაყვანისცემაში ვაერთიანებთ ღვთაებრივის ადამიანურთან სრულყოფილი და ურღვევი შეერთების გამო. და თუ ვინმე ფიქრობს ან სხვებს ასწავლის, რომ ენება ან ცვლილება დამახასიათებელი იყო ჩვენი უფლის ღვთაებრიობისთვის, ან თუ ის არ ინახავს ჩვენი მხსნელის პიროვნების[415] ერთიანობასთან დაკავშირებით სრულყოფილი ღმერთისა და სრულყოფილი კაცის აღმსარებლობას, ანათემა მას!

კანონი II. – ზემოთხსენებული ხრიკების შესახებ, [ისინი] რომლებიც თავიანთი ვერაგი მიდრეკილებებით, მათი გონებასუსტობის ნიშნად შავი ტანსაცმლით შემოსილნი, გულუბრყვილო ხალხს ატყუებენ მონანიების, ნაზარიტის, რელიგიისა და ასკეტიზმის საფარქვეშ, რომლებიც ძველად თავიანთ საცხოვრებლებს უდაბურ ადგილებში აწყობდნენ, ადამიანებთან ურთიერთობისგან და ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებისგან შორს, რათა ემსახურათ და პატივი მიეგოთ ღვთისთვის. [მათ შესახებ] ჩვენ ვაწესებთ შემდეგს: თუ ისინი მართლაც ამ კურთხეულთა მოწაფენი და შვილნი არიან და თუ სურთ მიჰბაძონ მათ თავიანთი საქმეებით, ისევე

---

415 Πρόσωπον - სახე, პირი. ჟ. ბ. შაბოს აზრით, აქ იგულისხმება ნესტორის მიერ შექმნილი გამონათქვამი, მისი თქმით, ასემანი იძულებულია უარყოს ამ პასაჟის ავთენტურობა, რათა დაამტკიცოს აკაკის ორთოდოქსობა (Chabot, Synodicon Orientale.., 395). „Πρόσωπον“-ი თავდაპირველად აღნიშნავდა „სახეს“ ან „ნიღაბს“ და წარმოდგა ბერძნული თეატრიდან, რომელშიც მსახიობი ატარებდა ნიღბებს. ამ ტერმინმა თეატრიდან გადაინაცვლა ქრისტიანულ თეოლოგიაში, იგი ფიქსირდება პაველე მოციქულის მეორე ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ: „რამეთუ ღმერთმან, რომელმან თქუა ბნელისაგან ნათელი გამობრწყინვებად, რომელმან გამოაბრწყინვა გულთა შინა ჩუენთა, განსანათლებელად მეცნიერებისა დიდებისა ღმრთისა წინაშე პირსა იესუ ქრისტესსა“ (II კორ. 4.6). მას იყენებდნენ თეოდორე მოფსუესტელი და ნესტორი.

როგორც მათი შესამოსლით [ბაძავენ], დაე, წავიდნენ ადგილზე, რომელიც შეესაბამება მათ გარეგნობას. მათ არ აქვთ უფლება, რომ შევიდნენ ქალაქებსა ან სოფლებში, სადაც არიან ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები, რათა იცხოვრონ იქ და გახდნენ უთანხმოების მიზეზი და მღელვარება ჩამოაგდონ მღვდლებსა და მათ სამწყსოს შორის. მასწავლებლებსა და მათ მოწაფეებს შორის. იმ ადგილებში ნუ გამართავენ შეკრებებს და ნუ შესწირავენ მსხვერპლს, ნუ მონათლავენ, რაც ასევე შემაშფოთებელია საეკლესიო იერარქიის, როგორც ამას იქმოდნენ აქამდე. არამედ წავიდნენ მონასტრებსა და დაუსახლებელ ადგილებში, რათა იქ დაიმკვიდრონ თავიანთი საცხოვრებელი და იქ დარჩნენ. რომ ისინი არიან ეპისკოპოსების, მღვდლებისა და პერიოდევტების[416] იურისდიქციისა და მორჩილების ქვეშ, რომელთაც აქვთ ძალაუფლება და არიან დადგენილნი მათ მონასტრებზე და ადგილებზე, სადაც ისინი ცხოვრობენ. თუ ამ გადაწყვეტილებისა და დადგენილების შემდეგ, რომელიც უკრძალავს მათ, რომ იცხოვრონ ქალაქებსა თუ სოფლებში, სადაც არიან მღვდლები, ისინი დაბრუნდებიან ქალაქებში, რათა იქ იცხოვრონ ან იპოვიან მათ საცხოვრებლად სოფლის შუაგულში დამკვიდრებულთ და მსხვერპლს შესწირავენ ან ხალხს შეკრებენ ეკლესიის გარეთ ან მონათლავენ, და [ამას არ გააკეთებენ] მხოლოდ მონასტერსა და მითითებულ შემაღლებულ ადგილებზე, ისინი განისჯებიან და განიძარცვებიან სამღვდელო მსახურებისა

416 (pridwta) - περιοδευτας - პერიოდევტი, მიმომხილველი - პერიოდევტები ეკლესიაში განსაკუთრებულ მსახურებას ასრულებდნენ და მათი ინსტიტუტი ქრისტიანობის პირველივე ხანებიდან არსებობდა. ესენი იყვნენ უმაღლესი ხარისხის მღვდლები, რომლებიც უშუალოდ ქალაქის ეპისკოპოსთან მსახურობდნენ. მათი მოვალეობა იყო ზედამხედველობითი მსახურება, ეპისკოპოსის სახელით წლის გარკვეულ დროს უნდა მოევლოთ ეპარქიის დაბა-სოფლების ეკლესიები და მათი მდგომარეობის შესახებ ეპისკოპოსისთვის ანგარიში ჩაებარებინათ (მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით. ტ. II. თბილისი, ალილო, 2011, 101).

და ქრისტიანებთან თანაზიარებისგან. და ყველა ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი და მორწმუნე ერისკაცი, რომელიც მათ მიიღებს და რომელიც ახლა და ამიერიდან დახმარების ხელს გაუწვდის მას, რათა თავის ქალაქში, თავის ქვეყანაში, თავის სახლში ქმნას რაიმე აკრძალული ან ეკლესიაში აღაგზნოს შფოთი, განისჯება და განიკვეთება, თუ ის სამღვდელოა - მისი საქმიანობისგან, თუ საეროა - ეკლესიაში შესვლისა და წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობისგან.[417]

კანონი III. - რაც შეეხება ცხოვრების წესს, რომელიც შეესაბამება ჭეშმარიტებას და ქრისტესადმი რწმენის შესაფერისია, ეს არის ჩვენი განსაზღვრება: ახლა და ამიერიდან, ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ შექმნის დაბრკოლებასა და სიძნელეებს, რათა აღმოფხვრას ქორწინება იმ მხარეში, რომელსაც მართავს და ეკლესიაში, რომელშიც მსახურობს. ყველა ბოროტება, რომელიც დღევანდლამდე ჩვენს ეპარქიებზე დაეშვა სიძვითა და გარყვნილებით, რომელთა უკანონობა გავრცელდა და მიაღწია გარეშეთა ყურამდე, ისე, რომ ყველა ხალხის გონებაში შეურაცხყოფა და დაცინვა წარმოიშვა ჩვენს წინააღმდეგ. ნურც ერთი ჩვენგანი ძალით ნუ გაავრცელებს ამ საქმეს თავის სამღვდელოებაში, ნურც სოფელთა მღვდლებს შორის ან მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფ სამღვდელოებას შორის. არამედ, მისი მოძღვრება ამ საკითხზე შეესაბამება წმინდა წიგნების მოძღვრებას და რომ თავისი სისუსტეების წყალობით მან იცის სხვათა სისუსტეები. ქრისტემ, ჩვენმა უფალმა უპასუხა მოციქულებს, რომლებმაც ჰკითხეს მას, იყო თუ არა უქორწინებლობა მათთვის სასარგებლო: „რომ

417 ამაყეს მოგვითხრობს „სიირთის ქრონიკაც“: „მან (აკაკიმ-დ.ჩ.) უბრძანა ბერებსა და ასკეტებს, რომ თავიანთი საცხოვრებელი ხალხისგან შორს მოეწყოთ, აუკრძალა მათ ქალაქებში, სოფლებსა და იმ ადგილებში ცხოვრება, სადაც იყვნენ ეპისკოპოსები და მღვდლები, ზიარება, ნათლობა და მსგავსი ეკლესიის კანონების შემრყვნელი, მორწმუნეთა შორის არეულობის შემომტანი [რაღაცები]“ (Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1.., 122-123).

ყოველი ადამიანი როდია უნარიანი ამისთვის"[418] და ძალიან მალე მას შემდეგ, რაც მან ეს მოციქულთა სურვილზე დატოვა, თქვა: „ვინც კი უნარიანია, რომ დაიტიოს, დაიტიოს".[419] ჩვენი მხსნელის სწავლების თანახმად, დალოცვილი მოციქული[420] ასწავლის კორინთელებს, რომლებმაც მისწერეს მას, რომ ემცნო მათთვის, იყო თუ არა მართებული ქორწინების აკრძალვა: „იმის შესახებ, რაზეც მომწერეთ, კარგია, თუ კაცი არ გაეკარება ქალს, მაგრამ სიძვის [თავიდან აცილების] გამო თითოეულ მამაკაცს თავისი ცოლი ჰყავდეს და ყოველ ქალს საკუთარი ქმარი ჰყავდეს".[421] სხვა ადგილას, მოციქული, კაცობრიჲი სისუსტისა და სიძნელის გათვალისწინებით ასწავლის მათ, ვინც ნებაყოფლობით ზღუდავს საკუთარ თავს ამ ვალდებულებით და ამბობს: „და მე ვეუბნები მათ, რომლებიც არ არიან დაქორწინებულნი და ქვრივებს, მათთვის უკეთესია, რომ ჩემს მსგავსად დარჩნენ, მაგრამ თუ ისინი იტანჯებიან, უმჯობესია ქალი შეირთონ, ვიდრე დაუოკებელი სურვილისგან დაიწვან".[422] და ახლა თითოეულმა ჩვენგანმა ვიცით ‘ხიანი,. რომელიც მოგვადგა ჩვენ და ჩვენს სამწყსოს თავშეუკავებლობის გამოჩენით, რომელმაც მრავალი ადამიანის ცნობიერება აღაშფოთა. ჩვენ ვააშკარავებთ ჩვენს ტკივილებს, ვამჟღავნებთ ჩვენს ნაკლოვანებებს და ჩვენ არ გვრცხვენია ავადმყოფისთვის წამლის ღიად შეთავაზების, როგორც მათი საქციელი [მოითხოვს], რომლებიც არიან ჩვენ შორის, არც ქცევის შეცვლისა და მონანიების [გვრცხვენია],

418 „პრქუა მათ იესუ: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს." მთ. 19.11.

419 "რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ." მთ. 19.12.

420 იგულისხმება ჰაელე მოციქული.

421 „ხოლო რომლისათჳს-იგი მოსწერეთ ჩემდა, უმჯობეს არს კაცისა დედაკაცისა შე-ვე არა-ხებაჲ. ხოლო სიძჳისათჳს, კაცად-კაცადსა თთსი ცოლი ესსნ, და თუთეულსა თჳსი ქმარი ესსნ". I კორ. 7. 1-2.

422 „ვეტყჳ უქორწინებელთა მათ და ქურივთა: კეთილ არს მათდა, უკუეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე, ხოლო უკუეთუ ვერ დაითმინენ, იქორწინენდ; რამეთუ უმჯობეს არს ქორწინებაჲ, ვიდრე განნურვებაჲ". I კორ. 7. 8-9.

რომელსაც ჩვენ სამართლიანად ვუწესებთ საკუთარ თავსა და ჩვენს ხალხს. და მართლაც, ჩვენ დავამოწმებთ ჩვენი დიდებული მკურნალის სიტყვების სასარგებლოდ: „რომ ჭეშმარიტად უმჯობესია მეუღლის ყოლა, ვიდრე დაუოკებელი სურვილით დაწვა“. თითოეული ჩვენგანი აირჩევს ერთ-ერთს ამ ორიდან: ან სრულყოფილ თავშეკავებას ან მუდმივ ქორწინებას, დაფუძნებულს დალოცვილი პავლეს მოძღვრებაზე, რომელიც ეპისკოპოსობასთან დაკავშირებული მოთხოვნების თაობაზე თავის მითითებებს აძლევს ტიმოთეს, თავის წერილში ამგვარი გამოხატულებით: „თუ ვინმეს სურს ეპისკოპოსობა, მას კარგი რამ სურს, ჯეროვანია, რომ ეპისკოპოსი იყოს უმწიკვლო, ქმარი ერთი ქალისა“.[423] ამ მოძღვრებით უდავოა ყველასთვის, რომ ვინც კი დაქორწინებულია ერთ ქალზე, მისი ქორწინებით ასრულებს მოციქულის კანონს. ასევე დასაშვებია თითოეული დიაკონისთვის, რომლებმაც უკვე მიიღეს დიაკვნად ხელთდასხმა, რომ შეუკავშირდნენ ქალს მუდმივი და კანონიერი ქორწინებით. და მოშორდნენ ძველ ჩვეულებას, რომელიც გარყვნილების შეუკავებლობის გამო გაკიცხულია და გარეშეთა[424] დაცინვით გვიბრუნდება. რაც შეეხება მათ, ვინც კვლავ მოვა დიაკონატში ხელთდასასხმელად, ისინი ერთდროულად შემოწმდებიან როგორც მათ სხვა საქმეებში, ისე კანონიერ ერთობასთან[425] დაკავშირებით. და თუ ისინი კანონიერად არიან დაქორწინებულნი, მიიღებენ დიაკვნად ხელთდასხმას, რადგანაც ისინი ასრულებენ მოციქულებრივ სწავლებას, რომელიც ამბობს: „რომ დიაკონი იყოს ქმარი ერთი ქალისა, სათანადო ხელმძღვანელი მათი ვაჟებისა და ქალიშვილების მეთაურობისთვის“.[426] და უფრო

---

423 „უკუეთუ ვისმე ეპისკოპოსობა უნდეს, კეთილისა საქმესა გული ეტყჳს, ჯერ-არს ეპისკოპოსისაჲ, რაჲთა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ“. I ტიმ. 3. 1-2.

424 წარმართთა.

425 იგულისხმება ქორწინება.

426 „დიაკონნიმცა არიან ერთის ცოლის ქმარ, შვილთა კეთილად ზედამდგომელ და თჳსისა სახლისა“. I ტიმ. 3. 12.

მეტიც, იმისთვის, რათა სრულად განვკურნოთ, მიუხედავად იმისა, რომ უძლურნი, რომლებიც არიან ჩვენ შორის, ისინი, რომლებმაც მოციქულთა სიტყვის თანახმად მოიკვეთეს ყველა იმედი და მგზნებარედ მისცეს საკუთარი თავი მეძავებს, რომელნიც არ არიან რეგულარულ ურთიერთობაში,[427] არ აჩენენ და ზრდიან [შვილებს] კანონიერად, თანახმად ღვთის სურვილისა, ჩვენ ამ კანონს კვლავ ვამატებთ ამას: „ახლა და ამიერიდან, ეპისკოპოსი დიაკვნად ნუ აკურთხებს მისი ქალაქის ან სოფლის კაცს, რომელიც არის მის იურისდიქციაში, პირველადი გამოკითხვის გარეშე, თუ აქვს მას შესაბამისი კარგი ქცევა კურთხევისთვის, რომლისთვისაც თავს წარმოადგენს, და უფრო მეტიც, თუ არის იგი კანონიერ ქორწინებაში და [თუ ჰყავს] შვილები. ამგვარად, გულმოდგინედ განშორებულ იქნეს ქრისტეს ეკლესიიდან ცრუ მოძღვრების ყველა ქედმაღლობა და კვეხნა, რომლებიც ქორწინებასა და გამრავლებას ბოროტებას უწოდებენ, და რომლებიც თავიანთ სურვილებს სიძვით, გარყვნილებითა და ბოროტი ხრიკებით აოკებენ.“ – ყველა ჩვენგანი, მტკიცე სულით, პატივმოყვარეობის სიძულვილით, ერთობლივი აზრით, განვსაზღვრავთ ჩვენს სამწყსოში გამოყენებული და მაენე ჩვეულების დასასრულს, და ვადგენთ სამართლიან და სწორ წესებს მათთვის, რომლებიც არიან დაქორწინებულნი და დაუქორწინებელთათვის, რომლებიც ღვთაებრივი ნებართვით ჩვენდამი მონდობილ ეპარქიებში არიან. – ჩვენ ვასწავლით, რომ ის, ვინც ნებაყოფლობით ირჩევს ქორწინებისგან განშორებას, უნდა დარჩეს მარტო და ხეტიალის გარეშე მონასტერში, სიწმიდესა და თავშეკავებაში. და თუ ის, ვინც ამჯობინა, რომ უმწიკვლოებითა და ყოველივე ამქვეყნიურზე უარის თქმით ემსახურა და პატივი მიეგო ქრისტესთვის, არის სიძვასა ან მრუშობაში, მას შემდეგ, რაც განცხადებულად [მიიღებს]

427 ქორწინებაში.

ნებართვას, რომ შევიდეს კანონიერ ქორწინებაში და [იყოს] შვილების მამა, მან უნდა მიიღოს ამ კანონისგან დადგენილი სასჯელი: თუ მას აქვს სამღვდელო ხარისხი, გაუცხოებულ იქნას სამღვდელო მსახურებიდან, სანამ არ მიიღებს ეპიტიმიას, რომელიც შეესაბამება მის შეცოდებას და [სანამ] ის არ გამოჩნდება შენდობის ღირსად. მეორე მხრივ, ის, ვინც კანონიერ ქორწინებაში შევიდა, გაბედავს, მეუღლის გარდა დაუკავშირდეს სხვას, და ის, ვინც რეგულარულ ქორწინებაშია, ირიდებს ქორწინების ხილს უნაყოფობის ბუნებრივი ავადმყოფობის [მიზეზის] გარეშე, ჩამოშორებული უნდა იქნას ეკლესიის ერთობისა და სამღვდელო წოდებისგან. თუ მღვდელი ჯერ კიდევ არ არის დაქორწინებული და სურს, რომ იქორწინოს, რათა კანონიერად შვას [შვილები] ან თუ მას, ვისი პირველი ცოლიც გარდაცვლილია, სურს შეირთოს მეორე და დაიცვას კავშირის კანონიერება მეორესთან, ისევე, როგორც პირველთან, მის ეპისკოპოსს არ აქვს უფლება შეეწინააღმდეგოს მის სურვილს. კანონიერი ქორწინებისა და შვილთა გამრავლებისათვის, მღვდლობამდე იქნება ის თუ მის შემდეგ- [იგი] კარგი და მისაღებია ღვთის წინაშე, ძმა უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ერთ ქალთან შეერთებული, თუმცა ეს შეიძლება შეიცვალოს სიკვდილის ძალის ან აუცილებლობებისგან, რომლებიც ამ სამყაროში ხდება, [დასაშვებია] თუნდაც მან მოიყვანოს ორი, ერთმანეთის შემდეგ.

ჩვენ ვაწესებთ და ვასწავლით, რომ ეს ასე უნდა იყოს, რომ სრულყოფილების არჩევა ქორწინებისთვის უპირატესობის მინიჭებით, კანონიერი კავშირითა და შვილთა გამრავლებით, თავისუფალია ყოველგვარი თავშეკავებისა და შეფერხებისგან. თუ ვინმე ამ ჭეშმარიტი სწავლების წინააღმდეგ ჯანყდება ან თავისი სიამაყით ფიქრობს, რომ ეს არის საზიზღარი, ან უმჯობესად მიიჩნევს, რომ აკეთოს და ასწავლოს ამ თვალთმაქცობის შესაბამისი რამ, რომელიც ქრისტეს შემწე-

ობით გამოვააშკარავეთ და გვსურს განვაგდოთ ჩვენგან. თუ ვინმეს არ შეუძლია უერთგულოს ჩვენი რწმენის ჭეშმარიტებას, ჩაწერილს ამ წიგნში და ერთგულად დაიცვას ერთ-ერთი ამ ორისგან: ან სრული სიწმიდე ან კანონიერი კავშირი, შეილთა უმწიკვლო გამრავლებით შემკული. თუკი ის არ იცავს განაჩენს, რომელიც ჩვენ ზემოთ განვსაზღვრეთ ასკეტების სახელით ცნობილი, მაგრამ საქმეებით [ასკეტიზმისგან] შორს მყოფი მაცთუნელებლების წინააღმდეგ, თუ იგი არ ადასტურებს თავის ერთგულებას ყოველივე ამისადმი, კეთილი ნებითა და ყოველი ხრიკისგან თავისუფალი სულით, თავისი ბეჭდითა და ხელმოწერით, თუ ის არის ეპისკოპოსი, მღვდელი ან მონაზონი, რომელიც ასწავლის ამის საწინააღმდეგოს და არ იცავს ყოველივეს, რაც ზემოთ არის მითითებული და განსაზღვრული ამ წერილში: მას არ ექნება ერთობა ჩვენთან, ჩვენ თავს შევიკავებთ მასთან ურთიერთობისგან, ავუკრძალავთ მას მღვდლობას, საქმიანობას, რომელსაც იგი ახორციელებს, და მას არ ექნება უფლება იმსახუროს ეკლესიის რომელიმე წოდებაში, და თუ ის ერისკაცია, დაე, იყოს იგი განსჯილი და ანათემირებული.

და ჩვენ დავადასტურეთ ყველაფრის ჭეშმარიტება, რაც დაწერილია ჩვენი ბეჭდებისა და ხელმოწერების ზემოთ:

მე, აკაკი, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი აღმოსავლეთისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, პაპა, ეპისკოპოსი ბეთ ლაპატისა, მიტროპოლიტი ბეთ ჰუზაიესი, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, ჰაი, ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი მაიშანის ფერატისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, ფარუმაი (?), ეპისკოპოსი ქალაქ მერვისა, ვეთანხმები

ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, იოჰანნანი, ეპისკოპოსი ბეთ სელოკის კარკასი, მიტროპოლიტი ბეთ გარმაისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, ბატაი, ეპისკოპოსი ჰორმიზდ-არდაშირისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, აბიშო, ეპისკოპოსი კაშკარისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, სიმეონი, ეპისკოპოსი ჰირტასი, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, იეზდეგერდი, ეპისკოპოსი დარაისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, შილამ, მიპრნარსეს, ზაბეს ეპისკოპოსის დიაკონმა და ნოტარმა, მივიღე ბრძანება, რომ ხელი მოვაწერო ამ წერილს მისთვის, ვინც აღიარებს; მე ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და მისი ბეჭდით ვბეჭდავ.

მე, ნარსემ, ბაგეშის, რიმას ეპისკოპოსის, დიაკონმა და ნოტარმა, მივიღე ბრძანება მისგან, რომ ხელი მოვაწერო ამ წერილს მისი სახელით; მე ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს, [და] მისი ბეჭდით ვბეჭდავ.

მე, პუსაი, ეპისკოპოსი შუშტერისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, მიკა, ეპისკოპოსი ლასომისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, აბრაამი, ეპისკოპოსი მადაისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, იოსებმა, უფალ ელიას, ნეჰარგურის ეპისკოპოსის ... და ნოტარმა, ხელი მოვაწერე ამ წერილს მისი ბრძანებით, ვინც იცავს ყოველივე ზემოთ დაწერილს.

მე, ნოე, ეპისკოპოსი ბელაშფარისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, ისააკი, ეპისკოპოსი კარკა დე მაიშანისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, აბრაამი, ეპისკოპოსი თეჰალისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, პაპა, ეპისკოპოსი არევანისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, აბრაამმა, აკსდნკრის[428] დიდი ეკლესიის მღვდელმა, ხელი მოვაწერე ამ წერილს რაის ეპისკოპოს უფალ იოსებისთვის, როგორც მიყიღე ბრძანება მისგან, ვინც ეთანხმება ყოველივე ზემოთ დაწერილს და მისი ბეჭდით დავბეჭდე.

მე, მოსე, ეპისკოპოსი ფეროზ-შაბურისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, დანიელი, ეპისკოპოსი კარმესი, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, ბოზიდი (?), ეპისკოპოსი ჰარბაგელალისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, აფრაატი, ეპისკოპოსი ბეთ ბაგაშისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ.

მე, ოსია, ეპისკოპოსი ადორბადაგანის განძაკისა, ვეთანხმები ყოველივე ზემოთ დაწერილს და ხელს ვაწერ და ბეჭედს ვუსვამ".[429]

---

428 ⟨illegible⟩ – ჟ. ბ. შაბოს განმარტებით, ეს სიტყვა ნიშნავს მას, ვინც ზრუნავს უცხოებზე, (ქსენადოქარი, სასტუმროს გამგე). შესაძლოა აქ წერებულიყო ξενοδοχείων – ქსენადოქი, სასტუმრო, სადგური (ი, აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, მეცნიერება, 1973, 456); თუ ეს ასეა, მაშინ აქ უნდა აღვადგინოთ „აბრაამი, ქსენადოქის დიდი ეკლესიის მღვდელი". მაგრამ, ამავე დროს, შაბო უშვებს, რომ შესაძლოა აქ გადამწერმა ადგილის დასახელება დაამახინჯა.

429 Chabot, Synodicon Orientale.., 299-307.

აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის შესწავლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 486 წლის კრება, მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, სწორედ 486 წლის კრებაზე მიიღო აღმოსავლეთის ეკლესიამ ოფიციალურად ნესტორიანელობა.[430] განსაკუთრებით საინტერესოა მისი I კანონი, რომელშიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გამოყენებულია თეოდორე მოფსუესტელისა და ნესტორის ქრისტოლოგიისთვის დამახასიათებელი ფორმულა. ფილიპ ვუდის მოსაზრებით I კანონში ხაზი გაესვა თეოდორე მოფსუესტელის ქრისტოლოგიას.[431] ბარ ებრაიას ცნობით „მან (აკაკიმ - დ.ჩ.) ასევე მოიწვია კრება, რომელზეც დაადასტურა ნესტორის რწმენა, ამ დროიდან ნესტორიანელობა გავრცელდა აღმოსავლეთში".[432] გავრცელებული მოსაზრებისგან განსხვავებული ხედვა აქვს უ. უინკლერს, რომელიც განიხილავს რა 486 წლის კრების I კანონში გადმოცემულ რწმენას, აღნიშნავს, რომ იგი სრულიად მართლმადიდებურია და ფაქტობრივად არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ვაღიაროთ 486 წლის კრებაზე ადრინდელი ქრისტოლოგიური განსაზღვრების შეცვლა.[433]

უფალ აკაკის კრების დასასრული[434]

430 Labourt, Le Christianisme dans l'empire perse sous la dynastie Sassanide (224–632), 130; Frye, The Political History of Iran under the Sasanians, 149; Meyendorff, Imperial unity and Christian divisions: The Church 450-680 A.D. 287. Dr Samuel, The Growing church, 29;

431 Wood. The Chronicle of Seert, 96-97.

432 Gregorii Bar Hebraei, Chronicum Eclesiasticum , T.III. 74; Bar Hebraeus, The Eclesiastical Chronicle.., 330. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ თავად ბარ ებრაია იყო იაკობიტი, იაკობიტობა კი მონოფიზიტობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა, რომელთათვის ქალკედონის რწმენაც კი ნესტორიანიზმთან ასოცირდებოდა.

433 Baum, Winkler, The Church of the East: A Concise History, 28-29.

434 Chabot, Synodicon Orientale.., 307.

497 წლის სელევკიის კრება

485 წლის ბეთ ედრაის კრებითა და ბარსუმას მიერ აკაკის აღიარებით კონფლიქტი არ დასრულებულა. როგორც ჩანს, ბარსუმა ძალებს იკრებდა და ხელახალი დარტყმისთვის ემზადებოდა. ამას ემატებოდა დაპირისპირება ქურუმებთან. „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, აკაკი ერთხანს დაპატიმრებულიც კი ყოფილა: „ქურუმებმა, რომელთაც ის ეწინააღმდეგებოდა, დააპატიმრეს იგი გარკვეული ხნით და ცუდად ეპყრობოდნენ მას“.[435]

488 წელს სასანიანთა სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა, ვალარში არისტოკრატიისთვის სასურველი მმართველი არ აღმოჩნდა, ხაზინა ცარიელი, ხოლო ქვეყანა ჰუნების მიერ აოხრებული იყო. დიდებულებმა ვალარში დაამხეს და თვალები დასთხარეს, ხოლო ტახტზე პეროზის ძე კავადი (488-496; 499-531) დასვეს.[436]

კავადი მეფობის დასაწყისში ქრისტიანთა მიმართ ცუდად განწყობილი არ ყოფილა, „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, „მან ნება დართო [ქრისტიანებს], რომ აეშენებინათ ეკლესიები და მონასტრები“.[437]

491 წლიდან ისევ დაიძაბა ურთიერთობა კათოლიკოს აკაკისა და ბარსუმა ნიზიბინელს შორის,[438] რაც ბარსუმას

---

435 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1.., 113.

436 Frye,The Political History of Iran under the Sasanians, Cambridge History of Iran, 150.

437 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1.., 125.

438 ამ დაპირისპირების ერთ-ერთ მაგალითს გვიჩვენებს „სირტის ქრონიკა“: „ბარსუმას მიმდევრები, რომელთაც სძულდათ იგი (აკაკი-დ.ჩ.), ადანაშაულებდნენ მას მრუშობაში, მაგრამ მათ ვერ შეძლეს თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელება, აკაკი, რათა შეეცბუნებინა მისი ცილისმწამებლები, იძულებული იყო ეპისკოპოსების წინაშე გაშიშვლებულიყო, რათა ეჩვენებინა მათთვის, რომ საჭურისი იყო. მაშინ ისინი, ვინც ბრალს სდებდნენ მას, სირცხვილეულ-იქმნენ თავიანთი საქციელით“ Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1.., 113.

გარდაცვალებამდე გაგრძელდა, ამასობაში კავადი მიემხრო მაზდაკის მოძღვრებას, 496 წელს უკმაყოფილო ქურუმებმა კავადი დაამხეს და დააპატიმრეს, სამეფო ტახტზე კი მისი ძმა, ჯამასპი (496-499) აიყვანეს.[439]

496/497 წელს გარდაიცვალა კათოლიკოსი აკაკი. „ჰირას ეპისკოპოსმა, მისმა მოსწაელემ, გადაასვენა მისი ცხედარი ჰირაში, სადაც დაკრძალა იგი... ქრისტიანებს სურდათ, დაედგინათ კათოლიკოსი. ჯამასპს ჰყავდა ქრისტიანი ასტროლოგი, სახელად მუსა. მან სთხოვა თავის ბატონს ნებართვა, რომ დაედგინათ კათოლიკოსი. ყველა მამამ ითხოვა, რომ აერჩიათ კაცი სელევკია-ქტეზიფონიდან, მუსა ასტროლოგის ნათესაი და ბეთ არამაიეს მარზპანის[440] მდივანი. მისი სახელი იყო ბაბაი, ძე ჰორმიზდისა, ის იყო მოხუცი და ჰყავდა ცოლი და შვილები. იგი იყო სათნო და წმიდა წერილში განსწავლული. სტუმართმოყვარეობით ექცეოდა ეპისკოპოსებსა და უცხოებს, ბაძავდა მონაზვნებისა და წმიდანების ქცევებს. ბაბაიმ უარი თქვა, მაგრამ ეპისკოპოსებმა იგი არ დატოვეს მანამ, სანამ არ აკურთხეს კათოლიკოსად".[441]

„არბელას ქრონიკის" ცნობით, „დიდი მეფის ჯამასპის მე-2 წელს ბაბაიმ დაიკავა აღმოსავლეთის პატრიარქის ტახტი".[442] ე.ი. ბაბაის კათოლიკოსობა 497 წელს მიუღია.

იმავე წლის ნოემბერში გაიმართა აღმოსავლეთის ეკლესიის კრება. „სიირთის ქრონიკის" ცნობით „ბაბაიმ შეკრიბა 32 მამა" .[443] 497 წლის კრების აქტებში მოცემულია ეპისკოპოსთა 3 სია, პირველში დასახელებულია 36 ადამიანი, მეორეში - 33, ხოლო მესამეში - 39 ხელმოწერაა. როგორც ირკვევა,

439 Frye , The Political History of Iran under the Sasanians.., 150.

440 სიმონ ბეთ არშამელის ცნობით, ამ მარზპანს ერქვა ზაბერგანი, Josephus Simonius Assemani. Bibliotheca Orientalis Clementino-Vaticana.T.1. Rome: 1719.

441 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, 128-129.

442 MŠIHA-ZKHA.., 148.

443 Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, 129.

კრების უშუალო მონაწილეები წარმოდგენილნი არიან მეორე სიაში,[444] რომელშიც კათოლიკოს ბაბაის გარდა მართლაც 32 მამაა დასახელებული, ხოლო პირველ და მესამე სიებში შეტანილია ისინიც, ვინც კრებას არ ესწრებოდა და მხოლოდ შემდეგ მიიღო მისი დადგენილებები. 497 წლის კრების აქტები ქვემოთ სრულად მოგვყავს:

"მოსე ფეროზ-შაბურის [ეპისკოპოსი]; დანიელი ქარმის; იოჰანნისი აბრაშაჰრის; იოჰანნანი ბეთ ზაბდაის; ჰავაჰი ბალადის[445]; მარაი რიმას; მოსე ნეჰარგურის; აფრაატი ბეთ ბაგაშის; კოდიდადი ჰერბაგელალის; იოჰანნანი მა'ალტას[446]; აბრაჰამი ლასომის; აბრაამი თეჰალის; მარეჰრამჰეჰი ბეთ დასენის; იოჰანნანი მერეის; შილა ჰორმიზდ-არდაშირის; იეზდეგერდი შუშტერის; ეფრემი ფარსის;[447] მარვანი[448] მაიშანის ფერატის; აბრაამი ბეთ მიჰრაქაიეს[449]; აბრაამი გურგანის; იოსები რეის;

---

444 თუმცა, ეფიქრობთ მასშიც არის გვიანდელი შესწორება [იხ. ქვემოთ].

445 Balad - ტიგროსზე, მოსულის ჩრდილოეთით.

446 Ma'alta - სოფელი მოსულიდან ჩრდილოეთით, დაახლ. 60 კილომეტრში.

447 497 წლის კრების აქტებში იხსენიება რეჰ-არდაშირის ეპისკოპოსი (ფარსის მიტროპოლიტი) იაზდადი, რომელიც კრებაზე არ მოსულა და მას მიეცა ერთწლიანი პერიოდი, რომ შეერთებოდა კრების დადგენილებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამხობილი იქნებოდა საყდრიდან, როგორც ჩანს, მან ეს მოთხოვნა არ შეასრულა და მის ნაცვლად ფარსის მიტროპოლიტი გახდა ეფრემი, რომელიც კრების დადგენილებებს ერთი წლის შემდეგ უნდა შეერთებოდა. (Chabot. Synodicon Orientale.., 621)

448 როგორც აქ, ისევე კრების აქტებზე ხელისმომწერთა მაიშანის ფერატის ორი ეპისკოპოსია დასახელებული: „მარვანი მაიშანის ფერატისა" და „აკაი მაიშანის", ამასთან, ხელისმომწერთა სიაში ორივე მიტროპოლიტადაა დასახელებული, ო. ბრაუნი და ჟ. შაბო ამ გარემოებას კომენტარის გარეშე ტოვებენ, ჩვენი აზრით, შესაძლოა კრებიდან მალევე აკაი გარდაცვლილიყო და მისი მონაცვლე მარვანი შემდეგ შეუერთდა ამ კრების დადგენილებებს, ამ მოსაზრების სიმართლეს ადასტურებს ისიც, რომ იგი ფარსის მიტროპოლიტ ეფრემთან ერთად არის მოხსენებული, რომელიც როგორც ვნახეთ კრებიდან ერთი წლის შემდეგ უნდა გამხდარიყო ფარსის მიტროპოლიტი.

449 Beit Mihraqaye - "მიჰრას ხალხის სახლი", მხარის სახელი, რომლის მთავარი ქალაქი იყო საიმარატი, შირვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ბაბაი მადაის; აჰრონი ბელაშფარის; ბერიკიშო ბეთ დარაიეს; მიჰრნარსე ზაბეს; პაველ შეჰარქარტის; სალომონი ბეთ ნუჰადრას; სალომონი ლედანის კარკას; ელია ჰირტას; ემანუელი კაშკარის; ბოკტიშო ბეთ სელოკის კარკას; იოსები ჰიდაიაბის; აკაი ფერატის; ოსია, ნიზიბინის მიტროპოლიტი; მარვაი ეპისკოპოსი ბეთ ლაპატის[450]; ბაბაი კათოლიკოსი.

მშვიდობისმოყვარე და კეთილგანწყობილი მეფეთ-მეფე ჯამასპის [მეფობის] მეორე წლის მეორე თიშრის თვეში,[451] ღვთის ნების თანახმად, მეფეთა მეფის ბრძანებითა და წმიდა და ღვთისმოშიში უფალ ბაბაის, ეპისკოპოსის და კათოლიკოსის გულმოდგინებით, ჩვენ, ეპისკოპოსები სხვადასხვა ეპარქიიდან, რომელთა სახელებიც ქვემოთაა [მოცემული], წავედით ბეთ არამაიეს ქალაქში[452]:

ოსია, ეპისკოპოსი ნიზიბინისა, მეტროპოლიტი არბაის ადგილებისა; აკაი, ეპისკოპოსი ფერატისა, მიტროპოლიტი მაიშანისა; იოსები, ეპისკოპოსი არბელასი, მიტროპოლიტი

---

450 მარვაის ხსენება და ხელმოწერა კრების აქტების თაყდაპირველ ვერსიაში არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ დროს ბეთ ლაპატის მიტროპოლიტი იყო პაპა, კრებამ პაპას ერთწლიანი ვადა მისცა, რომ მოენანიებინა განდგომილება და შეერთებოდა 497 წლის კრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დამხობა ემუქრებოდა, როგორც ჩანს, პაპამ არ მიიღო ეს წინადადება და მის ადგილას დადგენილ იქნა მარვაი, რომელიც შეუერთდა კრებას, სწორედ ამის შემდეგ უნდა დამატებოდა კრების აქტებს მისი ხელმოწერა (Chabot, Synodicon Orientale, 620).

451 497 წლის ნოემბერი. ამ თარიღს ეთანხმება „არბელას ქრონიკაც“: „მეფე ჯამასპის [მეფობის] მეორე წელს, როდესაც უფალმა ბაბაიმ მიიღო აღმოსავლეთის საპატრიარქო საყდრის ხელმძღვანელობა, გაიმართა მეათე კრება და იქ შეიკრიბნენ ეპისკოპოსები ყველა მხარიდან“ (MŠIHA-ZKHA.., 148).

452 საუბარია დედაქალაქ სელევკია-ქტესიფონზე.

ჰედაიაბისა[453]; ბოკტიშო, ეპისკოპოსი ბეთ სელოკის კარკასი, მიტროპოლიტი ბეთ გარმაისი; ემანუელი, ეპისკოპოსი კაშკარისა; ელია, ეპისკოპოსი ჰირტასი; ემანუელი ეპისკოპოსი ლედანის კარკასი; იობი, ეპისკოპოსი არზონისა; ისააკი,

453 „არბელას ქრონიკის“ ცნობით, ამ დროს არბელას ეპისკოპოსი აბუშტა ყოფილა, რომელიც კრების გამართვის მომდევნო წელს გარდაცვლილა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუდგენიათ ეპისკოპოსად იოსები: „რადგანაც უფალი აბბუშტა მოხუცებული და უძლური იყო, მან ვერ შეძლო წასვლა, მაგრამ თავის ნაცვლად გააგზავნა მღვდელი იოსები და ნოტარი სიდორა, ... კრების მომდევნო წელს უფალი აბბუშტა გარდაიცვალა“ (MŠIHA-ZKHA..,148-149). მართლაც კრების აქტებზე არის სიდორას ხელმოწერა: „მე, სიდორამ, ნოტარმა, მივიღე ეპისკოპოს აბუშტას, პედაიაბის ეპისკოპოსის ბრძანება, რომ ხელი მომეწერა ამ წერილისთვის, მათ გამო, ვინც უერთდება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს.“ თუმცა, ამაღე დროს, კრების მასალებში კრების მონაწილედ არის დასახელებული არბელას ეპისკოპოსი იოსებიც, კრების აქტებზე მისი ხელმოწერაცაა: „მე, იოსები, არბელას ეპისკოპოსი, პედაიაბის მიტროპოლიტი, შეეუერთდი ყოველივე ზემოთ დაწერილს, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე“. ჟ. ბ. შაბო თელის, რომ შესაძლოა, სიდორას ხელმოწერა გვიანდელი იყოს, (Chabot, Synodicon Orientale.., 620.) ეფიქრობთ, პატივცემული მეცნიერი ცდება, გვიანდელი უნდა იყოს არა სიდურას, არამედ იოსების ხელმოწერა, იოსები მართლა უნდა ყოფილიყო კრებაზე, ოღონდ არა როგორც არბელას ეპისკოპოსი, არამედ როგორც აბბუშტას წარმომადგენელი კრებაზე, სწორედ იგი უნდა იგულისხმებოდეს „მღვდელ იოსებში“, რომელიც „არბელას ქრონიკის“ ცნობით ეპისკოპოს აბბუშტას ნოტარ სიდორასთან ერთად გაუგზავნია კრებაზე. შემდეგ, როდესაც იოსები ეპისკოპოსი გახდა (498 წ.) მას კრების დადგენილებებზე ხელი უკვე როგორც ეპისკოპოსს ისე უნდა მოეწერა, გვიანდელ გადაწერს, რომელმაც, ეფიქრობთ, იცოდა, რომ „მღვდელი იოსები“ და „ეპისკოპოსი იოსები“ ერთი და იგივე პიროვნება იყო, იოსების ორი ხელმოწერიდან (ერთი კრების თანამედროვე, როგორც მღვდლის და მეორე, 498 წლის, უკვე როგორც ეპისკოპოსის) დატოვა მხოლოდ ერთი, გვიანდელი და მიტროპოლიტების ხელმოწერებს შორის გადაიტანა (497 წლის კრების აქტებში მისი, როგორც ეპისკოპოსის ხელმოწერა ბოლოში უნდა ყოფილიყო), ხოლო ის ადგილები, სადაც იოსები მღვდლად იყო დასახელებული, ეპისკოპოსად ჩაასწორა, ამგვარად უნდა გამქრალიყო ხელმოწერებიდან „მღვდელ იოსების“ ხელმოწერა, რომელიც სიდორას ხელმოწერასთან ერთად უნდა ყოფილიყო, შედარებისთვის ამაღე კრების დადგენილებებს ჰორმიზდ-არდაშირის ეპისკოპოს შილას სახელით ხელი მოაწერეს აბრაჰამმა, მარაიმ და სიმეონმა: „ჩვენ, აბრაჰამმა, მარაიმ და სიმეონმა, ჰორმიზდ-არდაშირის ეპისკოპოს უფალ შილას მღვდლებმა, კლერკებმა, მოვიტანეთ წერილი მისგან, რომელშიც იგი უერთდება ეპისკოპოსთა შეხვედრის ამ შეკრებას [რომელიც] აღმოსავლეთის პატრიარქმა უფალმა ბაბაიმ გამართა მეფეთ-მეფე ჯამასპის მე-2 წელს. ჩვენ მივიღეთ ბრძანება ეპისკოპოს უფალ შილასგან, რომ ხელი მოვაწეროთ და დავადასტუროთ მისი შეერთება“. (იხილეთ ქვემოთ).

ეპისკოპოსი მაიშანის კარკასი; სოლომონი, ეპისკოპოსი ბეთ ნუჰადრასი; პავლე ეპისკოპოსი შეჰარქარტისა; მიჰრნარსე, ეპისკოპოსი ზაბესი; ბერიკიშო, ეპისკოპოსი ბეთ დარაიესი; მოსე, ეპისკოპოსი ფეროზ-შაბურისა; აარონი, ეპისკოპოსი ბელაშფარისა; ბაბაი, ეპისკოპოსი მადაისა; იოსები, ეპისკოპოსი რეისა; აბრაამი, ეპისკოპოსი გურგანისა; აბრაამი, ეპისკოპოსი ბეთ მიჰრაქაიესი და ისფაჰანისა; იოჰანნისი, ეპისკოპოსი ტუსისა და აბრაშაჰრისა; იოჰანნანი, ეპისკოპოსი ბეთ ზაბდაისი; ჰავაჰი, ? ეპისკოპოსი ბალადისა; მარაი, ეპისკოპოსი რიმაისი; მოსე, ეპისკოპოსი ნიჰარგურისა; აფრაატი, ეპისკოპოსი ბეთ ბაგაშისა; კოდიდადი, ეპისკოპოსი ჰარბაგელალისა; იოჰანნანი, ეპისკოპოსი მა'ალტასი; აბრაამი, ეპისკოპოსი ლაშომისა; აბრაამი, ეპისკოპოსი თეჰალისა; სხვა ეპისკოპოსებთან, რომლებიც წერილით შეუერთდნენ და რომელთა სახელებია: დანიელი, ეპისკოპოსი ქარმისა; იაზდადი, ეპისკოპოსი ჰარეესა; პაპაი, ეპისკოპოსი შუშისა.

ჩვენ ყველანი შევიკრიბეთ კეთილი ნებითა და მოწყალებით, რათა მივსალმებოდით და პატივი მიგვეგო ჩვენი მამის, პატივსაცემი უფალ ბაბაის, კათოლიკოსისათვის.

როდესაც ჩვენ მოვაღწიეთ სელევკიისა და ქტეზიფონის ქალაქებში, წავედით, რომ ქრისტეს მოწყალებით მივახლოებოდით ამ მშვიდობისმოყვარე და კეთილგანწყობილ ადამიანს, და მან, კეთილი სურვილის შესაბამისად, რომელსაც იგი ფლობს, სიყვარულით მიგვიღო, როგორც ძმები და მისი მამობრივი მმართველობის წევრები. მან გვაჩვენა ედიქტი, რომელიც მისადმი იყო მიმართული მშვიდობისმოყვარე და კეთილმოსურნე ჯამასპის, მეფეთა მეფისაგან, რომ მის ძალაუფლებას დამორჩილებული ეპისკოპოსები უნდა შეკრებილიყვნენ მის წინაშე და დაემტკიცებინათ შესწორება კანონიერი ქორწინებისა და ბავშვების გამრავლების შესახებ მთელი სამღვდელოებისთვის მთელ ქვეყანაში. და ჩვენ, ყვე-

ლა ეპისკოპოსმა, რომელთა სახელები ზემოთ არის ჩამოთვლილი, იმავე სულით ქრისტეს კანონების სრულყოფილების შესაბამისად, მოვახდინეთ რეფორმა, რომელიც მართებულია ჩვენი ხალხისა და სამწყსოსთვის ქორწინებასა და ბავშვების გამრავლებასთან დაკავშირებით და ჩვენ დავუშვით, რომ: პატრიარქიდან უკანასკნელ იერარქამდე, ყველას შეუძლია განცხადებულად დაუკავშირდეს ერთ ქალს უბიწო ქორწინებით და შვას შვილები.

ჩვენ ასევე ვაღიარებთ, მაგრამ მხოლოდ ამ საკითხთან დაკავშირებით, შეკრებას, რომელიც შედგა ბეთ ჰუზაიეს მხარეში, ქალაქ ბეთ ლაპატში, მეფეთა-მეფე პეროზის 27-ე წელს,[454] ასევე წერილებს, რომლებიც დაიწყო ბეთ ედრაიში, ბალაშის [მეფობის] მეორე წელს,[455] უფალ აკაკის დროს, და დასრულდა ბეთ არამაიეს მხარეში.[456] და ჭეშმარიტ რწმენას, რომელიც დადგინდა წმიდა წიგნთა ავტორიტეტითა და სწავლებით.

რაც შეეხება ანათემებსა და აკრძალვებს, რომლებიც კავადის მე-4 წლიდან ამ უფალ ჯამასპის, მეფეთა-მეფის, მე-2 წლამდე[457] იყო დაევებში, წესრიგის გარეშე, კაცობრივი მოტივებით, საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით, ან ნეტარ უფალ აკაკის, კათოლიკოსისაგან და მისი მიმდევრებისაგან, დიდებული უფლის, ნიზიბინის ეპისკოპოს ბარსუმას და მისი მიმდევარი ეპისკოპოსების წინააღმდეგ, ან თავად უფალ ბარსუმასგან და მისი მიმდევარი ეპისკოპოსებისგან უფალ აკაკის, კათოლიკოსისა და მისი მიმდევარი ეპისკოპოსების წინაღმდეგ. ჩვენ ვაუქმებთ და ვაბათილებთ მათ ღვთის სიტყვის მიერ, რომელიც ყველაფერზე მბრძანებლობს. მაგრამ ისინი, ვინც სამართლიანად აიკრძალნენ, ახლაც რჩებიან თავიანთ აკრძალვაში. ორი მოწინააღმდეგე მხარის მიერ დაწერილი წერილები და განაჩენი განადგურებულია. და არც ერთ-

454 იგულისხმება 484 წლის ბეთ ლაპატის კრება.

455 იგულისხმება 485 წლის ბეთ ედრაის კრება.

456 486 წლის სელევკია-ქტეზიფონის კრება

457 ე.ი. 491 წლიდან 497 წლამდე.

მა თქვენგანმა, ქრისტეს სიტყვით, არ უნდა იქონიოთ ისინი ახლოს.[458]

ჩვენ ასევე ვიცავთ ორთოდოქსულ კანონებს, რომლებიც ჩვენი ძველი მამებისგან კრებებზე იქნა დადგენილი, და რომლებიც სამართლიანად იცავენ კოკეს დიადი ეკლესიის სამოციქულო საყდრის პატივსა და პირველობას.

ახლა და ამიერიდან, იმავე შეთანხმებით, იმავე სრულყოფილი განზრახვით, ეშმაკობას მოკლებული მოწყალებით ჩვენ ჩვენს ძმას, საპატიო და წმიდა უფალ ბაბაის, ეპისკოპოსს მივიჩნევთ კათოლიკოსად, მეთაურად, ხელმძღვანელად, დარიგებლად და მმართველად, და ვუერთდებით ყველაფერს რასაც იგი ღვთის შიშით გააკეთებს.

ის, ვინც თავისი სიამაყით ან ამაო განზრახვით იყო მტერი ან მოწინააღმდეგე ამ ხელმძღვანელობისა და მამათა ამ წმი და საყდრის, და ვისაც სურს რომ გამოჰყოს საკუთარი თავი მთელი აღმოსავლეთის ამ ეპისკოპოსი ძმების ჯანსაღი სხეულისგან, ქრისტეს განზრახვის თანახმად, პირველ რიგში ჩვენგან მიიღებს გაფრთხილებასა და მოთხოვნას. ჩვენ ვთხოვოთ მას, როგორც თანამოღვაწეს, ძმასა და თანაზიარს მსახურებაში, რომ არ გამოეყოს ჩვენს ერთობას, მაგრამ [თუ] ის განაგრძნობს თავის წინააღმდეგობას და არ მოუსმენს თავისი ძმების, ეპისკოპოსების რჩევას, ის საკუთარ თავს თვითონ გამოჰყოფს ჩვენი ძმობისგან და ჩვენ აღარ გვექნება მასთან არავითარი ურთიერთობა, იქამდე, სანამ არ მოვა, როგორც მოსწავლე, რათა შეხვდეს პატრიარქს და შეუერთდეს ის წერილს, რომელიც ჩვენ შევქმენით.

ჩვენ ასევე ვიცავთ და ვადასტურებთ, რომ ეპისკოპოსთა შეკრება წელიწადში ორჯერ უნდა მოხდეს, მათი პროვინციების ხელმძღვანელებთან, როგორც ეს ნათქვამია ძველთ

458 „სიირთის ქრონიკის" ცნობით „მან (ბაბაიმ-დ.ჩ.) უარყო ბაბაის, ბარსუმასა და აკაკის წერილები და მათი ანათემები" (Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1.., 129).

აგან.

ჩვენმა მამებმა დაადგინეს, რომ მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები პატრიარქის წინაშე შეიკრიბონ ყოველ ორ წელიწადში [ერთხელ].[459] მაგრამ ახლა ჩვენთვის უმჯობესი აღმოჩნდა, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ, I თიშრის თვეში[460] [შევიკრიბოთ].[461] თუ მდგომარეობა მოითხოვს და პატრიარქი საჭიროდ მიიჩნევს, რომ მოიწვიოს კრება ნებისმიერი მიზეზით ამ ოთხი წლის შუალედში, ყველა ეპისკოპოსი წავა კეთილი სურვილით, და თუ ვინმე იტანჯება ავადმყოფობისგან, ან დაკავებულია გადაუწყვეტელი საქმით, კაცობრივი საბაბით თავშესაფრის ძებნის გარეშე, ის, ვინც მოკლებული იქნება ამგვარ საფუძველს, გაგზავნის გამოჩენილ პიროვნებას თავისი სამღვდელოებიდან, წერილობითი თანხმობით. ვინც ამას არ იზამს და ყალბი მიზეზით უარს იტყვის რომ ჩამოვიდეს, აკრძალული იქნება მისი მსახურება მანამ, სანამ არ მოვა პატრიარქის წინაშე და შეუერთდება იმას, რაც დადგინდა იმ კრებაზე.

რაც შეეხება ბეთ ლაპატის ეკლესიას და რევ-არდაშირის ეპისკოპოს იაზდადს, ფარსის მიტროპოლიტს, თავად კათოლიკოსისგან შევიტყვეთ, რომ მან რამდენჯერმე წერილობით მიიწვია და კრებაზე მოსვლა მოსთხოვა ბეთ ლაპატის სამღვდელოებასა და ეპისკოპოს იაზდადს, და რომ მათ უგულებელყვეს მოსვლა. ჩვენ ყველა ვადგენთ ამ განაჩენს და ვანდობთ [ამ] საქმეს კათოლიკოსის ხელებს: „თუ მეფეთა მეფე ჯა-

459 410 წლის კრების VI კანონი.

460 ოქტომბერი.

461 ამ ცნობას ეთანხმება „არბელას ქრონიკაც“ : „იქ დაადგინეს, რომ ეპისკოპოსთა შეკრება პატრიარქთან უნდა მოხდეს ყოველ ოთხ წელიწადში [ერთხელ] და არა ყოველ ორ 2 წელში, როგორც ეს იყო წესად ადრე“ (MŠI-HA-ZKHA..., 149); ხოლო „სიირთის ქრონიკა“ მართალია, ყოველ 4 წელიწადს კრების ჩატარებაზე მიუთითებს, მაგრამ შეკრების დროდ არა ოქტომბერს, არამედ ნოემბერს გვთავაზობს: „მან ბრძანა, რომ კათოლიკოსთან შეკრება უნდა გაიმართოს ყოველ 4 წელიწადში, II თიშრის თვეში“. Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1.., 129.

მასპის მე-2 წლის თიშრის თვიდან ამ მეფეთა მეფის მე-3 წლის თიშრის თვემდე.[462] სახელდობრ, ერთი წლის განმავლობაში, პაპა[463] მოვა, შემოუერთდება ეკლესიის ორთოდოქსულ სარწმუნოებას და ამ წერილს ხელს მოაწერს და ბეჭდით დაამოწმებს, ან თუ პაპა, მოსელის გარეშე, სხვა ადამიანის ხელით გამოაგზავნის თავის წერილობით შეერთებას, ეკლესიის ორთოდოქსული სარწმუნოების მიღებას და ჩვენგან შექმნილი წერილის დადასტურებას, ჩვენ ჩავთვლით მას ჩვენს თანამოძმედ ეპისკოპატში, რომელსაც მართავს. და ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა, დავიწყებული იქნება. მაგრამ თუ ის ამას არ იზამს, დაე, დარჩეს იგი ამ ეპისკოპოსთა კრების მიერ ბეთ არამაიეში მის წინააღმდეგ წარმოთქმული ანათემის ქვეშ.- მსგავსად, თუ იაზდადი, რევ-არდაშირის ეპისკოპოსი, არ მოვა ზემოთ მითითებულ დროში, რათა მიესალმოს და თაყვანი სცეს ჩვენს მამას, კათოლიკოს უფალ ბაბაის, და გულწრფელი სიყვარულით და სრული თანხმობით არ შეუერთდება ყველაფერს, რაც ჩვენ ამ წერილში ჩავდეთ, ის იქნება უცხო ჩვენი მსახურებისთვის და არანაირი ურთიერთობა არ გვექნება მასთან. და მანამ, სანამ ის არ შეიცვლება, გათავისუფლებული და დამხობილი იქნება.

ჩვენ შევქმენით ეს წერილი, ჩვენ ყველამ, სხვადასხვა ეპარქიის ეპისკოპოსებმა, რომელთა სახელებიც ზემოთ არის ხსენებული, [და რომლებიც] ახლა შევიკრიბეთ წმიდა მთავარეპისკოპოს უფალ ბაბაისთან, კათოლიკოსთან, ხელი მოვაწერეთ და ბეჭდით დავამოწმეთ იგი.

ჩვენ ასევე განვსაზღვრეთ, რომ ყოველი ეპისკოპოსი, რო-

462 ე.ი. 497 წლის ნოემბრიდან - 498 წლის ნოემბრამდე.

463 ჯ.ბ. შაბოს შენიშვნით იგი უნდა იყოს ბეთ ლაპატის ეპისკოპოსი პაპა რომელიც მონაწილეობდა 486 წლის კრებაში. (Chabot. Synodicon Orientale.., 314, შენ, 2). როგორც ჩანს, მან არ შეასრულა კრების მოთხოვნა, რის გამოც დამხობილ იქნა და ბეთ ლაპატის მიტროპოლიტად მარვაი დაადგინეს, რომელიც შეუერთდა კრების დადგენილებას.

მელიც კამათის დროის განმავლობაში, რომელიც არის კავადის მე-7 წლიდან ახლანდელამდე,[464] კანონიერად იქნა არჩეული, სამღვდელოებისა და მთელი ქალაქის არჩევით, ჩვენგან მოწყალებით იქნება მიღებული მისი საეპისკოპოსო მსახურების პატივსა და წოდებაში. მაგრამ იმას, ვინც სქიზმისა და შუღლის დროს მისი ქალაქის მორწმუნე ხალხისა და სამღვდელოების არჩევის გარეშე მიიტაცა ეპისკოპოსის ხარისხი, ჩვენ უარვყოფთ, ვინც არ უნდა იყოს ის, თანახმად საეკლესიო კანონების დადგენილებისა და ვერიდებით მათთან ყოველგვარ ურთიერთობას.

მე, შილა,[465] უფალ ბაბაის, ეპისკოპოსისა და აღმოსავლეთის კათოლიკოსის კლერკი და არქიდიაკონი ხელს ვაწერ ამ წერილს კათოლიკოს უფალ ბაბაის მითითებით. რომელიც შეურთდა ყველაფერს, რაც დაწერილი და ბეჭდით დამოწმებულია.

მე, პუსაიმ, ბეთ ჰუზაიეს მეტროპოლიის, ბეთ ლაპატის ეკლესიის სამღვდელოების დიაკვანმა, მივიღე ჩინებული უფალ მარეაის, ეპისკოპოსი მიტროპოლიტის ბრძანება და ხელი მოვაწერე ამ წერილს მათთვის, ვინც შეუერთდა ყოველივე ზემოთ დაწერილს და ბეჭდით დაამოწმა.

მე, ელიამ, ბეთ არბაის მხარის ეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის უფალ ოსიას დიაკონმა და ნოტარმა, მივიღე ჩვენი მამის, ეპისკოპოსის ბრძანება და ხელი მოვაწერე ამ წერილს მათთვის, ვინც შეუერთდა ყოველივე ზემოთ დაწერილს და ბეჭდით დაამოწმა.

მე, ანფაიმ[466], ფერატის ეპისკოპოსმა, მაიშანის მიტრო-

---

464 494 წლიდან 497 წლის ნოემბრამდე. უფრო ზემოთ წერია: „კავადის მე-4 წლიდან ამ უფალ ჯამასპის, მეფეთა-მეფის, მე-2 წლამდე", ამიტომაც ჟ. ბ. შაბო თვლის, რომ შესაძლოა აქ გადამწერის შეცდომა იყოს, რაც უნდა გამოეწვია ასოების ჯ-სა (რომლის რიცხვითი მნიშვნელობაც 4-ია) და ი-ს (რომლის რიცხვითი მნიშვნელობა არის 7) აღრევას.

465 იგი ბაბაის გარდაცვალების შემდეგ 502/503 წელს აღმოსავლეთის კათოლიკოსი გახდა (523 წლამდე).

466 იკითხება ,ـــــ , ამაეე კრების მასალებში მაიშანის ფერატის მიტროპოლიტის სახელი ორჯერ იხსენიება, როგორც ,ـــ - აკაი (Chabot, Synodicon orientale.., 62.)

პოლიტმა, დავადასტურე ეს წერილი, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე.

მე, იოსები, არბელას ეპისკოპოსი, ჰედაიაბის მიტროპოლიტი, შევუერთდი ყოველივე ზემოთ დაწერილს, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე.

მე, მარაიმ, ფერატის ეპისკოპოსმა, მაიშანის მიტროპოლიტმა, დავადასტურე ეს წერილი, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე.

მე, ჰორმიზდმა, ბეთ სელოკის კარკას ეპისკოპოს ბოკტიშოს, ბეთ გარმაის მიტროპოლიტის დიაკვანმა და ნოტარმა, მივიღე მისგან ხელმოწერის ბრძანება, რადგანაც ის უერთდება ამ წერილს და ბეჭდით ამოწმებს.

მე, ემანუელი, კაშკარის ეპისკოპოსი, შევუერთდი ყველაფერს რაც ზემოთ წერია, დავადასტურე ჩემი ხელმოწერით და ბეჭდით დავამოწმე.მე, ელიამ, ჰირტას ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ წერილს, დავადასტურე ყველაფერე რაც მასშია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, სამუელმა, ლედანის კარკას ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ დოკუმენტს და ბეჭდით დავამოწმე, და შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია.

ჩვენ, აბრაჰამმა, მარაიმ და სიმეონმა, ჰორმიზდ-არდაშირის ეპისკოპოს უფალ შილას მღვდლებმა, კლერკებმა, მოვიტანეთ წერილი მისგან, რომელშიც იგი უერთდება ეპისკოპოსთა შეხვედრის ამ შეკრებას [რომელიც] აღმოსავლეთის პატრიარქმა უფალმა ბაბაიმ გამართა მეფეთ-მეფე ჯამასპის მე-2 წელს. ჩვენ მივიღეთ ბრძანება ეპისკოპოს უფალ შილასგან, რომ ხელი მოვაწეროთ და დავადასტუროთ მისი შეერთება.

მე, სამუელმა, ბეთ ნუჰადრას ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე, შევუერთდი და ბეჭდით დავამოწმე.

მე, იოჰანანმა, მერვის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ დოკუმენტს და დავადასტურე ყველაფერი, რაც აქ არის ჩაწერილი.

მე, პავლემ, შეჰარქარტის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ დოკუმენტს და ჩემი ბეჭდით დავადასტურე.

მე, შილამ, ზაბეს ეპისკოპოს უფალ მიჰრნარსეს მღვდელმა და ნოტარმა, მისგან მიეიღე ბრძანება, რომ ხელი მოვაწერო იმისთვის, ვინც ეთნხმება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს.

მე, მარკუსმა, ბეთ დარაიეს ეპისკოპოს უფალ ბერიკიშოს ნოტარმა, მისგან მივიღე ბრძანება, რომ ხელი მოვაწერო იმისთვის, ვინც ეთნხმება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს.

მე, ბაბაიმ, მადაის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ დოკუმენტს, შევუერთდი ყველაფერს, რაც მასში წერია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, აჰაიმ, მღვდელმა და ნოტარმა, ხელი მოვაწერე ბელაშფარის ეპისკოპოს უფალ აჰრონისთვის, რომელიც უერთდება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს,

მე, აჰაიმ, მღვდელმა და ნოტარმა, ხელი მოვაწერე რეის ეპისკოპოს უფალ იოსებისთვის, რომელიც უერთდება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს.

მე, აბრაჰამმა, გურგანის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ წერილს, შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, აბრაჰამმა, ბეთ მიჰრაქაიესა და ისპაჰანის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე, შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, იოჰანნისი, ტუსისა და აბრაშაჰრის ეპისკოპოსი, შევუერთდი ყველაფერს რაც ზემოთ წერია, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე.

მე, ჰავაჰმა, ნოტარმა, მიეიღე აფრაატის, ბეთ ბაგაშის ეპისკოპოსის ბრძანება და ხელი მოვაწერო იმისთვის, ვინც ეთნხმება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს.

მე, მარაი, რიმას ეპისკოპოსი, შევუერთდი ყველაფერს რაც ზემოთ წერია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, ჰავაჰმა, ბალადის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ წერილს, შევუერთდი ყველაფერს, რაც მასში წერია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, მოსემ, ნეჰარგურის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე შევუერთდი ზემოთ დაწერილს და ბეჭდით დავამოწმე.

მე, იოჰანნანმა, ბეთ ზაბდაის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე.

მე, იოჰანნანმა, მღვდელმა, ხელი მოვაწერე ფეროზ შაბურის ეპისკოპოს უფალ შამას ბრძანებით, რომელიც უერთდება ყოველივე ზემოთდაწერილს, და ბეჭდით დავამოწმე.

მე, იოჰანნანმა, მა'ალტას ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია, ბეჭდით დავამოწმე და დავადასტურე.

მე, კოდიდადმა, ჰარბაგელალის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე.

მე, აბრაჰამმა, ლასომის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია.

მე აბრაჰამმა, თაჰალის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე, ბეჭდით დავამოწმე და დავადასტურე ყველაფერი, რაც ზემოთ წერია.

მე, მარეჰრაჰმეჰი, ბეთ დასენის ეპისკოპოსი, შევუერთდი იმას, რაც ზემოთ წერია, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე.

მე, შუბჰალიშომ, ბალადის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, ადურჰორმიზდმა, ჰორმიზდ-არდაშირის სამღვდელოების მღვდელმა, ჩვენი ეპისკოპოსის უფალ შილას ბრძანებით, ხელი მოვაწერე ამ წერილს მათთვის, ვინც ეთანხმება ყოველივეს, რაც მასში წერია და რომლებიც ამოწმებენ თავიანთი ბეჭდით.

მე, აბამ, ქარმის ეპისკოპოს უფალ დანიელის მღვდელმა და ნოტარმა, მისი ბრძანებით ხელი მოვაწერე, ის ეთანხმება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს.

მე, იეზდიგერდმა, შუშტერის ეპისკოპოსმა, ხელი მოვაწერე ამ წერილს, შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით დავამოწმე.

მე, სიდორამ, ნოტარმა, მივიღე ეპისკოპოს აბუშტას, ჰედაიაბის ეპისკოპოსის ბრძანება, რომ ხელი მომეწერა ამ წერილისთვის, მათ გამო, ვინც უერთდება ყველაფერს, რაც ზემოთ წერია და ბეჭდით ამოწმებს.

მე, შილა, ეპისკოპოსი, შევუერთდი ყველაფერს, რაც ზემოთ წერია, ხელი მოვაწერე და ბეჭდით დავამოწმე".[467]

497 წლის კრების აქტებიდან აშკარაა, თუ როგორ შეარყია კათოლიკოს ბაბოვაისა და ბარსუმა ნიზიბინელს შორის დაწყებულმა შფოთმა, რომელიც კათოლიკოს აკაკის დროსაც გაგრძელდა, აღმოსავლეთის ეკლესია და კათოლიკოსის ძალაუფლება. აღმოსავლეთის ეკლესიის ერთიან ორგანიზიად ჩამოყალიბების შემდეგ (410 წ.) პირველად გახდა საჭირო, რომ კრებას ეპისკოპოსებისთვის შეეხსენებინა, თუ ვინ იყო მათი მეთაური და სად მდებარეობდა ეკლესიის ადმინისტრაციული ცენტრი. ვფიქრობთ, კათოლიკოსის ძალაუფლების გარკვეულწილად შემცირება'ხე მიუთითებს მის წინაშე ეპისკოპოსთა შეკრების ვადის 2 წლიდან 4 წლამდე გაზრდა.

467 Chabot, Synodicon Orientale.., 310-317.

ამ მოცემულობით დასრულდა აღმოსავლეთის ეკლესიისთვის ქარტეხილებით სავსე V საუკუნე, თუმცა მას წინ არანაკლები გამოწვევები ელოდებოდა.

უფალ ბაბაის კრების დასასრული[468]

468 Chabot, Synodicon Orientale.., 317.

დანართი
აღმოსავლეთიის ეკლესიის მიერ შეწყნარებული კანონები

ებედიესუ ნიზიბინელი თავის კანონიკურ კრებულში ჩამოთელის იმ კანონებს, რომლებიც აღმოსავლეთის ეკლესიამ შეიწყნარა:

„კანონთა სია, რომელთაც აღმოსავლეთის ეკლესია იღებს, აღიარებს და იცავს: როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური, მოციქულებრივი და მამობრივი კანონები, რომელზეც დამყარებულია აღმოსავლეთის წმიდა და მართლადიდებლური ეკლესია და რომელთაც იგი იცავს, არის შემდეგი:

დასავლური:

1. წმიდა მოციქულთა კანონები, 27 კანონი.
2. მოციქულთა სხვა, 81 კანონი.
3. 12 მოციქულის, 10 დადგენილება.
4. ანკირიის კრება, 24 კანონი.
5. ნეოკესარიის კრება, 14 კანონი.
6. ნიკეის კრება, 20 კანონი.
7. მსოფლიო კრება, 73 კანონი.
8. ღანგრის კრება, 20 კანონი.
9. ანტიოქიის კრება, 25 კანონი.
10. ლაოდიკიის კრება, 59 კანონი.
11. კონსტანტინოპოლის კრება, 4 კანონი.
12. ქალკედონის კრება, 27 კანონი.

აღმოსავლური:

13. კათოლიკოს ისააკისა და მარუთა მაიფერკატის [ეპისკოპოსის] კრება;
14. კათოლიკოს უფალ იაჰბალაჰას კრება;
15. კათოლიკოს უფალ დადიშოს კრება;
16. ნიზიბინის მიტროპოლიტ ბარსუმას I კრება;
17. ნიზიბინის მიტროპოლიტის ბარსუმას II კრება;
18. ნიზიბინის მიტროპოლიტის ბარსუმას III კრება;
19. კათოლიკოს უფალ აკაკის კრება;
20. კათოლიკოს უფალ ბაბაის კრება;
21. კათოლიკოს უფალ იოსების კრება;
22. ნიზიბინის მიტროპოლიტ პავლეს კრება;
23. კათოლიკოს უფალ აბას კრება;
24. კათოლიკოს უფალ ეზეკიელის კრება;
25. კათოლიკოს უფალ იშო'იაბის კრება;
26. კათოლიკოს უფალ გრიგოლის კრება;
27. კათოლიკოს უფალ საბრიშოს კრება;
28. კათოლიკოს უფალ ჰინანიშოს კანონები;
29. კათოლიკოს უფალ ტიმოთეს კანონები;
30. კათოლიკოს უფალ ტიმოთეს კრება;
31. კათოლიკოს უფალ იშო ბარ ნუნის კანონები;
32. კათოლიკოს უფალ გიორგის კანონები;
33. კათოლიკოს უფალ იოჰანანის კანონები;
34. კათოლიკოს უფალ ილია I-ის კანონები;
35. ქრისტიან ბერძენ იმპერატორთა კანონები;
36. რეჲ-არდაშირის მიტროპოლიტ სიმონის კანონები;
37. ფარსის მიტროპოლიტ იშო'ბოხტის კანონები;
38. ასურეთის მიტროპოლიტ აბდიშო ბარ ბაჰრი(' კანონები;
39. ასურეთის მიტროპოლიტ უფალ გიორგის კანონები;
40. კათოლიკოს უფალ აბდიშოს კანონები". [469]

---

469 Chabot, Synodicon Orientale..,

დამოწმებული ლიტერატურის სია
წყაროები

1. დიდი სსნაქსარი = Great Synaxarion / გიორგი მთაწმიდელი ; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა. თბილისი: 2017.

2. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ს. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, მეცნიერება, 1975.

3. ეპისტოლისაგან ივას მიერ ედესიისა ეპისკოპოსისა მიწერილისა მარინ სპარსისა მიმართ, შემდგომად წინა_სიტყუაობისა, ვიქტორია ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ტ. 1 : ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, თბილისი, 2008.

4. თეოდორიტე კვირელი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი: ახალი ივერონი, 2008.

5. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძვ. სომხ. თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1985.

6. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბილისი: მეცნიერება, 1984.

7. პრისკე პანიონელი, გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1. ტექსტი ქართ. თარგმ. გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961.

8. სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი: ახალი ივერონი, 2012.

9. სომეხთა ეპისტოლე სპარსეთში, მართლმადიდებელთადმი, ალექსიძე, ზაზა, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის. მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბილისი: მეცნიერება, 1973, N3.

10. Abou Mansour 'Abd Al-Malik Ibn Muhammad Ibn Isma'il Al-Tha'alibi, Histoire des rois des Perses . Texte arabe publié et traduit par H. Zotenberg. Paris: Imprimerie Nationale. 1900.

11. Acta Martyrum et Sanctorum: edited by Paul Bedjan. Tomus Primus, vol. 1, 7 vol. Leipzig: Otto Harrassowitz, 1890.

12. The Acts of Mar Mari the Apostle, Translated with an Introduction and Notes by Amir Harrak, 2005.

13. Assemani, Josephus Simonius, Biblioteca Orientalis Clementino-Vaticana. T. 1. Rome: Sacrae Congregationis de Propaganda Fide, 1719.

14. Assemani, Josephus Simonius, Biblioteca Orientalis Clementino-Vaticana. T. 2. Rome: Sacrae Congregationis de Propaganda Fide, 1721.

15. Assemani, Stefano Evodio, Acta Sanctorum Martyrum Orientalium et Occidentalium.vol. 1. (Romae: Typis Josephi Collini, 1748.

16. Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang: Ostsyrisches Mönchsleben Aus dem Syrischen übers. von Oskar Braun. Kempten-München: Verlag der Jos.Kösel'schen Buchhandlung. 1915.

17. Auszüge aus syrischen Akten persischer Märtyrer : Übersetzt und durch Untersuchungen zur Historischen Topographie erlautert von Georg Hoffmann, Leipzig : Brockhaus, 1880.

18. Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle: An English Translation. Translated by D. Wilmshurst, Piscataway: Gorgias Press, 2016.

19. Braun. Oscar, Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale. Amsterdam: Philo press. 1900.

20. Chabot, Jean-Baptiste, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, Paris: Imprimerie Nationale, 1902.

21. Chronique de Abou-Djafar-Mo'hamed-ben-Djarir-ben-Yezid Tabari, traduite sur la version Persane d'Abou-'Ali Mo'hammed Bel'ami, par M. Hermann Zotenberg. T. II. Paris, Imprimerie nationale, 1869.

22. Chronique de Michel le syrien Patriarche jakobite d'Antioche. Editee pour la premiere et traduite en francais Par Jean-Baptiste Chabot, T. II, (Paris: Ernest Leroux, Editeur. 1901.

23. Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum: quod e codice Musei britannici descriptum conjuncta opera ediderunt, Latinitate donarunt annotationibusque Theologicis, Historicis, Geograficis et Archaeologicis illustrarunt Jean Baptiste Abbeloos, Thomas Joseph Lamy.T. 3. Lovanii : C. Peeters, 1877.

24. Ecclesiastical history. A history of the Church in six books from A.D. 431 to A.D. 594. By Evagrius, translated by E. Walford. London: Samuel bagster and sons,1846.

25. Eusebius: The Church History, Translation and commentary by Paul L. Maier, 2007.

26. Eutropi Breviarium ab urbe condita cum versionibus graecis et Pauli Landolfique additamentis, Monumenta Germaniae Historica, Autorum Antiquissimorum T. II. Berolini, Apud Weidmannos, 1879.

27. Histoire ecclesiastique Socrate de Constantinople : texte grec de l'edition G.C. Hansen, traduction par Pierre Perichon et Pierre Maraval, introduction et notes par Pierre Maraval, Paris, Cerf, 2004.

28. Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. publiée par Addaï Scher. Graffin, R – Nau, F. Patrologia Orientalis. T. 4. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs. Paris. 1908

29. Histoire nestorienne : (chronique de Séert). I partie, fasc 2, publiée par Addaï Scher . René Graffin, François Nau. Patrologia Orientalis. T.5. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs,1910.

30. Histoire nestorienne : (chronique de Séert). II partie, fasc 1, publiée par Addaï Scher. René Graffin,. Patrologia Orientalis. T.7. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs,1950.

31. Julian the Emperor: Containing Gregory Nazianzen's Two Invectives and Libanius' Monody with Julians' Extant Theosophical Works translated by C. W. King, London, G. Bell and sons, 1888.

32. Kitab al-'Unvan. Histoire universelle, écrite par Agapius de Menbidj. 2 patrie, fasc.2. Edite et traduite Alexandre Vasiliev , René Graffin, François Nau, Patrologia Orientalis. T.8. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs,1912.

33. La Chronographie d'Elie Bar-Synaia Metropolitain de Nisibe... Par L., J., Delaporte, Paris: Libraire Honore Champion, Editeur,1910.

34. Lamy, Thomas Joseph. Concilium Seleuciae Et Ctesiphonti Habitum anno 410. Lovanii: Excudebat Car. Peeters, 1868.

34. Mansi, Giovanni Domenico, Sacrorum Conciliorum Nova et Amplissima Collectio. T. II. Florentiae: expensis Antonii Zatta Veneti, 1759.

35. Marcus. Ralph, The Armenian Life of Marutha of Maipherkat, The Harvard Theological Review, Vol. 25, No. 1. Cambridge: Cambridge University Press on behalf of the Harward Divinity school, 1932.

36. Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars.I: Amri et Slibae textus versio Latina .Rome: excudebat C. de Luigi, 1897.

37. Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars.II. Maris textus arabicus et versio Latina (Rome: excudebat C. de Luigi, 1899.

38. Migne, Jacques-Paul, Patrologiae cursus completus: Series graeca. T. 35, 1857

39. Migne, Jacques-Paul. Patrologiae Cursus Completus. Series Latina. T. 77. Parisiis. 1896.

40. MŠIHA-ZKHA (Texte et traduction) par A. Mingana, Sources Syriaques, T. 1. 1907.

41. Persian Martyr Acts under King Yazdgird I. (Persian martyr acts in Syriac: text and translation by Geoffrey Herman). Piscataway, NJ: Gorgias Press, 2016.

42. Procopius of Caesarea. History of the wars, Procopius, with an English translation by Henry Bronson Dewing, in six volumes , I, London: S. Heinemann, 1914.

43. Russel, Norman. Theophilus of Alexsandria, The Early Church Fathers, 2007.

44. Schaff, Philip. The Seven Ecumenical Councils. Grand Rapids, MI: Christian Classics Ethereal Library. 2005.

45. Sozomen. Ecclesiastical History. Translated by Chester D. Hartranft. In Schaff, Philip; Wace, Henry. Nicene and Post-Nicene Fathers, Second Series. 2.. Buffalo. 1890.

46. The Chronicle of Edessa. The Journal of Sacred Literature, New Series [=Series 4], vol. 5. 1864.

47. The Chronicle of Pseudo-Zachariah Rhetor: Church and War in Late Antiquity, Edited by Geoffrey Greatrex and Translated from Suriac and Arabic sources by Robert Phenix and Cornelia Horn, and contributions by Sebastian P. Brock and Witold Witakowski, Liverpool: Liverpool University Press, 2011.

48. The History of al-Tabari. Volume V, The Sasanids, the Byzantines, the Lakhmids, and Yemen , translated and annotated by Eamund Bosworth, Albany: State University of New York Press, 1999.

49. Theophanis Chronographia recensvit Carolus de Boor. Vol.I . Lipsiae : B.G. Teubnneri, 1883.

50. Vööbus, Arthur. New Sources for the Symbol in Early Syrian Christianity, Vigiliae Christianae Vol. 26, No. 4. Brill: 1972.

51. Сказания Приска Панийского. Пер. Г. С. Дестуниса. СПб., 1860.

ლიტერატურა

52. აბულაძე, ილია. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი: მეცნიერება. 1973.

53. გაბიძაშვილი, ენრიკო. შრომები, ტ. 1: მონოგრაფიული ნარკვევები. თბილისი, 2010.

54. თარხნიშვილი, მიქელ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოქმნა და განვითარება, "მნათობი", 1989, N 11.

55. თორაძე, ვახტანგ. თორაძე, ნინო. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია. თბილისი: ელფი, 2006.

56. მამულია, გიორგი, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში, თბილისი: მეცნიერება. 1992.

57. მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით. ტ. II. თბილისი: ალილო. 2011.

58. ყიფიანი, გურამ, ბოლნისის სიონი (ტაძრის გეგმა და სამი უძველესი წარწერა), ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2010.

59. ჯავახია, ბეჟან, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბილისი, უნივერსალი, 2005, 82.

60. Asmussen, Jes Peter. Christian in Iran, in: Ehsan Yarshater, The Cambridge History of Iran 3 (2), The Seleucid, Parthian and Sasanian periods, (Cambridge: Cambridge University Press, 1983.

61. Assemani, Giuseppe Luigi, De catholicis seu patriarchis chaldaeorum et nestorianorum commentaries historico-chronologicus, Rome: Monaldinini, 1775.

62. Baum, Wilhelm. Winkler, Dietmar Werner, The Church of the East: A Concise History, London and New York: Taylor & Francis e-Library, 2003.

63. Brock, Sebastian, The Christology of the Church of East in the Synods of the Fifth to Early Seventh Centuries: Preliminary Considerations and Materials, in: Ferguson, Everett. Doctrinal Diversity: Varieties of Early Christianity, Vol. 4, 1999.

64. Brock, Sebastian. Fire from Heaven: Studies in Syriac Theology and Liturgy, Aldershot: Ashgate, 2006.

65. Buck, Chistopher, Paradise and Paradigm: Key Symbols in Persian Christianity and the Baha'i Faith, Albany: State University of New York Press, 1999.

66. Butler, Alban, Cumming. John, Butler's Lives of the Saints: August: New Full Edition. Collegeville: Burns & Oates, 1998.

67. Chistopher Buck, The Universality of the Church of The East: How Persian was Persian Christianity?, The Journal of the Assyrian Society

68. Christensen, Arthur, L'Iran Sous Les Sassanides. Copenhague, Annales du musée Guimet, 1936.

69. Christensen, Arthur, L'Iran Sous Les Sassanides. Copenhague, Paul Geuthner, coll. « Annales du musée Guimet » 1944.

70. Daryaee, Touraj. Sasanian Persia: The Rise and Fall of an Empire. London. New York: I.B.Tauris & Co Ltd, 2009.

71. De Halleux, André. Le symbole des évêques perses au synode de Séleucie-Ctesiphon (410), Erkenntnisse und Meinungen, II = Göttinger Orientforschungen, Reihe Syriaca 17, 1978.

72. Fiey, Jean Maurice. Jalons pour un histoire de l'Église en Iraq. Corpus scriptorum Christianorum Orientalium, v. 310. Louvain, Secretariat du Corpus SCO, 1970.

73. Fiey, Jean Maurice. Maruta de Martyropolis d'apres Ibn al-Azraq (†1181), Analecta Bollandiana 94, 1976.

74. Fortescue, Adrian. The lesser eastern churches . London : Catholic Truth Society, 1913.

75. Frye, Richard N. The History of ancient Iran. Munchen: C.H. Beck'sche verlagsbuchhandlung, 1984.

76. Frye, Richard N. The Political History of Iran under the Sasanians, Cambridge History of Iran, Volume 3(1), Cambridge: Cambridge University Press, 1983.

77. Greatrex, Geoffrey. Lieu , Samuel N.C, Roman-Eastern-Frontier and the Persian wars part II AD 363–630. New York: Taylor and Francis e-Library, 2005.

78. Hastings, James. Encyclopedia of Religion and Ethics, vol. III. 1910.

79. Hefele, Karl Joseph von. A History of the Councils of the Church: To the close of the Council of Nicea, A.D. 325. T. & T. Clark. 1871.

80. Hefele, Karl Joseph von. A History of the Councils of the Church: A.D. 326 to A.D. 429. T. & T. Clark. 1876.

81. Herman, Geoffrey, The Last Years of Yazdgird I and the Christians," in: Geoffrey Herman. Jews, Christians and Zoroastrians, Religious Dynamics in a Sasanian Context, Piscataway: Gorgias Press, 2014.

82. Herman, Geoffrey , The Passion of Shabur, Martyred in the 18th

year of Yazdgird with a Fragment of the Life of Mar Aba Catholicos,' Journal of Semitic Studies 58 . Oxford: Oxford University Press on behalf of the University of Manchester. 2013.

83. Graham Jones, Constantine and his mother build a city: Heler of Edessa and Martyropolis, Ниш и Византија X, 2012.

84. Labourt, Jérôme, Le Christianisme dans l'empire perse sous la dynastie Sassanide (224–632), Paris: Librairie Victor Lecoffre, 1904.

85. Lamy, Thomas Joseph. Le concile de pierre à Séleucie-Tent Ctésiphon en 410. en Compte-rendu des Congrès du Troisième Scientifique international catholiques. section Deuxième: Sciences Religieuses, Bruxelles, 1895.

86. Munt, Harry, Ibn Al-Azraq, Saint Marutha, and the Foundation of Mayyafariqin (Martyropolis), in: True Stories: Historians and Hagiographers in the Late Antique and Medieval Near East, ed. A. Papaconstantinou, Turnhout, Brepols, 2010.

87. Maseko, Achim Nkosi, Church Schism & Corruption. Durban 2008.

88. McDonough, Scott, A Second Constantine? The Sasanian King Yazdgard in Christian History and Historiography. Journal of Late Antiquity 1.1. Baltimore: The Johns Hopkins University Press. 2008.

89. Meyendorff, John, Imperial unity and Christian divisions: the church, 450-680 AD, Crestwood, NY: St. Vladimir's Seminary Press 1989.

90. Nöldeke, Theodor, Geschichte der Perser und Araber zur Zei der Sasaniden aus der arabischen Chronik des Tabari: Übersetzt und mit ausführlichen Erläuterungen und ergänzungen Versehn. Leiden Brill. 1879.

91. Panicker, Mathunny John, The Person of Jesus Christ in the Writings of Juhanon Gregorius Abu'l Faraj Commonly Called Bar Ebraya, 2002.

92. Rassam, Suha, Christianity in Iraq. Its Orogins and Development to the Present Day. Leominster: Gracewing, 2006.

93. Ridley, Glocester, Eight Sermons on the Divinity and operation of the Holy Ghost... (Oxford: at the Clarendon Press, 1802.

94. Dr. Samuel, Vilakuvelil Cherian, The Growing Church (An

Introduction to Indian Church History). Kottayam: Divyabodhanam Publications, Orthodox Seminary, P. B. 98. 2007.

95. Schwaiger, Wolfgang, den "Miles und Papa: Der Kampf um den Primat. Ein Beitrag zur Diskussion um die Chronik von Arbela," in René Lavenant (ed.), V Symposium Syriacum, 1988, Orientalia Christiana Analecta 236, Rome, 1990.

96. Smith, Kyle Richard, The Persian Persecutions: Martyrdom, Politics, and Religious Identity in Late Ancient Syriac Christianity, Copyright by Kyle Richard Smith, 2011.

97. Stevenson, Walter. John Chrysostom, Maruthas and Christian Evangelism in Sasanian Iran. Studia Patristica 47. Classical Studies Faculty Publications . Richmond: Peelers Publishers, 2010.

98. Stewart, John, Nestorian Missionary Enterprise . the story of a church on fire , Edinburgh : T. & T. Clark, 1928.

99. Sykes, Percy, A history of Persia, London: Macmillan, 1915.

100. Vine, Aubrey Russell, The Nestorian Churches, London: Independent Press. 1937.

101. Vööbus Arthur. Early monasticism in Persia. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, V. 184. T.14. history of Asceticism in the Syrian Orient. Louvan: Secrétariat du CorpusSCO, 1958.

102. Wace, Henry. Piercy, William C. A Dictionary of Christian Biography and Literature to the End of the Sixth Century A.D., with an Account of the Principal Sects and Heresies. Grand Rapids, MI: Christian Classics Ethereal Library. 2000.

103. Wainwright, Geoffrey. Westerfield Tucker, Karen B. The Oxford History of Christian Worship. Oxford: Oxford University Press. 2006.

104. Wigram , William Ainger, An introduction to the history of the Assyrian Church, or, The Church of the Sassanid Persian Empire, 100–640 A.D. London, Society for promoting Christian knowledge; New York, E.S. Gorham, 1910.

105. Wood. Philip, The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq, Oxford: Oxford University press. 2013.

History of Councils of the Church of the East in the 4th-5th Centuries (Minutes and Other Sources)

Summary

"Church of East" is mostly called to the churches in the Eastern Roman Empire (Constantinople, Alexandria, Antioch and Jerusalem) unlike the Western – Roman Catholic Church. Though, such approach discusses Christianity only in the bounds of Roman Empire, that's inadmissible.

Christianity was spread beyond the borders of Roman Empire in the near East since the first centuries; finally Christian communities existed here turned into united organization during the existence of the Sasanian Empire when the united church was formed which contained the whole Empire of Sasanian. This church is called different names: Syrian-Persian Church, Assyrian Church of the East, Nestorian Church and Persian Church.

For the Christians residing in the Sasanian Empire, their housing was the "East" comparing with the Roman Empire, which was called as the "West"; that's why "Church of East" became its official name.

Researching of the Church of East in the West (Europe and America) has a long time history that is expressed in publishing and translation of the sources on the Church of East, on the one hand and in researching of these sources, on the other. Translation of the minutes of the synods of the Church of East, known as Oriental Synodikon, was especially important. In 1900 Oscar Braun published German translation of the minutes of the synods of the Church of East, and in 1902 Jean-Baptiste Chabot published French translation of the texts, which was enclosed by Syrian text.

Researching of the Church of East doesn't lose its actuality even today; the obvious confirmation of it is lots of literature devoted to the research of Church of East during the last time; the most distinguishable is the fact that points of view on the initial lawful situation of Church of East (its autocephaly) and Christology are changed during

the last decades.

Against this background, researching of the history of Church of East in Georgia is extremely reverent, where it isn't the subject of research yet and Church of East or generally references about it are presented just in several books or articles, which are based on the Western Historiography and don't refer to the initial sources. Besides, they don't represent the news existed in modern researches of Church of East.

We think a research of the history of Church of East is extremely important for researching of the church history generally and for research of the political and ecclesiastical history of Georgia, because since formation as an united organization (410), Church of East was bounded to the churches of the countries of Transcaucasia, and within ten years, for 420 direct entered in its composition. Besides, Kartli Church and Church of East have common fortune – church of Antioch had pretension over both of them. It's distinguishable that this claim towards the both churches is represented in one and the same source. Though as it is already established, Church of East had never been subject to Antioch. Foreseeing this fact, presence of representative of Kartli Church at the synod as of 420 and subordination of Kartli Church by the Catholicos of the East is too important; because of the fact, claims of the Church of Antioch towards Church of Kartli is under doubt. It's noteworthy that "Catholicos" is established as a title just in Church of East and it doesn't have a synod of title in Western Churches at early stage. We think establishment of the title of the "Catholicos" in Church of Kartli is connected to the subordination to the Church of East and hereinafter to the obtaining of autocephaly.

Foreseeing the all above-said, our goal was to show sources on Church of East and considerations about them in the historiography, and use this information for studying the history of Church of Kartli. For this purpose, we tried to gather together all these components in this book. We took only the texts on the synods of Church of East of the 5th century from Oriental Synodikon, which are enclosed by other sources about these synods. Besides, we put materials about two synods of the 4th century, the minutes of which aren't given in Oriental Synodikon. The main text is set up according to the publishing of J. B.

Chabot. Onomastikon named in the texts is compared with the Syria text; we also used publishing by O. Braun, different reading of which enclosed to the thesis as an enclosure.

Opinions of the searchers are enclosed to the texts, reader to be ab to acquaint with the explanation of this or that text. We preferred t put the explanation of the toponyms in scholium instead of putting the end of the thesis (as J. B. Chabot makes) to be easier for the read to elucidate to that geographic environment about which is talked i the text in parallel.

We suppose this thesis will help to the persons interested in as Or ental as generally history of Christian Church, political history of S sanian Persia and history of Church of Kartli.